# ივერია

ეროვნული და დემოკრატიული მიმართულების ჟურნალი
პუბლიცისტიკა, ხელოვნება, მეცნიერება

# IVERIA

EDITION PERIODIQUE GEORGIENNE

## 32

მაისი 1988
პარიზი

# იბერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი
დაარსებული ილია ჭავჭავაძის მიერ 1877 წელს
აღდგენილი პარიზში ეროვნულ-დემ. პარტიის
მიერ 1949 წელს

ი-640

32

მაისი 1988
პარიზი

# შინაარსი


რედაქტორისაგან 3

მ. ქავთარაძე
ქართველ მხედართა მოგონებანი 4

ნ. მათიკაშვილი
მ. კვალიაშვილი
იუნკრები 5

პოლკ. გალ. თევზაძე
განვლილი გზა 32

პეტრე იბერი
ტოტალიტარიზმის რეინკარნაცია 64

ქრონიკა
26 მაისი პარიზში 89
მამა ილია მელიას გარდაცვალება 90
მრგვალ მაგიდასთან 91
ბიბლიოგრაფია 94
სამძიმარი 96
ჟურნალის ფონდი 96

## რედაქციისაგან:

იქნებ ჩვენი ჟურნალის ზოგ მკითხველს გაუკვირდეს, რომ ილიას იუბილეს გადახდის შემდეგ გამოცემულ წინამდებარე ნომერში ილიასადმი მიძღვნილ წერილს ვერ ნახავს. ეს იმიტომ ხდება, რომ მახლობელ დღეებში გამოდის ილიას სახელობის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის მიერ შედგენილი, მთლიანად ილიასადმი მიძღვნილი კრებული. ჩვენი ჟურნალის მასალებიც ინსტიტუტის გამომცემლობას გადავეცით, რადგან ჩვენს მცირერიცხოვან საზოგადოებაში სახსრის გაფლანგვა იქნება ერთიდაიგივე პირთა მიერ ორი სახით ასრულება ერთიდაიგივე საქმისა. ილიას ეს არც მოეწონებოდა, რადგან იგი პეტივმოყვარეობით არ იყო შეპყრობილი. ეს სისუსტე არ ახასიათებდა მას. ილიას ერთადერთი "სისუსტე" სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული იყო. ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ ილია მისი სახელის იშვიათად ხსენების გამო კი არა, მხოლოდ მაშინ გვისაყვედურებდა, თუ ჩვენ ისეთ რამეს დავწერდით ან ჩავიდენდით, რაც სამშობლოს არც ახლა და არც შემდეგში არ გამოადგება. ამიტომ ჩვენი პრინციპია მხოლოდ სამშობლოსათვის გამოსადეგ საქმისათვის დავხარჯოთ ჩვენი მცირე ძალა და უნარი. რაიცა დაუსრულებელ ხოტბასა და გამეორებას შეეხება, ვითარ წერილ არს "არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედა", ჩვენც ვფრთხილობთ არ დავამცროთ განუწყვეტელი ხსენებით სახელი ილიასი, ვინც ჩვენ ჭეშმარიტად უფლადა გვწამს აქაურ, მიწიერ საქმიანობაში, მთელი ქართველი ერის დარად, რომელმაც სალოცავ ხატად დაისახა იგი, საქართველოს ნეტარ მამათა, პატრონთა და მფარველთა შორის მეუფე.

## ქართველ მხედართა მოგონებები

რამდენიმე თვის წინათ რედაქციამ, სან-ფრანცისკოდან, ალ. სულხანიშვილისაგან მიიღო ცნობა, რომ მას ხელთ ჰქონია ამჟამად პოლონეთში მცხოვრებ ყოფილ იუნკერ ნიკოლოზ მათიკაშვილის მოგონებები, რომელთა დაბეჭდვის შესაძლებლობა და პირობები (სახსარი და სხვა) აინტერესებდა. რედაქციამ დაუყოვნებლივ უპასუხა, რომ ყოველივეს თავისთავზე იღებდა და სთხოვა სასწრაფოდ გადმოეგზავნა ხელნაწერი.

ხელნაწერის მიღებისთანავე რედაქცია თვით ავტორს დაუკავშირდა და მისგან გაიგო, რომ არსებობს კიდევ ერთი მოგონება, პოლკ. ვალერიან თევზაძისა, რომელიც ბ. ნიკოლოზს პოლონურიდან გადმოუთარგმნია და ისიც ალ. სულხანიშვილისათვის გადაუგზავნია. მიუხედავად ნ.მათიკაშვილის თხოვნისა ბ. ალ.სულხანიშვილმა პოლკ. თევზაძის მოგონებები დღემდე არ გამოგვიგზავნა იმ საბაბით, რომ ჯერ ნ. მათიკაშვილის მოგონებები დაბეჭდეთო. მაშინ რედაქციის თხოვნით თვით ნ.

მათიკაშვილმა მოგვაწოდა პოლკ. თევზაძის მოგონებათა "შავი" ტექსტი, რომელიც მას თადარიგისათვის შეუნახავს.

ასეთია სულ მოკლედ წარმოდგენილი ისტორია ამ ორი დოკუმენტისა, რომელსაც აქ ვაქვეყნებთ.

ეს ბედნიერი შემთხვევა მნიშვნელოვნად ავსებს და ამდიდრებს ჩვენი ახლო წარსულის ისტორიის შესასწავლ მასალას. ეს მოგონებები, გენერალ კვინიტაძის და გენერალ ჩხეიძის მოგონებებთან ერთად დაემატება ქართულ არქივებში არსებულ დოკუმენტებსა და მაშინდელ პრესაში გამოქვეყნებულ სხვადასხვა ცნობებს.

რედაქცია დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მან შესძლო 87 წლის თავდადებული მეომრისათვის, რომელიც ჯერაც ახალგაზრდული სულისკვეთებით ცხოვრობს, ეს სიამე მაინც გაეკეთებია.

პარადოქსული ვითარება, რომელიც სტალინის ტოტალიტარულმა და ტოტალურმა ცენზურამ შექმნა, უზარმაზარ თეთრ ლაქად სტოვებს საქართველოს თანამედროვე (უახლესი) ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვან ეპოქას: 1917-1921 წლებს, საქართველოს დამოუკიდებლობის ხანას. ეს იყო მეტად რთული ეპოქა არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო-ისტორიული თვალსაზრისითაც. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს იყო მთელი მეოცე საუკუნის ისტორიული გზა-სავალის "გასაღები" და, განსაკუთრებით საქართველოს ისტორიისა. გაგება და შეცნობა ამ ეპოქის მოვლენათა კავშირისა, მიზეზებისა და კვანძებისა თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება. ხოლო შესაცნობად კი აუცილებელია მოხდეს რაც შეიძლება მეტი და რაც შეიძლება მრავალფეროვანი (და დეტალური!) აღწერა მოვლენებისა. ყოველი ადამიანი, ვისაც ამ პერიოდის შესახებ რაიმე, პირადი თუ საზოგადო ხასიათის მასალა მოეპოვება მოგონების ან დოკუმენტის (წერილები, პრესა, საარქივო ცნობები... და სხვა) სახით, ქართველი ერის და საქართველოს ისტორიის წინაშე ვალდებულად უნდა თვლიდეს თავს გამოამზეუროს ისინი, როგორც ეს მიღებულია ყოველ ცივილიზებულ ერში, სადაც ყოველი მოქალაქე(!) თავს პასუხისმგებელ პიროვნებად და საზოგადოების მნიშვნელოვან წევრად თვლის. მითუმეტეს იზრდება ყოველი ადამიანის მნიშვნელობა ჩვენებრ მცირერიცხოვან ერში და, შესაბამისად, იზრდება ყოველის პასუხისმგებლობაც ეროვნული ისტორიის მიმართ.

ამ მისწრაფებით "ივერია" მოუწოდებს ყოველ ქართველს თავისი წვლილი შეიტანოს ქართველი ერის თანამედროვე ისტორიის ამ ქვაკუთხედი ეპოქის სრულყოფილად გაშუქებასა და გაანალიზებაში.

მიხეილ ქავთარაძე

# იუნკრები

ქართული ახალგაზრდობა ერთსულოვნათ და აღფრთოვანებით შეხვდა რუსეთის რევოლუციას, სიხარულით მიიღო საქართველოს რუსეთიდან ჩამოშორების და დამოუკიდებლობის აღდგენის ფაქტი და რაკი სამშობლოს ყოველი მხრიდან მტერი ეტანებოდა, საჭიროთ სცნო მის დამცველთა რიგებში ჩამდგარიყო. სადაც კი რაიმე სამხედრო ნაწილი დგებოდა, მოხალისეთა საგრძნობი რიცხვი უწყვეტათ მიედინებოდა საქართველოს ყველა კუთხიდან, მთიდან და ბარიდან. მცირე რიცხვი ამ ახალგაზრდობისა იუნკერთა სასწავლებელშიაც მოჰყვა, იმ იუნკერთა, რომლებმაც სახელი გაითქვეს თავდადებული და მედგარი ბრძოლებით ტაბახმელასთან 1921 წელს.

იფიქრებს ზოგი, რათ უწოდეს ქართულ სამხედროს სკოლას იუნკერთა? მოხდა ეს იმიტომ, რომ საქართველოს ჯართა ორგანიზაციას იმ დროს სათავეში ედგა ომებში გამოცდილი, გენერალური შტაბის აკადემია დამთავრებული, მაღალი ხარისხის ჩინებული აფიცრობა. რუსეთში ხანგრძლივი ცხოვრების გამო ბევრ მათგანს ქართული ენა დავიწყებოდათ, ქართული სამხედრო ტერმინოლოგია დამუშავებული არ იყო და სკოლას რუსეთის მიბაძვით "იუნკერთა" უწოდეს.

სკოლა ორ წლიან სწავლებას ითვალისწინებდა. პირველ კურსზე მსმენელი ეუფლებოდა საერთო სამხედრო ხელოვნებას თეორიული და პრაქტიკული მხრივ. მეორე კურსზე კი გაყოფილნი იყვნენ : ქვეითა ჯარის, ცხენოსანთა, საარტილერიო და მესანგრეთა დარგებათ. პირველი კურსი ამოქმედდა 1919 წლის შემოდგომაზე, მეორე - 1920 წლის შემოდგომაზე. ლექციებს თეორიულ დარგში გვიკითხავდნენ ცნობილი ქართველი გენერლები. პრაქტიკულ დარგს გვასწავლიდნენ სათანადო დარგის რჩეული აფიცრები. ამათგან მეხსიერებაში ჩამრჩნენ: როტმისტრი - სულხანიშვილი, კაპიტნები - ჩაჩუა, შავდია, ხოშტარია, ლეიტენანტი თოიძე. სკოლის უფროსათ თავიდანვე პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე იყო, ამ დარგში დიდათ გამოცდილი და დახელოვნებული. სასწავლო პროგრამის თეორიულ დარგთაგან გვასწავლიდნენ: სამხედრო ისტორიას, ტაქტიკას, ტოპოგრაფიას, ფორტიფიკაციას. ამ დარგთა მასწავლებლები იყვნენ : გენერლები - კვინიტაძე, ანდრონიკაშვილი, პოლკოვნიკი ვახვახიშვილი და სხვები... გვყავდა ერისკაცი მასწავლებლებიც. ეს იყო ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვასილ ბარნოვი. გვიკითხავდა ის ლექციებს ქართულ ისტორიასა და ლიტერატურაზე და თავისი სახოვანი, გულში ჩამწვდომი ქართულით გვინერგავდა სამშობლოს უზომო ერთგულებასა და სიყვარულს. სკოლის საბოლოო მიზანი იყო მიეცათ მსმენელთათვის საკმარისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა სამხედრო ხელოვნებაზე, ჩაენერგათ მკაცრი დისციპლინა და ფიზიკურათ მოემზადებინათ მძიმე სამუშაოთა და ამტანლობისთვის. სწავლა დილა საღამოს მიმდინარეობდა, დილით თეორიული და საღამოს პრაქტიკულ დარგებში. გაკვეთილთა შორის ხანმოკლე დასვენებისას ეზოში ცეკვა სიმღერას ვაჩაღებდით. ჩვენ შორის ბევრი აღმოჩნდა მშვენიერი ხმის მქონე. ხალხური სიმღერების მცოდნე ცეცხლოვანი ენერგიით აღჭურვილი პიროვნებები. მათი გულში ჩამწვდომი სიმღერები დასტრიალებდნენ საქართველოს გმირულ წარსულს, საყოფაცხოვრებო, გასართობ და საცეკვაო თემებს. ხან და ხან ორათ გაყოფილნი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მომღერლები. უნდა გენახათ მაშინ რა სასიამოვნო და გულში ჩამწვდომი იყო მათი შესრულებით ტკბილ ხმოვანი ქართულ სიმღერები. მომღერალთაგან და მოცეკვავეთაგან ვინ დავასახელო? ერთმანეთსა სჯობდნენ: ნაცვლიშვილი, ჯამასპიშვილი, წიკლაური, რატიშვილი, დავით და ლადო ლადიძეები, მრევლიშვილი, სხირტლაძე, უგრეხელიძე, თაყაიშვილი და სხვა მრავალი.

ყოფილა შემთხვევები როდესაც ჩვენ ლხინზე დასწრება მოუსურვებია გენერალ კვინიტაძეს, გამოსულა თავის მეუღლესთან ერთად, პოლკოვნიკ ჩხეიძის ოჯახიდან (პოლკოვნიკ ჩხეიძის მეუღლე იყო და გენერალ კვინიტაძისა. ცხოვრობდნენ სკოლის შენობაში) და ყურადღებით მოუსმენია ჩვენი ცეკვა - სიმღერები. ბევრჯერ საცეკვაოთ გამოუწვევიათ გენერალ კვინიტაძის მეუღლე ჩვენ ჩინებულ მოცეკვავეებს, და მასაც უარის თქმით არავინ გაუნბილებია.

ვიდრე შევუდგებოდე სკოლის ცხოვრებასა და ტაბახმელის ამბების მოყოლას, ზედმეტი არ იქნება ორიოდე სიტყვით მოვიხსენიო: ვინ იყვნენ, რა წრიდან, რა სულისკვეთებისანი, და საიდან მოსდგამდათ მათ ეს სულიერი სიმტკიცე და ურღვეობა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემათ საკმარისი იქნებოდა პასუხი მოგვესმინა იუნკერთაგან ერთადერთ კითხვაზე : რამ მოიყვანა ის სამხედრო სასწავლებელში? საუბედუროთ ამ

კითხვაზე პასუხის მიღება დღეს შეუძლებელია. ერთი იმიტომ, რომ ბევრი მათგანი ცოცხალი აღარ არის, გადარჩენილები კი იმდენათ არიან დაქსაქსულნი მსოფლიოში, რომ მათგან რაიმე ცნობის მიღება გაძნელებულია. ეს ხარვეზი შემიძლია მე მხოლოთ საკუთარი მოგონებებით შევავსო: წლოვანობით თანატოლნი ვიყავით, 20-28 წლისანი. ვიზრდებოდით ერთნაირ გარემოცვასა და ერთნაირ პირობებში. რაც გადამხდენია იმ დროს მე, უსათუოთ ემსგავსება მათ ცხოვრებასაც და აქედან გამომდინარე სულისკვეთებასაც.

ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებაზე სამი პირობა ახდენს ზეგავლენას: პირველი ეს არსებული საზოგადოებრივი განწყობილება, მეორე წრე და გარემოცვა, რომელშიაც უხდება ცხოვრება, და მესამე - და უმთავრესი - ოჯახი.

საზოგადოებრივი განწყობილება ჩვენს ბავშობაში და ახალგაზრდობაში შემდეგ ნაირათ გამოიყურებოდა: რუსეთს ღრმათ ჰქონდა ფესვები გადგმული საქართველოს რუსულ წესით მართველობაში. არა სცნობდა მის თავისებურებას, დაუზოგავათ სარგებლობდა ბუნებრივი სიმდიდრეებით. საჭიროთ არ თვლიდა ქვეყნის კულტურულ და ეკონომიურ განვითარებას. უკმარი იყო საშუალო სასწავლებელთა რიცხვი, უმაღლესი სკოლა არ არსებობდა, ქართული ენის სწავლა საშუალო სასწავლებელში დამატებით საგანს წარმოადგენდა, მიმდინარეობდა გადარუსების პროცესი. ცოტა იყო პირველ დაწყებითი სკოლები სოფლად.

ქართული საზოგადოება ამ დროს გამოფხიზლებულია, ცდილობს თავის თავზე აიღოს ყველა ზემოთ ხსენებული საჭიროებანი, იბრძვის ეროვნული თავისუფლების გადარჩენისათვის. მიმდინარეობს გარკვეული განმთავისუფლებელი მოძრაობა. ამ მოძრაობას სათავეში უდგას ილია ჭავჭავაძე. მას გვერდში უდგანან და მხარს უმშვენებენ აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, ვასილ ბარნოვი, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, ნიკო ნიკოლაძე, დავით სარაჯიშვილი და მრავალი სხვა. არსდება ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. მრავლდება პირველ დაწყებითი სკოლების ქსელი. არსდება სათავად-აზნაურო ბანკი, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, რომელიც ხელს უწყობს ეროვნულ გამოღვიძებას. გამოდის მაღალ დონეზე მდგარი ჟურნალ-გაზეთები, იბეჭდება ქართული და უცხოურიდან ნათარგმნი წიგნები. ამაღორძინებელ მოძრაობაში ჩაბმულია მთელი იმ დროინდელი საზოგადოება. ყველა ამას თვალყურს ადევნებს იმ დროინდელი ახალგაზრდობა, ე.ი. ჩვენ, იმ დროინდელი მოზარდი თაობა.

გარემოს ზეგავლენა ხასიათის ჩამოყალიბებაზე მეტად მძლავრი მოვლენაა. რამდენადაც მეტია ამა თუ იმ მხარეში ისტორიული ძეგლები და მათ ირგვლივ გადმოცემები მით უფრო ძლიერია მათი გავლენა სამშობლოს სიყვარულის განმტკიცებაში.

ჩემმა ახალგაზრდობამ ცივ გომბორის კალთებს მიბჯენილ მოზრდილ სოფელ პატარძეულში გაიარა. თვით სოფელში ორი ამაყათ გამომზვრალი კოშკია და ერთიც მოზრდილი ციხის ნანგრევი, რომელიც დიდ როლს თამაშობდა, როგორც საიმედო თავსაფარი, განსაკუთრებით ლეკიანობის დროს. ამ ციხეს გვერდით გაუდის საცალფეხო გზა ტყეში მომაღლული კოშკ გალავნებ შემოვლებული სამების მონასტრისკენ. ამ გზის ერთ სივიწროვეში მიუთითებენ ადგილს, სადაც ჩასაფრებულ და-ძმას გზა შეუკრავთ სამებისკენ მიმავალ ლეკებისათვის. მრავალი გამოუსალმებიათ წუთისოფელს, ვიდრე ტყვია-წამალ გამოლეულნი, თვითონ არ დაცემულან სამშობლოს სამსხვერპლოზე. მეზობელ სოფელ ნინოწმიდაში გადარჩენილია კოშკგალავნიანი წმიდა ნინოს სახელობის ეკლესია, რომლის ჩამონგრეულ ჭერსა და კედლებზე გადარჩენილია ლეკეთა მიერ თვალდათხრილი საეკლესიო მხატვრობა; სამრეკლოს უმაღლეს მე-4 სართულზე დიდი პატივით ესვენა ერეკლე მეფის დროინდელი სპილენძის ქვემეხი. ნინო წმიდადან არც ისე შორსაა დავით გარეჯის კლდეში გამოკვეთილი მონასტერი. აქ ხომ არც ისე შორეულ ხანაში მოღვაწეობდა მძლავრი ქართული კულტურის კერა. აქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დიდი საბა სულხან ორბელიანი. აქ ატარებდნენ დიდმარხვის დღეებს ქართველი მეფეები, აქვეა აკლდამა 800 ბერის ჩონჩხით სპარსელებმა რომ ამოხოცეს აღდგომა ღამეს ლოცვაზე მდგომნი.

დამშვიდებული ცხოვრება პატარძეულში არც ჩემს ახალგაზრდობაში ყოფილა. იყო შემთხვევები, რომ მეზობლათ მცხოვრები მუღანლოელი თათრები სახნავათ გასულ მკლესიებს ან საძოვარზე გარეკილ ფარებს დასცემიან, ხალხი ამოუხოციათ, წაუსხავთ და გაუჩინარებულან. ასეთ შემთხვევაში სოფლის სამივე ზარები განგაშს ასტეხავდნენ. სოფლის ყველა კუთხეს გაშმაგებულ ჭენებით რამდენიმე მხედარი შემოურბენდა და ხალხს მდევარზე გამოსასვლელათ იწვევდა. არ გაივლიდა დიდი

ხანი და ცხენებზე ამხედრებული , თავით ფეხამდე შეიარაღებული ახალგაზრდობა და შუა ხნის ხალხი, რამდენიმე დღის საგზლით სამამასახლისო ეზოს მოაწყდებოდა; ყველაფერი ეს ისე სწრაფად და წესიერად ხდებოდა, თითქოს მეფე ერეკლეს დროინდელი მორიგე ჯარი შეყრილიყოს. ორჯერ დავესწარი ამნაირი მდევრის გასტუმრებას ორჯერვე 8-10 წლის ყმაწვილს მდევარში მითხოვნია წაყვანა, ცხადია უშედეგოთ. მახსოვს მე მესამე შემთხვევაც. უკვე საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში იმავე მუღანლოელმა თათრებმა მოკლეს ახალგაზრდა ვაჟკაცი სოფელ ბადიაურიდან. პატარძეულის მდევართან ერთად ცნობილი გოგუაძის ჯავშნოსანმა მატარებელმაც მიიღო მონაწილეობა.

ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებაში ვგონებ უმთავრესი და გადამჭრელი ოჯახის ზეგავლენაა, ტყუილათ ხომ არ არის ძველთაგან თქმული ქართული სიბრძნე: "დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო". აქაც პირად მაგალითს უნდა მივმართო. ვფიქრობ, რომ ჩემ ამხანაგთა ოჯახური პირობები ბევრით არ განსხვავდებოდა ჩემისგან.

მამა ღარიბი სოფლის მასწავლებელი, შემდეგში მღვდელი 7 წლისას გარდამეცვალა; პატარა სამ ოთახიანი ფიცრული სახლის გარდა თავისი ეზოთი, რაიმე უძრავ-მოძრავი ქონება არ დაუტოვებია. ჯიბეში რამდენიმე უზალთუნი უპოვეს. ეს იყო და ეს. ცხოვრებაში გამოუცდელი დედის კისერზე დავრჩით ოთხი ვაჟი 6-დან 10-წლამდე. ერთადერთი იმედი თავის გადარჩენისა იყო ოციოდე თვალი ფუტკარი და ნათესავთა დახმარება. ოთარიაანთ ქვრივივით ჩაება დედა ჩემი მუშაობაში. ნინოწმინდელ გულისაშვილების შეძლებულ, ფუფუნებაში გაზრდილ ქალისთვის ეს არც ისე ადვილი იყო. თანდათანობით ფუტკარი მოიმრავლა, ძროხა შეიძინა, თვითონ ბევრს იკლებდა ჩვენ კი სიღარიბეს არ განგვაცდევინებდა. სახლის კარი მუდამ ღია ჰქონდა მიმსვლელ-მომსვლელთა და სტუმართათვის. მისი ჩვენზე ზრუნვა ფიზიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით არ ამოიწურებოდა. მთავარი იყო მისთვის ჩვენი სულიერი თვისებების გამომუშავება, სამშობლოს სიყვარულისა და ადამიანობის, პატიოსნობის, შრომის მოყვარეობის, უფროსთა პატივისცემის ჩანერგვა.

პოეტ გიგლა ლეონიძეს თავის "ნატვრის ხეში" აღწერილი აქვს "დეიდა მაიკო". ეს სწორედ დედა ჩემი იყო. მის მოთხრობაში მეათედიც არ არის მოთხრობილი იმ საზოგადო მოღვაწეობისა, რომელსაც დედა ჩემი ეწეოდა. ავადმყოფთა მკურნალობით, სააგიტაციო გამომცემლობათა და იარაღის დამალვით, უსახსროთა დახმარებით, ტყეში გასულთა და დავით გარეჯის აკლდამებში მიმალულ რევოლუციონერების დახმარებით...

ასეთ ვითარებაში წვა-დაგვითა და გაჭირვებით დაგვზარდა ოთხი ვაჟი. ყველას საშუალო განათლება მიგვაღებინა. უფროსი ჩემი ძმა 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისთვის შეიპყრეს, აწამეს და ცოცხალ მკვდარი მოუყვანეს ოჯახს. ერთი კვირაც აღარ უცხოვრია. ამის შემდეგ მომდევნო ძმა დატუსაღებას ვერ ასცდა და კვლევისა და ძიების შემდეგ ძლივს გაანთავისუფლეს. მესამე ძმა 1924 წელს პატარძლეულ ახალგაზრდობას სათავეში ჩასდგომია, ადგილობრივი ხელისუფლება დაუტუსაღებია და თავისი ჯგუფით მუხროვანში ბანაკათ მდგომ საარტილერიო პოლკის გასაიარაღებლათ წასულა. გზაში პატარძეულისკენ მიმავალ ბოლშევიკთა ერთეულს დასჯახებია, ბრძოლა წაუგია და გაფანტულან. დატუსაღებული, ლენინგრადის ფსიქიურ საავადმყოფოში მოუთავსებიათ. განთავისუფლების შემდეგ გეოლოგიურ ინსტიტუტ დამთავრებულს, მონაწილეობა მიუღია ჩრდილო კავკასიაში ნედლეულთა ძიებაში. აქ სუსტსა და დავადებულს ოპერაცია ვერ გადაუტანია და გარდაცვლილა სრულიათ ახალგაზრდა. მოკლე და მწარე იყო მისი ცხოვრება და არავინ უწყის სად განისვენებს მისი გვამი. აქ უნდა დავუმატო, რომ ჩვენს გარდა დედა ჩემმა აღზარდა პირველი მსოფლიო ომის დროინდელი ობოლი ქურთი, რომელიც ომის ქარცეცხლში მშობლებს მიეტოვებინათ და იმ დროს იქ მყოფ ჩემ ბიძას (დედის ძმას) ფრონტიდან დაბრუნებისას თან წამოეყვანა. ერთ მისგან მიღებულ წერილში მწერს : "მე ის სულეიმანი ვარო ჩვენთვის ძვირფასმა ადამიანმა დეიდა მაიკომ, რომ გამზარდათ".

პირველი ომის შემდეგ საქართველოს და პატარძლეულსაც შავი სახადი ეწვია. სიკვდილის შიშით ავადმყოფს ახლობლებიც კი ერიდებოდნენ.

შავი სახადით დაავადდა ბიძა ჩემი მღვდელი ივანე გულისაშვილი და მისი მნათე ესტატე ზუკაკიშვილი. ორივეს გულმოდგინეთ უვლიდა, თვითონაც გადაედო და სამივენი ერთი თვის განმავლობაში სიცოცხლეს გამოესალმა. ვიდრე თითებში ძალა ჰქონდა და გრძნობა არ დაეკარგა, თავისი გარკვეულ ქართულით ანდერძათ დაგვიტოვა :"ამა და ამ კაცისა ყუშიტაანთ უბნიდან ამდენი და ამდენი ლიტრა პური მმართებს და გადახდა არ დაუგვიანოთო".

ზოგი რამ ვსთქვი ჩვენი ოჯახის აგებულობაზე, იმაზედ კი რაც მთავარია, სულიერ აღზრდაზე არაფერი მომიხსენებია.

თავის დროინდელ კვალობაზე დედა ჩემი დიდათ განათლებულ ქალთა წრეს ეკუთვნოდა, თავის ცოდნას უმადლოდა მაღალზნეობრივ, განათლებულ საგარეჯოელ მოხუც მღვდელ ოქრომჭედლიშვილს. მისი მეოხებით მშვენივრად იცოდა ძველი და ახალი ქართული მწერლობა. უყვარდა კითხვა. ყიდულობდა ქართულად გამოსულ წიგნებს ქართულს და ნათარგმნებსაც. ჩვეულებათ ჰქონდა მათი დროგამოშვებით კარადიდან ამოღება და გამოსაჩენ ადგილზე დალაგება. ჩვენც ვკითხულობდით. და ამ გზით ვიცოდით ვინ იყო და რისთვის იბრძოდა ილია ჭავჭავაძე, რასა სწერდნენ აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, ვასილ ბარნოვი, იაკობ გოგებაშვილი; რა შრომები დაგვიტოვეს შოთა რუსთაველმა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა, გრიგოლ ორბელიანმა, რაფიელ ერისთავმა; რაზე სწერდნენ შანშიაშვილი, გრიშაშვილი, ან კიდევ სენკევიჩი, პრუსი, ტოლსტოი; ვინ იყო დონ კიხოტი და რა საკითხს ეხებოდა "ბიძია თომას ქოხი".

ზღაპრები ხომ უამრავი იცოდა. ზამთარში შემოვუსხდებოდით გახურებულ თუნუქის ღუმელს ნ ნახვრეტიდან ნ მრგვალ მოციმციმე კვალს რომ ამჩნევდა კედელზე. კრუსუნებდა სითბოთი დამტკბარი შავი კატა და ვუსმენდით დედა ჩემის ზღაპრებს: ამირანზე, ბაყბაყ დევზე, ნაცარქექიაზე, ვახრაკა და იამან კაცზე. ბაყაყების, თევზების, გველების ქურქში გახვეულ მზეთუნახავებზე და თვით ღმერთზე სიკეთისთვის სიკეთეს რომ უძღვნიდნენ ზღაპრის გმირებს და ისადგურებდა ჩვენ გულში შემბრალებლობა, სუსტთან თანადგომა, გასაჭირში მყოფთა დახმარება, გულკეთილობა და ცხოველთა სიყვარული: არც იმ დროინდელი სოფლის ცხოვრება იყო აზრს მოკლებული. არსებობდა მსახიობათა წრე, მომღერალთა გუნდი. სოფლის ახალგაზრდობას წარმოადგენდნენ შემდეგი ცნობილი ადამიანები: ზაქარია ბილანიშვილი, გიორგი ჯიღაური, იანქოშვილთა ოჯახი, გოგლა, ლევან და სიკო ლეონიძეები, საშა ბურთიკაშვილი, ალექსანდრე უსტიაშვილი, კოტე და ლევან ბილანიშვილები, და სხვები... მათთან სიახლოვე და მათ წრეში ტრიალი, უსათუოდ მოქმედებდა ჩვენ განწყობილობაზე. არც იმ დროინდელი სკოლა იყო უმნიშვნელო ხასიათის ჩამოყალიბებაში. მე ბედათ მხვდა მოწაფე ვყოფილიყავ ისეთი პედაგოგებისა, რომელთა სახელი ამშვენებდა და შემდეგშიც დაამშვენებს იმ დროინდელ ქართველ მოღვაწეთა რიგს. აი ისინი : ვასილ ბარნოვი, არჩილ კეკელიძე, იპოლიტე ვართაგავა, შიო შიუკაშვილი, ანტონ ნატროშვილი, ნიკოლოზ სულხანიშვილი, ია კარგარეთელი. სამხედრო სასწავლებელში კი გენერალი კვინიტაძე, გენერალი ანდრონიკაშვილი, პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე. სკოლებში ერთად ვიზრდებოდით და ერთმანეთს ვმეგობრობდით: სიდამონ ერისთავი, შემდეგში საქართველოს კათალიკოსი ეფრემ მეორე, გრიგოლ ფერაძე - შემდეგში ქართველი არქიმანდრიტი ფაშისტებმა რომ დახვრიტეს პოლონეთში, ნიკო კეცხოველი შემდეგში ცნობილი პროფესორი და საზოგადო მოღვაწე, გოგლა ლეონიძე - დიდი პოეტი და საზოგადო მოღვაწე.

ასეთ ვითარებაში მოგვისწრო საქართველოს დამოუკიდებლობამ. მე იმ დროს ქართული უნივერსიტეტის აგრონომიულ დარგის სტუდენტი ვიყავი. მიყვარდა ბუნება და მეურნეობა და ამისდა მიუხედავათ მივანებე უნივერსიტეტს თავი და ჩემ უფროს ძმასთან ერთად დიდუბეში არტილერიის პოლკის ტყვიამფრქვევთა ასეულში ჩავეწერე მოხალისეთ. ამასობაში დაარსდა ცხენოსანი ასეული ქართულ კორპუსის შტაბთან. გადაველი იქ ისევ ჩემ უფროს ძმასთან ერთად. იქიდან კი, მხოლოდ მე - იუნკერთა სასწავლებელში. იქ მოხვედრა არც ისე ადვილი იყო. სკოლაში შესვლის მსურველთა რიცხვი ბევრად აღემატებოდა სკოლის შესაძლებლობის ფარგლებს. მთავარი სიძნელე გამოიხატებოდა სკოლის უფროსის ალექსანდრე ჩხეიძის განაჩენში: ივარგებს თუ არა ქართველ აფიცრადათ? ამათვალიერ ჩამათვალიერა, ოჯახური ვინაობა გამომკითხა, განათლებით დაინტერესდა და დიდი დაფიქრების შემდეგ სკოლაში მიღების ღირსათ ჩამთვალა. ეს იყო 1920 წლის შემოდგომაში.

ცხადია სხვანი, ჩემთან ერთად სკოლაში მიღებულნი დიდათ არ განირჩეოდნენ ჩემგან, არც აღზრდის, არც გარემოს ზედგავლენის და არც სამშობლოს სიყვარულის მხრივ. ზოგი მათგანი უსათუოდ მჯარბობდა კიდეც.

1921 წლის 11 თებერვლის გათენებისას საყვირის განგაშით მშვიდათ მიძინებული სკოლა ფეხზე წამოაყარეს. სწორედ იმ დროს დარაჯათ ვიდექი სკოლის ალაყაფის კარებთან. მივირბინე მორიგე ოფიცერთან, რომ გამეგო რაშია საქმე. სანაანსა და ბორჩილოს მაზრებში ჩვენ სანაპირო ჯარებს თავს დასხმია სომხების ჯარი და ამის გამო განგაში.

მოკლე ხნის განმავლობაში სკოლა თავისი დამხმარე ერთეულებით დანიშნულ ადგილზე მოეწყო. მეც იმათ შევუერთდი.

სკოლის ზურგში, ცოტა მოშორებით ნაცვალთა ათასეული ეწყობოდა. წოწოლა ფაფახ დახურულმა პოლკ. ჩხეიძემ პატაკი ჩაიბარა, ერთეულები დაწვრილებით შეამოწმა. ნაკლულევანების შევსების ბრძანება გასცა და დაახლოებით 10 საათზე ტაბახმელისკენ გაგვიძღვა: გზა მიხაილოვის გამზირით, ვერის ხიდით, რუსთაველის გამზირით კოჯრისკენ მიემართებოდა. წინ ცხენზე ამხედრებული პოლკ. ჩხეიძე მიგვიძღოდა თავისი მცირე ამალით; მას სამხედრო ორკესტრი მისდევდა და მერე ჩვენ.

საიდან გაიგო თბილისის საზოგადოებამ, რომ სწორედ ამ დროს სკოლა ფრონტზე მიდიოდა. ქუჩები სავსე იყო ხალხით, დიდებით და პატარებით, მშობლებით, თანამგრძნობით, ნათესავებით. თოფები სმენაზე გვქონდა მხარზე აყუდებული. მწყობრის სიზუსტის მოთხოვნილებები საშუალებას არ გვაძლევდა თავი მიგვებრუნებინა და საზოგადოების განწყობილება გაგვენაწილებინა. შიგა და შიგ თვალების მიტრიალებით თუ გხედავდით რა ხდებოდა ირგვლივ. ერთ ასეთ გახედვისას ჩვენ მასწავლებელ ვასილ ბარნოვს მოვკარი თვალი. თავ ჩაღუნული, მიწას მიჩერებული, ღრმათ ჩაფიქრებული, ჭაღარა წვერა, სათვალებიანი, მიჰყვებოდა აზვირთებულ ტალღას. მისი დანახვა ჩვენთვის ჯანღიან დღეში მზის გამოჩენას უდრიდა. რას ფიქრობდა? ალბათ ერთის მხრივ გული დარდით ევსებოდა საქართველოს ავბედობის გამო და ეამაყებოდა, რომ მისი აღზრდილი მხედრები სამშობლოს დასაცავათ მიემართებოდნენ. გავცდით ვერის ხიდს. გავედით რუსთაველის გამზირზე მარცხნიდან რომელიღაც მაღალი შენობას მოაჯირიდან ხმამაღალი მოწოდება გაისმა. ვიღაცა "შოთა რუსთაველის" პარტიაში ჩასაწერათ ეპატიჟებოდა საზოგადოებას. რამ გაასულელა? ასეთ მომენტში რა დროს პარტიაში ჩაწერააო, პასუხებდნენ ირგვლივ.

მის მოწოდებისთვის ცხადია ყურადღება არავის მიუქცევია. ბოტანიკური ბაღის დასაწყისთან პოლკ. ჩხეიძემ დასვენება ბრძანა. ახლა-ღა მიეცათ საშუალება გამცილებლებს და მახლობელ ნათესავებს გულში ჩაეკრათ თავისი მახლობელი იუნკრები და გამომშვიდობებოდნენ - ზოგიერთს სამუდამოთ.

მზე ჩასვლაზე იყო თოვლით დაფარულ კოჯრის მაღლობზე რომ ავედით. მაშინათვე პოლკ. ჩხეიძეს მითითებით პოზიციების დაკავებას და მოწყობას შევუდექით. საქმე არც ისე ადვილი იყო. ციოდა, თოვლით დაფარულ, ღრმათ გაყინულ მიწის სანგრებათ და ძნელ მისადგომ პოზიციებათ გადაქცევა დიდ ჯაფას მოითხოვდა. ჩვენ, მესამე ოცეულს, მარცხენა ფრთაზე მოხვდა პოზიციები. თვალ წინ მაღლობზე ამოფარებული ტაბახმელა იყო, მარცხნივ სოღანლუღისკენ დაქანებული ფერდობი. ოცეულს განაგებდა ლეიტენანტი ანდრონიკაშვილი და მისი თანაშემწე, უფროს კურსელი იუნკერი გელაშვილი. ჩვენ მარჯვნივ პოზიციები დაიკავა პირველმა ოცეულმა, ლეიტენანტ თოიძის თაოსნობით.

ღამდებოდა. გვიბრძანეს ადგილების დაკავება, დარაჯების წინ წაწევა, მოსადგომების თვალყურის დევნება და ყოველგვარნი მოძრაობის აღკვეთა. შუაღამე გადასული იყო ტაბახმელას მხრიდან ჩვენკენ მომავალ გზაზე ურემი აჭრიჭინდა. ვინ იყო? რა უნდოდა? სად მიიწევდა ამ სიცივესა და შავბნელ ღამეში? გვიბრძანეს ცეცხლის გაჩენა. ეს პირველი შემთხვევა იყო ტაბახმელაზე, რომ ტყვიები ასისინდა. ურმის ჭრიჭინი შესწყდა. სროლა შევწყვიტეთ. სიჩუმე ჩამოვარდა და სანგრებში მყოფ იუნკერთა რიგებში სიფხიზლემ და ბრძოლისთვის მზათყოფნამ დაისადგურა. დაძაბული ყურადღებით ვაკვირდებოდით ქარის სისინსა და თოვლის ფშვინვაში სხვა რამ საეჭვო ხმა არ შემოგვეპაროდა. მგონებ 14 თებერვალს დილით ჩვენი განლაგების წინ ბოლშევიკების მოწინავე რაზმებმა ამოყვეს თავი. მანამდის კი გულდასმით ვმუშაობდით და სანგრების, სადარაჯო პუნკტების, ტყვიამფრქვევთა სადგომების მოწყობა და შენიღბვა მოვასწარით. ბოლშევიკები თავდაჯერებით და გულიანათ მოიწევდნენ წინ, ჩქარობდნენ თბილისისკენ დაშვებას. იქ ხომ თბილი ბინები, უხვი სურსათი და ალბათ ხელმოსაცარიც ეგულებოდათ. არ მოელოდნენ და უცებ თბილისის კარებთან ძნელათ დასაძლევი დაბრკოლება აღემართათ. აქ თბილისის მისადგომებს ერეკლეს დროინდელი თავდადებით იუნკერთა სკოლა და მის გვერდით მებრძოლი ერთეულები იცავდნენ. პირველ გამოჩენისასვე დარწმუნდნენ, რომ თბილისში შესვლა ადვილი არ იყო და სიფრთხილეს, დაფიქრებას და მომზადებას მოითხოვდა. ამ დღიდან არ შეწყვეტილა ცხარე და ულმობელი ბრძოლები. ბევრჯერ სცადეს ხაზში შემოჭრა, მოგერიებითი ხაზის გარღვევა. ზარბაზან ტყვიამფრქვევთა და ხელყუმბარათა გრუხუნი არა სწყდებოდა სტვენა სისინით გადადიოდა ჩვენ თავზე და ყრუ დგაფუნით მიწაში ეფლებოდა ტყვია და ყუმბარათა

ნამსხვრევები. სარგებლობდნენ ჯანღით ნიადაგის უსწორმასწორობით, ქარბუქის მოძალებით, ღამის სიბნელით, მაგრამ უშედეგოთ.

იუნკერთა თვალები, ლიეტენანტ ანდრონიკაშვილის და მისი თანაშემწის სიფრთხილე ყველაფერს დროზე ამჩნევდნენ და სროლით, ხელყუმბარებით, უკუიერიშით დიდი ზარალით უკან აგდებდნენ და არც ერთ ნაბიჯის დათმობას არ აპირებდნენ.

ტაბახმელის ამბების მოგონებისას ყველგან და ყოველთვის იუნკერთა სკოლის თავგანწირვასა, უდრეკელობასა, მოვალეობას პირნათლად შესრულებულს და გმირობას იხსენიებენ. ყველა ეს სიმართლეა, ოღონდ სიმართლის დარღვევა იქნებოდა, რომ ყველა ამაში სკოლის უფროსი პოლკ. ჩხეიძის ღვაწლი დაგვვიწყებოდეს. ყველაფერი რაც ტაბახმელაზე ხდებოდა, მისი ხასიათის სიმტკიცის, მდგომარეობის სწორე შეფასების, შესაბამისი განკარგულების დროზე გაცემის, შედეგი იყო. ჩვენ მხოლოთ მის ჩანაფიქრსა და ბრძანებას უზადოთ ვასრულებდით. ბრძოლის პირობები კი იუნკრებს ადვილი არა ჰქონდათ. ჯერ ერთი ეს 20-28 წლის გამოუშუშავი ახალგაზრდები დაკაცებული და ომისთვის მომზადებულნი არ იყვნენ. არც ტანსაცმელი გააჩნდათ ამინდის შესაფერი, საზაფხულო სამოსელზე თხელი წყლის გამტანლობას მოკლებული, სითბო მოკლებული ხელოვნური იტალიური ქსოვილისგან შეკერილი პალტოები გვეცვა. ჩვენ ტანთსაცმელში ცხვრითა და მატყლით მდიდარ ქვეყანაში, ერთი ღერი მატყლიც არ ერია. დღისით სანგრებში ყოფნისას ტანსაცმელი წყლით იჟღინთებოდა, ღამით ფიცრებათ იყინებოდა და იარაღის მოხმარებასა და მოძრაობას გვიძნელებდა, ოღონდ გულში იმდენი ძალა შეგვწევდა, რომ ამ სიძნელეებისთვის ანგარიში არ გაგვეწია და მტრის ყოველ მოძრაობას დროზე და შესაფერათ შევხვედროდით.

მოკლეთ ჩვენ სულისკვეთებაზე ვერავითარი სიძნელე ვერ მოქმედებდა და ვერ გვისუსტებდა. სიკვდილზე არც არვის გვიფიქრია და არც შეგვშინებია.

ზუზუნებდნენ ტყვიები, წიოდნენ ირგვლივ ხელყუმბარათა და ჭურთა ნამსხვევები, ჩვენ კი სანგრებში ჩამალვას სანგრების პირას ფეხზე დგომას ვარჩევდით. შიგა და შიგ ჯანღი რომ ჩამოწვებოდა წრე შაგვიკრავს და სიმღერა და ცეკვა წამოგვიწყია. ძნელია მოიგონო ყველა სიმღერა რომელიც გვიმღერია ომის გარემოცვაში. ესენი კი დამახსოვდა: "ქართველო, ხელი ხმალს იკარ! ", "ჰე მუმლი და მუ' სათ", "ომში წასვლა მას უხარის ", "რათ გინდა ქალი ლამაზი", "გაფრინდი შავო მერცხალო", "სულ არ წავალ მაგ სოფელში".

ამას მოჰყვებოდა საცეკვაო სიმღერები და რამდენიმე მოცეკვავის ცეცხლოვანი ლეკური. შორიდან რომ მოეკრა ყური ვინმეს, რას იფიქრებდა რომ ყველაფერი ეს გაჩაღებულ ბრძოლების დროს ხდებოდა.

ამნაირი ცეკვა სიმღერა შემდეგში ხაშურშიაც გაგვიმართავს. აქ მთავარსარდლის მატარებელი იდგა და ჯარებს ახალი შეტევისათვის ამზადებდა. მტკვრის იქით ნაპირიდან ტყვიამფრქვევით სროლის ხმა მოდიოდა. ჩვენ რკინის გზის სადგურსა და მატარებელს ვიცავდით. სათანადო რიცხვის დარაჯების განწესების შემდეგ დანარჩენებმა კონცერტი გავმართეთ. ჩვენთვის ეს არც არავის უთხოვნია და არც აუკრძალია. რა ვიცოდით, რომ სწორეთ ამ დროს ჩვენი სათაყვანებელი მთავარსარდალი ძველ ცნობილ მხედართ მთავართა დარი, ახლათ ფეხ ადგმულ საქართველოს სამი ომი რომ მოუგო ცხოვრებაში, უმძიმეს ტრაგედიას განიცდიდა. აი რას ამბობს იმ დროინდელ ვითარებაზე მთავარ სარდლის ვაგონში მყოფი გენ. შტაბის ოფიცერი ვალიკო თევზაძე თავის ჯერ გამოუქვეყნებელ მოგონებაში:

" მთავარ სარდლის მატარებელი ხაშურის სადგურზე იდგა. ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს პოზიციები ხაშურსა და სურამის მთებს შუა. ამასობაში მოვიდა ორი ქვეითა პოლკი თავის არტილერიით, მოვხსენით ოსმალეთის საზღვრიდან გარდა არდაგანისა იმ იმედით რომ ოსმალები არ შემოგვიტევდნენ. მეორე დღეს ჯარები უკუიერშზე გადადიოდნენ. მარჯვენა ფრთის მტკვრის მარცხენა ნაპირზე და მარჯვენასი სურამის მთებზე დაყრდნობით. პოზიციები შეტევისთვის მეტათ ხელსაყრელი იყო. ვმორიგეობდით შტაბში. ვიჯექი ტელეფონთან მთავარსარდლის ვაგონში. ნაშუაღამევს ტელეფონმა დარეკა. ლაპარაკობდა გენერალი კონიაშვილი, რომელიც გენერალ ჯიჯიხიასთან ერთათ გვარდიაში მსახურობდა. მთხოვა მომეხსენებინა მთავარსარდლისთვის, რომ გვარდიელებმა დაადგინეს არ შეუტიონ მტერს. შტაბი და ჯარი იშლება და მათზე ზედგავლენის მოხდენის საშუალება არა მაქვსო. მოახსენეთ ეს მთავარსარდალს და მეც ამ წუთში მოვდივარ მასთან სალაპარაკოდო. მაშინვე გავაღვიძე შტაბის უფროსი გენერალი ზაქარიაძე და მთავარსარდალი და მოვახსენე ტელეფონით მიღებული ცნობა. ძნელი ასაწერია მთავარსარდლის აღელვება. ამ მოულოდნელმა

ცნობამ გული მოსწყვიტა. ამდენი შრომა ჩატარდა იერიშის მოსამზადებლად. შესანიშნავი გარემოცვის პირობებში უცაბედი დარტყმით მტრის დაძლევა უეჭვო იყო. შემდეგ თბილისის უკან დაბრუნებას ვეღარაფერი ვერ შეაჩერებდა. გვარდიელების სამარცხვინო ღალატმა ჩაშალა ბრძოლის ჩატარების შესაძლებლობა, მთავარი დარტყმა სწორედ მათ უნდა მოეხდინათ დაჯგუფების მარცხენა ფრთიდან. ცოტა ხნის შემდეგ გენერალ ზაქარიაძე თავის ოთახში გავიდა. გენერალ კონიაშვილი ჯერ არ მოსულიყო. მთავარსარდალი მეტად ღელავდა: "აბა თევზაძე, თავის მოკვლა და დამრჩენია, არა?" მომმართა მე სევდიანი ხმით. შევწუხდი ძალიან. ვგრძნობდი რა აზრები უტრიალებდა ამ დროს სარდალს თავში. სამი წლის განმავლობაში უძლეველად პატრონობდა საქართველოს თავდაცვის საქმეს. ზედი ზედ მოიგო ომი სამ მეზობელთან – სომხებთან, ბოლშევიკებთან და ოსმალებთან. ეხლა კი დამარცხება ელის. ვცადე მისი დამშვიდება. კიდევ გვაქვს ხომ ხელსაყრელი მოგერიებითი პოზიციები, გამარჯვების იმედი არ უნდა დავკარგოთ მეთქი." (ბ. თევზაძის მოგონებები იბეჭდება აქვე- რედ. შენიშვნა).

მაგრამ ამის მიღწევა ადვილი არ იყო. შავი ზღვის პირამდის ასეთი ხელსაყრელი პოზიციები აღარსად იყო. ეს ბატონ თევზაძეზე უკეთესად იცოდა თვით მთავარსარდალმა და ეს იყო რომ მის გულს ჯოჯოხეთური ტანჯვით ავსებდა.

რა ვიცოდით, რომ სწორედ ამ დროს ასეთი ტრაგიკული და დაჭიმული მომენტი იყო მთავარსარდლის გულში. ჩვენ კი ახალგაზრდულ უდარდელობით კონცერტი გვქონდა გამართული, ცეკვა სიმღერებით მისი ფანჯრების წინ. უსათუოდ ესმოდა ეს ყველაფერი და იქნებ ამ მოვლენამ შეიტანა მის ბუნებაში ცოტაოდენი დამშვიდება და თვითმკვლელობისგან ხელი აალებინა.

დავუბრუნდეთ ტაბახმელის ამბებს.

მოვიხსენოთ რომ მოზუზუნე ტყვიათა გარემოცვაში სანგრებიდან ამოვსულვართ, წრე შაგვიკრავს და ცეკვა სიმღერები გაგვიმართია. აქედან მკითხველი წარმოიდგენს, რა სულიკვეთება განაგებდა ჩვენ ქცევასა და მოქმედებას. ტყუილად იფიქრებდა ვინმე, რომ ადგილიდან დაგვძინავდა და მოგერიებით ხაზში შემოგვეჭრებოდა, საამისო ცდები კი მტრის მიერ ბევრი იყო. არცა მსხვერპლი გვაკლდა. ჩემს გვერდით სანგარში ჩამალული თოფ წინ წაშვერილი იუნკერი ლოლუა დიდხანს იწვა უმოქმედოთ და დალაპარაკებაზე პასუხს არ იძლეოდა. ახლო მისვლისას გულისტკივილით დავრწმუნდით, რომ მისი ახალგაზრდა სიცოცხლე ტაბახმელის მიწას შეეწირა. დასჭრეს ჩვენი მწყობრის უფროსი ლეიტენანტი ანდრონიკაშვილი. მე სხვა ამხანაგებთან ერთად წილად მხვდა მისი მყუდრო ადგილზე გადაყვანა, ჭრილობის სახელდახელო შეხვევა და სასანიტარო პუნქტზე მიყვანა. უკან დაბრუნებისას წვერ მოშვებული შუახნის გაუკაცი შემხვდა. თოფით ხელში მოწინავე ხაზისკენ მიდიოდა. შევკითხავზე, თუ ვინ იყო და სად მიდიოდა, გვიპასუხა: "რეზო ვარ გაბაშვილი დამფუძნებელი კრების წევრი და თბილისიდან თქვენ საშველად წამოველით." მისმა დანახვამ და გამოლაპარაკებამ დაჭიმულ მდგომარეობაში გული აგვიჩუყა; ეკატერინე გაბაშვილი და მისი "მაგდანას ლურჯა" მომაგონა, შუახნის ჭაღარა შერეულ საზოგადო მოღვაწეს, თავი არ ენანებოდა სამშობლოს სამსხვერპლოზე მისატანად. მომაგონდა ზეზვას დაძახებაზე ფშაველები ცხენებს, რომ მიაგელვებენ ბახტრიონზე გასალაშქრებლად; ავხედ დავხედე რეზოს. მინდოდა მის გამოხედვაში ფშავ-ხევსურთა მრისხანება ამომეკითხა. ის კი გულკეთილობა ჩამდგარი ღიმილით და გაბადრულ სახით შემოგვცქეროდა. იფიქრებდი ამას ადამიანის მოკვლა კი არა ჭიანჭველას გაჭყლეტაც გაუძნელდებოდა. მივასწავლეთ საუფროსოს სამყოფი და გზა განვაგრძეთ... რა დავალება მიიღო პოლკოვნიკ ჩხეიძესაგან და რა მოიმოქმედა ტაბახმელაზე, ჩვენთვის უცნობია. წაგებული ომის შემდეგ, ის, დამფუძნებელ კრებას სხვა წევრებთან ერთად, საზღვარ გარეთ გაიხიზნა განზრახვით, რომ იქ სამშობლოს ბოლშევიკებისგან განთავისუფლების საქმისთვის ემსახურნა. რით ცხოვრობდა, რას მიაღწია, ჩვენთვის უცნობია. წამიკითხავს ფრანგულ ენაზე მის მიერ დაბეჭდილი წიგნაკი, სადაც ქართველთა ხეთებთან ნათესაობას ამტკიცებდა. მეორე მსოფლიო ომის დროს სათავეში ჩაუდგა ქართულ წითელ ჯვარს, და შეგროვილ შემოწირული სახსრებით ტყვეთ ჩავარდნილ ქართველ ოჯახებს ჰპატრონობდა. ვგონებ 90 წელს გადაცილებული პარიზში გარდაიცვალა და იქ უნდა იყოს დამარხული.

დავბრუნდით თუ არა გაბაშვილთან შეხვედრის შემდეგ, მოწმენი გავხდით შემდეგი ვითარებისა. სკოლის მარჯვენა ფრთაზე ბოლშევიკთა მოზრდილმა ჯგუფმა მაღლობი გადმოლახა და ურას ძახილით ლეიტენანტ თოიძის ოცეულს შეუტია. ლეიტენანტ თოიძე უკუიერიშით მიეგება. მტერმა ხელჩართულს ვერ გაუძლო, პირი იბრუნა და საფარს მიეფარა,

ველზე კი დასტოვეს დაჭრილ დახოცილები. იქვე დარჩა ლეიტენანტ თოიძის გვამი და რამდენიმე იუნკრისა. მაშინ იყო რომ ტაბახმელის მთავარი გმირი, პოლკ. ჩხეიძე ომის მსვლელობას თვალს არ აშორებდა. ბრძანება გასცა მის გვერდით მდგომი ორი ზარბაზანი გამოეგორებინათ და წინ მიმავალ ბოლშევიკებისთვის პირდაპირი ცეცხლი გაეჩინათ. რამდენიმე ნიშანში ნასროლი ყუმბარა ლეიტ. თოიძის უკუიერიშთან ერთად საკმარი გამოდგა მტრის უკან გასაბრუნებლათ. ერთი და ორი არ იყო ასეთი შემთხვევები, მაგრამ იუნკერთა ხაზი ვერსად გაარღვიეს. ვერ უშველეს ამას ვერც ბაქოდან ჩამოყვანილმა გურსანტებმა, ვერც ბორის ძნელაძემ, რომლის "დამსახურების" აღსანიშნავათ ძეგლია აღმართული თბილისში და ვაკეზე ბავშთა დასასვენებელ პარკს მისი სახელი უწოდეს.

ლეიტენანტ თოიძის და მასთან დაღუპულ იუნკერთა გვამები თბილისში ჩაასვენეს და რიცხოვან საზოგადოების დასწრებით ქართულ მიწას მიაბარეს, რუსულ მართლმადიდებელ "სობოროს" კედლებთან. არ ეგონოს ვინმეს რომ ტაბახმელის ბრძოლათა აღწერისას მავიწყდებოდეს თავდადებული და მედგარი ბრძოლები ჩვენს მარჯვნივ. მაიორ თევზაძის თქმით, აქ გენერალ ანდრონიკაშვილის სარდლობით იბრძოდა მეოთხე ქვეითა ჯარის პოლკი, მეოთხე გვარდიის ათასეული შესაბამისი არტილერიით და ცხენოსანთა ნაწილებით. მიუხედავათ მრავალ ცდისა ბოლშევიკებმა ადგილიდან ვერც ეს ნაწილები დაძრეს.

პოლკ. ალექსანდრე ჩხეიძემ მოუპოვა იუნკერთა სკოლას გმირთა სახელი და ღიახ რომ ღირსია პატივით მოხსენებისა. დადგება ალბათ დრო, რომ მომავალი ისტორიკოსი თავის ადგილს მიუჩენს სამშობლოსთვის დაღუპულ გმირთა შორის. უცხოეთში გახიზნული თვალს არ აშორებდა იუნკერთა ყოფას. ბინას მუდამ მათთან ახლო იკავებდა და მათ დავაჟკაცებასა, აღზრდასა და წრთვნას თვალს ადევნებდა. ასე იყო ოსმალეთში ბოსფორის პირას, ასე იყო ვარშავასა და რემბერტოვში, და შემდეგ ლვოვში, სადაც ერთ ერთი მისი შვილი ცხენოსანთა პოლკში მსახურობდა. ორი (ტყუპი) ვაჟის პატრონმა ორივენი 1989 წლამდის დაკარგა. მეორე მსოფლიო ომის დროსა რუსეთ-გერმანეთის ხელშეკრულების ძალით ბოლშევიკებმა ქალაქი ლვოვი დაიკავეს, და იმ დროს იქ მყოფი გენერალი ჩხეიძე დააპატიმრეს. შემდეგში გერმანელთა შეტევის შემდეგ ლვოვი დასტოვეს და გენერალი ჩხეიძე თან წაიყვანეს. გზაში სადღაც მოსპეს და მისი კვალი გააქრეს.

უპატრონოთ და უსახსროთ დარჩენილი მისი მეუღლე, ქალბატონი სოფიო, გენერალ კვინიტაძის და, ორ შვილ და ქმარ დაკარგული, ხანში შესული და სუსტი, ძროხების მწველავათ გადაასახლეს თურქესტანში. მძიმე და უჩვეულო შრომა ვერ აიტანა , დაავადდა და საქართველოში დაბრუნების ნება მისცეს, სადაც მოკლე ხანში გარდაიცვალა.

რაკი ვერც ტაბახმელისა და ვერც მის მარჯვნივ, ბოლშევიკებმა მიზანს ვერ მიაღწიეს, სცადეს მოქმედების სიმძიმე სოღანლუღის მიმართულებით გადაეტანათ. ამ ნაკვეთის ჯარებს სარდლობდა უძლეველი გენერალი მაზნიაშვილი. მის განკარგულებაში იყო პოლკ. თევზაძეს თქმით, 8 ქვეითა პოლკი, სასაზღვრო ათასეული, დედა ქალაქის ტყვიამფრქვევთა ათასეული არტილერიის ორი დივიზიონი ჯავშნიანი მატარებელი და მანქანები

ტაბახმელის მაღლობიდან, როგორც ხელის გულზე, ჩანდა ბრძოლის მიმდინარეობა, განსაკუთრებით ღამღამობით. ხელები გვექავებოდა და დახმარების სურვილისაგან თავს ძლივს ვიმაგრებდით, ზარბაზანთა ქუხილსა და ჭურვების წითელ სრიალს, რომ ვხედავდით. განსაკუთრებით ერთი ღამე იყო გულში ჩამწვდომი, როდესაც ბოლშევიკებმა შეაკეთეს ნაკლებათ დაზიანებული ხიდი და მტკვრის გამოღმა ჯავშნიანი მატარებელი გადმოიყვანეს. მეორე დღეს ტაბახმელაზე ხელიდან ხელში გადადიოდა მთავარსარდალის ბრძანება, რომელიც იერიშის უკუგდებას და უფროსთა მამაცობას გვაუწყებდა. ამის შემდეგ, რამდენიმე ხნით, აღარც სოღანლუღიდან განუახლებიათ ბოლშევიკებს თბილისში შემოსვლის ცდები.

ამბები, რომლებსაც ვწერ, 66 წლის წინათ მოხდა. მას აქეთ საქართველოში მესამედ შედის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ოცწლიანთა თაობა. წარსული ამბები მათთვის ან სრულიათ უცნობია, ან გაყალბებულ სახით მოწოდებული. ბოლშევიკების მტკიცებით საბჭოთა ჯარმა ქართველ მშრომელთა თხოვნით გაანთავისუფლა საქართველო მენშევიკურ კაპიტალისტურ რეჟიმისაგან, განდევნა მისი მთავრობა და საქართველოს, საბჭოთა ოჯახში შეყვანით, დაუმკვიდრა საუკუნო ბედნიერება. სინამდვილეში საქართველომ ისარგებლა რუსეთის რევოლუციური ქაოსით, გამოეყო მას, აღიდგინა დამოუკიდებლობა და შეუდგა მის მოწყობას. საქართველოს დამოუკიდებლობა, როგორც იურიდიულათ, ისე ფაქტიურათ, სცნეს ევროპის ყველა სახელმწიფომ და თვით საბჭოთა რუსეთმაც. შემდეგში გამოირკვა, რომ ეს ცნობა

დროებითი და მოჩვენებითი იყო. მოიმოქმედეს ეს მისთვის, რომ პოლონელებთან ომში ჩაბმულებს, არ უნდოდათ მდგომარეობის გართულება. დაამთავრეს თუ არა პოლონელებთან ომი და მეფის დროინდელი გენერლებთან ბრძოლები, იბრუნეს პირი კავკასიისა და საქართველოსაკენ. რიგ რიგით დაიპყრეს აზერბეიჯანი, სომხეთი და საქართველოსაკენ გამოლაშქრებისთვის მზადებას შეუდგნენ.

მოხდა ისე, რომ საქართველოს გენერალურ შტაბს ხელში ჩაუვარდა საბჭოთა რუსეთის მე-XI ლაშქრის საქართველოზე თავდასხმის გეგმა.

ამ გეგმის მიხედვით მე-XI ლაშქრის ნაწილები თავს დაესხმოდნენ საქართველოს 6 მხრიდან:

1) ჩრდილო დასავლეთიდან გაგრა-სუხუმის მიმართულებით.

2) ჩრდილოეთიდან მამისონის უღელტეხილით.

3) ვლადიკავკასიდან დარიალის ხეობით.

4) აღმოსავლეთიდან კახეთის მიმართულებით.

5) სამხრეთ დასავლეთიდან ბორჩალოს მიმართულებით.

6) სამხრეთიდან ახალციხე-არდაგანის მხრიდან.

სწორეთ ამ გეგმის შესრულებას შეუდგნენ ბოლშევიკები 11/12 თებერვლის ღამეს. კავკასია და საქართველო ესაჭიროებოდათ მათ ერთის მხრივ, როგორც ყოველ მხრივ მდიდარი ქვეყანა ბუნებრივი სიმდიდრეებით; მეორეს მხრივ, სტრატეგიულ დასაყრდენი ოსმალეთსა და სპარსეთთან კონფლიქტის შემთხვევაში და როგორც ნავთისთვის გზა ბაქოდან შავზღვამდე. ყოველგვარი მტკიცება თითქოს ბოლშევიკებს საქართველო გაენთავისუფლებინოს მენშევიკების ბარბაროსული თუ კაპიტალისტური ხელისუფლებისგან არაკი და მტკნარი სიცრუეა.

25 თებერვლის ღამეა. ტაბახმელაზე საშინელი ქარი ქრის, ჰხვეტავს და პირში გვაყრის ხორხოშელასა და თოვლს. ავსებს თოვლით სანგრებსაცა და უსწორმასწორობას. თხელ ფარაჯებში გახვეულნი, გაყინულნი, გულდასმით ვდარაჯობთ მოკუთვნილ სივრცეს. ბუნების ბობოქარი მძლეთა მძლეობა ჩვენზე ზედგავლენას ვერ ახდენს.

''მათიკაშვილი, სომხიანცი, ანდრონიკაშვილი, ლომკაცი, ჩემთანო'' გადმოგვცეს ხაზით ოცეულის უფროსის ბრძანება. ''წახვალთ სკოლის საუფროსოში და იქ მიიღებთ შემდეგ ბრძანებას პოლკ. ჩხეიძისგან-ო'', გვითხრა ოცეულის უფროსმა. მივდივართ ღრმა თოვლში , მოძრაობა გვიძნელდება, ქარბუქში არაფერი არა ჩანს, ყოველ ფეხის გადადგმაზე თოვლში ვიფლობით. თოვლში მიმალული ტელეფონის ხლართები ფეხებში გვედება. არ ვიცით, სად ვართ და საით მივდივართ. გვგონია, რომ მივიწევთ წინ, თურმე ჩვენ ნაკვალებს გარშემო ვუვლით. არ ვიცი რა ბედმა და რომლის ანგელოზმა მოგვიყვანა საუფროსოსთან, ალბათ ტელეფონის მავთულები თუ დაგვეხმარა. ძლივს შევდივართ კარებზე მიყრილ თოვლში. ოთახში ნახევრად სიბნელეა, ჟღარჩიბს პაპიროსის ბოლი. კარგია მოხვედით, გვეუბნება მაღალი ხარისხის აფიცერი. ყოველ შემთხვევაში ეს პოლკ. ჩხეიძე არ იყო. ''ტაბახმელის პოზიციებს ვტოვებთ. თბილისის გავლით მცხეთაში ახალ პოზიციებზე გადავდივართთ, ეს ცნობა უნდა გადასცეთ გვარდიის ათასეულის უფროსს , თქვენ მარკვნივ რომ უკავია პოზიციები და მცხეთაში გამოცხადდნენ, სადაც მიიღებენ შემდეგ ბრძანებასო. გაიმეორეთ რაც გითხარითო'' და მიგვანიშნა მიმართულება საითაც უნდა წავსულიყავით. ''თქვენც ბრძანების შესრულების შემდეგ მცხეთაში გამოცხადდებით და იქ დაგვხვდებათ თქვენი სკოლაო'' მოგვაძახა გამომშვიდობებისას და გზა დაგვილოცა.

გარეთ გამაყრუებელი ქარი ისევ ბობოქრობს. თუ ყურში არ ჩავძახეთ ერთმანეთს არაფერი გვესმის. ეხლა მთავარია გვარდიის პოზიციებს მივაგნოთ, გზა არ აგვებნეს და მტრის ბანაკში არ მოვხვდეთ. სასროლათ გამზადებული თოფები ხელში გვიჭირავს. ოთხნი ვართ. არც ერთი 21 წელიწადს გადაცილებული არ არის. ტანითაც დაბალნი და სუსტი აგებულობისანი ვართ. ყველაზე ჯმუხი აგებულობისა სომხიანცია ქართველთა ერთგული და გულადი სომეხი. ყველაზე სუსტი ლომკაცია, თუმცა მისი გვარი საწინააღმდეგოს მეტყველებს! მივარღვევთ ქარისგან გასწორებულ თოვლს. ორმოებსა და უსწორ მასწორობაში ვვარდებით. ერთმანეთს ვშველით იქიდან ამოსვლისას. ვიღლებით, ოფლი წურწურით ჩამოგვდის, გაყინული სამოსი ღხვება და სინესტე ტანში გვეპარება. რამდენჯერმე შევამჩნიეთ, რომ წინ წაწევის მაგიერ ადგილზე ვტრიალებდით, იმედი გვეკარგება, რომ დანიშნულ ალაგს მივაგნებთ. ბრძანების შეუსრულებლათ უკან დაბრუნება მიუღებლათ მიგვაჩნია. ვუმაგრებთ ერთმანეთს გულს და განვაგრძობთ სვლას. ბოლოს ერთმა ჩვენგანმა რაღაცა საეჭვო კუნძები შეამჩნია. საბედნიეროთ ეს კუნძები, ნაბადში გახვეული და ტკბილათ თვლემარე გვარდიელები აღმოჩნდნენ. ერთმა მათგანმა ათასეულის უფროსთან მიგვიყვანა. გადავეცით ბრძანება, შევებით ამოვისუნთქეთ და დასაბრუნებელ გზას დავადექით. საუფროსოში აღარავინ არის კარებთან, თოვლზე დაჭრილი

გაქკაცი ასვენია. კვნესის, იხვეწება თან წამოიყვანეთ, ბოლშევიკების ხელში ნუ დამტოვებთ. სად და როგორ წაგვეყვანა? სასანიტარო პუნქტი იქ აღარ იყო. ვერაფრით ვუშველეთ. ვინ იყო? რა დაემართა?

კოჯორიდან თბილისისკენ მოკლე ბილიკებით დავეშვით. თენდებოდა სოლოლაკში რომ შევედით. ქალაქში სიჩუმე სუფევდა ქუჩებში, შენობები ლილისფერი ჯანღით იყო მოსილი. რომელიღაც ეზოდან ცოცხიანი მეეზოვე გამობარბაცდა. შეკითხვაზე ჯარებს ხომ არ გაუვლიათო, გვიპასუხა კარგა ხანია ჩაიარეს და თქვენი სკოლაც შევამჩნიეო.

მივდივართ, მშივრები, ჩაფიქრებულები. თავში ერთი აზრი გვიტრიალებს. რა მოხდა? რატომ ვტოვებთ თბილისს? ჩვენ ხომ ბრძოლა არ წაგვიგია? შემდეგში მაიორ თევზაძის მოგონებებიდან გავიგებთ, რომ ამის მიზეზი გვარდიელების უკადრისი მოქმედება ყოფილა. თურმე გენერალ მაზნიაშვილის მარცხენა ფრთაზე მოქმედ გვარდიელებს, რომელთაც გენერალ ჯიჯიხია სარდლობდა, ფრონტი დაუტოვებიათ, უკან დახეულან და ფრონტის მარცხენა ფრთა გაუშიშვლებიათ. მტერი სიცარიელეში შეჭრილა და ცხენოსანი ერთეულებით მცხეთისკენ მიმავალ გზის გადასაჭრელად გაუწევია. ამას დამატებია ცნობა გენ. ანდრონიკაშვილისაგან, რომ მის მარჯვენივ მტრის ცხენოსანთა ერთეულები წინ მიიწევენ და მცხეთისკენ მიმავალ გზის გადაჭრით და ზურგში მოქცევით, გვემუქრებიანო. სასწრაფოთ მომხდარა თბილისში სამხედრო საბჭოს სხდომა. გენერალ კვინიტაძეს განუცხადებია: არავითარ მარაგა მე არა მყავს, ორივე მხრივ გზას გვიჭრის მტრის ცხენოსანი ერთეულები. იძულებულ ვიქნებით ბრძოლა ხალხსა და ქვეყანას მოწყვეტილ თბილისში ვაწარმოოთ და ამ ვითარებაში სხვა გამოსავალს ვერა ვხედავ და იძულებული ვარ უკან დახევის ბრძანება გავცეო. თავდაცვის საბჭოს ეს წინადადება მიუღია.

ჩვენ უბრალო მხედრებმა საერთო მდგომარეობისა და შექმნილი საფრთხის შესახებ არაფერი ვიცოდით და სატახტო ქალაქის დატოვებას ვერ ვეგუებოდით. გავცდით რუსთაველის გამზირს, ბოზარჯიანცის ქარხანას, დიდუბეს და წამოვეწიეთ მცხეთისკენ წესიერათ მიმავალ ერთეულებს. ჯარებს ზურგში მისდევდა და თავდასხმისგან იცავდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის, თეთრ ჩოხებში გამოწყობილი ცხენოსანი ასეული. შეგვამჩნიეს დაღლილები ვიყავით. მივდიოდით და სიარულში გვთვლემდა. რამდენიმე მათგანი ჩამოქვეითდა და ცხენებზე შესხდომა შემოგვთავაზა. ცხენებზე შემსხდარნი ვხედავდით როგორ მიდიოდნენ წესიერათ, დინჯათ, ერთმანეთის მიყოლებით ერთეულები. არც თბილისში და არც გზაზე დიდი თოვლი არ იყო. მცხეთაში ჩვენი სკოლა დაგვხდა. მიღებული ბრძანების შესრულება მოვახსენეთ, დავისვენეთ და შვებით ამოვისუნთქეთ. მცხეთაში დამხვდა ჩემი უფროსი ძმა შალვა, გარე კახეთში მოხალისეები მოეკრიფა, ბრძოლებში მონაწილეობა მიეღო და ახალ ბრძანებას ელოდებოდა. გაუხარდა ჩემი ცოცხლათ ყოფნა. გადმომცა ვერცხლით შეჭედილი მსუბუქი და კოხტათ ნაკეთები ვინტოვკა. ეს მსუბუქია და მე შენსას წავიღებო.

რაკი იმ ღამეს სკოლა მცხეთიდან გასვლას არ აპირებდა, ნებართვა ავიღე მცხეთაში მცხოვრები ჩემი ნათესავის აგრონომ რეზო გედევანიშვილის ოჯახი მენახა. იქ შემხვდნენ ჩემი დეიდაშვილები, ლევანი და გოგლა ლეონიძეები. სახლის გვერდით დიდი ფუსფუსი იყო. შავათ ჩაცმული დედაკაცები ცხელ ცხელ შოთებსა და ლავაშებს თანდათან ჭყრიდნენ და ჯარისკაცებს ურიგებდნენ. მოკლე ხანში მოადგათ მათ გენერალი სოსო გედევანიშვილი. დღეს ვერ მომიგონებია ცხენით იყვნენ თუ ავტომანქანით. პატივი სცეს და გამარჯვების სურვილით გაისტუმრეს. ოჯახი დოვლათის მოწესრიგებაში იყო გართული. ნაწილს ეზოსა და სარდაფში შესანახავათ და ნაწილსაც თავიანთ მახლობელ სოფელ წეროვანში გადასამალავათ ამზადებდნენ. დაძინებული ზარბაზნის გასროლის ხმამ წამომახტუნა. სირბილით სადგურზე მივირბინე. სკოლა იქ აღარ დამხვედრია. დავბრუნდი უკან. დილით მასპინძელთან პროფესორ ლევან ლეონიძესთან ერთათ ცხენებით ტირიფონის ველის გავლით წეროვანისკენ გავწიეთ. ტირიფონის გაშლილ მინდორზე ქარს თოვლის ზვინები აღემართა. თოვლით დაფარული გზა არა ჩანდა. აზელილ ნაკვალევზე ვხედავდით საით უნდა გვევარა. გზა გზა - გვხდებოდა ლაფსა და თოვლში ჩაფლული მიტოვებული საბარგულეები. საკეტ მოხსნილი ზარბაზანიც შეგვხვდა. იქნებ ეს ჩვენი სკოლის ზარბაზანი იყო. ალბათ ცხენებმა ვერ ატარეს და იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ. ეს რაღა არისო იკითხა რეზომ და ხელი გზის მახლობლათ - თოვლში ჩაფლულ ცხვრის ფარისკენ გაიშვირა. ჯგუფ-ჯგუფათ ეყარა ყელთამდის თოვლში ჩაფლული ცხვარი, ნაწილი ჯერ ფეხზე იდგა მაგრამ სუსტი და დამშეული ნაბიჯს წინ ვეღარა სდგამდა. მიშველეთ რამე თქვენი ჭირიმეო. დავიწყე ამათი ცოდვით. აზერბეიჯანის საზღვრიდან მშიერ მწყურვალები

აქამდეს მოიყვანე და აქ მელუპებიანო. რა ქნა რა გილონო, რით ვუშველოთ, შემოგვჩივლა თვალებზე ცრემლ მორეულმა, გაყინულმა, ხელებ აკანკალებულმა, ნაბადში გახვეულმა მეცხვარემ. სოფელში რო გაივლით გააცანით ჩემი მდგომარეობა. მოვიდნენ ლასტიანი ურმებით, წაასხან ეს საცოდავი საქონელი. არაფერი მინდა მათგან, მუქთად წაიღონ ოღონდ მათ საცოდაობას არ ვუყუროთ. შევეცოდა ისიც და ცხვრებიცა. მოზუზუნე ქარი თოვლის გამალებული ტალღებით ულმობელ სიკვდილს უმზადებდა მათაც და მეცხვარესაც. დავპირდით და შევუსრულეთ თხოვნა. ფარის ვინაობა მახლობელ სოფლელებს გავაცანით. ალბათ რამენაირათ დაეხმარნენ.

ის ღამე წეროვანში გავათენეთ და გათენებისას მე და ჩემი დეიდაშვილი, ლევან ლეონიძე უკვე ფეხით გორისკენ გავუდექით. გზა და გზა გვებულობდით, რომ სოფელ სოფელ ბოლშევიკთა აგენტები დაძვრებიან, ხალხს აჯანყებენ, მემამულეების და შეძლებულ გლეხთა დარბევას ჩასჩიჩინებენ, ოღონდ ხალხი გარინდებულია და მათ ლაქლაქს ყურადღებას არ აქცევსო. გორში იუნკერთა სასწავლებელი დამხვდა. გაიგო თუ არა პოლკ. ჩხეიძემ ჩამორჩენილი იუნკერი დაბრუნდაო, დამიბარა და მკაცრი კითხვები მომაყარა: სად და როგორ ჩამორჩი სკოლასაო, საიდანა გაქვს მგ დავერცხლილ კონდახიანი ვინტოვკაო, რათ გაცვია ფეხზე სკოლის ფეხსაცმელების მაგიერ ეგ თხელი "გალინკები"-ო? თოფი ძმამ შემიცვალა. ტაბახმელაზე ფეხები დამძვრა, ფეხსაცმელი ცეცხლს მივუშვირე, ფეხები ვერ გავითბე და ფეხსაცმელი დამეწვა სატარებლათ აღარ ვარგოდა და გზაში შეხვედრილ გლეხს გავუცვალე მეთქი.

რა გზით დაბრუნდი და გზაში ბოლშევიკები ხომ არ შეგხვედრიათო? ტირიფონის ველითა და წეროვანის გამოვლით და ბოლშევიკები არ შემხვედრია მეთქი. ამ ლაპარაკში ვართ და სადგურის წინ აღმართულ მაღლობიდან, მეორე მხრივ ხიდისთავს რომ გადაჰყურებს, შიკრიკი მოვარდა და პოლკ. ჩხეიძეს მოახსენა: ხიდისთავში ბოლშევიკთა ერთეული შევიდა. თუ ისინი აი ამ გორას დაიკავებენ ჩვენ აქ აღარ დაგვედგებათ. სადგურზე იმ დროს მთავარსარდლის მატარებელი იდგა, რომელშიაც შტაბის აფიცრების გარდა მრავალი ერისკაცი იმყოფებოდა თავისი ოჯახებით. დამანება მე თავი პოლკ. ჩხეიძემ და სკოლის აფიცრებს უბრძანა: "სირბილით დაიკავეთ ეს გორაკი და იქ არავითარ შემთხვევაში ბოლშევიკები არ გააჭაჭანოთ." აგირბინეთ გორაკზე და მის მწვერვალზე განვლაგდით. ხიდისთავთან გაშლილი წყობით ბოლშევიკთა მოზრდილი ცხენოსანი ერთეული გამოდიოდა. ჩვენ სროლაზე უკან დაბრუნდნენ. შენობებს ამოეფარნენ და სროლითვე გვიპასუხეს. ცოტა ხნის შემდეგ ახალი ბრძანება მოგვივიდა დაბლიდან: "საჩქაროთ დაეშვით გორაკიდან, მოთავსდით მატარებელში, ხაშურისკენ მივდივართ." ძლივს ჩავეტიეთ ხალხით და ბარგით გაჭედილ მატარებელში და მატარებელი დაიძრა.

ხაშურში ლიანდაგისა სადგურის გარემოსა და მთავარსარდლის მატარებლის დაცვა დაგვევალეს. ის რაც ხდებოდა მაშინ მთავარ სარდლის ვაგონში და ჩვენ მიერ მის ფანჯრების წინ გამართულ კონცერტზე ზევით მოვიხსენიე.

გვარდიელთა დალატის შედეგათ ხაშურიდან განზრახული უკუიერიში ვერ განხორციელდა და ერთეულები ბათუმისკენ დაიძრნენ. ხაშურში ერთ გაუგებარ მოვლენას ჰქონდა ადგილი. პოლკ. ჩხეიძეს ადგილზე არ ყოფნის გამო, სკოლას მაიორი გარდაფხაძე განაგებდა. შეკრიფა უუფროსოთ დარჩენილ ჯარისკაცთა ჯგუფი. ალყა შემოერტყა იუნკრებით და ვითომცა დეზერტირებს დახვრეტით ემუქრებოდა. სინამდვილეში ესენი აღმოსავლეთ საქართველოს მოხალისეები და ჯარის კაცები იყვნენ, ბრძოლა სწადდათ და სადმე მიკედლებას ეძებდნენ. იმის მაგიერ, რომ პატრონობა გაეწვიათ ერთეულებით მოეწყოთ და უფროსები დაენიშნათ უსაბაბოთ დალატსა სწამებნენ.

ბათუმში გაურკვეველი მდგომარეობა დაგვხდა. სადგური, ქუჩები, მოედნები სავსე იყო ჯარებით, გვერდით კი იმავე ქუჩებში პატარ პატარა წითელი ფესკებ დახურული შეიარაღებული ოსმალეთის ჯარის კაცთა ჯგუფები დადიოდნენ. ზღვაზეც მოჩანდა თეთრ იალქნიანი ჯარის კაცებით სავსე მოზრდილი ნავები. მთის მწვერვალებზე მყოფ სიმაგრეებიდან სროლის ხმა მოისმოდა.

წესრიგის აღსადგენათ და მორალის ასამაღლებლათ გენ. კვინიტაძემ აღლუმის ჩატარება ბრძანა. დაფაცურდნენ უფროსები. წესრიგში მოიყვანეს ნაწილები და ერთი მეორეს მიყოლებით მის წინ საალლუმო ნაბიჯით ჩაიარეს. ნაწილები ვაჟკაცურათ და სრულფასოვნათ გამოიყურებოდნენ. გეგონება ამ ხალხს ომი კი არ უწარმოებია, აღლუმისთვის ემზადებოდაო. საზოგადოება აღფრთოვანებით და იმედით შეჰყურებდა მწყობრათ მიმავალ ნაწილებს. "ამნაირი ჯარებით ჰნახავთ ბედს შეატრიალებს გენ. კვინიტაძე" - ისმოდა აქეთ იქიდან. აღლუმის შემდეგ სადღაც გაქრნენ ოსმალთა ერთეულები.

ბათუმის სიმაგრეების დამცველნი ტყვიამფრქვევით და ზარბაზანთა ცეცხლით ზღვასა და სიმაღლეებისკენ ერეკებოდნენ ოსმალეთის ნაწილებს. ბათუმის ოსმალთაგან გაწმენდა გენ. კვინიტაძემ გენ. მაზნიაშვილს მიანდო. ამ საქმეში მას ბოლშევიკთა ჯარებიც დაეხმარებოდნენ და საერთო ძალებით ოსმალოთაგან მთელ ბათუმის ოლქს გასწმენდავდნენ.

საქართველოს დამფუძნებელი კრების უკანასკნელ სხდომაზე ბათუმში გადაწყვეტილა, რომ მთავრობა საქართველოს სტოვებს, იხიზნება დასავლეთ ევროპაში, სადაც შეეცდება საქართველოს ბოლშევიკებისაგან განთავისუფლებას პოლიტიკური ზომებით.

მთავრობას მიჰყვება მთავარსარდალი და პოლიტიკურ მოღვაწეთაგან ვისაც კი, საქართველოში დარჩენის შემთხვევაში, რაიმე საფრთხე მოელის. იუნკერთაგან, ვისაც სურვილი აქვს შეუძლია სამშობლო დასტოვოს. საზღვარ გარეთ მთავრობა ზომებს მიიღებს მათ ევროპის სახელმწიფოთა სამხედრო სასწავლებლებში მოსაწყობათ.

ეს ჩვენ გამოგვიცხადეს და საფიქრებელშიც ჩაგვაგდეს. დავრჩეთ თუ წავიდეთ? დარჩენა მტრის სამსახურში ჩადგომას უდრიდა; წასვლით კი შეიძლება უცხოეთში უმაღლესი ცოდნა მიგვეღო და მომავალში განთავისუფლებულ საქართველოში ცოდნით აღჭურვილნი დავბრუნებულიყავით. დაპირება, რომ იზრუნებენ ჩვენ სამხედრო სასწავლებლებში მოწყობაზე უმნიშვნელო არ იყო. ზოგმა ჩვენგანმა სახლში დაბრუნება არჩია. "გავინაწილებთო სამშობლოს ბედსო და მშობლებსაცო ხომ პატრონობა უნდაო". უმრავლესობამ სამშობლოდან გასვლა არჩია. ბევრი ფიქრისა, ამხანაგებთან გამოლაპარაკებისა და ყოყმანის შემდეგ, გადავწყვიტე გამსვლელებს მივკედლებოდი.

ზღვის ნაპირიდან კარგა მოშორებით მსუბუქათ ქანაობდა თეთრათ მოხასხასე გვონებ იტალიელების უშველებელი გემი. მისგან დაშორებით და ნაპირთან უფრო ახლოს იდგნენ ჩვენი "ვესტა" და "მარია". ერთერთი მათგანს კუდში სანაპირო დაზვერვის ორი მოტორიანი ნავი იყო მიბმული. ზღვა წყნარი და სუფთა იყო. გემების ირგვლივ და ნაპირთან თოლიები დასრიალებდნენ. სანაპიროზე უამრავი ხალხი ირეოდა. გემზე მოხვედრასა და საქართველოდან წასვლაზე ოცნებობდნენ ოჯახებითა და ბარგი ბარხანით. ნაპირს მრავალი პატარა ნავები მოსდგომოდა. ტვირთავდნენ და გემებისკენ მოჰქონდათ რაღაც საქონელი.

"აბა იუნკრებო ნავებში ჩასხედით," გამოაცხადა ვიღაცამ. ორ ნავში მოვთავსდით და რამდენიმე წუთში "მარიას" გემბანზე აღმოვჩნდით. თქვენთვის უკანა ნაწილის სარდაფია დანიშნული. ძირს არავინ ჩავსულვართ. დავრჩით გემბანზე და მოაჯირს მიყრდნობილნი ბათუმს გავცქეროდით. იქიდან ზარბაზნების გრგვინვა და ტყვიამფრქვევთა რაკრაკი მოისმოდა. ქალაქში აქა იქ რაღაცა იწვოდა. მეზღვაურნი მომდგარ ნავებიდან საქონელს იღებდნენ და გემის მუცელში უშვებდნენ. ჭრიალებდნენ ჩარხები. გაისმოდა "ვირა" და "მაინას" შეძახილები, ე.ი. მაღლა და დაბლა დასწიეთო. იუნკერთა სევდიანი სახეები ღრმათ ჩაფიქრებასა და სევდას მისცემოდა. გვაწუხებდა ბათუმის ზედაპირზე ჭურთა სრიალი და აფეთქებათა ხმა. იქ გენ. მაზნიაშვილის ჯარებში ჩემი უფროსი ძმაც იბრძოდა და მე მას სამშობლოს დატოვების ამბავი ვერ გადავეცი. ტირილით არავის გვიტირია, მაგრამ გულს მოწოლილი სევდა გვახრჩობდა და სულს გვიხუთავდა. დიდხანს, შუაღამემდის ვიდექით ხმა გაკმენდილნი, მოაჯირს მიპყრობილნი ვიდრე მეზღვაურებმა არ დაამთავრეს ხალხისა და ბარგის მიღება, ხრიალით არ ამოუარეს გემბანზე ღუზები და მანქანები არ აამოქმედეს. შეტოკდა გემი. ნელნელა მოსწყდა ადგილს და თანდათანობითი აჩქარებით ღამის წვდიადში შეიჭრა.

ეხლა და მოგვაგონდა ჩვენთვის მოჩენილი გემის სარდაფი. დაღლილნი, მშიერნი და ნაღვლიანნი, ჩავედით ძირს. ეს გემზე მომსახურე მეზღვარების სამყოფი ყოფილიყო. თამბაქოს ბოლით გაჟღენთილ კედლებს, იატაკზე მიყრილ მოყრილ ნამწვავებსა და მჩვრებს არ ეტყობოდათ, რომ იქ ოდესმე სისუფთავეზე ეზრუნა ვინმეს. ხანი გავიდა ვიდრე თამბაქოს სუნსა და ნავთის სიუხვეს მივეჩვიეთ და ფიცრის ხმელ ტახტზე ძილს მივეცით.

დილით ადრიანათ წამოვცვივდით, ავირბინეთ გემბანზე, რომ ქართული მიწისთვის უკანასკნელათ შეგვეხედა. საუბედუროთ ირგვლივ ჯანღი შემოკვროდა. ნაპირი აღარა ჩანდა. გემები ერთმეორეს მისდევდნენ შრიალით და უკან ზოლს სტოვებდნენ, იქვე იყო "მარიას" გამობმული "ავთანდილი" და "ტარიელი". სუფთა ჰაერმა, ცივმა ნიავმა გამოგვაფხიზლა. მზემ ჯანღი გაფანტა და ჩვენი ყურადღება ზღვის ზედაპირმა და ირგვლივ მიმავალ მოვლენებმა გაიტაცა. გემს ერთმანეთის გასწვრობით ვერცხლოვანი თევზები და ლამაზ თვალა, კამეჩივით შავი დამრგვალებული დელფინები მისდევდნენ. ტულაშა ტულუში გაჰქონდა მათ ჰაერში ხტომას,

თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო სიმაღლის მიღწევაში, თანაც გემის გასწრებასაც ცდილობდნენ ჯგუფებით დარაზმულნი.

გემის წინამხრის დარბაზიდან ამომავალმა ახალი გამომცხვარი პურის სუნმა და ოხშმა შიმშილი მოგვაგონა. ჩვენ ხომ ისე ჩავსხედით გემში, რომ პურის პატარა ნაჭერიც არა გვქონია. ვინ უნდა იყოს გემის მზარეულზე ბედნიერი მეთქი, გავიფიქრე მე და მგონი არც ჩემი ამხანაგები იყვნენ სხვა აზრისანი. მიხვდნენ ალბათ გემის მართველნი ჩვენ გაჭირვებას და საუზმე შემოგვთავაზეს. სამსუნის ნავსადგურზე არ ვიცი რატომ სხვა იტალიურ გემზე გადავსხდით. "ვესტამ" კი თავისი გზა განაგრძო. აქამდის არ მითქვამს და საჭიროა მოვიხსენიო, რომ მთავრობა საქართველოდან ჩვენზე ადრე წამოვიდა იმ თეთრი გემით ბათუმის ნავთსადგურში რომ იდგა. სამსუნიდან იმავე ღამეს წამოვედით. ნიავმა ნისლი გაფანტა და ვარსკვლავებით მოჭედილი ცა გამოაჩინა. ზღვის ზედაპირზე ჩვენს უკან შუქმა იელვა. ზღვიდან ყვითელი მოზრდილი ლაქა ამოტივტივდა, ნელ ნელა გამრგვალდა, მაღლა აიწია და ორ რგვალ ყვითელ ბურთათ იქცა. ერთ მაღლისკენ მიიწევდა, მეორე ზღვის ზედაპირზე ტივტივებდა და თავის მიერ გაჩაღებულ სპილენძის ფერ ტალღებში ბანაობდა.

"მკრთალი ნათელი შორის მთებისა მშობელ ქვეყანას ზედ დაჰფენოდა" წამოიწყო სევდიანი ხმით ფარნზათზ ნაცვლიშვილმა. ნელ ნელა სევდიანი ხმითვე აყვნენ მას სხვებიც და მორცხვათ დაწყებულ სიმღერა გულიდან ამონაწურ წუხილის სიმღერათ იქცა. გემის კანკალი და მანქანების დუგლუგი დაფარა. პირმოცინარე მთვარე კი ჩქარობდა მაღლისკენ სრბოლას. იქიდან ხომ მშვენივრათ ჩაიხედავდა საქართველოში. ჩვენ კი შევყურებდით ღრუბლებში მიმცურავ მთვარეს და გვწამდა, რომ ჩვენ მზერას ასხლეტით საქართველოს გადასცემდა. ბათუმიდან გამოსვლიდან მეორე მესამე დილას ხმა გაისმა ბოსფორს ვუახლოვდებითო. გამოვცვივდით გემბანზე. თვალს იზიდავდა ზღვის სივიწროვე და ორი მხრივ რუხი ფერის კლდოვანი ნაპირი. აზიის მხარეს ნაპირი თანდათან მაღლდებოდა და ტყით მოსილი მთებათ ქცეული შავათ იკარგებოდა. მარჯვნივაც ევროპის მხარეზე იგივე მოსხეპით აღმართული კლდოვანი ნაპირი ნაკლებ საინტერესო არ იყო. შორიდან მიხრეკილ ნაპირის თავზე ამაყათ მდგომი ძველი ციხე დაგვყურებდა. ბევრის მნახველი უნდა უოფილიყო ეს ზღვიდან მიუდგომელი ამაყი ციხე. სრუტის შესავალთან გემმა ღუზები ჩაყარა და ნაპირიდან მოშორებით გაჩერდა. ვისარგებლეთ დროით და რაცა კი გვქონდა სამხედრო მოწყობილობა ვაზნები და საკეტ მოხსნილი თოფები ზღვაში გადავყარეთ. არ გასულა ბევრი ხანი და სტამბოლის მხრიდან გემს სურსეთით დატვირთული პატარა ნავები მოადგნენ და სურსათის იარაღზე გაცვლა შემოგვთავაზეს. შიმშილით შეწუხებული თანამგზავრები, თითქმის უფასოთ უცვლიდნენ კონდახიან მაუზერებს, ვერცხლით ჭედილ ქამარ ხანჯალს, ხმლებს, ჭოგრითებს, ვაზნებს და სხვას. დამთავრდა ესეც და სტამბოლისკენ გზა დავვილოცეს. რომელ ქართველს არ აუჩქროლებს გულს სტამბოლს მიახლოვება და სრუტეში შეცურვა. ბოსფორის ნაკვეცი, ოღრო ჩოღრო ნაპირები, აქ იქ გაშენებული ლამაზი დაბები, განსაკუთრებით ევროპის მხარეზე. აქ ხომ არა ერთხელ გაუვლიათ საქართველოსკენ მიმავალ ოსმალთა ჯარებს. ამ გზით ხორციელდებოდა კულტურულ ეკონომიური კავშირი ბიზანტიასთან, ამ გზით მიდი მოდიოდნენ საბერძნეთში მყოფ ქართულ კულტურულ კერათა და მონასტერთა მოღვაწენი. აქ გაივლიდა ალბათ თორნიკე ერისთავი სკლიაროსის აჯანყების ჩაქრობისას. ეს გზა უნდა გაევლო გიორგი სააკაძეს ოსმალეთში გადასახლებისას და არგონავტებსაც. შეიძლება პომპეუსის და ალექსანდრე მაკედონელის ჯარებსაც, იქნებ შოთა რუსთაველსაც. აქ იყო ერთ ხანს მიმწყვდეული შვედების მოუსვენარი და მედგარი მეფე კარლოს მე-XII. აქ 1468 წელს, დაამხეს ოსმალებმა ბიზანტიის იმპერია, დაიპყრეს კონსტანტინეპოლი, მეჩეთათ აქციეს მართლმადიდებელთა უდიდესი ტაძარი აია სოფია, მოკლეს ბერძენთა პატრიარქი; აქვე წარმოებულა, არა ერთი ომი ბერძნებსა და სპარსელების შორის.

რაც ღრმათ მივიწევდით სრუტით მით ხშირათ მოჩანდა ევროპის მხარეზე კოხტათ ნაშენი, უმთავრესათ ფიცრული დაბები. შიგა და შიგ ქვიტკირის მოზრდილი სასახლეებიც მოჩანდა. ავერ ის ენვერ ფაშას სასახლეაო გვიხსნიდნენ აქ ნავალი მეზღვაურები, ეს კი გადაყენებული სულთანის სასახლეაო გვითითებდნენ ზღვაში შემოჭრილ მარმარილოთი ნაშენ სასახლეზე.

ოსმალეთი ამ დროს ორათ იყო გაყოფილი: ერთი ევროპის გამარჯვებულ ერთა ხელში და მეორე აზიის მხარეზე, სადაცა ანგორის ირგვლივ საძირკველს უყრიდა ახალ ოსმალეთს ქემალ ფაშა. სულთანი ამ დროს სტამბოლში ცხოვრობდა თავისი რამდენიმე ცოლით და საზოგადოებას კვირაში ერთ[illegible]ნსხვავებოდა

ცხენზე შემჯდარი და ცხენოსანი ამალით გარსშემორტყმული მეჩეთში წასვლისას. ოქროს რქის ნავთსადგურსა და ევროპა აზიის დამაკავშირებელ ხიდთან დიდ პატარა გემების და იალქნიანი ნავების ტევა არ იყო. იდგნენ ან აქეთ-იქით დასრიალებდნენ და მაყურებელს თვალს უჭრელებდნენ.

დასრულდა ჩვენი მოგზაურობა, გადაგვსვეს ძრავიან ნავში და იმავე გზით თითქმის ბოსფორის სათავემდის დაგვაბრუნეს. აქ საცხოვრებლათ მოგვიჩინეს დენიკინის ჯარების მიერ აზიის მხარეზე დატოვებული ბანაკი, ჯერ ბეიუკდერეში და შემდეგ ბეიუკლიმანში ევროპის მხარეზე. აქ სრუტეში შემოსვლის დამცველ ორი გრძელ ლულიანი შორს მსროლელი ზარბაზანი იდგა; ორივეს კლიტეები გამოცლილი და ლულები აფეთქებული ჰქონდა. ზარბაზანი ორ ფერდობს შუა იდგა ზღვიდან 50-100 მეტრის სიშორეზე, გვერდით კი ორი შენობა იყო ხისა და ქვიტკირისა, ზარბაზნების მომსახურე ჯარისკაცთა და ოფიცერთათვის. ერთერთ ფერდობიდან შენობების გვერდით მშვენიერი წყალი გადმოჩუხჩუხებდა. სწორეთ ის ფიცრული შენობა მოგვცეს ბინათ იუნკრებს. ქვიტკირისაში კი ჩვენი ოფიცრები და ერისკაცული ემიგრანტები. მათ შორის თავადი კოკი დადიანი ოჯახობით მოათავსეს. ბანაკის მოწყობას, ცხოვრების წესს და საერთო მზრუნველობას ეწეოდა პოლკოვნიკი ალ. ჩხეიძე. ბინათ მან სრუტის შემოსავალთან ახლოს მდებარე ქვიტკირის სახლი აირჩია. ამ ბინაზე მას ერთ ჯანღიან ბნელ ღამეს ყაჩაღები დაესხნენ და იარაღი და ძვირფასეულობა მოსთხოვეს. ერთერთმა მისმა კაცმა მოახერხა ფანჯრიდან გადმოხტომა და ჩვენთან მორბენა. გავიქეცით საშველათ, ოღონდ დამტვრეულ ზარბაზნებთა მცველმა ოსმალ ჯარის კაცმა თავის სროლით განგაში ატეხა და ვიდრე ჩვენ მის ბინამდის მივაღწევდით, ავაზაკები გაქცეულიყვნენ. თან წაეღოთ მამაპაპური ძველის ძველი ძვირფასი ხმალი .

კვების მხრივ ამერიკული წითელი ჯვარი გვეხმარებოდა. დაგვირიგეს პატარა ჯარისკაცული ქვაბები, გვაძლევდნენ დროგამოშვებით ხმელ სურსათს და საჭმელი ჩვენ თვითონ უნდა მოგვემზადებინა, ვისაც როგორ შეეძლო. ეს არც ისე ადვილი იყო, რადგან ბოსფორის პირას არავითარი არც ხე და არც ჯაგი არ მოიპოვება.. პური მახლობელ დაბიდან პატარა ნავით მოგვქონდა ამერიკელების ხარჯზე.

ჩვენი ცხოვრება ბეიუკლიმანში შემდეგ-ნაირათ აეწყო. რაკი ზღვა თავის პატარა ნავთსადგურით 200 მეტრითაც არ იყო დაშორებული ჩვენი ბინიდან, ვსარგებლობდით მის სიახლოვით და მთელ დღეებს ზღვის პირას ვატარებდით, ვცურაობდით, მზეზე ვიფიცხებოდით და შავი ზღვიდან მომავალ გემებს შევცქეროდით, იქნება ზოგიერთ მათგანი საქართველოდან მოედინება და თვალი მაინც მოვკრათო. რაც უნდა წყნარი ყოფილიყო ბოსფორში წყალი, სრუტის შემოსავალთან ზღვა მუდამ ღელავდა. გრგვინავდნენ კლდიან ნაპირებსა და ერთმანეთს მინახეთქი ტალღები და ქაფის თეთრი ზოლით ქარგავდნენ აზიისა და ევროპის კლდოვან ნაპირებს. ქარიშხლისა და ღელვის მოლოდინში სრუტეში თუ სტამბოლში მყოფი ჯავშნოსანი სამხედრო გემები ზღვისკენ მიეშურებოდნენ. ხშირათ თავის სიჩქარით მოზრდილი თევზები დაუბორიალებიათ. ცხადია ვჩქარობდით ზღვიდან მათ გამოტანას. ზოგიერთ ჩვენთაგანს და მეც მათ შორის ყინვებისგან დამზრალი ხელ ფეხი აღმოაჩნდათ. ექიმი არ იყო რომ საშველათ მივვემართა. საბედნიეროთ ზღვის წყალი თავის მინერალური შემადგენლობით მოსწრებულ მალამოთ აღმოჩნდა და მოკლე ხანში ბურთულები დაგვიშუშდა და კუნთებმა მოძრაობის უნრიანობა დაიბრუნეს.

იმ დროს სტამბოლი სავსე იყო რუს ემიგრანტთა ჯარებით. ეტანებოდნენ ყველა სამუშაოს და ჩვენი ცდები სამუშაოზე მოწყობისა უშედეგო გამოდგა. საბედნიეროთ გაჩნდნენ საიდანღაც პატარა ნავიანი ბერძნები და ამ ნავების ზღვის ქვიშით დატვირთვა შემოგვთავაზეს. სიხარულით დავთანხმდით და თუმცა შრომა ძნელი იყო და ხელფასიც მცირე, მაინც გულმოდგინეთ ვმუშაობდით. ქვიშით უნდა ავვევსო ტომარები და ნავებში ჩაგვეცალა. აგვძრა ტყავი ზურგსა და ხელებზე ტომრების ზიდვისაგან, მაგრამ ვუძლებდით ამას. გვინდოდა გვეშოვა ფული რომ სტამბოლი და მისი ღირსშესანიშნუბანი დაგვეთვალიერებინა. ესენი კი მრავლათ იყო: მეჩეთები, მუზეუმები, ბიზანტიის დროინდელი მშენებლობა, აია სოფია, ბაზრები და სხვა. გაგვართო ამან და შეგვიმსუბუქა ცხოვრება, მაგრამ სამშობლოს დატოვების სევდას როგორ გააქარწყლებდა?

ერთხელ ბოსფორზე განსაკუთრებული ქარიშხალი ამოვარდა. ყველაფერი შავმა ჯანღმა დაფარა, დღისით დაღამდა. სრუტის შემოსავალთან უქმათ ბჟუტავი ზღვის ფარნების გვერდით გამაფრთხილები საყვირები აამოქმედეს. ქარმა ჩვენ ბანაკს სახურავი აჰხადა და ზღვაში მოისროლა, ორთავე ფერდობიდან მოგლეჯილი ქვა და ღორღი გადმოგვაყარა უამრავი

მორიელებით, რომლებიც თურმე იმ ფერდობებში ბინადრობდნენ. ვერ ვხედავდით რა ზომის ტალღები ასკდებოდნენ სრუტესა და მის შემოსავალში. მათ გრიალსა და გრუხუნიდან გასკვნიდით რა ჯოოხეთი ტრიალებდა შავ ზღვასა და სრუტის შემოსავალში. ეს შავი კი არა, შავზე შავი ზღვის აბობოქრება იყო საშინელი და არ ვიცი ვისთვის როგორი, და ჩემთვის კი ბუნების სიძლიერით აღტაცება და ჯოჯოხეთური აურზაურით ტკბობა გამოიწვია. რამდენიმე დღე გასტანა ამ ქარიშხალმა და ღელვამ, ბოლოს ქარი ჩადგა ჯანლი გაიფანტა, ბოსფორში წყალი დაწყნარდა და ნაპირებზე გადმოყრილ ძველათ დალუპულ ნავებისა და გემების ნაფლეთები, ფიცრისა და რკინის ყუთების ნაფლეთები, წყეულწყეულათ დალუპულ დელფინების გვამები და უამრავი ფერადფერადი კენჭები გადმოყარა. ბოსფორი დამშვიდდა. სრუტის შემოსავალთან კი ზღვა ისევ ღელავდა. ამ აღელვებულ ზღვის ნახვა მაინტერესებდა და სრუტის შემოსავლისკენ გავეწიე. მივედი იმ ციხის ნანგრევებთან რომელიც მაღლობიდან ამაყათ გასცქერის ზღვის შორეთს. აღელვებული ზღვა მართლა თვალწარმტაცი სანახავია, მაგრამ აქ ჩემი ყურადღება სხვა მოვლენამ მიიპყრო: ადგილი სადაც ვიდექ და ზღვის ნაკვთი, რომელსაც მაღლიდან დავცქეროდი ნაცნობი მეჩვენა. ჩემს დაბლა ზღვას კლდიდან ჩამოგლეჯილი ნამსხვრევებისგან მოზრდილი ტბა შემოეფარგლა, ტბიდან მოშორებით ზღვაში კლდის უშველებელი ნაგლეჯი ეგდო. ეს ხომ ის ადგილია ფატმანმა რომ ნესტან დარეჯანი ზანგებს გამოსტაცა მეთქი. ამ ციხის თუ სასახლის ფანჯრიდან ჭხედავდა კიდობნის მოახლოებას. აქედან საიდუმლო ხვრელით ჩაეგზავნა მსახურნი ნესტან დარეჯანის ხელში ჩასაგდებათ. იქნებ შოთა რუსთაველმა თავის მოგზაურობების დროს აქ გაიარა და შემდეგ თავის პოემაში გამოიყენა? თუ ოდესმე ქართველ კინორეჟისორნი განიზრახავენ პოემის ამ ნაკვეთის გადაღებას, უადგილო არ იქნება ეს ადგილი მოინახულონ.

ნანახით აზროვნება დამძიმებული და ჩაფიქრებული ვბრუნდებოდი ისევ იმ გზით. ბანაკის ეზოდან ხმა მაღალი ლაპარაკის ხმა ისმოდა. იუნკრები ერთ ადგილზე დაჯგუფებულიყვნენ, წრე შეეკრათ, რაღაცას მისჩერებოდნენ და ხმა მაღლა ბჭობდნენ. დამაინტერესა რას ჩაჰკირკიტებდნენ ასე გულმოდგინეთ. დაუჭერიათ თურმე მოზრდილი მორიელი, დაუსვამთ მიწაზე, ირგვლივ მოგიზგიზე მუგუზლები შემოუწყვიათ. გაავფთრებით ეძებს გამოსავალს, დარბის ირგვლივ მუგუზლებით შემოფარგლულ წრეში. ეტყობა მეტათ აწუხებს ცეცხლის სიმწვავე. ამხანაგები წრეს უვიწროვებენ . საფრთხეში ჩავარდნილი მორიელი, კუდში რომ შხამიანი ისარი აქვს იმით თავს მოიკლავს და ეს ვგონდა ვნახოთო. შემეცოდა ადამიანის ხელში ჩაგდებული უმწეო მორიელი, ისიც ხომ ცოცხალი არსებაა და ტკივილს ადამიანივით განიცდის. დამწვა გულში ეს საქციელი, მაგრამ ვინ დაგანებებს, რომ შველა მიუტანო?

კარგა ხნის წვალების შემდეგ ისე მიუახლოვეს მუგუზრები, რომ წვალება ვეღარ აიტანა, ასწია მაღლა კუდი, მოკაკვა თავისკენ და შხამიანი ისარი თავში ღრმათ ჩაირჭო. გათავდა მისი სიცოცხლე და ტანჯვაც. ადამიანი ყველა სულიერზე უსამართლო და ბოროტია-ვიფიქრე და თვალ წინ წარმომიდგა ტორევადორების უმზგავსი საქციელი. შემოუშვებენ მოედანზე კისრის არესა და ზურგში შუბ ჩარჭობილ, ტკივილისგან გამწარებულ ნაპატიებ მოზვერს. ხალხი კმაყოფილებით და ტაშის კვრით ეგებება მის გამოჩენას. ელიან ტორევადორის გამოსვლას. ისიც გამოჩნდება, წითელი ქსოვილით აღიზიანებს მას და ახალ ახალ შუბებით უყსებს ტანს, რომ ბოლოს სისხლიდან დაცლილ და დატანჯულს უკანასკნელი დარტყმით მოუსპოს სიცოცხლე. მაყურებლები აღფრთოვანებულნი არიან ტორევადორის გამარჯვებით და აუწერელს სიამოვნებას განიცდიან მომხდარის გამო.

ბოსფორზე ყოფნისას, სამშობლოს მოწყვეტილ, ენერგიით სავსე ახალგაზრდობას, სევდა არ გვშორდებოდა. კითხვა თუ რათ დავკარგეთ თავისუფლება მუდამ თან დაგვდევდა. ვინ არის დამნაშავე სამარცხვო მარცხისა არ გვასვენებდა. ვფიქრობდით და ვკამათობდით ამაზე თვითობრივ და ჯგუფობრივათ და სხვა პასუხი ვერ მოგვეძებნა, რომ დამნაშავეა მთავრობა და ის წრე, რომელიც მას ზურგს უმაგრებდა. ამ ისტორიულ მნიშვნელობის ხანაში საქართველოს მთავრობა დროის შესაფერ სიმაღლეზე არ აღმოჩნდა; მისი სახელმწიფოს მშენებლობის გზა ყალბი და მავნებელი გამოჩნდა. ნაცვლად იმისა, რომ მთელი ყურადღება ნორმალურ სახელმწიფოს შექმნისათვის მიექცია და შეექმნათ ეროვნულ საწყისებზე დაყრდნობილი ქვეყანა, ეზრუნათ ეროვნულ გაღვიძებასა და ერთსულოვნებაზე, გააჩაღეს კლასობრივი ბრძოლა და მცხოვრებთა ერთმანეთზე მისევა. კარგა შეიარაღებულ ჯარის შექმნის მაგიერ დაარსეს პარტიული ჯარი - გვარდია. მათ ოფიცრობას პრივილეგიურ პირობებს უქმნიდნენ და ნამდვილი რეგულარული

ჯარის მოწყობას ხელს არ უწყობდნენ. თუნდაც მოპყრობა გვენ. კვინიტაძესადმი, ადამიანს, რომელმაც არა ერთხელ იჩინა თავი საქართველოს გაჭირვების დროს, რომელმაც სამი წლის განმავლობაში ზედიზედ სამჯერ მოიგო ომი ოსმალებთან, აზერბეიჯანიდან შემოსულ რუსებთან და სომხებთან, ჯარის მოწყობასა და მასზე ზრუნვის საშუალებას არ აძლევდნენ. გაჭირდებოდა თუ არა საქმე და მტრის მახვილი მათ კისრებს დაემუქრებოდა, თხოვნით მიმართავდნენ მთავარ სარდლობა ეკისრა. გაიმარჯვებდა და მტერს საზღვარს იქით გადარეკავდა, თავიდან იშორებდნენ და ჯარიდან ანთავისუფლებდნენ.

კლასობრივი ბრძოლის ქადაგებით, შინაგანი საქმიანობით ნიადაგს უმზადებდნენ ბოლშევიკთა გამარჯვებას. ისინიც ხომ იმავე დაპირებებით მოიწევდნენ წინ, რომელსაც საქართველოს მთავრობა ანხორციელებდა. ამიტომ იყო , რომ გადამწყვეტ მომენტში პარტიულმა ჯარმა გაამიშვლა გვენ. მაზნიაშვილის მარჯვენა ფრთა, შემოუშვა ბოლშევიკების ნაწილები, რომლებმაც სატახტო ქალაქი საფრთხეში ჩააგდო და მთავარ სარდალი აიძულა ქალაქი დაეტოვებინა. მეორე იმავე გვარდიელებმა უარი თქვეს ხაშურიდან განზრახულ უკუიერიში მონაწილეობაზე, დატოვეს პოზიციები და ბრძოლის გაგრძელების შესაძლებლობა დაასამარეს.

ვისაც წაუკითხავს ალ. მანველიშვილის წიგნი: ''რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა'' მშვენივრათ იცის, რომ ქართველ სოციალ დემოკრატებს - რომელთაგანაც საქართველოს მთავრობა შესდგებოდა - საქართველოს დამოუკიდებლობა არ აინტერესებდა. ისინი თავს რუსეთის სოც. დემოკრატიული პარტიის ნაწილათ სთვლიდნენ და არავითარ მათ საწინააღმდეგო ნაბიჯს არა სდგამდნენ. ასეთი იყო ჩვენი მსჯავრი ბოსფორის ნაპირებზე ყოფნისას, მაგრამ ხიდი რომ გადაბრუნდა, დამნაშეთა ძიება საქართველოს დამოუკიდებლობას ვერ დაუბრუნებდა. ჩვენი მდგომარეობა ოსმალეთში შესაშური არ იყო; სამუშაოს შოვნა უნაყოფო გამოდგა. უნივერსიტეტში მოწყობას სახსრები სჭირდებოდა, მთავრობის დაპირება - სამხედრო სასწავლებლებში მოწყობის შესახებ - ნაყოფს არ იძლეოდა.

ბოლოს ბედმა გაგვიღიმა და რიგ რიგით ხელი გამოგვიწიეს და სამხედრო სასწავლებლებში მიგვიღეს. ჯერ საფრანგეთმა და შემდეგ საბერძნეთმა და პოლონეთმა. 1921 წლის შემოდგომაზე ''სენ სირ''-ის სამხედრო სასწავლებელში გაემგზავრა ნ იუნკერი.: გიორგი ოდიშელიძე, კუკური თოხაძე, ივანე გაჩნაძე, ჭინჭარაძე და კინწურაშვილი. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მსახურობდნენ კოლონიალურ ჯარებში. მეორე მსოფლიო ომის დროს მონაწილეობა მიიღეს გერმანელებთან ბრძოლაში. ზოგმა მათგანმა პოლკოვნიკის ხარისხს მიაღწია, დაჯილდოებულ იქმნენ სამხედრო ჯილდოებით, ზოგნი ლეგიის საპატიო ორდენით. მათგან ვინ დაიხოცა და ვინ გადარჩა დღეს ჩემთვის უცნობია.

საბერძნეთმა, როგორც დღეს მახსოვს, 18 კაცი მიიღო თავის ათინის სამხედრო სასწავლებელში. ესენი იყვნენ : დავით, დიმიტრი და ვლადიმერ ლალიძეები, სვიმონ კობიაშვილი, ილარიონ ლობჟანიძე, ვლადიმერ ციბაძე, ნ. მათიკაშვილი, ლადო მახარაძე, ფარნაოზ ნაცვლიშვილი, სვიმონ აბაშიძე, შოთა ნიკოლაძე და ივანე ნანუაშვილი. 1921 წლის გვიან შემოდგომაზე გტოვებდით ოსმალეთის ტერიტორიას. ბოსფორის პირას რჩებოდნენ დანარჩენი ჩვენი ამხანაგები. გულთბილათ და თანაც სევდიანად მოგვეცილეს სტამბოლის ნავთსადგურამდე და საშუალოს სიდიდის ბერძნულ გემით გავუდექით გზას ათენისაკენ. ამინდი კარგი იყო. ზღვა მშვიდი და გზაც ლამაზი და საინტერესო. მარმარილოს ზღვის შესავალში ჩვენი სიბრალური გამოიწვია პატარა კუნძულმა, რომელზედაც სასიკვდილოთ განწირული სტამბოლის უპატრონო ძაღლები, მშიერნი და დასუსტებულნი გულშემზარავე ღმუილით ადამიანის გმობის გრძნობით იხოცებოდნენ. თვალწარმტაცი იყო თვით მარმარილოს ლურჯი ზღვა მისი მარმარილოს საბადოებით. დარდანელის სრუტე და ეგეის ზღვაზე გაბნეული მწვანეში ჩაფლულნი დიდ პატარა კუნძულები. საინტერესო იყო იმ დროს სმირნის ნავთსადგური. გემთა სიმრავლესა და მათ გაცხოველებულ ტვირთვა გადმოტვირთვიდან ჩანდა, რომ დიდათ იყო დასაქმებული ომის მომსახურებით, რომელიც ინგლის საფრანგეთის წაქეზებით წარმოებდა ბერძნებსა და ოსმალთა შორის. ბერძნები დიდათ დაინტერესებულნი იყვნენ, რომ მათი გულადი და შორსმჭვრეტი მეფე კონსტანტინე სტამბოლს და ''აია სოფიას'' ტაძარს საბერძნეთს დაუბრუნებდა : ომი დიდ სახსრებს მოითხოვს და ამ დროს მათი მხრივ ჩვენი ბედით დაინტერესება იოლი საქმე არ იყო. საბერძნეთს ხომ თავის ტერიტორიაზე არა აქვს არც ბუნებრივი სიმდიდრეები და არც განვითარებული მრეწველობა.

სკოლაში გველოდებოდნენ, გულთბილად მიგვიღეს, როგორც სკოლის მმართველობამ, ისე ჩვენმა მომავალმა ამხანაგებმა.

ბევრი რამ იცოდნენ საქართველოსა და ბიზანტიის დროინდელ ურთიერთობიდან. ნანახი ჰქონდათ საბერძნეთში გადარჩენილი ქართული საეკლესიო და კულტურის ძეგლები. იცოდნენ ვინ იყო და რა მოიმოქმედა თორნიკე ერისთავმა, რომელი ქართველი რძალი მიათხოვეს ქართველებმა ბერძენთა სამეფო გვარეულობას, როგორ გაიტაცეს არგონავტებმა აიეტ მეფის ქალი... ჩვენ პელაზგების ჩამომავლები ვართ და პელაზგები კი ქართული ტომი იყო. მოსწონდათ ჩვენი სიმღერები. ცდილობდნენ ჩვენთვის ყოველ მხრივ პატივი ეცათ და ესიამოვნებინათ. ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ბერძნული ენა შევითვისეთ, ჩვენ სანახავათ სკოლას ეწვია ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილი გიორგი. გამოგველაპარაკა, გამოგვკითხა თუ როგორ ვგრძნობდით თავს და კმაყოფილნი ვიყავით თუ არა სწავლის მეთოდითა და მოპყრობით, დაგვპირდა მზრუნველობა არ მოეკლო. შემდეგშიც ერთ დღეს სტამბოლიდან პარიზისკენ მიმავალმა ჩვენმა მთავარსარდალმა გენ. კვინიტაძემ გვინახულა. ეროვნულ ტანსაცმელში შემოსილი, დიდი პატივით მიიღეს. საქართველოს ახლო წარსულით, მისი მომავალ პერსპექტივებით დაინტერესდნენ და პატივით გააცილეს.

სკოლა დიდ პატივში იყო მთავრობისა და საზოგადოების მხრივ. ამას თვით მისი სახელიც მოწმობდა. ერქვა მას "სხოლიონ ტონ ეველპიდონ" ე.ი. "საიმედოთა სასწავლებელიო". ჩვეულებათ ჰქონდათ, რომ მეფის ოჯახის ერთერთ წევრს ეს სკოლა უნდა დაემთავრებინა. ჩვენ დროს მოწაფეთა შორის იყო იმდროინდელი ბერძენთა ჯარების მთავარსარდლის გენ. პაპულასის შვილი. დაგვიმეგობრდა, ხშირად გვესტუმრებოდა ხოლმე ჩვენ სასწავლო ოთახებში და გველაპარაკებოდა. არა ერთხელ შემოუტანია მალულად ბერძნული საუკეთესო ღვინოები და ერთად დაგვილევია. სკოლაში მოხვედრა ადვილი არ იყო, იქ იღებდნენ მხოლოთ საუკეთესოებს, ფიზიკური და ზნეობრივი მხრით, გონებრივი განვითარებითა და თვისებებით, სამშობლოსთვის გარჯილ ოჯახის შვილებს. ასეთები იყვნენ სკოლის ოფიცრობაც, სკოლის უფროსი ფრიად განათლებული კეთილი ხასიათის პოლკოვნიკი ცონტოსი თავის აღსაზრდელებს მზრუნველობასა და მომთხოვნელობასაც არ აკლებდა.

სხვა ოფიცრებთაგან, წარმოსადეგობით, ცოდნით და პედაგოგიური თვისებებით გამოირჩევდნენ ძმები პაპანდოპულოსები. ერთი მათგანი პარტიათა ურთიერთობის გამწვავების ხანაში , შემდეგში სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა, როგორც დიქტატორი და რამდენიმე წელიწადს განაგებდა მას. მოვიმოქმედე ეს ბოლშევიკური საფრთხის ასაცილებლადაო. იმართლებდა თავს სამსჯავროს წინაშე ხელისუფლების გადაცემისას.

რამდენათ გულისყურით ეპყრობოდნენ ჩვენი სწავლების საქმეს სჩანს იქიდანაც, რომ ენის შესწავლის დასაჩქარებლათ მოგვივლინეს თბილისში აღზრდილი მასწავლებელი. ამ მასწავლებელმა ერთ დღეს ჩვენ ამხანაგ პროკოფი აბულაძეს, რომელიც პოეტური ნიჭით იყო დაჯილდოებული, მოუტანა პოეტ ტრიკოლგიდის მიერ არაბულიდან თარგმნილი შოთა რუსთაველის სამი ლექსი. პროკოფი აბულაძემ ბერძნულიდან ქართულად გადმოთარგმნა და მე ნება დამრთო საქართველოში პოეტ გიორგი ლეონიძესთვის გადამეგზავნა. ის იმ დროს ჟურნალ "ბახტრიონს" რედაქტორობდა და იქ მოათავსა კიდეც. ამ ამბავმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია ისე საქართველოში, როგორც მის გარეთაც. სურდათ ამ ლექსთა ორიგინალების მიგნება და ხელში ჩაგდება. სკოლაში გვეწვია ემიგრაციაში მყოფი გენერალი კვერესელიძე, რომელიც თვით გიორგელების გაზეთს რედაქტორობდა. მივასწავლეთ მას ტრიკოლგიდის სამყოფელი და რა მოიმოქმედა შემდეგში არ ვიცით.

1967 წელს საქართველოში ყოფნისას გოგლა ლეონიძემ მომაგონა ეს ამბავი და დასძინა: "ჩვენი გამოკვლევით, ეს ლექსები შოთა რუსთაველისა არ არის. ის ვიღაც სხვა პოეტის დაწერილებია და პოეტმა ტრიკოლგიდისმა იცრუა, ისინი რომ შოთა რუსთაველს მიაწერათ."

სკოლა მაღლობ ვაკეზე იმყოფებოდა , ქალაქის გარეთ, ზაპიუს სახელობის პარკის გვერდით. შესდგებოდა ვგონებ ექვსი ორ სართულიანი ერთმანეთს დაშორებული შენობისაგან და სატანვარჯიშო მოედნის მოწყობილობისაგან. ამ ექვს შენობათაგან ერთი საპატიმრო დილეგს წარმოადგენდა სხვა და სხვა წვრილმან დანაშაულებებისათვის, როგორც: მწყობრში შენძრევა, ილეთის არა სწორათ შესრულება, უმიზეზოთ და უადგილო ადგილას გაცინება, და სხვა.

მეც მქონდა ბედნიერება ამ დილეგში ერთი დღით ჯდომისა. წესი იყო ყოველ საუზმის წინ რიგში ჩამწრივებულებს ათასეულის უფროსი მაიორი პოპანდოპულოსი დღიურ ბრძანებას გვიკითხავდა წარსულ დღის ავკარგის აღნიშვნით და დამნაშავეთათვის მსჯავრის გამოტანით. რათ იცინით? მომმართა მე. ერთი დღ ·თ დილეგიო.

განჩინება არ მწყენია თუმცა რიგში დგომისას არ გამიცნია და თავს დამნაშავეთ არ ვგრძნობდი. ამ ფაქტმა დიდათ დაალონა ჩემი ქართველი ამხანაგები. სიბრალულით შემომცქეროდნენ ეზოდან მეორე სართულზე ფანჯრის პირას მჯდომ დამნაშავეს. კარგი რომ ოთახი სუფთა იყო და ფანჯარას სწვდებოდა სურნელოვან ფოთლებიანი უშველებელი ხის ტოტები. სკოლის ეზოდან ქალაქის თავზე გადაღმით შორი და სასიამოვნო ხედი იშლებოდა შორს ათინისა და პირეუსის იქით თვალს იტაცებდა ათინიდან თუ ათინისკენ მიმავალი გემები და თვით მოლურჯო და წყნარი ზღვის ზედაპირი. დიდხანს უნდა გეცქირა, რომ ამ ბუნების სილამაზით დამტკბარიყავი. მერე თუ მხედველობას თვით ქალაქზე გადმოიტანებდი მისი ლამაზი მშენებლობა, თვალ წინ აყუდებულ აკროპოლის ტაძარი და ცოტა მოშორებით მთაზე მდგომი წმ. გიორგის მონასტერი მიიპყრობდა შენ ყურადღებას. აკროპოლის გულის სიღრმეში ჩამწვდომი და განმასპეტაკებელი ნაგებობა არა ერთხელ გამხდარა ადამიანის ღვარძლიანობის მსხვერპლათ. უკანასკნელათ, გვიყვებოდნენ ჩვენი ბერძნები ამხანაგები იერუსალიმისკენ მიმავალმა ჯვაროსნებმა დაანგრიეს და გაცარცვესო. ხელს არ ვახლებთ და არ ვასწორიებთ ევროპიელთა მიერ ჩადენილ ბოროტებასაო. აკროპოლის სიმაღლიდან მშვენივრათ სჩანს თვით ქალაქი, მისი გარე უბნები. ქალაქში მდებარე ბიზანტიის დროინდელი ნაგებობანი, ღია ცის ქვეშ გაშენებულ თეატრი, მშვენიერი მარმარილოს ქანდაკებებით შემკული სასაფლაო, ნარინჯის ბაღში ჩაფლული სასახლე, რომლის ხეებსაც წელიწადის ნებისმიერ დროს უხვათ ასხია მკვახე და მწიფე ნაყოფი და ყვავილები. დადიან თავისუფლათ ამ ბაღში მოქალაქენი და არავის აზრათაც არ მოუვა მათი შეხება. სახლში დაბრუნებულს დიდხანს არ გტოვებს ნანახი სილამაზეებით გამოწვეული განმასპეტაკებული ზედგავლენა.

სკოლა ორ წლიანი იყო შინაარსიანი პროგრამით. პირველ წელს პრაქტიკული და თეორიული სამხედრო მეცადინეობის გვერდით დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ზოგად საგანმანათლებლო საგნებს, როგორც მათემატიკა, ისტორია, მართლმსაჯულება, ჯარის მომარაგება, ტოპოგრაფია. მეორე წელს უფრო დაწვრილებით ვეცნობოდნენ სამხედრო ხელოვნებას თავ თავიანთი სპეციალობის მიხედვით: ქვეითა ჯარი, არტილერია, ცხენოსნობა, საინჟინერო დარგები. მართალია დასაწყისში ბერძნული ენა არ ვიცოდით, ვალდებულნი ვიყავით მონაწილეობა მიგვეღო ყველა თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე. ამისთვის იყო რომ, როცა უფროს კლასელი ბერძენი ამხანაგები გვამეცადინებდნენ. ხშირათ საჭირო განკარგულებების გვერდით გაიგონებდით: "ელა ვლადიმირე", "პროსეხსე ილარიონე", ე.ი. აბა ვლადიმირო, ყურადღება ილარიონო. ლადო ჩვენი საპიორი ციბაძე იყო, ილარიონი კი ვლადიკავკასელი დინჯათ მოძრავი ლობჟანიძე.

სწავლის ეს წელი საკმარისი გამოდგა ენის იმდენათ შესათვისებლათ, რომ სამი თვის შემდეგ ბერძენ ამხანაგებთან თანაბრათ ვაბარებდით გამოცდებს. არამც თუ რაიმე შეღავათს ჩვენდამი ადგილი არა ჰქონდა, პირიქით მეტ მოთხოვნელობასაც იჩენდნენ. დასანანია, რომ მეორე კურსზე გადასვლა და სკოლის დამთავრება არ დაგვცალდა.

1922 წლის შემოდგომაზე იძულებული ვიყავით საბერძნეთი დაგვეტოვებინა და სწავლის გასაგრძელებლათ პოლონეთის სამხედრო სასწავლებელში გადავნაცვლებულიყავით. ეს გამოიწვია შემდეგმა ვითარებამ. თურქებმა ანგორას მიღწეული ჯარი დაამარცხეს. ძლივს გადაურჩნენ გაყლეტას უდაბნოში მიჭყლეტილი ჯარები. ჩასხდნენ გემებში და ათინისკენ გამოემგზავრნენ მეფის ტახტიდან ჩამოსაგდებათ. აჯანყებულთ სათავეში ჩაუდგა ორი მაიორი : პლასტირასი და გონატასი. მეფეს, რომელსაც ომის დროს აღფთოვანებით შეჰხაროდნენ, ექვს ცხენ შებმულ ეტლიდან ცხენები მოუხსნიათ და მათ მაგიერ თვითონ შებმულან; რომელსაც ქუჩებში და ყოველ ყავახანაში უმღეროდნენ გამარჯვების სიმღერებს, რომ ამ მეფით და ამ კონსტანტინეთი დავიბრუნებთ სტამბულლს და თვით აია სოფიასაც, რომ სასახლის უკანა კარიდან არ გაეწრო, სიკვდილი არ ასცდებოდა.

მეფის ერთგულმა ოფიცრობამ ამ გამწვავებულ მომენტში მის მხარეზე დგომა არჩიეს. გამოაგორეს ორი ზარბაზანი და ათინისკენ მიმავალ გემებს ცეცხლის გაჩენით დაემუქრნენ. საპასუხოთ აჯანყებულებმა სკოლა დახურულათ გამოაცხადეს და დავრჩით ცასა და მიწის შუა უპატრონოთ. დეპეშით ვაცნობეთ მდგომარეობა გეგეჭკორს. პასუხი მივიღეთ, რომ მიღებული ხართ პოლონეთის სამხედრო სასწავლებელში და პირველივე გემით სტამბოლისკენ გამოემგზავრეთ. ასეც მოვიქეცით. და ბერძნულ პატარა გემით სტამბოლისკენ გავწიეთ. ქრისტეშობისთვე ახლოვდებოდა. ზღვაში ღელვამ მოგვასწრო. გემი ურთიერთ აათამაშა და რაკი პატარა იყო

ერთდროულათ ორ ტალღაზე ვერ თავსდებოდა. ხან მოახლოებულ ტალღის წვერზე მოექცეოდა და ხან ორ ტალღის შუა უფსკრულში ვარდებოდა. გემმა მართვის შესაძლებლობა დაკარგა. მიმართულებას დაკავებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. მიჰქონდათ ტალღებს გემი საითაც მოესურვებოდათ. გემის მმართველები მხოლოთ იმასა ცდილობდნენ, რომ გემი ტალღებს ქიმით დახვედროდა. გვიბრძანეს საცურათ ქამრების შემორტყმა, აგვიკრძალეს გემბანზე ასვლა, ჩაკეტეს ყველა შემოსავალი. ვისხედით გაყვითლებულნი გულის რევა არეულნი, დასუსტებულნი, გემის ქანაობას აყოლებულნი და ვუსმენდით როგორ გადადიოდა გემის ბანზე უშველებელი ტალღები. ასე უძილობასა სიკვდილის მოლოდინში გაიარა ღამემ და გათენებისას სტამბოლის მაგიერ კუნძულ სირას მყუდრო ნავსადგურში აღმოვჩნდით. არც ქარი და არც ტალღები აქ არ იყო. წყნარ ზედაპირზე პატარა იალქნიანი ნავები დანავარდობდნენ. თვალს იტაცებდა ზღვისკენ დაქანებულ ფერდობზე გაშენებული ქალაქი თავის ხავერდოვან სიმწვანით. წყლის სიმშვიდემ, გემების სილამაზემ მალე დაგვავიწყა განვლილ სიდუხჭირე. დაღლილობამ გაგვიარა და სტამბოლისკენ გამოსვლისას სანანებლათ დაგვრჩა, რომ ქალაქში გასვლის ნება არ მოგვცეს. სტამბოლში ბეიუკლიმანის სანავო დაცარიელებულიყო. დარჩენილი ერისკაცული ემიგრანტობა გათათრებულ ქართველის სასახლეში შეხიზნულიყო, ოქროს რქასთან. ჩვენც იქ დავიდეთ ბინა რამდენიმე დღით და ბულგარეთის და რუმინეთის ტერიტორიების გავლით ვარშავაში ჩავედით. ჩვენი პოლონეთში ჩასვლა პოლონეთის სამწუხარო დღეებს დაემთხვა. ჩვენი ჩასვლის წინა დღეს მოკლეს პოლონეთის პირველი პრეზიდენტი. ქუჩებში თეთრ წითელი დროშები თავდაყირა ეკიდა ხალხი თავჩაღუნული და სევდიანი მიმოდიოდა. ქუჩებში თოვლი იდო. ციოდა. გველოდნენ, მოგვიყვანეს სამხედრო სკოლაში, ტანსაცმელი გადაგვაცვეს, მწრთვნელები მოგვიჩინეს და ჩვენ წრთვნასა და სწავლებას შეუდგნენ. სწავლება ნ თვის წინათ დაწყებულიყო და ჩვენ ინტესიური ვარჯიშობით მათ უნდა დავწეოდით. აქ სამხედრო წრთვნას მესამეთ ვიწყებდით თავიდან, რაც იოლი და სასიამოვნო არ იყო, რადგან ნორმალური წრთვნისას ადგილი აქვს ისეთი სახის ვარჯიშობებს, რომელმაც უნდა გადაჩვიოს ადამიანი უფროსის ბრძანებისადმი კრიტიკულ მიდგომას, მიაჩვიოს მის მსწრაფ შესრულებას და გამოუმუშაოს სიმარდე და ფიზიკური ამტანლობა. ამ მიზანს ემსახურებოდა ჩვეულება, რომ ყველა უფროს კლასელ მოსწავლეს უფლება ჰქონდა უმცროსისათვის ნებისმიერი ბრძანება გაეცა და მისი შესრულება აეძულებინა. ბრძანებები არ იყო სასიამოვნო, როგორც: დაწექი, ადექი, საწოლ ქვეშ გაძვერი, მიწაზე გაფოფხდი, მაგიდას გადაახტი, იმღერე, იცეკვე· და სხვა.. ეს ჩვეულება იუნკერთა სასწავლებელშიც შემოიღეს ყოფილმა კადეტის კორპუსის მოწაფეებმა. მართალია ჩვენდამი ამ ნაირ წვალებას ერიდებოდნენ ისე საბერძნეთში, როგორც პოლონეთში; მაგრამ თვით ამის ყურებაც საკმარი იყო, რომ დაგვხმარებოდა დისციპლინის გამომუშავებაში. პროგრამა და სწავლების წესი პოლონეთსა და საბერძნეთ შორის განსხვავდებოდა. თუ საბერძნეთში თეორიული განათლება სჭარბობდა, აქ მთავარი ყურადღება პრაქტიკულ გაწვრთნაზე იყო მიქცეული.

პოლონეთში მომავალ ოფიცერს ჯერ ერთ წლიანი ე.წ. პოდხორუნაყების სკოლა უნდა დაემთავრებინა და შემდეგ ორ წლიანი თავის სპეციალობის სკოლა. სკოლის ინსტრუქტორ მასწავლებლები შერჩეული იყვნენ განათლებულ და ომში გამოცდილ ოფიცერთაგან უმთავრესათ ყოფილ “ლეგიონერთაგან”, რომლებიც პირველი ომის დროს შექმნა მარშალმა პილსუდცკიმ. წვრთნაში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ფრანგი ოფიცრები, რომლებიც იმ დროს ეხმარებოდნენ მათ ჯარის შექმნაში. დიდ ყურადღება ექცეოდა ფიზიკურ აღზრდას , ამტანლობის გამომუშავებას. გარდა ამისა ყოველი წლის ბოლოს მოწაფეებს პოლკებში აგზავნიდნენ რამდენიმე თვით ჯარის კაცთა აღზრდაში მონაწილეობის მისაღებათ. ცხადია ასეთი თეორიული და პრაქტიკული მომზადების შემდეგ ურიგო ოფიცრები არ დაგვდგებოდით. მით უმეტეს, რომ თავს არ ვიზოგავდით პირნათლათ შეგვესრულებინა დაკისრებული მოვალეობები.

დასრულდა ბოლოს ჩვენი მოწაფეობა. მივიღეთ კონტრაქტის ოფიცრების ხარისხები და მიგვავლინეს სხვა და სხვა პოლკებში.

სკოლაში ყოფნისას დროს ჩვენთან კავშირში იყო და მზრუნველობა არ შეუწყვეტია გენერალ ჩხეიძეს. ბინას ჩვენს ახლოს ქირაობდა და სკოლაში ხშირათ მოდიოდა ჩვენი ვინაობის გასაგებათ. მისი საშუალებით ვიცოდით, რა ხდებოდა საქართველოში, როგორ ეწინააღმდეგებოდა ქართველი ხალხი დამპყრობლებს, რა იყო სვანეთის, ხევსურეთის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბრძოლები, 1924 წლის აჯანყების ულმობელათ ჩაქრობა.

სკოლის დამთავრებამ, ოფიცრის ხარისხების მიღებამ სხვა და სხვა პოლკებში მივლინებამ იუნკრები ერთმანეთს მოგვაშორა, მაგრამ ჩვენ ერთმანეთთან კავშირი არ შეგვიწყვეტია, პირიქით უფრო მჭიდრო კავშირის დასამყარებლად შევქმენით "იუნკერთა კავშირი". შევიმუშავეთ წესდება და გადავწყვიტეთ საკუთარი ჟურნალის "მხედარი"-ს გამოშვება ქართულ ენაზე პარიზში. კავშირის წესდება უმთავრეს მიზნად ისახავდა საქართველოს დამოუკიდებლობისთავის თავდადებულ შრომას და ბრძოლას. ჟურნალში კი უნდა გაშუქებულიყო შემდეგი საკითხები :

1. საქართველოში მიმდინარე მოვლენების თვალყურის დევნება.
2. სამხედრო ხელოვნების გაღრმავება.
3. საქართველოს ტერიტორიის შესწავლა სტრატეგიული თვალსაზრისით.
4. დიდი ქართველი მხედართმთავრები წარსულში და მათი წაგებული და მოგებული ომები.
5. ზრუნვა დაქსაქსულ ქართველ ემიგრანტთა ერთიანობისათვის.
6. კულტურული შემოქმედება საქართველოში: ლიტერატურა, მხატვრობა, ხელოვნება.

წელიწადში ერთხელ ვმართავდით იუნკერთა კავშირის კრებას. აქ გამგეობა ანგარიშს აბარებდა გასული წლის მუშაობის შესახებ. ირჩევდა ახალ გამგეობას და ისახავდა ახალ მიზნებს.

გამგეობის თითქმის მუდმივი და აქტიური წევრები იყვნენ: დავით ლადიძე, ვანო ნანუაშვილი, ნიკოლოზ მათიკაშვილი. მათ ზურგს უმაგრებდნენ და ყოველ მხრივ ეხმარებოდნენ: კალოდია ლადიძე, პეტიკო თაყაიშვილი, მიხეილ კვალიაშვილი, ფარნაოზ ნუცვლიშვილი, ლადო მახარაძე და პარიზში მყოფი "მხედარის" გამომცემელი, დოლიკა ვაჩნაძე.

დღეს ვერ ვიტყვი რამდენ წელიწადს გრძელდებოდა "მხედარის" გამოცემა ან რამდენი ნომერი გამოვიდა (იბეჭდებოდა სამ თვეში ერთხელ). მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლში მთელი მასალა რაც კი იუნკერთა კავშირის მუშაობას შეეხებოდა დამეწო.

უნდა აღვნიშნო, რომ წესდებით განსაზღრული მიზნებიდან ზოგიერთი ვერ განვახორციელეთ მასალის უქონლობის გამო, რადგან საქართველოში დაგროვილ მასალასთან მიდგომა არა გვქონდა . მეორე მსოფლიო ომის მოახლოება იგრძნობოდა, ახლოვდებოდა დიდი არევ დარევის ხანა. და გაფრთხილებით ქართულ ემიგრანტულ საზოგადოებას ფხიზლად ყოფილიყვნენ, ძალთა ერთიანობაზე ეზრუნვათ და ვისაც ამისი შესაძლებლობა ჰქონდათ პოლიტიკური ნაბიჯები გადაედგინა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

იუნკერთა კავშირი არსებობდა დამოუკიდებლად, ვისიმე ზედგავლენის გარეშე. ცდები, რომ პოლონეთის მთავრობას ეცნო იუნკერთა კავშირი უშედეგოთ დამთავრდა. ალბათ ერიდებოდნენ რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებას. რაც შეეხება საქართველოს პარიზში მყოფ მთავრობას და მის პოლონეთში წარმომადგენელს ვენ. ზაქარიაძეს იუნკერთა კავშირისა და მისი ორგანოს "მხედარისადმი" არავითარი მზრუნველობა არ აღმოუჩენიათ და არც დახმარება გაუწევიათ. პარიზში გადმოსახლებულთ პროლეტართა შეერთებისკენ სწრაფვა არ შეუწყვეტიათ: პატრიოტულად განწყობილთ თავიანთ მტრებად სთვლიდნენ და მათთან თანამშრომლობის ნაცვლად სიცოცხლეს უმწარებდნენ. ასე იყო ვენ. კვინიტაძესადმი. ოჯახით დატვირთულ მთავარ სარდლისთვის არ შეუთავაზებიათ გატაცებულ სახსრებით ნაყიდ ლევილის მამულში დასახლება, არც დაინტერესებულან როგორ ინახავდა საკუთარი შრომით ოჯახს. ღირსეულად არ მოექცნენ ნამარ ნაწვალებ ქაქუცა ჩოლოყაშვილს და მის მეფიცულებს ემიგრაციაში გამოსვლისას. ნაცვლად იმისა, რომ პატივი ეცათ მათ გმირობისათვის და დახმარებოდნენ არსებობის მოწყობასა და მუშაობის შოვნაში, ფიზიკურ შეურაცხყოფასაც არ იშურებდნენ. ამაზე დაწვრილებით მოგვცა ცნობები ქაქუცას მარჯვენა ხელმა ალ. სულხანიშვილმა თავის მოგონებებში. დაახლოებით ასეთივე მიდგომა ჰქონდათ ჩვენდამი, იუნკერთა კავშირისადმი.

მეორე ომის წინა პერიოდში პოლონეთში მიმდინარეობდა მუშაობა სახელწოდებით "პრომეთეიზმი". მისი მიზანი იყო საბჭოთა კავშირის დანაწილება და განთავისუფლებულ ერებთან მჭიდრო პოლიტიკური კავშირის დამყარება. საქართველოს მომავალი არსებობა მათ წარმოედგინათ როგორც კავკასიის ერთა კონფედერაციის წევრისა. შეიმუშავეს სათანადო პროექტი და მას ხელი მოაწერეს ვარშავაში და შემდეგ ბრიუსელში. ამ კონფედერაციის ერთერთმა წევრმა მთიულეთის წარმომადგენელმა ვაიდარ ბამატმა ერთ მშვენიერ დღეს განცხადებით მიმართა ორგანიზაციის პოლიტიკურ ხელმძღვანელ მინისტრ შეტცელს, რომელშიაც დაკარგულად სთვლის პოლონელების მიერ გაწეულ შრომას და ზრუნვას კონფედერაციის შექმნისთვის და უარს აცხადებს შემდეგში ამ ორგანიზაციასთან

თანამშრომლობაზე. თავის საქციელს ასბუთებს შემდეგით: საქართველოს სოციალ დემოკრატები არასდროს არა ყოფილან თავისი ქვეყნის პატრიოტები. 1918 წელს, ხელისუფლება ხელთ იგდეს რუსეთის ჯარისკაცთა დახმარებით, რომლებიც ამ დროს კავკასიის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ. შემდეგში რუსეთში ჩატარებულ კონფერენციაზე რუსეთის ერთიანობის დამცველათ და სეპარატიზმის წინააღმდეგ გამოვიდნენ. კავკასიის კონფედერაციაზე არასდროს არ უფიქრიათ. პარიზში ჩასვლაზე ნოე ჟორდანიამ სწრაფათ დაამყარა კავშირი რუსეთის სოციალ დემოკრატიასთან. განუცხადა მათ, რომ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება ნაკარნახევი იყო შექმნილ მდგომარეობით და რომ საქართველოს სოც.დემოკრატებს ვერ წარმოუდგენიათ საქართველოს არსებობა რუსეთის სოციალ დემოკრატებთან მჭიდრო კავშირისა და თანამშრომლობის გარეშე. კონფედერაციის მოღვაწენი ყალბი მისამართით მუშაობენ იმ პიროვნებებთან, რომელთაც კავკასიაში ეროვნულ საკითხთან არავითარი საერთო არა ჰქონიათ. იძულებული ვარ სვინდისის კარნახით და პოლონელთადმი პატივისცემის გრძნობით უარი განვაცხადო იმ მუშაობაში, რომელიც ადრე თუ გვიან თვალთმაქცობით, მოტყუებით რამდენიმე პიროვნების მიერ სადსრების დაცინცლათ და საკუთარ განზრახვათა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებათ გადაიქცევა. მიკვირს აცხადებს განცხადების დასასრულში გაიდარ ბამატი, რომ პოლონელები ასეთ გულჩვილობას იჩენენ იმათადმი, ვინც წარსულში რუსეთის ხელდავლების ქვეშ მყოფი აგენტები იყვნენ, დღეს კი იმ საერთაშორისო ძალებს ეკუთვნიან, რომელნიც საბჭოთა კავშირს თავისი საქმიანობით ზურგს უმაგრებენ."

სოციალ დემოკრატებისა და საქართველოს მთავრობის დახასიათებაში დასამატებელი არაფერია და ჩვენ მიერ ზევით გამოთქმულ ქართულ მთავრობის შეფასებას არ ეწინააღმდეგება.

ვიდრე შევუდგებოდე იუნკერთა ბედის აღწერას მეორე მსოფლიო ომში საჭიროა მოვიხსენო, რომ პოლონელებმა თავის ჯარში მიღებით კარი გაუხსნეს არა მარტო იუნკრებს. მათ სამხედრო სამსახურში მიიღეს უფროსი ოფიცრობაც და საშუალება მისცეს სამხედრო სასწავლებლებსა და სპეციალურ კურსებზე თავიანთი ცოდნა გაეღრმავებინათ. ესენი იყვნენ: გენერლები: ყაზბეგი, ბაქრაძე, კონიაშვილი, ზაქარიაძე და ჩხეიძე - 6 კაცი.

პოლკოვნიკები: გველესიანი, გაჩნაძე, მიქელაძე, ბაგრატიონი, კანდელაკი, კვიკვიძე, ერისთავი, და თევზაძე - 9 კაცი.

მაიორები: ქუთათელაძე დავითი, ქუთათელაძე ბიძინა, ტერიაშვილი კონსტანტინე, კოხიაშვილი ალექსანდრე, შალიკაშვილი დიმიტრი, სიამაშვილი ლადო, ფაღლენიშვილი გიორგი, არონიშიძე არტემი, ალავიძე ალექსანდრე, ყიფიანი ალექსანდრე, მაჭავარიანი დავითი - 11 კაცი.

კაპიტნები: კვალიაშვილი ლევანი, კანდელაკი მიხეილი, ინჯია ვასილი, გაჩნაძე დავითი, მამალაძე ზენონი, რუსიაშვილი მიხეილი, კლიმიაშვილი დავითი, ქავთარაძე ივანე, ჭყონია - 9 კაცი.

ამათგან მაჭავარიანი ლევანი გარდაიცვალა მეორე მსოფლიო ომის წინ. დასაფლავებულია გილრიში.

მამალაძე ზენონი, მისი გვამი იპოვეს ომის დროის კატინის დახვრეტილთა სასაფლაოზე.

ჭყონია – მფრინავი დაიღუპა თვითფრინავის ავარიაში 1989 წლამდის, დასაფლავებულია ვარშავაში.

პოლკ. ნიკოლოზ გაჩნაძე გარდაიცვალა გერმანიაში ტყვეობაში, დასაფლავებულია ბუხენვალდის სასაფლაოზე ბერლინის მახლობლათ.

გვამის სექციის დროს კუჭში აღმოაჩნდა პატარა ბოთლის ნამტვრევები შხამით (თავი მოეწამლა).

იუნკრები :

1. ნანუაშვილი ივანე – სამხედრო აკადემია დამთავრებული. გერმანელებთან ომის დროს ქვეითა ჯარის დივიზიის საოპერაციო დარგის უფროსი. გამოირჩეოდა ნიჭიერებით და შესანიშნავი მეხსიერებით, სამხედრო ხელოვნების ღრმა ცოდნით, ხასიათის სიმტკიცით. მოახერხა ტყვეობიდან გაქცევა და იქიდან მონაწილეობდა ომში გერმანელთა წინააღმდეგ. ომის შემდეგ გადავიდა საცხოვრებლათ ამერიკის შეერთებულ შტატებში. იქ თავს ირჩენდა ავტომანქანის მძღოლობით. დაწერა ინგლისურ ენაზე შრომა სათაურით "რა უნდა იცოდეს ყველა ადამიანმა საბჭოთა კავშირზე". ეს შრომა დიდი წარმატებით სარგებლობდა. იყო ბურჯი და აქტიური წევრი იუნკერთა კავშირისა. მონაწილეობას იღებდა "მხედარის" შრომებში. ამერიკაში დაავადდა და გარდაიცვალა კალიფორნიაში. სხეულის გასინჯვისას აღმოუჩინეს კუჭის კიბო

2. მათიკაშვილი ნიკოლოზი – სამხედრო აკადემია დამთავრებული. მსახურობდა ლეგიის ქვეითა მე-19 პოლკში . მის შემადგენლობაში

მონაწილეობა მიიღო გერმანელებთან ომში პოლკის ტაქტიური ადიუდანტის (შტაბის უფროსის) თანამდებობაზე. პოლონეთში ტყვეობიდან დაბრუნებული გაიწვიეს განახლებულ ჯარში : მსახურობდა სამხედრო სამინისტროში ქვეითა ჯარის წრთვნის დარგში, იყო იუნკერთა კავშირის აქტიური წევრი და "მხედარის" თანამშრომელი. წევრი პოლონეთში აღმოსავლეთ მცოდნეთა კავშირისა, თანამშრომლობს მათ ჟურნალ "ფშეგლონდ ორინტალისტიჩში".

იმის დასახასიათებლათ თუ რა უბედურებაა ომი და როგორ ვებრძოდით გერმანელებს პოლონეთთა ჯარის რიგებში, მოვიყვან ორ შემთხვევას ჩემი პოლკის ბრძოლებიდან, რომლებიც ალბათ წააგვავს ჩემ ამხანაგ იუნკერთა ბრძოლებსაც.

1939 წლის 18 სექტემბერს, ჩვენ პოლკს დავალებულ აქვს დაიცვას მდინარე ვისლის მარჯვენა ნაპირი ქალაქ პლუცკის მიდამოებში. დასაცავი ნაკვთის სიფართე 16 კილომეტრს აღემატება. ეს პოლკისთვის კი არა დივიზიისთვისაც გადაჭარბებული სივრცეა. პოლკმა ვერ შესძლო პოზიციის მთელი სივრცის ერთეულებით ამოვსება და ერთ ადგილას გერმანელებმა მდინარე გადალახეს. უკუიერიშმა და დიდი დანაკარგით წარმოებულმა ბრძოლებმა უშედეგოთ ჩაიარეს. გადმოვინაცვლეთ ხელსაყრელ ახლო მდებარე პოზიციებზე და გერმანელებს წინ წამოწევის საშუალებას არ ვაძლევთ. მთელი ფრონტის სიგანეზე გახურებულ ბრძოლით წინ გვიდგას გერმანელთა მე-8 დივიზია, რომელიც ჩვენ ერთეულს ძალებით და იარაღით 8 ჯერ აღემატება და ამის გარდა მის განკარგულებაშია მძიმე არტილერიის ბატარეა. პოზიციის ცენტრში პოლკის უფროსის ადგილსაყოფია, ტელეფონით კავშირშია ყველა ერთეულების უფროსებთან. თავის გვერდით, თხრილებში მოთავსებული ჰყავს მცირე რიცხოვანი მარაგი პოლკის დამხმარე ერთეულისგან. შუაღამე გადასულია, ყველაზე გართულებული მდგომარეობა ჩვენ მარცხენა ნაკვეთზეა, რომელსაც ათასეულის უფროსი მაიორი ბეშჩანინი განაგებს. ხშირ ხშირათ გვირეკავს გაჭირვებას გვაცნობს, დახმარებას თხოულობს. არტილერის, ტყვიამფრქვევთა, ხელყუმბარათა ქარცეცხლში ვერთ ჩვენცა და მაიორ ბეშჩანინის ერთეულიც. ვეღარ ვუძლებ, უნდა დავიხიო , გადმოგვცა ტელეფონით და ტელეფონით კავშირიც შეწყდა.

უკუიერიშზე გადავდივართ, გვიბრძანა პოლკის უფროსმა. წამოაყენეთ მარაგი და მომყევით. სამხადისში მყოფი ტკბილ ძილს მიცემული ჯარის კაცები სწრაფათ წამოვაყენეთ და გაშლილ ფრონტათ მივიწევთ წინ. მიწა იძრევა ზარბაზნის ყუმბარათა აფეთქებისგან ჩვენ წინ და ჩვენ წყობილებაში. გერმანელებს ჩვენი შეჩერება სურთ. ეცემიან დაჭრილ დახოცილნი, რამდენიმე წუთის წინ ტკბილათ მძინარე ჯარის კაცები. მივიწევთ წინ, უკან ვაბრუნებთ დახევაზე გადასულ ათასეულს. ჩავებით ხელჩართულში. ორივე მხრივ ულმობელობაა. ჩასაფრებული გერმანელები დიდ ზიანს გვაყენებენ, მათმა ვვამებმაც დაფარა გარემო დაჭრილი დახოცილებით. ხელჩართულს ვერ უძლებენ. გარბიან, მივდევთ. ათასეულის პოზიციის აღდგენამდის.

მეორე შემთხვევა .

პოლკი პოზიციებს იცვლის. დილაა. პოლკის უფროსთან ერთათ მოტოციკლეტით ერთეულების მოძრაობას ვამოწმებთ და ვაწესრიგებთ. ვერთ გზის იმ ნაკთში , რომელიც ორ ხშირი ტყით დაფარულს ფერდობთ შუა ვიწრო მოედინება. გვესმის ყუმბარათა აფეთქების ხმა და რას ვხედავთ? შემოჭრილა ამ ტყიან სივიწროეში ექვს ცხენ შებმული არტილერის ყუმბარათა მზიდველი ერთეული და ქუხილი გააქვს ყუმბარათა აფეთქებას. ცხენების ყოველ წინ წამოწევაზე ფეთქდება მიწაში ჩამარხული ნაღმები. ერთმანეთში იხლართებიან და ერთმანეთს მიათრევენ დაჭრილი, სისხლში ამოსვრილი, ზოგჯერ ნახევარ ფეხ მოგლეჯილი ცხენები. სხედან თვის ადგილზე თავის ქალა ახდილი მძღოლები, ხელებში გაჰყინვიათ აღვირების თასმები. გამოსავალი არ არის არც წინ არც უკან არც ადგილზე მობრუნება არ შეიძლება. ამ ვითარებაში, რომელიდაც ნაცვლის ტანსაცმლიანი ჯარის კაცი: თოფით ხელში სირბილით მიჰყვება ცხენთა რიგს და ყველა ცხენს მიუხედავათ ამისა დაჭრილია თუ არა სიცოცხლეს უსპობს. ამ საშინელების მაცქერელს გული მწუდება რომ ვერავითარი შველის აღმოჩენა შემეძლო. დღეს ამ განცდის მოგონება თვალწინ მიყენებს ტირიფონის ველზე გაყინულ უდანაშაულო ცხვრის ფარას, რომელიც ამავე ომის წყალობით იღუპებოდა.

8. დავით ლადიძე: ჯერ არტილერიის კაპიტანი და შემდეგ უმაღლეს სასწავლებელ დამთავრებული ინტენდანტი. საბერძნეთში ყოფნის დროს ჯგუფის უფროსი. მაღალი ზნეობის ადამიანი. სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით ამხანაგების, უფროსების და პოლონეთის საზოგადოების მხრივ, რომელთანაც კავშირი გააბა და დიდათ მიღებულაც იყო. ჰქონდა

მშვენიერი ხმა და თავის სიმღერით არა ერთი სიამოვნება მოუგვრია მსმენელისათვის. ცოლად შეირთო ექიმ ივანე გომართელის ქალი პარიზის ემიგრაციაში მყოფი თამარი და მასთან ერთად ომის დამთავრების შემდეგ პარიზში გაიხიზნა.

1939 წელში ალყა შემორტყმულ ვარშავის მცხოვრებლებს და ჯარს დიდი დახმარება გაუწია, როგორც საინტენდანტო დარგის მუშაკმა. სამხედრო საწყობებიდან ამარაგებდა მათ სანოვაგით. იუნკერთა კავშირში მუდამ ვირჩევდით გამგეობის თავჯდომარეთ და ისიც სამაგალითოდ ასრულებდა თავის როლს ჩვენი ერთსულოვნობის და ძმური კავშირის დამყარებაში. გარდაიცვალა და დასაფლავებულია პარიზში.

4. აბაშიძე ვახტანგი მე-18 ქვეითა პოლკის კაპიტანი. გერმანელებთან ომში მონაწილეობა მიიღო ბრძოლებში ვარშავის მიდამოებში. გერმანელების ოკუპაციის დროს მონაწილეობას იღებდა გერმანელებთან ბრძოლებში "არმია კრაიოვას" (სახალხო ლაშქარის) რიგებში. ომის შემდეგ გაიხიზნა გერმანეთში, სადაც გარდაიცვალა.

5. ხუნდაძე გენადი: გერმანელებთან ბრძოლებში მონაწილეობა მიიღო მე-25 ქვეითა პოლკის შემადგენლობაში. პოლონეთის ოკუპაციის დროს მონაწილეობდა პარტიზანულ ბრძოლებში. დაიღუპა პარტიზანთათვის სამხედრო აღჭურვილობის მოპოების დროს. დასაფლავებულია პოლონეთში.

6. მრევლიშვილი გიორგი: კაპიტანი იბრძოდა გერმანელებთან ქვ. ჯარის მე-25 პოლკში. გარდაიცვალა და დასაფლავებულია გერმანეთში.

7. ციბაძე ლადო: ქვ. ჯარის ლეიტენანტი. იბრძოდა ლიუბლინის ქვ. ჯარის პოლკის რიგებში. პოლონეთში შემოსვლისას ბოლშევიკებმა დააპატიმრეს და 10 წლით ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს. გადასახლებიდან დაბრუნებულ სუსტი და დასნეულებულ, გარდაიცვალა და დასაფლავებულია ქალაქ ლუბლინში.

8. ლობჟანიძე ილარიონი: ქვ. ჯარის კაპიტანი . დაამთავრა უმაღლესი საინტენდანტო სასწავლებელი. მონაწილეობა მიიღო გერმანელებთან ბრძოლაში. ომის შემდეგ დასახლდა დასავლეთ პოლონეთში, სადაც ცხოვრობს დღემდის.

9. ჯავახიშვილი გიორგი: ქვ. ჯარის კაპიტანი. იბრძოდა გერმანელებთან, ჯერ პოლონეთში და შემდეგ დასავლეთში ინგლისის მხრიდან, როგორც ათასეულის უფროსი. გარდაიცვალა და დასაფლავებულია ინგლისში.

10. სომხიანცი მელიქი: ტომით სომეხი, საქართველოს ერთგული. გერმანელებთან ბრძოლებში მონაწილეობდა პოლონეთის ტერიტორიაზე და ინგლისის მხრიდან. ცხოვრობს ინგლისში.

11. კაკაბაძე ილია: ქვ. ჯარი

12. ბახუტაშვილი: გარდაიცვალა 1922 წელს პოდხორუნჟების სკოლაში ყოფნისას. დასაფლავებულია ვარშავაში.

13. პეზელი ლევანი: გარდაიცვალა 1922 წელს პოდხორუნჟების სკოლაში ყოფნისას. დასაფლავებულია ვარშავაში.

14. ბალახვანელი საველი: ქვ. ჯარის ლეიტენანტი. მსახურობდა ქვ. ჯარის 33-ე პოლკში ქალაქ ლომჟაში. გარდაიცვალა 1939 წლამდის. დასაფალავებულია ქალაქ ლომჟაში.

15. თინიკაშვილი ბორისი: ემიგრანტობა ვერ აიტანა და ფსიქიკურათ დაავათმყოფებული დაბრუნდა საქართველოში 1922 წელს.

16. აბულაძე პროპკოფი: არტილერისტი. გაანება სამხედრო სამსახურს თავი. გადასახლდა პარიზში, სადაც გარდაიცვალა.

17. კიკიანი –

18. ყიფიანი დავითი: ქვ. ჯარის კაპიტანი. სამხედრო აკადემია დამთავრებული. მსახურობდა ქალაქ რუჟანის სამხედრო სასწავლებელში ინსტრუქტორათ. თავი მოიკლა 1939 წლამდის და დასაფლავებულია რუჟანში.

19. ყიფიანი: ქვ. ჯარის ლეიტენანტი. გარდაიცვალა 1939 წლამდის. დასაფლავებულია ქალაქ ლოდზში.

20. რატიშვილი ტატო: არტილერიის კაპიტანი. სამხედრო აკადემია დამთავრებული. ნიჭიერი, მუსიკის მოყვარული. მათემატიკის ღრმათ მცოდნე. ბოლშევიკთა პოლონეთში შემოსვლის დროს დატუსაღებული, ბანაკში მოკლა დარაჯმა.

21. ლალიძე დიმიტრი: მე-16 ცხენოსან პოლკის ლეიტენანტი. 1939 წლამდის დაბრუნდა საქართველოში, სადაც 1930 წელს დახვრეტილ იქნა ბოლშევიკების მიერ.

22. ლალიძე ლადო: სამხედრო აკადემია დამთავრებულ არტილერიის კაპიტანი, იბრძოდა გერმანელების წინააღმდეგ პოლონეთში. შემდეგ გენერალ ანდერსის ჯარების რიგებში დასავლეთის ფრონტზე. გარდაიცვალა და დასაფლავებულია ლონდონში.

23. ფურცელაძე პავლე: არტილერიის კაპიტანი. მსახურობდა მსუბუქ არტილერიის პოლკში კრაკოვში. იბრძოდა პოლონეთის ტერიტორიაზე შემდეგ დასავლეთის ფრონტზე.

24. წითლანაძე თადეოსი: არტილერიის კაპიტანი. მსახურობდა მსუბუქ არტილერიის მე-

17 პოლკში ქალაქ გნიეზნოში. ცხოვრობს დასავლეთ პოლონეთში.

25. **ზაუტაშვილი იოსები:** არტილერიის კაპიტანი. მსახურობდა მსუბუქი არტილერიის პოლკში კრაკოვში. ომის შემდეგ იყო ინსტრუქტორად საარტილერიო სასწავლებელში. შვილთან ერთად დაიღუპა ავტომანქანის კატასტროფაში. დაჯილდოებული იყო მოქანდაკის ნიჭით. დასტოვა ამ დარგში მრავალი ნატიფი ნამოღვაწარი.

26. **თაყაიშვილი პლატონი:** მფრინავთ საწინააღმდეგო არტილერიის კაპიტანი. ომის შემდეგ პოდპოლკოვნიკი, საპაერო ჯართა თავდაცვის უფროსი. ჯარიდან განთავისუფლების შემდეგ დასახლდა ქალაქ პოზნანში, სადაც გარდაიცვალა.

27. **ნიკოლაძე შოთა:** არტილერისტი. 1939 წლამდის დასტოვა სამხედრო სამსახური, გადასახლდა პარიზში დაამთავრა უნივერსიტეტი და როგორც ინჟინერი ელექტრონიკისა მსახურობდა. გარდაიცვალა პარიზში.

28. **ბოკუჩავა გრიგორი:** მიატოვა სამხედრო სკოლა. გადასახლდა გერმანეთში. შემდეგ დაბრუნდა ვარშავაში, სადაც გარდაიცვალა 1939 წლამდის.

29. **მახარაძე ლადო:** არტილერიის კაპიტანი. სამხედრო აკადემია დამთავრებული. პირველი მსხვერპლი იყო პოლონეთ-გერმანეთის ომის. გერმანელებმა ომის გამოცხადებამდის პოლონეთის ჩრდილო დასავლეთ საზღვარზე მოაწყვეს პროვოკაციულ სამხედრო გამოსვლები. ის, როგორც დივიზიის შტაბის უფროსი, თავის დივიზიის უფროსთან ერთად ავტომანქანით წავიდა მდგომარეობის ადგილზე შესამოწმებლათ. გზაში წააწყდნენ მიწაში ჩაფლულ ნაღმს და ორივენი დაიღუპნენ.

30. **დადიანი მიხეილი:** კავალერიის ლეიტენანტი. მსახურობდა ლვოვის ცხენოსან პოლკში. ისეთი გაწრთვნილი ცხენი ჰყავდა, რომ ხალხით სავსე ყავახანაში ცხენდაცხენ შედიოდა, დარბაზის ყველა მდგომებს შემოუვლიდა გისიმე შეუხებლათ, და გამოვიდოდა გარეთ. დაანება სამხედრო სამსახურს თავი, გადასახლდა პარიზში და შემდეგ ვგონებ ამერიკაში, სადაც უნდა ცხოვრობდეს დღემდის.

31. **ერისთავი:** დატოვა სამხედრო სამსახური და გარდაიცვალა პარიზში.

32. **იაშვილი:** ერთერთი ცხენოსანი ჯარის ლეიტენანტი. მსახურობდა მე-7 ცხენოსანთა პოლკში პოზნანში. პოლონეთში შემოსვლისას ბოლშევიკებმა დააპატიმრეს და 10 წლით გადასახლება მიუსაჯეს ციმბირში. იქ ჰავა ვერ აიტანა, დაჭლექდა. ნება მისცეს თბილისში ძმასთან დაბრუნებისა, სადაც გარდაიცვალა.

83. **ბაქრაძე ივანე:** მე-17 ულანთა პოლკის როტმისტრი. მიიღო მონაწილეობა გერმანელებთან ომში. ომის შემდეგ დასახლდა ევროპაში.

84. **უგრეხელიძე ვიტალი:** როტმისტრი. ცხენოსანი. მსახურობდა ლვოვში. მიიღო მონაწილეობა გერმანელებთან ბრძოლებში. ომის შემდეგ დასახლდა ლონდონში, სადაც დაავადდა ფსიქიკურათ.

85. **ჩხეიძე დავითი:** როტმისტრი. მსახურობდა მე-6 ცხენოსანთა პოლკში ჟულკევში. გარდაიცვალა 1939 წლამდის. დასაფლავებულია ქალაქ ლვოვში.

86. **ჩხეიძე გრიგოლი:** როტმისტრი. მსახურობდა ულანთა მე-2 პოლკში პოზნანში. გარდაიცვალა 1939 წლამდის და დასაფლავებულია პოზნანში.

87. **კობიაშვილი სვიმონი:** სამხედრო აკადემია დამთავრებული. გერმანელებთან ბრძოლებში მონაწილეობა მიიღო როგორც ბრიგადის შტაბის უფროსმა. მისი ბრიგადის უფროსი თავის მოგონებებში დიდებით აფასებს მას, როგორც ჩინებულ მხედარს და შტაბის ოფიცერს. ომის შემდეგ დასახლდა ამერიკაში, სადაც გარდაიცვალა.

88. **კვალიაშვილი მიხეილი:** მე-16ე ულანთა პოლკის როტმისტრი. მსახურობდა პოზნანში. ბოლშევიკებმა პოლონეთში შემოსვლის დროს დააპატუსაღეს და 10 წლით ციმბირში გადაასახლეს. შემდეგ კიდევ ერთი წელიწადი მიუმატეს. 11 წლის შემდეგ პოლონეთის მთავრობამ გადასახლებიდან დააბრუნა პოლონეთში, მისცენ ბინა, გაუწიეს დახმარება და პოდპოლკოვნიკის ხარისხი მიანიჭეს. ამით დიდი შვება მისცეს მის მეუღლეს, რომელიც 8 პატარა ქალიშვილით გაჭირვებით ცხოვრობდა. ჯარიდან განთავისუფლების შემდეგ მუშათა პოზნანის სამხედრო მუზეუმში დირექტორის მოადგილეს თანამდებობაზე დაინიშნა. მოახერხა ფართო კავშირის გაბმა ყველა ქართულ კულტურულ კერებთან საქართველოსა და მის გარეთ, აგრეთვე კერძო მოღვაწეებთან. შუამდგომლობდა მათ მიერ ურთიერთთან კავშირის დამყარებასა და შრომათა გაცვლა გამოცვლაში. დაწერა და გამოქვეყნება ვერ მოასწრო შრომა ქართველ კათოლიკეთა ვინაობაზე საქართველოში. გარდაიცვალა ქალაქ პოზნანში. რამდენათ გულმოდგინე პატრიოტი იყო და მისი ჭირვარამის მოჭირნახულე, სჩანს მის მიწერ მოწერიდან. მოვიყვან აქ ერთ მათგანს დათარიღებულს 1957 წლის 7 თიბათვით: "ორიოდე სიტყვა ჩემი თავგადასავლიდან. ვიყავი ა. კ-ას

(არმია კრაიოვა) რიგებში 1946 წლამდე. როდესაც პოზნანში პოლონეთის ჯარი შემოვიდა, გამოვცხადდი და ისევ მის რიგებში ჩავდექი. 1946 წლის 5 აპრილს, საბჭოთა ნ.კ.ვ.დ.-მ ბევრი ძველი ოფიცრები დაატუსაღა და მათ შორის გრიშა იაშვილი და მეც. მიგვისაჯეს რუსეთის ჩრდილოეთ წრეში 10 წლით გადასახლება. იქ მეორეჯ გამასამართლეს და კიდევ ერთი წელიწადი დამიმატეს. ნიჩბით და წერაქვით გვამუშავებდნენ ქვანახშირის საბადოებში. სასჯელის მოხდის შემდეგ კიდევ 18 თვე ველოდდი პოლონეთში დაბრუნების ნებართვას და ბოლოს 1956 წლის 5 სექტემბერს დავუბრუნდი ოჯახს. რაც მე იქ ავიტანე აქ ვერ აგიწერ. საწყალმა გრიშამ ყველაფერი ეს ვერ აიტანა. ჯერ ფილტვების გაგანიერება დაემართა, შემდეგ გულზე გადავიდა და საქართველოში თავის ძმა სიმონიკასთან დაბრუნდა. გეხსომება ჩვენი ამხანაგი უმცროს კურსელი იუნკერი. საქართველოში ჰავის რადიკალური შეცვლა ვერ აიტანა და 1956 წლის 15 ნოემბერში გარდაიცვალა. მე 1956 წ. სახლში დავბრუნდი და რომ მოვიგონებ რაც გადამხდა, მიკვირს რომ ცოცხალი ვარ. მომცეს მაიორის ხარისხი და სათანადო პენსია პოზნანში პატიკო თაყაიშვილია ჯარიდან განთავისუფლებული სამხედრო პენსიით. იმისგან გავიგე, რომ შენ, მაიორები ალავიძე და არონიშიძე, ტურაშვილი, წითლანაძე აქა ხართ. კავშირში ვარ ტოლიკო უგრეხელიძესთან და მისი საშუალებით ინგლისში მყოფ კიკნაძესთან, ხელაძესთან, ვალოდია ლალიძესთან, ჯავახიშვილთან. პარიზში კი ოდიშელიძესთან, კუკური თოხაძესთან, სიმონიკა აბაშიძესთან, შოთა ნიკოლაძესთან, ვანო ბაქრაძესთან და ვანო ვაჩნაძესთან. ამერიკაში კი მივაგენი შაქრო ცერცვაძეს, სიკო კობიაშვილს, მიშა დადიანს, ვანო ნანუაშვილს. თოხაძე მთხოვს აქ მყოფ იუნკერთა და მათი ოჯახობის მდგომარეობაზე მივწერო რამე. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მომავალში იუნკერთა კავშირი აღსდგება და თავისი პატრიოტულ მუშაობას განაგრძობს. შენ როგორმე თავს მოუარე. ვინ იცის ხვალ რა იქნება. მხედარი მოვალეობის შესრულებისთვის მუდამ მზად უნდა იყოს. გადასახლებულ ქართველებისგან ვიცი რომ საქართველოში იუნკერთა კავშირის არსებობა იციან. ახსოვთ ტაბახმელა და ამ პატარა ჯგუფზე დიდ იმედებს ამყარებენ."

ეს და სხვა ამგვარი წერილები ბევრი მაქვს მისგან მიღებული. ყველგან საქართველოს აწყმოს და მომავალს დასტრიალებს, მის ავკარგს აშუქებს და მომავალს იმედით შესცქერის. ეს მოგონებები მისი თანავტორობით უნდა დაგვეწერა. მისგან გსაჭიროებდი მხოლოდ ცნობებს იუნკერთა ვინაობაზე, რაც მან პირნათლად შეასრულა და თანაავტორობა დაიმსახურა.

89. **ნაცვლიშვილი ფარნაოზი:** როტმისტრი. მსახურობდა მე-99 ულანთა პოლკში ქალაქ გრუჯოში. 1922 წელს პოდხორუნჟების სკოლაში ყოფნის დროს, სკოლას ეწვია საფრანგეთის გენერალ. შტაბის უფროსი გენერალი (გვარი არ მახსოვს). მის პატივსაცემლათ სკლამ სამხედრო მეცადინეობა მოაწყო რემბერტოვის პოლიგონზე. ნამდვილი ტყვია წამლით, ხელყუმბარით, წადმტყორცნელებით და ზარბაზნებით. ნაცვლიშვილს ამ მეცადინეობაში წარმოების დროს ერთი ყუმბარა ლულაში გაეჭედა. ფარნაოზმა მას ნიჩაფი დაარტყა რომ ყუმბარა თავის ადგილზე შევედო. ყუმბარა აფეთქდა და მარცხენა თვალი ამოუგდო. ცალ თვალა განაგრძობდა ჯარში სამსახურს. გერმანელებთან ომში მონაწილეობა მიიღო, მოხდა ლიტვაში, იქიდან გერმანელების მიერ ოკუპირებულ პოლონეთში გადმოიპარა. გაჭირვებულ ცხოვრებას აწარმოებდა. გადავიდა დასავლეთში და იქიდან ებრძოდა გერმანელებს. ფრანგმა გენერალმა მეცადინეობის შეფასებისას ასეთი აზრი გამოსთქვა. ბევრ ომებში მიმიღია მონაწილეობა პირველ მსოფლიო ომშიც, მაგრამ ასეთ ხმაურიან და სასტიკ ბრძოლას პირველად ვხედავ.

40. **ხელაძე:** ლეიტენანტი. მიიღო ბრძოლებში მონაწილეობა პოლონეთში და ინგლისის მხრიდანაც.

41. **სხირტლაძე არკადი:** კაპიტანი, მფრინავი. დაიღუპა გერმანელებთან, საჰაერო ბრძოლაში 1989 წელს. ვარშავის აჯანყებისას, ერთ ერთ ჯვარედინ ქუჩაზე იპოვეს 12-18 წლის გოგონას გვამი, შეკვრდნის სამოსში გამოწყობილი, ჩანთაში ჩამოსარიგებელი სამხედრო ბრძანებები ედო დანიშნულებისამებრ გადასაცემათ. ამბავმა საქართველოს მიაღწია. დაინტერესდნენ და წერილით ქართველოგ პროფესორ ბრაუნს მიმართეს. მან კი მე. ავუხსენი ვისი შვილიც იყო ეს ქალიშვილი. საქართველოში პოეტმა პატიაშვილმა მას ლექსი უძღვნა, რომელიც ოჯახს გადმუთარგმნე. სხირტლაძის რაჭველმა ნათესავებმა ქერივი საქართველოში მიიწვიეს. დიდი პატივი სცეს და ალბათ მათ შორის ურთიერთობა დღემდის არ შეწყვეტილა.

42. **ადნიაშვილი დიმიტრი:** ქვ. ჯარის ლეიტენანტი. გარდაიცვალა 1989 წლამდის. დასაფლავებულია ვარშავაში.

43. ვაზბეგი ირაკლი: ჯავშნოსანთა ერთეულის ოფიცერი. მეტად ნიჭიერი და დიდ მომავლის პიროვნება . გარდაიცვალა 1939 წლამდის.
44. ლომიძე ვიქტორი: მეზღვაური. კომანდორი. გერმანალების ტყვეობიდან "ლა მანშ"-ის სრუტე გადაცურა და ინგლისში მყოფ პოლონურ ჯარებთან იბრძოდა გერმანელებთან. იყო წარმოსადეგი, ნიჭიერი, გულადი პიროვნება. გარდაიცვალა ინგლისში.
45. კიკნაძე მიხეილი: ქვ. ჯარის კაპიტანი. იბრძოდა პოლონეთში და ინგლისში. მგონებ ცოცხალია და ცხოვრობს ინგლისში.
46. თუმანიშვილი: მეზღვაური.

ამ ნაირათ პოლონეთის დახმარების წყალობით მის ჯარში სამხედრო ცოდნას ეწაფებოდა 35 უფროსი ოფიცერი და 46 იუნკერი, სულ 81 მხედარი. ამათგან 15_მა დაამთავრა სამხედრო აკადემია და ოთხმა უმაღლესი საინტენდანტო სკოლა. გარდა ამისა ყველა უფროსმა ოფიცერმა გაიარა ქვეითა ჯარის ათასეულის უფროსის და სხვა დარგის სპეციალური სასწავლებლები. ამნაირათ რიცხობრივაც და ცოდნითაც საგრძნობ ძალას წარმოვადგენდით. რომ დაგვცალოდა და დამოუკიდებლობა მოგვეპოვებინა უსათუოთ დადებით ზეგავლენას შევახდენდით ქართული ჯარის შექმნაზე.

როდესაც 1939 წლის 1 სექტემბერს გერმანელები თავს დაესხნენ პოლონეთს, პოლონეთმა თავისი ჯარი აამოქმედა. ქართველ ოფიცერთა დაზოგვის მიზნით მათ აზრათ არა ჰქონიათ ჩვენი ომში გაწვევა, ოღონდ ჩვენ ყველამ თხოვნები შევიტანეთ ჯარში გასაწვესებლათ. იმით გვინდოდა ნაწილობრივ მაინც გადაგვეხადა ჩვენზე გაწეულ ზრუნვა. შედეგათ აკადემია დამთავრებულები შტაბებში მოხვდნენ, დანარჩენებმა მიიღეს მონაწილეობა თავთავიანთ ერთეულებში ხარისხის შესაბამის თანამდებობაზე. ცნობები იმაზე თუ რა მოიმოქმედა ყოველმა მათგანმა გაბნეულია პოლონელ ოფიცერთა და ერთეულების უფროსთა მოგონებებში და ზედმეტი არ იქნება მათი ამოკრეფა და სამუზეუმო არქივში შენახვა. ჩემი მოგონებები ომის შესახებ ინახება ქალაქ პლოცკის მახლობლივ მდებარე სოფელ "დობჟიკოვოს" პირველ დაწყებით სკოლაში, სადაც მოწყობილია პატარა სამხედრო მუზეუმი და სკოლას დობჟიკოვოს დამცველთა სახელი ჰქვია.

პოლონეთი დამარცხდა და გერმანელეთა ოკუპაციაში მოხდა. ბრძოლა მათ არ შეუწყვეტიათ. შექმნეს პარტიზანული რაზმები, რომელშიც ქართველი ოფიცრებიც იღებდნენ მონაწილეობას.

როდესაც 1939 წელს გერმანელები ვარშავას მოადგნენ, ვარშავა თავდაცვისთვის მომზადებული არ აღმოჩნდა: არც ჯარი, არც იარაღი და არც უფროსი. ვარშავის დაცვა იკისრა საერთოთ ცნობილმა აკადემიის პროფესორმა პოლკოვნიკმა პორვიტმა და მოკლე ხანში შექმნა ქალაქის დაცვისთვის საჭირო ჯარიც, იარაღიც და პოზიციებიც. ვარშავის დაცვაში მონაწილეობა მიიღეს ქართველთაგან პოლკოვნიკმა თევზაძემ, მაიორებმა არონიშიძემ და ალავიძემ, და კაპიტანმა დათო ლალიძემ.

ვარშავის თავდაცვის წრე გაყოფილ იყო 4 ნაწილათ და 1/4 ამ წრისა პოლკოვნიკ თევზაძის განკარგულებაში იყო. მის მეზობელ ნაკვეთში 1/3 ეკავა მაიორ არონიშიძეს, როგორც ათასეულის უფროს. პოლკოვნიკ პორვიტის მოგონებებში ორივენი მოხსენებულებნი არიან დიდი ქებით და მადლობის გრძნობით. მაიორ ალავიძემ და კაპიტანმა ლალიძემ დიდი დახმარება გაუწიეს ალყა შემორტყმულ და დამშეულ ვარშავას სანოვაგის მოწოდებით. ამგვარათ ვიბრძოდით და ვიხდიდით ვალს პოლონეთის მიერ გაწეულ დახმარებისათვის.

ტექნიკურმა და რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი გაიტანა პოლონეთი ძლეულ იქმნა და გერმანელების ოკუპაციაში მოექცა. მიჰყვეს გერმანელებმა ხელ თავის მიზნებს განხორციელებას. მთავარი მიზანი კი იყო: პოლონეთის სახელმწიფოებრივი სახე მოესპოთ, მოსახლეობა ამოეწყვეტათ ან შავ მუშებათ გადაექციათ. მიწები ჩამოერთვათ და გერმანელებისთვის გადაეცათ, ასევე სამრეწველო მოწყობილებანი. იწვებოდა, ისპობოდა და იცარცვებოდა საუკუნოებით შექმნილი კულტურის ძეგლები, სასახლეები, ეკლესიები, მუზეუმები, წიგნთ საცავები. იჭერდნენ ქუჩებში ან სახლებთან გამოუყვედათ ახალგაზრდა პოლონელები და სადღაც აქრობდნენ. სად იყო ამ დროს საერთოთ აღიარებული გერმანელი ხალხის კულტურა? ცარცვა გლეჯასა და სხვისი ქონების მითვისებაში უკლებლივ მონაწილეობდნენ ყველა პოლონეთში მცხოვრები გერმანელები.

ცხადია ყველაფერი ამას პოლონეთის მოსახლეობა გულგრილათ ვერ შეხვდებოდა და სადაც შეეძლოთ და როგორც შეეძლოთ წინააღმდეგობას უწევდნენ. გამრავლდა შეთქმულთა საიდუმლო კავშირები, ამოძრავდნენ პარტიზანული რაზმები. უფეთქებდნენ ხიდებს , საწყობებს, რკინის გზის ქსელს ტრანსპორტებს.

ამ მოძრაობაში მონაწილეობას იღებდნენ ქართველებიც და მათაც არ აცდათ ულმობელი სასჯელები. დახვრიტეს ვარშავაში მცხოვრები არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე. სახლიდან გამოიყვანეს და სადღაც დახვრიტეს წვრილ შვილიან ოჯახის პატრონი პოლიტიკის გარეშე მდგომი ხნიერი ათაბეგიშვილი. დაატუსაღეს საპყრობილეში ჩააგდეს ინჟინერი ხორსელი, პარტიზანთათვის იარაღის მოპოვებისას დაიღუპა კაპიტანი ხუნდაძე.

ვინ და რამდენი ქართველი იყო ჩაბმული პარტიზანულ მოქმედებაში ან ითვლებოდა საიდუმლო სამხედრო კავშირის წევრათ დანამდვილებით არ ვიცი. ეს კი ვიცი დანამდვილებით, რომ მათ შორის იყვნენ : პოლკ. თევზაძე, მაიორები არონიშიძე და ალავიძე, კაპიტანი ფ. აბაშიძე, როტმისტრი მ. კვალიაშვილი, გენადი ხუნდაძე და სხვ. საერთო აჯანყების გამოსვლისთვის კადრები უკვე მომზადებული იყო. ერთ ერთი ასეთი დივიზიის შტაბი ჩემი ყოფილი პოლკის უფროსის თაოსნობით მთლიანათ ქართველებისგან შესდგებოდა. ვსენი ვიყავით : შტაბის უფროსი პოლკ. თევზაძე, საოპერაციო დარგის უფროსი მე. შტაბის ოფიცერი ვახტანგ აბაშიძე. დანიშნულ ნიშანზე დივიზიები ერთდროულათ უნდა გამოსულიყვნენ. უცდიდნენ მხოლოთ ფრონტისა და საბჭოთა ჯარების მოახლოვებას. მოხდა ისეც და ვარშავა აჯანყდა. საბჭოთა ჯარებმა შეაჩერეს წინსვლა. ვარშავის მებრძოლებს ბრძოლა ძნელ პირობებში მოუხდათ. საერთო აჯანყება შეაჩერეს და ჩვენი დივიზიაც არ გამოსულა.

ტყეში მყოფნი თვალყურს ვადევნებდით საერთო მდგომარეობას და ვარშავის ბრძოლებს. აჯანყებულთა რადიო გადაცემებიდან ვიცოდით, რომ გერმანელებმა თავისი და ტყვეთ ჩავარდნილი უკრაინელი გენერალ ვლასოვის ჯარით ალყა შემოარტყეს ვარშავას და ნაწილ ნაწილ სწმენდავენ აჯანყებულთაგან. ისე გერმანელები, როგორც უკრაინელები აჯანყებას სასტიკათ აქრობდნენ. სწვავდნენ უბნებს. სახლებიდან გამოყვანილ მამაკაცებს ადგილზე ხოცავდნენ, ქალებს აუპატიურებდნენ, ქონება გაჰქონდათ, უბანზე შეტევისას წინ ბავშვებს და ქალებს იმძღვარებდნენ. პოლონელები მათ სროლას არ აუტეხენ და მათი საფარის დახმარებით უბანში შევაღწევთ.

რაკი დივიზიის გამოსვლაზე არაფერი ისმოდა, გადავწყვიტე მოვალეობა გადამებარებინა და ვარშავაში წავსულიყავი ქართველების დასახმარებლათ. ვარშავიდან 20-25 კილომეტრის დაშორებით ბინა მქონდა დაქირავებული. ვარშავა იწვოდა, მის თავზე კუპრივით შავი ბოლი დაწოლილიყო. ბომბდამშენი თვითფრინავები დასტრიალებდნენ თავს და დაუზოგავათ უშენდნენ ბომბებს . გერმანელებს ორი ბანაკი მოეწყოთ. ერთი თვით ვარშავაში და მეორე ქალაქის მახლობელ დაბა პრუშკოვ-ში. დაკავებულ უბნებიდან გამოყვანილ ხალხს ჯერ გაატარებდნენ ბანაკში, რომელსაც "ბელვნიაკი" ერქვა. აქ გაცარცვულები, გაუპატიურებულები მეორე ბანაკში გადაჰყავდათ. თუ სურდა ვისიმე ამბის გაგება ამ ბანაკს უნდა დაკავშირებოდა. და მეც ასე მოვიქეცი. ტელეფონის ელექტრონის ბოძები სავსე იყო მოკლე განცხადებებით. თხოულობდნენ ვარშავაში ჩარჩენილ ნათესავთა ამბავს. ირგვლივ უამრავი ხალხი ირეოდა . ეკლესიები სავსე იყო მლოცველებით. რამდენიმე დღე გავატარე ბანაკის კარიბჭესთან, მაგრამ ჩემს ოჯახსა და ქართველებზე ვერავითარი ცნობა ვერ მოვიპოვე. რაკი დავრწმუნდი, რომ აქ დგომა შედეგს არ იძლევა, წერილით ვაცნობე ბერლინის ქართველობას რა ვითარებაა აქ შექმნილი და ვთხოვე, რომ ზომები მიეღოთ ქართველთა ტანჯვისა და ვნების ასაცილებლათ. პასუხათ ორ თუ სამ დღეში ბერლინიდან ჩამოვიდა პროფესორი გიორგი ნაკაშიძე გერმანეთის ხელისუფლების მიერ უფლება მოსილი დახმარება გაეწვია ბანაკში მოხვედრილ ქართველთათვის. ვარშავაში დაჰყო მან რამდენიმე დღე. დაბრუნდა ბერლინში და თავისი რწმუნებულობა მე გადმომილოცა. ამ დღიდან უფლება მქონდა ბანაკში შევსულიყავ ქართველები გამომეყვანა და გზა მიმეცა.

ის რაც ბანაკში ხდებოდა უკიდურესათ გულქვა ადამიანებსაც კი გულს აუჩქროლებდა. დაღლილნი, ხშირათ დაჭრილნი, იმედ გაცრუებულნი, ფიზიკურათ გატეხილნი ღამეებს ეზოში ატარებდნენ. თუ ვინმეს რაიმე საგზალი გამოჰყვა ერთმანეთს უზიარებდნენ. ღვთის ანაბარა დარჩენილ ავადმყოფ დიდებას შესტიროდნენ და თავიანთ მძიმე თავგადასავალს ერთმანეთს უზიარებდნენ. ჯოჯოხეთი იწყობოდა გათენებისას. მთელი ეს ხალხი ჯგუფებათ უნდა დაეყოთ, სატვირთო ვაგონებში მოეთავსებინათ და ბანაკიდან მოეშორებინათ. როგორც შევამჩნიე ხალხს სამ ჯგუფათ ანაწილებდნენ:

1. შრომისთვის გამოსადეგი ახალგაზრდობა.
2. დაჭრილები, აჯანყების ბრძოლების მონაწილენი.
8. ხანში შესულნი და მუშაობისათვის გამოუსადეგარნი.

დანაწილებას აწარმოებდა მაღალი ხარისხის გერმანელი. მის წინ უნდა გაევლო ყველას და ის თითით მიანიშნებდა სად წასულიყო და რომელ რიგში ჩამდგარიყო. ბავშვთა ყინაობას, ოჯახის წევრობას მნიშვნელობა არ ჰქონდა, მათ ერთმანეთს აშორებდნენ, ცალცალკე მიაგდენდნენ. ერთმანეთთან გამომშვიდობების ნებას არ აძლევდნენ, თუმცა ბევრი მათგანი ალბათ უკანასკნელად ხედავდნენ ერთმანეთს.

შესაბრალისი იყო ქალთა ბედი ბანაკში. პატრონ გამოუცლილებმა არ იცოდნენ ოჯახის რომელ წევრს გაყოლოდნენ ვაგონამდის მაინც, თორემ ვაგონში მათ ვინ შეუშვებდა? რჩებოდნენ ეზოში უპატრონონი. მათი რიცხვი ყოველ დღე მატულობდა ახალ მოსულებით. ვაგონებისკენ წასვლისას ხალხი ჰყრიდა რგოლებზე ასხმულ ბინის გასაღებებს. ამ გასაღებებით სავსე იყო გზა. ქალები ალღოთი პოულობდნენ თავთავიანთ გასაღებებს, გვერდზე უწყობდნენ ღმუილით გამოსთქვამდნენ ღვთის უბედობას და ელოდნენ იქნება ჩვენი პატრონი ამ გასაღებებს დაუბრუნდება. არც ერთი მათგანი მაძღარი არ იყო, მაგრამ მიწოდებულ საზრდოს არ ეტანებოდნენ, რაც მე პირადად გამოვცადე.

ვტრიალებდი ამ ჯოჯოხეთში და ბანაკიდან ყველა ნაპოვნი ქართველი გამოვიყვანე, არა ერთხელ პოლონელებიც ქართველებად გამისაღებია და ბანაკიდან გამომიყვანია. პოლონელები თავთავიანთ ოჯახებში ბრუნდებოდნენ, ქართველები კი დასავლეთისკენ გზას ადგებოდნენ. თითქოს ამდენი უბედურება საკმარი არ იყო, როდესაც ბანაკის კართან ახალი ტრანსპორტი ჩამოაყენეს, ბოლშევიკთა მფრინავმა ამ მატარებელს გადაუქროლა და რამდენიმე ყუმბარა ჩამოყარა. საბედნიეროთ მიზანს ააცდინა და არავინ დაშავებულა. იყო ასეთი შემთხვევაც: ვარშავის რომელიღაც საავათმყოფოდან დაჭრილებით სავსე მატარებელი ჩამოაყენეს, დაცალეს საჩქაროთ ვაგონი, დაჭრილები ლიანდაგის პირას აქა იქა მიყარეს. გამოიქროლა ამ დროს გვერდით ხაზით საჩქარო მატარებელმა. სადღაც ეჩქარებოდა, გაუჩერებლივ განაგრძო გზა და ლიანდაგსა და მის გვერდით მწოლარე დაჭრილებს გადაუარა. ბევრი იყო ახლად ხელმეორეთ დაჭრილები და დახოცილებიც. ძნელი წარმოსადგენია რა ზედგავლენას ახდენდა მაყურებელზე ამ უბედურების ცქერა.

ლიტერატურული საქართველოს 1984 წლის 30 მარტის ნომერში მოთავსებულია რევაზ ჯაფარიძის შეფასება ორი ქართული ფილმისა რომელიც თბილისში უნახია, და რომლებსაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. ეს ფილმებია "პირველად იყო სიტყვა" და "ფურცლები ფრანგულ ბრძოლების დღიურიდან", ქართველ კინორეჟისორ თაბუკაშვილის მიერ. ფილმში "ფრანგულ დღიურიდან" მოთხრობილია ფაშისტებთან ბრძოლებში დაღუპულ ქართველთა თავგადასავალი. ესენი ტყვეთ ჩავარდნილი და ფაშისტებთან ბრძოლაში ჩაბმული ქართველები არიან. ნაჩვენებია საბრძოლო თავგადასავალი პოლკ. დიმიტრი ამილახვარისა. "ის აფრიკაში ებრძოდა უდაბნოს მელად წოდებულ ფელდმარშალ რომელს. მისი საფლავი დარჩა ლიბიის უდაბნოში"-ო. მართალია პოლკ. ამილახვარი იუნკერი არ იყო, მაგრამ თავისი ცხოვრების გზით და ბედით იმავე ოჯახს ეკუთვნოდა.

დღეს უკანასკნელი უბიხივით, მარტოკა დარჩენილ 87 წელს გადაცილებული საჭიროთ ვთვლი არ დავუკარგოთ საქართველოს ჩემ ამხანაგ იუნკერთა არსებობის, შრომის, ოცნებების, ჩატარებულ ბრძოლების და დაღუპვის კვალი, რომ მომავალმა თაობებმა დავიწყებას არ მისცენ ჩვენი მწარე ბედი და საკუთარ გულში ჩახედვით გამოიტანონ შესაბამისი დასკვნები.

მოგონებებში არ მომიხსენებია დაღუპულ ქართველ ოფიცერთა ოჯახები, მათი დაობლებული ცოლ შვილი. ისინი მრავლად არიან მობნეულნი მსოფლიოს სხვა და სხვა ქვეყნებში, ქართველობა არ დაუკარგავთ და გული განთავისუფლებული სამშობლოს მოხმარების გრძნობით უცემთ.

ნ. მათიკაშვილი
მ. კვალიაშვილი

1987 წ. 16 თებერვალი

ვუბრუნდები განვლილ გზას. კიდევაც მშობლიურ ოჯახის სიტკბოებას. დედის სიყვარულსა და მის გამუდმებულ ზრუნვას, მან ხომ თავისი ახალგაზრდობა და მთელი სიცოცხლე ჩვენ აღზრდას შეალია. მაგონდებიან მეგობრები და ამხანაგები, გულწრფელი და გულითადი დამოკიდებულება მათთან, ჩვენი აღმზრდელები და მასწავლებლები, მათი ზრუნვა ჩვენზედ. დღეს, როდესაც ცხოვრებაში ახალი განცდა აღარ მომელის წარსულის მოგონებებით ვტკბები.

ბევრი ვიფიქრე ღირს თუ არა მოგონებათა დაწერა. მივედი დასკვნამდის , რომ ღირს, რადგან ჩემი ცხოვრების გზაზე ბევრი მინახია, განმიცდია და შევხვედრივარ ისეთ ღირსშესანიშნავ მოვლენებს, რომლებიც ინტერესს მოკლებული არ არიან. ბოლოს, იქნება ოდესმე ვინმე ჩემ ნათესავთაგან დაინტერესდეს თუ რამ გამოიწვია, რომ ერთი იმათი წევრთაგანი მოსწყდა სამშობლოს, მეგობრებს, და ნახევარი საუკუნეა აღარ ბრუნდება სახლში.

27 წლისამ დავტოვე სამშობლო, მახლობლები და მოვხვდი უცხოეთში. ვფიქრობდი განშორება მოკლე იქნება და ისევ მალე დავბრუნდები მეთქი სამშობლოში, სინამდვილეში კი უცხოეთში ყოფნა გახანგრძლივდა. ვეღარ დავუბრუნდი საყვარელ სამშობლოს, ოჯახს, მეგობრებს და მიწერია უცხოეთში სიკვდილი და დასამარება ჩემ წინაპართა საფლავებიდან შორს.

უცხოეთში ყოფნისას სიმართლეს პოლიტიკურ პროგრამებში კი არა, გულის სიღრმეში დავეძებდი. ჩემი შეგრძნებით ვემსახურებოდი სამშობლოს ისე, როგორც ოჯახისა და აღმზრდელთა ზედგავლენა მითითებდა. ბავშობიდანვე ამაყი, თავისუფლების მოყვარული და დამოუკიდებელი ხასიათის ვიყავი. არაფერი არა მაქვს სანანელი ჩემი ცხოვრების გრძელ გზაზე. ცოტას თუ მოსძებნით, რო ჩემოდენა მართლაც ძვირფასი და გულითადი ამხანაგები და მეგობრები ჰყოლოდა.

ბედათ მეწერა, რომ ორჯერ ჩამოვშორდი მათ ჩემი ცხოვრების გზაზე. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისშივე ცხადი გახდა მეფის რუსეთის ნამდვილი სახე. ყველასათვის ცხადი იყო, რომ რუსეთის საფუძვლები ირყეოდა ღალატისა და ბოროტმოქმედებათა ქსელში.

გერმანელებმა ომის დასაწყისშივე დაამარცხეს სიმსონოვის არმია. გენ. რენენკამფის არმიამ კი უბრძოლველათ თავს უშველა აღმოსავლეთისკენ დახევით. ფართო წრეებში გენ. რენენკამფს მოღალატეთ მოიჩნევდნენ. სამხედრო სამსახურიდან გადააყენეს, სასამართლოში კი არ გადაუციათ. ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მოხელეთა უმრავლესობა სასახლის კარზე მოსყიდულები იყვნენ და გერმანელთა სასარგებლო საქმიანობას ეწეოდნენ. ამით ხსნიდნენ, რომ დასაწყისშივე ჯარი აღმოჩნდა ტეხნიკურ მოწყობილობასა და მომარაგებას მოკლებული, და როგორც ასეთი ბრძოლისთვის გამოუსადეგარი. სახელმწიფოს მმართველობის აპარატის გახრწნილება უმაღლეს დონეს აღწევდა. ფაქტიურათ უდიდესი სახელმწიფოს საქმეებს განაგებდა გაუნათლებელი ლოთი, მექრთამე და გახრწნილი - რასპუტინი. მას დიდი გავლენა ჰქონდა დედოფალზე და მისი საშუალებით მეფეზე. ის ჰნიშნავდა მინისტრებს, დიდ ერთეულთა უფროსებს და ეს შეზღუდული, უნიჭო და ლოთი პირბნელა, თავის ნებისამებრ ატრიალებდა რუსეთის საქმეებს.

1916 წლის დეკემბერში თვით მეფის ოჯახის წევრებმა ვერ შეიგუეს ასეთი ვითარება, რასპუტინი შემოიტყუეს თავად იუსუპოვის სასახლეში საქეიფოთ და იქ მეფის ძმისწულის, დიდი მთავრის დიმიტრი პავლეს ძისა და ცნობილი და გავლენიანი მონარხისტის პურიშკევიჩის თანადასწრებით, სიცოცხლეს გამოასალმეს.

ცნობა ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელ სამეფოში და სამეფოს დაცემა დააჩქარა. არსებული რეჟიმის ერთგულნი რუსები არ აღმოჩნდნენ. არც სამხედრო წრეებში, და არც საზოგადოებაში. მეფის რეჟიმის ბედი გადაწყვეტილი იყო. ყველანი აღელვებით რაღაც მნიშვნელოვანი მოვლენების მოლოდინმა შეიპყრო და ეს მართლაც მოხდა 1917 წლის რევოლუციის სახით.

ამ დროს განსაკუთრებით კატასტროფიული მდგომარეობა იყო სურსათის მომარაგების მხრივ. მათ შევსებასა და დამზადებაზე არავინ ზრუნავდა. ჯარში გაწვეული იყო უამრავი ასაკის ბრძოლის უნარიანი მოსახლეობა. დიდ ქალაქებში ამათ თოფების ნაკლებობის გამო ჯოხებით ამეცადინებდნენ. სოფელი კი დაცარიელებული იყო მუშა ხელიდან. ომში წასვლა არავის ეხალისებოდა, იქ მხოლოთ ღალატს ხედავდნენ. ყველა მოიწევდა სახლისაკენ. ეს ვითარება დიდათ ხელშემწყობი იყო რევოლუციონურ პარტიებისათვის, მათი სახით ჰყავდათ მათ ერთგული და გამგონი მოკავშირენი. ასეთ ვითარებაში, როდესაც თებერვალსა და მარტში მუშებმა მოსკოვსა და პეტროგრადში გაფიცვები დაიწყეს, სამხედრო ნაწილები მიემხრნენ მათ. არ იყო ძალა, რომელსაც შესძლებიყო ზედგავლენის მოხდენა და ბრძანებათა შესრულების დისციპლინის

აღდგენა. მალე გაფიცვები რუსეთის ყველა დიდ ქალაქს მოედო. მათ ადგილობრივი სამხედრო ერთეულები მიემხრნენ. და ასე დაიწყო რევოლიუცია მთელ რუსეთში.

მოგონებები დავიწყე 1917 წლიდან, რადგან რევოლიუციის შედეგათ მოხდა დიდ მნიშვნელოვანი ცვლილებები არა მხოლოდ ყოფილ რუსეთის იმპერიაში, არამედ მთელ მსოფლიოში. ეს ხანა მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნისთვისაც, რადგან დაისახა შესაძლებლობანი მისი განთავისუფლებისა 100 წელზე მეტი მონობისაგან.

თუ შევძელი და თუ ვიცოცხლე, ვეცდები მოგონებანი 1971 წლამდის მივიყვანო. განსაკუთრებით ჩემი ახალგაზრდობის ხანიდან, ჩვენი იმ დროინდელი ლტოლვილობიდან, თუ როგორ ივსებოდა ჩემი პიროვნება და ხასიათი. დეე ეხლანდელმა ახალგაზრდობამ შეძლოს შეადაროს ჩვენი დროისა და დღევანდელი საზოგადოების სულისკვეთება.

1917 წელს, როგორც ყოველი ოფიცერი რუსეთის ჯარისა, ვმსახურობდი კავკასიის მსროლელთა მე-8 პოლკში და ვიმყოფებოდი ოსმალეთის ფრონტზე ზღვის პირა ხეობაში ბეთლეემის ზღვის ჩრდილოეთით (მოსულის მიმართულები).

პოლკს ეკავა პოზიციები ვანის ტბის სამხრეთ დასავლეთით მარკურდვის მთის ფერხთით. 1917 წლის ქრისტეშობისთვეში მივიღე შვებულება და გავემგზავრე სახლში. 10 იანვარს შვებულება მითავდებოდა და ამ დროისთვის უნდა დავბრუნებულიყავი ფრონტზე. შვებულებას წელიწადში ერთხელ ვღებულობდით, რიგის სასტიკი დაცვით, მხოლოთ შვებულებაში მყოფთა დაბრუნების შემდეგ. ჩემთან ერთათ შვებულებაზე მიდიოდა კიდევ 4 ოფიცერი, მათ შორის პოლკის უფროსი შტაბის პოლკოვნიკი ვასილჩენკო.

რაკი სამგზავრო საშუალებები არ იყო მატარებლამდის, ეტაპიდან ეტაპამდის ცხენდაცხენ მოგვიხდა მგზავრობა. მერე დიდი ვაი ვაგლახით შეიძლებოდა მატარებელით მგზავრობა. თბილისში ერთმანეთს დავშორდით და ერთათ დასაბრუნებლათ შეხვედრის დრო დავნიშნეთ თბილისის სადგურზე (პირველი კლასის დასაცდელ ოთახში).

შვებულებაში წამოსვლამდის წერილი მივწერე ბიძა ჩემს ელისეს, რომელიც როგორც ექიმი ტრაპეზუნდის ფრონტზე იმყოფებოდა დივიზიაში, რომელსაც გენერალ დოგბურ მუშნიცკი განაგებდა. წერილში ვთხოვდი იმასაც აეღო შვებულება და სახლში ერთმანეთს შევხვედროდით. ბიძამ თხოვნა ამისრულა.

ოჯახში და მეგობრებთან გატარებულ დროის შემდეგ, დათქმულ ვადის ორი დღით ადრე დავბრუნდით თბილისში, გვინდოდა ეს ორი დღე გასართობათ და დროს გასატარებლათ გამოგვეყენებინა. გავჩერდით სასტუმრო "ნოე"-ში მიხაილოვის პროსპექტზე. თბილისში ჩასვლის მეორე დღეს სასტუმროს სასადილოში შევხვდი ჩვენი პოლკის ოფიცერს, რომელიც ეტაპის უფროსი იყო ჩვენკენ მიმავალ გზაზე. აქ უნდა განვმარტო, როგორ უნდა მივეღწია პოლკამდის. მატარებლით ეჩმიაძინში უნდა ჩავსულიყავით (რკინის გზის სადგური ერევანის მახლობლათ). აქედან ცხენებით ქალაქ იგდირამდის მდინარე არაქსის გადასვლით. შემდეგ ფურგონით ან პოვოზკით ეტაპიდან ეტაპამდის, იგდირიდან გზით არარატის გვერდით უღელტეხილით, ალაშკერის ხეობაში ჩავდიოდით, იმ ადგილას, სადაც სათავე აქვს ეფრატს. ადგილის გადანაცვლება ხდებოდა ეგრეთ წოდებულ ეტაპიდან ეტაპამდის, სადაც განლაგებულ იყო კარავები ან ფიცრულები. აქ ფრონტიდან და ფრონტისკენ მიმავალი მგზავრები ეჩერდებოდით დასასვენებლათ სანოვაგის და შემდეგი სამგზავრო საშუალების მისაღებათ. სწორედ ერთ ერთ ამნაირ მოწყობილობის უფროსი იყო ეს ჩემი ნაცნობი, თბილისის სასტუმროში რომ შემხვდა.

მისი გვარი დღეს ვერ მომიგონებია. ის კი მახსოვს, რომ დიდათ ინტელიგენტი და განათლებული იყო, წარმოშობით მოსკოველი. რაკი სუფრას მარტოკა უჯდა, მოვიწვიე ჩვენ მაგიდაზე. აქ მან გვიამბო, რომ მოემგზავრება მოსკოვიდან და ბევრი საინტერესო ცნობები აქვს იქიდან. რაკი თბილისიდან ჩვენს შემდეგ, ერთი დღით გვიან, აპირებდა გამგზავრებას, გადავწყვიტე ჩვენებს ჩამოვრჩენოდი და მასთან ერთათ მემგზავრა. მინდოდა დაწვრილებით გამეგო, რა ხდებოდა მაშინ მოსკოვსა და რუსეთში. ხდებოდა კი ბევრი რამ საყურადღებო. არნახული არევ დარევა სისწრაფით ვრცელდებოდა და თვით რუსეთის ყოფასა და ბედს ემუქრებოდა.

რუსეთის ჯარი ყველგან მარცხდებოდა. უნუგეშო მდგომარეობა იყო სურსათისა და სამხედრო მარაგის ნაკლებობის გამო. ფართოთ იყო იმ დროს გავრცელებული აზრი, რომ ყველაფერი ეს კატასტროფით დამთავრდება და მეფის დინასტიის ბოლოს მოასწავებს. გერმანელ შპიონთა თარეშობა ყველასთვის ცნობილი იყო. მართალია ოფიცრობა მეფის ერთგულობას ინარჩუნებდა, მაგრამ 1916 წლიდან მოყოლებული მათ წრეებშიაც შეიმჩნეოდა მეფისადმი უკმაყოფილობა და უპატივცემულობა.

1916 წლის სექტემბერში, იუსუპოვის სასახლეში მოკლეს რასპუტინი; მკვლელებთა რიცხვში იყვნენ: ცნობილი მონარქისტი პურიშკევიჩი, მეფის ძმისწული დიდი მთავარი დიმიტრი პავლეს ძე. ცნობა ამის შესახებ მთელ რუსეთს მოედო, საზოგადოების ყველა წარმომადგენლებს, ჯარს.

დანიშნულ დროზედ თბილისის სადგურზე მივედი. იქ ჩემი ამხანაგი ოფიცრები მიცდიდნენ, პოლკის უფროსთან ერთათ. განვუცხადე მას, რომ მათთან ერთათ არა ვბრუნდები და თბილისიდან გამოვალ მეორე დღეს. პოლკის უფროსი გაჯავრდა, დამემუქრა, რომ ასეულის უფროსობას ჩამომართმევდა და პირი იბრუნა ჩემგან. აქ უნდა აღვნიშნო, რომ პოლკის უფროსი გენ. შტაბ დამთავრებული უკრაინელი ვასილჩენკო იყო, მონარქიის ერთგული და არა რუსთა დიდი მოძულე. დავემშვიდობე მხოლოთ მეგობრებს და წაველ სასადილოში, სადაც ჩემი ნაცნობები და ბიძა მელოდნენ. რომ ჩემი ურთიერთობა პოლკ ვასილიჩენკოსთან კარგათ ვერ აეწყობოდა ეს 1916 წელშივე ვიცოდი, ჩვენ პოლკში რომ გამოცხადდა გამოცდილების მისაღებლათ. ის ხომ შეებულებაში იყო და ჩემი გადაყვანების უფლება არა ჰქონდა. ჩემთვის კი ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან გზას მიკვეტავდა ხარისხის ამაღლებისკენ. ის საღამო და მეორე დღე ჩემ ბიძასთან და მოსკოველ ნაცნობთან გავატარე. მეორე დღის საღამოს გამოვემგზავრეთ თბილისიდან. ბევრი გულშემზარავი ამბავი მომიყვა თუ რა ხდება რუსეთში, რას განიცდის ხალხი, მეფის მართველობის საათები გამოთვლილიათ. მეფე იძულებული იქნება ტახტიდან გადადგეს, მაგრამ ვინ შესცვლის მას, მისი ძმა, თუ დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე? სულ მოკლე ხანში დაუჯერებელ ამბებს უნდა მოველოდოთ, დაასკვნა ბოლოს.

დავბრუნდი პოლკში. გამოვეცხადე ათასეულის უფროსს დიდათ სიმპათიურ პოლკოვნიკ ფიგუროვს. ვუამბე მას თბილისის რკინიგზის სადგურზე მომხდარი ინციდენტი, გაიცინა და მიბრძანა ასეულის უფროსობის შესრულება! თანაც მაცნობა, რომ თბილისის სამხედრო სასწავლებლისთვის მასწავლებელი ოფიცერი მოითხოვეს და შენ დაგნიშნესო. თანაც დაართო, ალბათ სკოლის უფროსი გენ. ზვგინი (სკოლის კომენდანტი ჩემ იქ ყოფნისას) გაკვირდება, რომ ქართველი დაუნიშნეს, ეს ხომ დიდი დაფასებააო. მადლობთ დაფასებისთვის, მე იქ წამსვლელი არა ვარ და სხვა გამონახეთ მეთქი მივუგე მაშინათვე გულისწყრომით. ეს ხომ ბრძანების შეუსრულებლობაათ, დამემუქრა, ვუპასუხე, რომ საჩივარს შევიტან დივიზიის უფროსთან მეთქი. დივიზიას უფროსობდა გენ. ნაზარბეკოვი, დიდათ სიმპატიური და პატივსაცემი სომეხი. ამნაირათ დავრჩი პოლკში. ჩვენი მდგომარეობა კატასტროფიული იყო. ტყვია წამალი იმდენათ გვაკლდა, რომ მტერთან შეხლისას ჯარისკაცს ნ ვაზნის გასროლის მეტის უფლება არა ჰქონდა. ტანსაცმელი ჩამოხეული ეცვათ, კვება და კერძები საძაგელი, თითქმის ყოველდღე წვნიანს აყროლებულ ღორის ქონიდან აკეთებდნენ. რაიმეს სყიდვა შეუძლებელი იყო, რადგან მთელი დაკავებული ოსმალეთის ტერიტორია გამოცარიელებული იყო მოსახლეთაგან. უმოსახლეო შენობები შეშათ იყო გამოყენებული. რამის მოხარშვა დიდი საკითხი იყო. ტყეები იქ არ იყო. ჩაისა და სადილის მოსახარშათ ჯარისკაცები წვრილმანი ჯაგების ფესვებს თხრიდნენ, გორახიან ნიადაგში. ტანის დაბანა შეუძლებელი იყო. წარმოსადგენია რას გვიშვრებოდნენ ასეთ პირობებში მკბენარები. ტერიტორია, რომელზედაც ფრონტი გადიოდა ძველათ სომხებს ეკუთვნოდათ. მოსახლეობა ოსმალების მიერ მთლათ ამოხოცილი იყო. იშვიათათ, 8 თვეში ერთხელ, სომეხ ვაჭრებს ვირებითა და ცხენებით მოჰქონდათ გასაყიდათ სხვა და სხვა საქონელი, ისეთი ცოტა რაოდენობით, რომ რამე საჭირო ნივთის თუ სურსათის შეძენა შეუძლებელი იყო. არ ვიცი რატომ, მაგრამ უხვად იყო მხოლოდ კოლონის სასხური. ჯარისკაცები ყიდულობდნენ მას და სვამდნენ.

ბოლოს თებერვლის დასასრულს, მოაღწია ჩვენამდის მეფის ტახტიდან გადადგომის ცნობამ. მის მიერ დანიშნულმა მემკვიდრემ დიდმა მთავარმა მიხეილმა ტახტის მიღებაზე უარი განაცხადა. დაიწყო რევოლიუცია. შეიქმნა დროებითი მთავრობა. ჩემთვის აქ მოულოდნელი არაფერი ყოფილა, ოღონდ რა მოხდებოდა შემდეგ ძნელი გასაჭვრეტი იყო. ყველა დიდ ცვლილებებს მოელოდა, მაგრამ რანაირს არავინ იცოდა. მახსოვს პოლკმა მიიღო დეპეშა მეფის გადადგომისა და მემკვიდრეთ მთავარ მიხეილის დანიშვნისა. საჭირო იყო დეპეშის ჯარისკაცებისთვის გაცნობა. იმ დღეს ჩემი ასეული დახვევაში იყო და მიწურებში ვიდექით. ვუბრძანე ზემდეგს ასეული შეეკრიბა ტახტიდან გადადგომის ცნობის მისაწოდებლათ. ჩემ ხელქვეით ოფიცრებთან ერთათ, დეპეშის წაკითხვის წინ ვფიქრობდით, როგორ მიგვეწოდებინა ეს ცნობა. და რა გვეპასუხებია შეკითხვაზედ თუ რატომ მოხდა ეს ცვლილება.

მითითებები ამის შესახებ არა გვქონია. ასეული მოაწყვეს. წაუკითხე მათ ტელეგრამა ნიკოლოზ II გადადგომის შესახებ. მემკვიდრეთ მისი ძმის მიხეილის დანიშვნისა და მის მიერ ტახტის მიღებაზე უარის თქმაზე. დეპეშის წაკითხვის შემდეგ გავეცი განკარგულება "თავისუფლად". მეგონა ჯარისკაცებს დააინტერესებდათ ეს ცნობა და შეკითხვებით მომმართავდნენ. არავითარი ამნაირი რამ არ მომხდარა. ჯარისკაცები ოლონდ ერთმანეთს მიწურებიდან ჩამოსვლისკენ მიუწოდებდნენ "ჩანები ჩაინგრევა და შესაკეთებელი მასალა სად ვიშოვნოთო?" ასეთი იყო ჯარისკაცების მიდგომა ამ სათავბედო ცნობის გაგებისას. მათი ერთი საზრუნავი იყო: თუ როგორ გაეუმჯობესებინათ ცხოვრების პირობები, რა ხდებოდა ირგვლივ მათთვის სულ ერთი იყო, ერთსა ნატრობდნენ ოლონდ: გათავებულიყო ბოლოს ეს საზიზღარი ომი, რომელსაც ყველანი განვიცდიდით მძიმე ტვირთით. აქ განვმარტავ, რატომ ვღებულობდი გულთან ახლოს მომხდარ მოვლენებს.

კარგათ მახსოვს 1905 წლის რევოლუცია. მაშინ 12 წლისა ვიყავი. ბავშვებზე საერთოთ და ჩემზეც დიდათ მოქმედებდნენ მაშინდელი მოვლენები. იმ დროს რუსეთი იაპონიასთან აწარმოებდა ომს, მარცხს მარცხზედ ღებულობდა, რაც დიდათ ახარებდა მოსახლეობას, რომლებიც ხელისუფლებისადმი მტრულათ იყო განწყობილი. ხალხში დადიოდა სახუმარო და დამცინავი ლექსები და სიმღერები, სადაც რუსები განსაკუთრებით სძულდათ, რევოლუცია დიდათ პოპულარული იყო. თითქმის მთელმა დასავლეთ საქართველომ ჩამოიშორა მეფის ადმინისტრაცია და სრული თავისუფლება დაამყარა. არ დამავიწყდება მიტინგი სამტრედიაში საყდრის მოედანზე, აქ ქუთაისის ოლქის გუბერნატორი, რომელიც რევოლუციას მიემხრო, ძირს უთხრიდა მეფის ხელისუფლებას. ჩემი ბიძები: მექი, არკადი, დიმიტრი, ელისე და ძალუა ტასო ეკუთვნოდნენ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას და აქტიურათ მონაწილეობდნენ 1905 წლის რევოლუციაში. მეც, როგორც აღგზნებული ახალგაზრდა ვცდილობდი ჩემი მეჩვენებინა. ვესწრებოდი ყველა კრებებს, რომლებიც იმ დროს თითქმის ყოველ დღე იმართებოდა და ყველგან მესმოდა, რომ დადგება ახალი ხანა თავისუფლებისა, მოისპობა შემზარავი მეფის რეჟიმი. რევოლუციის ჩაქრობის შემდეგაც აღელვება არ შემცირებულა. მე სკოლაში დავიწყე სიარული. სწავლება წესიერათ არ მიმდინარეობდა. მახსოვს როდესაც ბათუმში ჩამოასვენეს წითელი ალმებით შემკული ოდესაში მოკლული რევოლუციონერი, გვონებ იაშვილი, მთელი ჩვენი სასწავლებელი დაუხვდა სადგურზედ და თითქმის მთელი ქუთაისი აცილებდა მას სასაფლაომდის. ყველაფერი ეს ჩემზე დიდ ზედგავლენას ახდენდა. მრწამდა ჩემი ხალხისა, მისი მისწრაფებისა უკეთესი მომავლისაკენ, რუს სატრაპთა რეჟიმი ხომ სძულდა ყველას. ქართულათ ლაპარაკისთვის სკოლაში დევნილნი ვიყავით ადმინისტრაციისა და ზოგიერთ მასწავლებელთაგან, რომლებიც შავოსან ასეულებს ეკუთვნოდნენ (ჩორნაია სოტნია) სძულდათ და არა სცნობდნენ დამონებულ ერთა უფლებებს. საუბედუროთ თავისუფლებამ დიდხანს არ გასტანა. რევოლუციის ჩამქრობი ყაზახთა პოლკები მოესია დასავლეთ საქართველოს. სპობდნენ და ცეცხლს აძლევდნენ ყველაფერს, რაც გზაში დახვდათ და ასე მოიწევდნენ აღმოსავლეთიდან დასავლეთამდის - შავ ზღვამდის (ბათუმი - ფოთი). ცხადია ეს უფრო აღვივებდა ქართველთა სიძულვილს რუსებისადმი. ყველა ფიქრობდა საძულველი უღელის მოშორებასა და თავისუფლების მოპოვებაზე. ამ საერთო სულისკვეთებამ ჩემშიაც გამოიწვია პატრიოტული განწყობილება. თავისუფლების მოპოვება ჩემ სანუკვარ ლტოლვად გადაიქცა და ამიტომ როგორც რუსეთის ჯარის კაცს სრულიათ არა მწყენია რუსეთში მომხდარი არეულობა. მეფის გადადგომის ამბავი ჩავთვალე ნიშნათ მომავალი ცვლილებებისა და ჩემი სამშობლოს მიერ თავისუფლების მოპოვებისა. საყურადღებო იყო ისიც, რომ მომხდარი ამბებით არც პოლკში მყოფი რუსი ოფიცრები შეწუხებულან. რასპუტინის მოკვლა მათ გაუხარდათ; სჯეროდათ, რომ მონარქიული წყობილება რუსეთისა კატასტროფისკენ მიჰყავს. რამდენიმე დღის შემდეგ გავიგეთ, რომ შეიქმნა დროებითი მთავრობა სახელმწიფოს მმართველობისთვის დამფუძნებელ კრების, რომელიც გადაწყვეტდა სახელმწიფოს საბოლოო სახეს. გავიგეთ ისიც, რომ მთავრობაშიც, ისევე როგორც ჯარის ნაწილებში, იქმნება მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები. მალე ჩვენამდის ცნობილმა პირველმა ბრძანებამაც მოაღწია, რომლის ძალით უქმდებოდა ჯარისკაცის მიერ ოფიცრისთვის ქუჩაში სალამის მიცემა, აძლევდა მას ჩვეულებრივი მოქალაქის ყველა უფლებას, ყველა ერთეულში ეწყობოდა ჯარისკაცთა საბჭოები, ირჩევდნენ წარმომადგენლებს უმაღლესი საბჭოებისთვის.

ჯარისკაცთა საბჭოებს ენიჭებოდა ფართო უფლებები. შეეძლოთ ყოველი ოფიცრის

გადაყენება, თუ კი მას ნდობის ღირსათ არა სცნობდნენ. ასეთმა ვითარებამ ბოლო მოუღო ჯარისთვის აუცილებელ საწყისს - დისციპლინას. ცხადი იყო, რომ ამ ახალ დებულებათა შემოღების შემდეგ ჯარი ომის წარმოებისთვის აღარ ივარგებდა, დაფუძნდებოდა ანარქია და ეს მაშინ, როდესაც მოპირდაპირე ჯარები პირისპირ იდგნენ და ომს აწარმოებდნენ. დასაწყისში ჯარისკაცები მოვლენათა მიმდინარეობით დაინტერესებულნი არ იყვნენ. საბჭოების წევრებს კი ყველა ერთეულში ირჩევდნენ: ირჩევდნენ მხოლოთ მოლაქლაქე პიროვნებებს. საერთოთ კი მოვლენათა მსვლელობაში ვერ ერკვეოდნენ. დასწყისში ჯარის ცხოვრებაში დიდი ცვლილება არ იმჩნეოდა. თავი იჩინა დეზერტირობამ შეზღუდული ფორმით.

ჩვენ პოლკში 800-მდის ქართველი ჯარისკაცი და ოფიცერი იყო. მე ქართულ გაზეთებს ვღებულობდი და წაკითხვის შემდეგ მათ მივცემდი ხოლმე. ამ გაზეთებიდან ბევრის ამოკითხვა არ შეიძლებოდა. არ ვიცოდი რა გზას ადგიან ჩემი მამულიშვილები. მახსოვს პოლკის ჯარისკაცთა საბჭომ პოლკის გამოცვლა და დასასვენებლათ გაგზავნა მოითხოვა, რადგან შეუცვლელათ 1915 წლიდან ფრონტის პირველ ხაზზე ვიმყოფებოდით, ჯარისკაცებს ჩაცმულობა აკლდათ, მრავალი მათგანი სკორბუტით დაავადდა, არადამაკმაყოფილებელი კვების გამო. მოთხოვნილება დაბეჯითებითი იყო და დადებით შედეგს მიაღწია. პოლკი სხვა ერთეულით შეცვალეს და დასასვენებლათ და ძალთა აღსადგენათ ევფრატის პირზე მდგომ "მელარგეთში" გადაგვიყვანეს. აქ ზომები მიიღეს კვების გაუმჯობებისათვის, სარეცხის დარეცხვისათვის, მწერების ჩამოსაშორებლათ და სკორბუტის მკურნალობისათვის. თადარიგში მყოფი პოლკი არავითარ მეცადინეობას არ აწარმოებდა, ვცხოვრობდით კარვებში, შეშის, ე.ი. ჯაგების და მისი ფესვების მოსათხრელათ გავგზავნეთ რაზმები მდინარე მუშარგის ხეობაში.

მომდიოდა გამოწერილი ქართული გაზეთები. ფოსტას ვიღებდი ორ კვირაში ერთხელ. გაზეთებიდან ამოვიკითხე, რომ ქართველმა სამღვდელოებამ 1917 წელს ქართული ეკლესიის ავტოკეფალია გამოაცხადა ე.ი. ჩამოშორდა რუსეთის ეკლესიას, აღიდგინა დამოუკიდებლობა და უზენაეს საფეხურათ კონსტანტინოპოლის პატრიარქი სცნო. კათალიკოსათ აირჩიეს კირიონი. ეს ფაქტი დიდი მნიშვნელობისა იყო. ახასიათებდა ქართული საზოგადოების განწყობილობასა და საწადელს. პოლიტიკურმა პარტიებმა ასეთი ნაბიჯის გადადგმა ვერ შესძლეს, რადგან იმ დროისთვის პირობები ამას ხელს არ უწყობდა. ქართველი დელეგატები საერთო რუსულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის შემადგენლობაში იყვნენ ჩახვრგილნი. სადაც ფედერალისტები იყვნენ - ავტონომიაზე ოცნებობდნენ, მცირე რიცხოვან ნაციონალისტებს კი საზოგადოებაზე გავლენა არა ჰქონდა. სამღვდელოების გამოსვლას ამ დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მათი ღვაწლია, რომ ამ დღიდან საქართველოში დამოუკიდებლობისა და რუსეთიდან განთავისუფლების სურვილმა გაიღვიძა.

ავტოკეფალიის გამოცხადების ამბავი პოლკის ქართველ ჯარისკაცებს გავუზიარე. თანაც რამდენიმე ქართველ ამხანაგთან ერთად გადავწყვიტე ჯარისკაცთათვის წერა კითხვის სწავლება მომეწყო. მსურველი 800-მდის აღმოჩნდა. დიდათ დამეხმარა ამ საქმეში ერთი ქართველი ნაცვალი, რომლის გვარი არ მახსოვს და რომელმაც ამ საქმეში დიდი ორგანიზატორული ნიჭი გამოიჩინა. რამდენიმე დღის განმავლობაში კურსი უკვე მოეწყო, საუბედუროთ არა გვქონდა წიგნები, არც ქაღალდი. ვთხოვე პოლკის უფროსს მეტად სიმპათიურ პიროვნებას, რომელსაც თბილისის სამხედრო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. იმან ნება მოგვცა სპეციალურათ ამ დავალებისთვის თბილისში ქართველი ნაცვალი გაგვეგზავნა. მივეცი მას ფული და გავატანე წერილი ჩემ ბიძაშვილ პეტრე გელეიშვილთან, სოციალ-დემოკრატიულ მოღვაწესა და პუბლიცისტთან, რომელშიაც ვთხოვდი მოეწერა თუ რა გვმართებს ვაკეთოთ ჩვენ ქართველებმა? ეწყობა თუ არა საქართველოში ეროვნული ერთეულები და რა პოლიტიკური ვითარებაა საერთოთ? გაგზავნილი ნაცვალი დაბრუნდა. ჩამოიტანა ქართულ ენის სახელმძღვანელოები და შევუდექით წერა-კითხვის სწავლებას. ძალიან საუბედუროთ წერა-კითხვის უცოდინარი ბევრი აღმოჩნდა. სწავლობდნენ და ბჭობდნენ იმაზე, თუ რა მოელის ჩვენ სამშობლოს. ზევით მოხსენებული ნაცვალი ერისკაცობაში თეატრის მოყვარულეთა წრეს ეკუთვნოდა. მოაწყო მსახიობთა დასი და დაიწყო წარმოდგენების მართვა. წარმოდგენებს თითქმის ყველა პოლკის ჯარისკაცი და ოფიცერი ესწრებოდა, ქართველებმა ამ საქმიანობით დიდი პოპულარულობა მოიპოვეს. ამასობაში მოვლენები რუსეთის იმპერიაში დიდი სისწრაფით ფართოვდებოდნენ. არავის შეეძლო წარმოდგენა რით დამთავრდებოდა ყველაფერი ეს. ცნობებს გვაწვდევდნენ კურსებიდან და შეკბულებიდან

დაბრუნებული ოფიცრები. ჯარის გახრწნილობამ უმაღლეს საფეხურს მიაღწია. მთავრობას კი სურდა ამ ჯარით ომი გაეგრძელებინა, მაგრამ ვისთან და როგორ? დეზერტირობა მატულობდა. შვებულებაში წასული ჯარისკაცები აღარ ბრუნდებოდნენ. მრავალი სკორბუტით დასნეულებული ევაკუირებულ იქნა. პოლკში მეზღვაურთა და ჯარისკაცთა ნაწილებს ხშირათ მოჰყავდათ, მოსკოვსა და პეტროგრადიდან აჯანყებული და დისციპლინა მოკლებული ჯარისკაცთა ნაწილები. ვღებულობდით ცნობებს ოფიცერთა შეურაცხყოფის შესახებაც. ჩვენ კავკასიის ფრონტზედაც ჰქონდა ადგილი ამნაირ შემთხვევებს, განსაკუთრებით მოზრდილ ქალაქებში, როგორც ყარსი ან ბლეკზანიპისტში (დღევანდელი ლენინაქანი). ამ საკითხზედ ქართველებმა ერთ-ერთ შეკრებაზე გადავწყვიტეთ ჩვენ წრეში ასეთი რამ არ დაგვეშვა და ამნაირი მოვლენებისთვის წინააღმდეგობა გაგვეწია. ქართული გაზეთები საუბედუროთ ამ დროს არ იძლეოდნენ ჩვენთვის საჭირო ცნობებს. გავიგეთ იქიდან მხოლოდ, რომ შესდგა ქართველ მხედართა კავშირი, მოგვიწოდებდნენ იქ შევსულიყავით. ჩავეწერე წევრათ, გავაგზავნე საწევრო გადასახადი და წერილი სადაც გატყობინებდი ჩვენ ვითარებას და ვთხოვდი საჭირო მითითებებს. საუბედუროთ პასუხი არ მიმიღია. გაიარა კიდევ 8 თვემ . პოლკი იხვედა. ბრძანება არა გვქონდა. ომის სურვილი არც ჩვენ ოფიცრობას და არც ოსმალებს არა ჰქონიათ, ჩვენებს იმიტომ, რომ იცოდნენ რა ჯარისკაცებიც ჰყავდათ, ოსმალებს, რადგან ჰქონდათ სწორი ცნობები ჩვენ ჯარის შესახებ, გრძნობდნენ, რომ ყველაფერი ირღვეოდა და იმედოვნებდნენ, უომრათაც დაიბრუნებდნენ დაკარგულ ტერიტორიასა და მეტსაც. გარდა ამისა მომარაგების ბაზებიდან დაშორების გამო მძიმე მდგომარეობა ჰქონდა სურსათისა და სამხედრო მასალის ნაკლებობის გამო.

მივიღეთ ბრძანება დაგვეწყო პოლკში სამხედრო მეცადინეობა. ბრძანებას ხელს აწერდა დივიზიის უფროსი და ჯარისკაცთა საბჭო. პოლკმა სათანადო პროგრამა შეიმუშავა და მეორე დღესვე უნდა შესდგომოდა მის შესრულებას. ჯერ ლოგინებიდან არ ავმდგარიყავით, რომ შემოვიდა გუნდის ზემდეგი და მაცნობა, რომ გუნდის მეცადინეობაზე არ თანხმდება. ვთხოვე ზემდეგს მოეყვანა კარავში გუნდის ჯარისკაცთა საბჭო. საბჭომ განაცხადა, რომ მოელაპარაკებიან გუნდს, ოღონდ ისინი მეცადინეობაზე გასვლას არ თანხმდებიანო. ვთხოვე შევეკრიფათ გუნდი, რადგან პირადათ უნდა ავუხსნა მეთქი მდგომარეობა. გუნდი მოაწყვეს. ჩემ ოფიცერთან ერთათ მოვედი მათთან და დავუწყე განმარტება, რომ ომის ხანაა და ჩვენ თითქმის ფრონტზე ვართ. ბრძანების შეუსრულებლობა ასეთ შემთხვევაში ომის წესების დარღვევაცაა. ასეთ ვიათრებაში ბრძოლების ჩატარებას ვერ შევძლებთ მეთქი. ჩემმა ლაპარაკმა არ გასჭრა ჯარისკაცებმა მეცადიენობაზე გასვლაზე კატეგორიული უარი განაცხადეს. ამავე დღეს პოლკის სხვა ნაწილები (სულ 16 ნაწილი იყო) მეცადიენობაზე გავიდნენ.

წავედი პოლკის უფროსთან პოლკოვნიკ გუროვთან. მივახსენე, რომ ჩემი ერთეული მეცადინეობაზე არ გავიდა, რომ ამის შესახებ ესაუბრა მათ ასეულის ჯარისკაცთა საბჭო და მე პირადათ და რომ ამის-და მიუხედავათ მათ თავისი გადაწყვეტილება არ შეუცვლიათ. მომიგო, რომ მომეწყო გუნდი და, რომ თვითონ გავიდოდა მათთან მოსალაპარაკებლათ.

პოლკის უფროსობის წინათ იგი ათასეულს მეთაურობდა. დიდათ პოპულარული იყო ჯარისკაცთათვის და დაჯილდოებული იყო წმ. გიორგის ორდენით. გუნდი მოვაწყვე მივიდა პოლკის უფროსი, განუმარტა მან მეცადინეობის მიზანი, რომ ეს საბრძოლო ბრძანებაა და მისი შესრულებაც სავალდებულოა. ვერაფერს ვერ მიაღწია, მტკიცეთ იდგნენ თავის გადაწყვეტილებაზედ და მეცადიენობაზე გასვლაზე უარი განაცხადეს. გაბრაზებულმა პოლკის უფროსმა აცნობა ჯარისკაცთ, რომ ასეთ ვითარებაში მას აქ გასაკეთებელი არაფერი აქვს და უარს განაცხადებს პოლკის უფროსობაზედ. სრულიადაც არ შევწუხდით ამის გამოთ უპასუხეს ჯარისკაცებმა და გასწიეს თვითონ კარვებისაკენ. მათთან ერთათ ჩვენც. მეტის მეტათ დამაფიქრებელი იყო ეს შემთხვევა და აგვავსო პესიმისტური გრძნობებით.

ვფიქრობდი, რომ ჩვენი გუნდი საერთოთ აღარ აპირებდა მეცადიენობას და დიდათ გავკვირდი, როდესაც მეორე დღეს დილით, როდესაც ჯერ კიდევ ლოგინში ვიწექი შემოვიდა ზემდეგი და მომახსენა , რომ გუნდი დაწყობილია მეცადინეობაზე გასასვლელათ. საჩქაროთ წამოვხტით ლოგინებიდან მოვემზადეთ და გავედით გუნდთან.

ჩემ მისალმებაზე ხორთი მიპასუხეს, რაც ერთათ ერთი შემთხვევა იყო პოლკში. სხვა ნაწილებში მისალმებაზე სდუმდნენ. იქნებ ეს შედეგი იყო იმ ჩემი მიმართვისა კარისკაცებისადმი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბრძანება N1- წაკითხვისას.

მოგაგონე მათ, რომ მუდამ მათთან ვიყავ ომის დაწყების დღიდან, ვიღებდი მონაწილეობას ყველა მათ მოქმედებაში, დამჭრეს, ტიფ შეყრილი მწყობრიდან არ გავსულვარ, დავრჩი ერთეულში და ვმონაწილეობდი ყველა მოქმედებაში. ერთმანეთს მივეჩვიეთ და თუ ჩემ მისალმებაზე სიჩუმით მიპასუხებენ უნდა ვიფიქრო, რომ არაფერი გვაკავშირებს და იძულებული ვიქნები გუნდის უფროსობაზე უარი ვსთქვა. დამპირდნენ, რომ ამას ადგილი არ ექნებოდა და მოსალმებაზე მოსალმებით გიპასუხებთ.

გუნდი გავიყვანე სამეცადინოთ ბანაკიდან 8 კილომეტრის მანძილზე, თოფები დავაჯვარედინე და დასვენება გამოვუცხადე. შემდეგ მოვიწვიე ირგვლივ და გუშინდელი ამბის შესახებ საუბარი გავაბი. მიკვირს მეთქი თქვენი ქცევა, გუშინ მეცადინეობაზე გამოსვლაზე უარი სთქვით, დღეს კი თვისი ნებით გამოხვედით, რას იზამთ შემდეგ. ძნელი წარმოსადგენია ასეთ ვითარებაში, რანაირათ უნდა ვუფროსო გუნდს, განსაკუთრებით სამხედრო მოქმედების დროს? ალბათ ელოდნენ ჩემ ამნაირ შეკითხვას. ჯგუფს გამოეყო ერთი ჯარისკაცთაგანი და დიდი დაფიქრების გარეშე ჩემ შეკითხვაზე მკვეთრ განმარტებებს იძლეოდა. გუშინწინათ, მიამბო, როდესაც მეორე დღეს მეცადინეობაზე გამოსვლა გამოგვიცხადეს, შევიკრიბენით ყველა ნაწილების წარმომადგენლები და გადავწყვიტეთ ამ მეცადინეობაზე არ გამოვსულიყავით. ჩვენ ეს დადგენილება ბოლომდის შევასრულეთ. პოლკის დანარჩენმა ნაწილებმა კი ეს დადგენილება გატეხეს და მეცადინეობაზე გავიდნენ. ჩვენ თვალში ისინი მოღალატენი არიან და დაგმობას იმსახურებენ. ბოდიში მოიხადეს გუშინდელი ამბის გამო და დამპირდნენ, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდებოდა და, რომ ჩემ ბრძანებებს მომავალში ხალისით შეასრულებენ. ამაღელვა ამ მათმა დაპირებამ, რომელიც ზუსტათ შეასრულეს და პოლკში ყოფნის უკანასკნელ დღემდის ასეთი რამ აღარ განმეორებულა. დიდი სიამოვნებით ვიგონებ დღეს ჩემ ჯარისკაცებს, მართლაც კეთილი გულისანი იყვნენ და ვფიქრობ, რომ, თუ მათ გულითა და თანაგრძნობით მოუდგებოდნენ, ისეთ საზარელ შემთხვევებს, როგორც ოფიცერთა დახოცვა, ადგილი არ ექნებოდა.

პოლკში 1917 წლის ქრისტეშობისთვემდის ვიყავი. ამ დრომდის არავითარი ექსცესები აქ არ მომხდარა, მხოლოდ ჯარისკაცების რიცხვი მცირდებოდა განუწყვეტლივ. გადიოდა ხანი, ჩვენ კი ცნობები რუსეთიდან ძუნწად მოგვდიოდა. არც ქართველ მხედართა კავშირი გვაცნობდა რამეს. ვიმედოვნებდით, რომ უახლოეს შვებულებაში გავიგებდით ყველაფერს. ამასობაში ქართველების წრე მცირდებოდა და ვფიქრობ საჭიროებისას თავს არ შევირცხვენდით. ეს კი დიდათ გვეხმარებოდა სიმშვიდის შენარჩუნებასა და მომავლისათვის თვალის გასწორებაში.

ჩატარდა წარმომადგენელთა არჩევნები დივიზიის, ლაშქრის შტაბის , საბჭოსა და თბილისში გასაგზავნათ. მახსოვს ერთ-ერთ წარმომადგენლათ ჩემი გუნდის ოფიცერი - პოდხორუნჟი რიჟკვი იყო, ყოფილი მოსკოველი სტუდენტი და სოციალ-რევოლიუციონერთა პარტიის წევრი. ყრილობიდან დაბრუნებისას იმდენათ მოსწონებია გეგეჭკორის გამოსვლა, რომ თავისი პარტია მიატოვა და მენშევიკების პარტიაში გადმოეწერა. დეკემბრის დასაწყისში მივიღე შვებულება. გამომშვიდობებისას ვუთხარი ჩვენებს, რომ შვებულებიდან აღარ დავბრუნდებოდი, რომ ჩვენში დიდი ამბები ხდება და მეც იქ დავრჩები მეთქი. თუ რამეს გავიგებ გაცნობებთ, თუ არა და სცადეთ დაბრუნდეთ საქართველოში და იქ გამონახეთ თქვენი ადგილი მეთქი. ცნობები მივიღეთ რომ პეტროგრადში გადატრიალება მოხდა, დროებითი მთავრობა ჩამოაგდეს და ძალაუფლება ბოლშევიკებმა ჩაიგდეს ხელში. საქართველოს ვითარებაზე არაფერი ვიცოდით და ვიმედოვნებდი, რომ იქ ჩასვლისას ყველაფერი გამოირკვეოდა და გავიგებდი რა ბედი ელის საქართველოს. საქართველოში კი ამ დროს ასეთი ვითარება შეიქმნა: დროებითმა მთავრობამ პეტროგრადიდან გამოგზავნა ნ წევრიანი კომისია ამიერკავკასიის საქმეთა გამოსაძიებლათ. კომისიაში შედიოდა ერთი რუსი, 2 ქართველი და თითო-თითო სასომხეთისა და აზერბეიჯანიდან. თბილისში ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატთა საბჭო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ე. გეგეჭკორი . ამ საბჭომ დიდი ენერგია გამოიჩინა და დროს შესაფერი საქმიანობა მოაწყო. ადგილი კი არ იყო ყველაფერი ეს. რევოლუციის დასაწყისშივე მთელი რუსული ადმინისტრაცია დაიშალა ხელისუფლებამ რევოლუციონერებისკენ გადაინაცვლა. იმ დროისთვის ორგანიზაციული სიმკვრივით ქართველ სოციალ-დემოკრატთა პარტიამ გამოიჩინა თავი. ისინი სათავეში ჩაუდგნენ მოვლენათა მსვლელობას, არ მხოლოდ საქართველოში, არამედ სომხეთსა, აზერბეიჯანსა და მთელ ამიერკავკასიაში. მდგომარეობა მოითხოვდა, რომ მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოებს რეალური ძალის შექმნაზე ეზრუნათ მთელი ამიერკავკასიისთვის. დროებითმა

მთავრობამ თხოვნაზე , კავკასიაში შემდგარიყო ქართველთა, სომეხთა და აზერბაიჯანელთა ერთეულები პასუხი არ გასცა. მდგომარეობა კი რთული იყო.

თბილისი ამიერკავკასიის ცენტრს წარმოადგენდა, იქ იყო შეჯგუფებული ამიერკავკასიის და კავკასიის ფრონტის მთელი მმართველი აპარატი, საწყობები, სამმართველოები. რევოლუციის დასაწყისშივე შეწყდა ამიერკავკასიის და ჯარების რუსეთიდან მომარაგება. კავკასიის მილიონიან ფრონტს და მცხოვრებთ კვება ესაჭიროებოდა. კავკასიის ფრონტის დისციპლინადაკარგულ ერთეულებს, რომლებიც რუსეთისკენ მიისწრაფებოდნენ, გზის მიცემა სჭიროდა. ყველა მიმართულებიდან გზები თბილისზე გადიოდა, სახელდობრ:

1. თავრიზიდან, ჯულფა, ალექსანდროპოლის, თბილისის და ბაქოს გავლით ჩრდილოეთისკენ.
2. ყარსიდან ალექსანდროპოლის, თბილისის, ბაქოს გავლით ჩრდილოეთისკენ.
3. არდაგანიდან ახალციხე, ბორჯომის, გორის, თბილისის, ბაქოს გავლით ჩრდილოეთისკენ
4. ტრაპეზუნდის ფრონტიდან უგზოობის გამო გემებით ბათუმამდის, შემდეგ ტუაპსესა, ნოვოროსიისკენ და ოდესისკენ.

ამნაირათ, როგორც ჩანს, ფრონტიდან რუსეთისკენ გზა უკანასკნელის გამოკლებით თბილისზე გადიოდა. როგორც აღვნიშნე, რევოლუციის დასაწყისიდან იჩინა თავი დეზერტირობის მომრავლებამ, რაც ტრანსპორტის საშუალებებს დამატებით სიძნელეებს უქმნიდა.

რკინიგზის დასაწყისამდი საჭირო იყო ფეხით ან ცხენდაცხენ მოსვლა. ფრონტის ზურგი თურქეთის ტერიტორიაზე კავკასიის საზღვრამდის სულმთლად განადგურებული იყო. სოფლები გადამწვარი, ჯარის საჭიროებისათვის ყოველ 80 კილომეტრზე მოწყობილი იყო ეტაპები, ანუ რამდენიმე ფიცრული, სადაც შეეძლოთ დაეძინათ, მიეღოთ სურსათი, პავოზკებით გამგზავრებულიყვნენ შემდეგ ეტაპამდის. რევოლუციის შემდეგ, როდესაც გახშირდა დეზერტირობა ეტაპებს დააკლდათ სურსათი და სატრანსპორტო საშუალებანი. რკინიგზის დასაწყისამდე მისვლა არ ჰნიშნავდა რომ გადატვირთულ მატარებელში მოხვდებოდნენ. ვიცოდი ყველაფერი ეს და ვერ წარმომედგინა, როგორ გავიკლიდი ამ ჯოჯოხეთს და როგორ მივაღწევდი სამშობლომდის. საბედნიეროთ ბედმა გამიღიმა. საავათმყოფოდან ბრუნდებოდნენ სახლში ექიმი და ორი მოწყალების და. მატერებლამდის მშვიდობით მივედით, როგორც იქნა ჩავსხედით შიგა და მივაღწიეთ სოფელ ყლუხაულამდის, არაქსის პირას. აქ ძლივ-ძლივობით გადავსხედით თავრიზიდან ალექსანდროპოლში მიმავალ მატარებელზე. ალექსანდროპოლში ყარსიდან თბილისისკენ მიმავალ მატარებელში ჩაჯდომა ვერ მოვახერხე. საბედნიეროთ ამ გაჭირვებაში ხელი გამომიწოდა ქართველმა მემანქანემ. ჩამსვა ორთქმავალში და თბილისში ჩამიყვანა. აქ სასტუმროში გავჩერდი და მეორე დღეს შევუდექი სამხედრო კავშირის ძებნას. მიმასწავლეს, რომ დგება ქართული კორპუსი და რომ მისი შტაბი იმყოფება ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობაში, ოპერის გვერდით. იქ შევხდი ჩვენ პოლკის ოფიცერს გვარათ ცორვიძეს, რომელიც ორ თვის წინათ წამოვიდა შვებულებაში და პოლკში აღარ დაბრუნებულა. მან მითხრა, რომ კორპუსის უფროსმა, გენერალ ახმეტელმა დამაბარა გადმოგცე. რომ გამოჩნდები თუ არა აქ, მაშინათვე მასთან გამოცხადდე. გამიკვირდა, რადგან გენ. ახმეტელს არ ვიცნობდი და არც მინახავს ოდესმე. გამოვეცხადე. დიდი სიხარულით და პატივით მიმიღო და შემომთავაზა მის შტაბში დავრჩენილიყავ. რაშია საქმე ვიფიქრე. ვინ მიკვეთებს პროტექციას. ალბათ ჩემი ბიძაშვილის გელეიშვილის საქმეა-მეთქი და, რაკი პროტექციის დიდი მოძულე ვიყავი , შტაბში გაჩერებაზე კატეგორიულათ უარი განვუცხადე და ვთხოვე გავეწესრიგებინე ქუთაისის ქვეითა პოლკში, რადგან მინდა ჩემ ძვირფას დედას, დას და ძმას გუპატრონო-მეთქი. გენერალს ჩემი პასუხი არ მოეწონა, დანაღვლიანდა და მიპასუხა კარგი, გდავცემ გელეიშვილსაცო. ამ გვარის ხსენებამ დამარწმუნა ჩემ ვარაუდში.

კორპუსის შტაბიდან გელეიშვილის სანახავათ წავედ პროტექციისათვის მადლობის გადასახდელათ და მდგომარეობაში გასარკვევლათ. გამაცნო მან აღგილობრივი პოლიტიკური ვითარება. მარტის რევოლიუციის შემდეგ გენერალ გუბერნატორის ნაცვლათ მოავლინეს ამიერკავკასიაში ნ წევრიანი კომისია. ოქტომბრის ბოლშევიკური რევოლიუციის შემდეგ ამ კომისიამ მნიშვნელობა დაკარგა პეტროგრადთან კავშირის გაწყვეტისა და დროებით მთავრობის განძევების გამო. დღეს არსებობს ამიერკავკასიის ფედერაცია და დიდი ხიფათი ველის ოსმალეთის ფრონტზე მეოფი ჯარების მხრიდან. ბოლშევიკებმა თბილისშიაც გამოყვეს თავი, ოღონდ ქართველმა მუშებმა , მენშევიკ სოციალისტ ვალიკო ჯუღელის თაოსნობით, იცოდნენ რა ბოლშევიკთა

შემოქმედებაზე. დაიკავეს თბილისის არსენალი და მოაწყვეს სახალხო გვარდია. გაუმართლებელი შეცდომა იყო რომ დააგვიანეს კავკასიაში ქართულ, სომხურ და აზერბეიჯანულ ჯარების შექმნა, რაზედაც დროებითი მთავრობა ნებას არ იძლეოდა. ეხლა შეუდგნენ კორპუსების შედგენას, რომელშიაც აგროვებენ ყოველ რუსულ ერთეულთა ოფიცრებს. საუბედუროთ მათი ნაწილი გაბოლშევიკებულიათ.

მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს სათავეში უდგას ე. გეგეჭკორი, რომელიც დღემდის წარმატებით მოქმედობს.

რომ თბილისისთვის ფრონტიდან მოხსნილ ჯარისკაცთა ტალღები აეცდინათ, საჩქაროთ ააშენეს სადახლოში ხიდი, გაიყვანეს რკინისგზის განშტოება და თბილისის მოვლით მატარებლებს პირდაპირ ბაქოსკენ ჰგზავნიანო. გზა და გზა ეს ჯარები სურსათის უქმარობის გამო აზერბეიჯანის სოფლებს ეცემიან სცარცვავენ და ხალხს ჰხოცავენო. მათ თავის დასაცავათ იარაღი დაურიგდათ და ეხლა იქ ხშირათ აქვს ადგილი თოფების ბათქა-ბუთქსა და შეხლა-შემოხლებსო. ჯარის ფრონტიდან მოხსნას სხვა საშიშროება მოჰყვებოდა. კავკასიის საზღვრებისკენ უბრძოლველათ მოიწევდა ოსმალეთის ჯარი და ხელში იგდებდა ჯარების მიერ მიტოვებულ სამხედრო მოწყობილობას იარაღსა და ზარბაზნებსაო. ამიერკავკასიის კორპუსთა შედგენა იოლათ არ მიდიოდა. ჯერ ერთი რომ ნაკლებობა იყო ტყვია წამლის, იარაღის, სამხედრო მასალის და მეორეც, რომ ფრონტიდან დაბრუნებულ სამხედრო სამსახურ მოძულებული მხედრობა ჯარში შესვლას არა ჩქარობდა და მოახლოებულ საფრთხეს ვერა ჰხედავენო. ერთი სიტყვით ის რაც გავიგე სასიკეთოს არაფერს გვიქადდა.

შევეხეთ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხს. მიველით დასკვნამდის, რომ საამისო დრო ჯერ არ დამდგარიყო. ფრონტიდან მოვარდნილი ჯარისკაცთა ტალღა წალეკავდა ყველაფერს. მთელი იმედი ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატთა საბჭოზე იყო დამყარებული, რომელსაც იმ დროს ხელმძღვანელობდა ე. გეგეჭკორი. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები რევოლიუციის შემდეგ, როგორც პეტროგრადსა, ისე ყველა დიდ ქალაქში და მთლიანათ რუსეთის ტერიტორიაზე, სათავეში უდგნენ მმართველობას. უიმათოთ დროებით მთავრობასაც არ შეეძლო რაიმე ნაბიჯის გდადგმა. პეტროგრადის ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოს სათავეში უდგა, როგორც თავჯდომარე, ნიკოლოზ ჩხეიძე, ყოფილი სახელმწიფო საბჭოს წევრი, სოციალ-დემოკრატი მენშევიკი. ფაქტიურათ მთელი ძალაუფლება მის ხელთ იყო. ვუთხარი ბიძაშვილს, რომ მსურს თბილისის პოლიტექნიკუმში შესვლა, როდესაც ის გაიხსნება. თუ საჭირო შეიქნა შევალ ჯარში. ჯერ ჯერობით კი მაქვს შვებულება. მინდა დავისვენო ოჯახის წრეში, შემდეგ წავალ ჩემ პოლკში დოკუმენტების წამოსაღებათ, რაც შევასრულე კიდევაც.

1928 წლის იანვარში ჩავედი პოლკის შტაბში ალექსანდროპოლში. მივიღე კუთვნილი ჯამაგირი, დოკუმენტები და პოდპოლკოვნიკის ხარისხზე წარდგენის ქაღალდები, რომელიც შედგენილი იყო ვინაიდან 1 იანვარს მიწევდა ამის უფლება, ოღონდ სამხედრო სამინისტროსთან კავშირის გაწყვეტის გამო ვერ გავეგზავნათ შესასრულებლათ. ალექსანდროპოლიდან დაბრუნების შემდეგ, დიდი ვაი ვაგლახით, მივიღე კორპუსის შტაბიდან მივლინება ქუთაისის პოლკში, დავბრუნდი სამხედროში და მეორე დღესვე გამოვცხადდი პოლკში. პოლკის უფროსმა პატივით მიმიღო. მაშინ 24 წლისა ვიყავი, კაპიტნის ხარისხში. ათასეულის უფროსობა შემომთავაზა. ჩემი გვარის, ოღონდ არც ნაცნობი და არც ნათესავი, პორუჩიკის თანხლებით დავათვალიერე ყაზარმა, გავეცანი ჯარის კაცთა ცხოვრების პირობებს.

ლაპარაკის დროს პორუჩიკმა გამომიმჟღავნა, რომ ახალგაზრდა დაბალი ხარისხის ოფიცრები, უკმაყოფილნი არიან თქვენი ათსეულის უფროსათ დანიშვნის გამო და საერთოთ არ უყვართ უფროსი ოფიცრები. მადლობა გადავუხადე ცნობისთვის და ვთხოვე მოეხსენებინა პოლკის უფროსისთვის, რომ მივდივარ სახლში, იქიდან ქუთაისში ჩემი ოჯახისთვის ბინის საძებნელათ და შემდეგ გამოვცხადდები მეთქი პოლკში. დოკუმენტები კანცელერიაში არ გადამიცია, თანაც ამ პორუჩიკს საიდუმლოთ გავანდე, რომ თუ ერთი კვირის განმავლობაში არ გამოვცხადდი, წავალ თბილისში, რადგან არავითარი სურვილი არა მაქვს ვიმსახურო პოლკში სადაც ოფიცრები მტრულათ იქნებიან განწყობილნი ჩემდამი, თუმცა არც მიცნობენ და არც ვუნახივარ-მეთქი.

სახლში დაბრუნებისას ვუთხარი დედას, რომ არავითარი სურვილი არა მაქვს ჯარში სამსახურისა. ჩემი მიზანია ინჟინერი გავხდე. დავრჩები რამდენიმე დღეს სახლში და შემდეგ წავალ თბილისში პოლიტექნიკუმში შესასვლელათ.

გაიარა რამდენიმე დღემ. მოვიდა ამბავი, რომ ოსმალოები ტრაპიზონის ფრონტიდან მოსდევენ ფრონტიდან მოხსნილ რუსულ ჯარს და უახლოვდებიან ბათუმს. ბრესტის კონფერენციაზე ოსმალოებს მიაკუთვნეს მთელი არდაგანის ოლქი და ნაწილი ბათუმისა. ეს ტერიტორია მუდამ იყო ქართველებით დასახლებული. მე-18 საუკუნის ომების შემდეგ. ოსმალოებმა მცხოვრებლები ძალით გაამაჰმადიანეს. მაგრამ რჯულის გამოცვლას მათთვის ეროვნება არ შეუცვლია. ისინი მუდამ ქართველებად სცობდნენ თავს. ომის დამთავრებით დაინტერესებული რუსები ყველა დათმობაზე მიდიოდნენ ოსმალოებისადმი. ისინი კი სარგებლობდნენ შემთხვევით და ცდილობდნენ მთელი ბათუმის ოლქის დაჭერას ოზურგეთის რაიონის ჩათვლით. გავიგეთ რა ეს ამბავი, მაშინვე პატარა ჩემოდნით დავტოვე სახლი და პირველივე მატარებლით ბათუმში ჩავედი. აქ გამოვცხადდი ბათუმის ოლქის უფროსის . გენ. მდივნის შტაბში. გაუხარდათ ჩემი მისვლა. გენერალმა პრაპორშჩიკთა ათასეულის უფროსათ დამნიშნა, ათასეულს ეკავა პოზიციები ბათუმის სატვირთო სადგურის ახლოს ნორჩ ტყეში. მომიჩინეს გზის მაჩვენებელი და მაშინათვე გავემგზავრე ათასეულისკენ. ათასეულის უფროსათ იყო ვიღაცა ლეიტენანტი, ადიუტანტათ კი ჩემივე გვარის ჩემთვის უცნობი და უცხო პრაპორშჩიკი. სამნეთ ნაწილს განაგებდა ცნობილი ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი, 60 წლისა, კაპიტანის ხარისხში. გამეხარდა მისი გაცნობა. ომი სწარმოებდა ბათუმიდან ახლოს. ისმოდა ტყვიამფრქვევთა და ზარბაზნების სროლა. ყველა ასეულები პირველ ხაზზე იყო ჯავებში გაშლილი. შევაკრებინე გუნდებიდან გზის მაჩვენებელი ჯარისკაცები და შეუდექი განლაგების დათვალიერებას.

გზა და გზა შევამჩნიე, რომ ბათუმი იცლებოდა. დატვირთული ავტომანქანებით და პოვოზკა-ფურგონებით ჩაქვისკენ მიემართებოდნენ. არ შემიძლია აქ არ მოვიგონო უსიამოვნო შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სატვირთო სადგურზე, სადაც გოგუაძის ჯავშნოსანი მატარებელი იდგა. შეხვდა ის ვიღაც ნაცნობს, რომელთანაც ძველათ შეხლა-შემოხლა ჰქონია და თოფით სიცოცხლე მოუსპო. ამ შემთხვევამ ჩემზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. ის კი, შემდეგში, როგორც გმირის წოდებით მოსილი, თავს იწონებდა და ამაყობდა. ჩემთვის ეს ფაქტი მისი უპასუხისმგებლობის და დაბალი მორალის საქციელი იყო.

ჯავებში დავხვდა ერთი ასეული. პოზიციები ხშირ ტყეში ეჭირა. წინ არავითარი ფართობი არა ჰქონდა, რომ სროლა ეწარმოებინა. ვუბრძანე ხიშტები მაინც ჩამოეცვათ თოფებზე. შემდეგი 2 ასეულის ძებნა უნაყოფოთ დამთავრდა. ერთი ჩამორჩენილი ჯარისკაცის ცნობით ეს ასეულები წავიდნენ პოზიციების დასაკავებლათ ჩაქვის ახლო მდებარე მთებზე. დავბრუნდით მეორე ათასეულის სადგომთან, იქ დამხვდა გენ. მდივნის შიკრიკი ბრძანებით, რომ ათასეულით დამეხია ჩაქვამდის და შემდეგ სამტრედიამდის. სათანადო ბრძანებები გადავეცი ჩემს გვერდით მყოფ ათასეულის უფროსს და ჩემ ხელქვეით გუნდს.

ოფიცრისა და ჯარის კაცის თანხლებით გავემართე ჩაქვისკენ. ვაპირებდი იქ პოზიციის მოწყობას, რადგან შორიდან ამ მიზნისათვის ჩაქვთან მდებარე მთები დამაკმაყოფილებლათ ჩანდნენ.

მატარებლების ერთი მეორის მიყოლებით საჩქარო მიმდინარეობიდან ვამჩნევდი, რომ ბათუმის ევაკუაცია ხდებოდა. ოფიცრების და შიკრიკის თანხლებით ავედი ჩაქვის ქედზე; ვაპირებდი იქ მოგერიებითი პოზიციის მოწყობას, რადგან იქ საამისო პირობები და განსაკუთრებით ლია და შორი ხედი დამაკმაყოფილებელი იყო. დღე მზიანი და უღრუბლო იყო. 2-3 საათის სიარულის შემდეგ მოვაღწიეთ მწვერვალს. საუბედუროთ იქ ჩემი ათასეულიდან არავინ შემხვედრია. შევკრიფე იქ მყოფ ჯარისკაცთა ჯგუფი და ვუბრძანე მწვერვალი დაეკავათ. ვუყურებდი ბათუმის ევაკუაციის მსვლელობას. ფეხოსანთა ერთეულების მოძრაობა არ შემიმჩნევია. საღამო ჟამს მე, ჩემთან მყოფი ოფიცრები და ჯარისკაცები ჩავსხედით მატარებელში, რომელიც ზლაზვნით მიემართებოდა და ჩავედით ნატანებში. იქ მოგერიებით პოზიციებს მართვდნენ, მაგრამ ჩემი ათასეულის ჯარისკაცები არ შემიმჩნევია. გავიგე, რომ იქ იმყოფებოდა ჩვენი მთავარსარდლის გენ. გაბაშვილის მატარებელი. გამოვცხადდი იქ და ვუამბე ყველაფერი რაც ვნახე და რაც ვიცოდი. საუბედუროთ შტაბში ცნობები ძუნწათ ჰქონდათ და მდგომარეობაში არ ერკვეოდნენ. ამასობაში გენ. მდივნის მატარებელიც ჩამოდგა.

გენ. გაბაშვილის შტაბში მსახურობდა ჩემი ახლო მეგობარი, ჩვენი პოლკელი პოლკოვნიკი ძაგანია. გაუხარდა ჩემი შეხვედრა. წამიყვანა შტაბში და თითქმის ძალით გადმომცა დავალება წავსულიყავ ნატანებში დამზვერვის მოსაწყობათ და გასაგებათ თუ რა ძალები მოქმედობდნენ ჩვენ წინააღმდეგ ოსმალოების

მხრივ. ცნობები უნდა მომეწოდებინა სამტრედიაში. თუ იქიდან გენერალური შტაბი გადაინაცვლებდა თბილისში, მაშინ გამეგზავნა მისამართით: თბილისი სადგურის ქუჩა, ყოფილი კავკასიის ოლქის შტაბის ბინა. მე შტაბში არ მიმუშავნია. ასეთი გულუბრყვილო ვიყავი, რომ საქმის მოსაწყობათ საჭირო ფულიც არ გამომირთმევია დაზვერვის მოსაწყობათ. მეორე დღეს გავემგზავრე ნატანებში, სადაც მივმართე ზოგიერთ დაწესებულებებს დახმარება აღმოეჩინათ ჩემთვის და მიეთითებინათ პიროვნებებზე, რომელნიც გამომადგებოდნენ ოსმალეთის ჯარების რაოდენობასა და განლაგებაზე ცნობების მოსაწვდენათ მათ მიერ ოკუპირირებულ ჩვენ ტერიტორიაზე. მირჩიეს ამ საქმისთვის წავსულიყავი ოზურგეთში, სადაც გიპოვნიდი სათანადო პიროვნებებს.. ასეც მოვიქეცი. ოზურგეთში მთელი მოსახლეობა აფორიაქებული იყო, ყველა იმის ფიქრსა და ცდაში იყო რამენაირათ აეცდინათ საფრთხე და თურქები უკუეგდოთ. თუ არ ვცდები იქ იმყოფებოდა გენ. მაზნიაშვილის ან გენ. ართმელაძის შტაბი. გამოვცხადდი ქალაქის მმართველობაში და ვთხოვე, რომ მოევლინებინათ ჩემ განკარგულებაში დაზვერვის საქმეში გამოსაყენებელი პიროვნებები, ქართველი მუსულმანები ან ბათუმის მცხოვრებლები. დამინიშნეს 8 კაცი, თურქული ენის მცოდნენი. ერთი მათგანი მეტად ინტელიგენტი, საინტერესო პიროვნება, დიდათ აენთო ამ საქმისთვის და დამპირდა, რომ ყველა საჭირო ცნობებს მომაწვდიდა. ავუხსენი, რომ მჭირდება ვიცოდე ჯარების სიმრავლე, ზარბაზანთა რიცხვი, ჯარის უფროსთა დახასიათება, მომარაგების მდგომარეობა და სხვა. ამნაირათ დაიწყო ჩემი სამსახური ჯარში. შეხვედრის ადგილათ და ცნობების მოსაწოდებლათ ნატანები დავთქვით და წავედი სამტრედიაში. აქ სადგურის ტელეფონი ჩემ განკარგულებაში იყო. ამასობაში დაიწყო მოლაპარაკება თურქებთან. საქართველოდან ამ საქმისთვის გაემგზავრა ტრაპეზუნში დელეგაცია ბ-ნ. ჩხენკელის მეთაურობით. მოლაპარაკება შედეგს არ იძლეოდა. ამავე დროს ბრესტში მიმდინარეობდა სამშვიდობო მოლაპარაკება გერმანელებსა და ოსმალეთთან. რუსეთის წარმომადგენლებს ხელმძღვანელობდა ტროცკი, რომელიც ზავის საჩქაროთ მისაღწევათ ყველა დათმობაზე მიდიოდა ოსმალეთისადმი. დაუთმო კიდეც მათ დიდი ნაწილი სამხრეთის ტერიტორიისა: ბათუმის ოლქის ნაწილი, არდაგანის რაიონი, სადაც ქართველი მუსულმანები ბინადრობდნენ, რომლებიც საქართველოსკენ ილტვოდნენ და ოსმალებთან საერთო არაფერი არა ჰქონდათ. ოსმალების მადა იქამდე მიდიოდა, რომ მოითხოვდნენ მთელ ბათუმის ოლქს, არდაგანს და ახალციხის ოლქს.

ამიერკავკასიის უკუდაზვერვის ცნობით, რომელსაც გეგეჭკორი ხელმძღვანელობდა, მდგომარეობა კატასტროფული იყო. საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან არამც თუ დადებით შედეგს არ იძლეოდა, პირიქით რთულდებოდა. ოსმალოები მოითხოვდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის ქსელის მათ ხელში გადაცემას. თანაც, განჯაში მოლაპარაკებას აწარმოებდნენ თურქული ორიენტაციის აზერბეიჯანელები.

ამიერკავკასიის კონფედერაციამ ნაყოფი ვერ გამოიღო შემდეგი მიზეზებით: დამცხრალი არ იყო ძველის ძველი განხეთქილება სომხებს, აზერბეიჯანელებსა და თურქებს შორის. ჯერ კიდევ ომის წინ საყოველთაოთ ცნობილი იყო აზერბეიჯანელთა და სომეხთა სისხლისმღვრელი ბრძოლები და სომეხთა ჟლეტა, რამდენათ სძულდათ ოსმალოებს სომხები. ჩემი თვალით ვნახე I მსოფლიო ომის დროს რა ბედი ეწვიათ სომხებს, განსაკუთრებით მაშკიშკერის და მურსკის ოლქებში. აქ არც ერთი სოფელი არ გადარჩენილა, სომხები ცოლშვილიანათ ამოიწყვიტეს და ცხედრებით უშველებელი ორმოები ამოავსეს. 1916 წელს. დამზვერავი ასეულით ქალაქ მუშაში შევდიოდი. ომის წინ აქ 8000 მცხოვრებელი იყო, მათგან უმრავლესობა სომხობა, დღეს არც ერთი სომეხი არ გადარჩენილა, გარდა ერთი მოხუცისა, რომელიც სასწაულათ გადარჩა და, რომელმაც გვიამბო რა ჯოჯოხეთი დაატრიალეს აქ ოსმალოებმა. გვაჩვენა დახოცილთა გვამებით ამოვსებული გრძელი და ღრმა თხრილი. თხლათ თოვლს რომ არ დაეფარა, სიმყრალის გამო ახლოს ვერ დაიდგომებოდა.

სომხეთის ქვეყანა მოქცეულია აზერბეიჯანის, ოსმალეთის და საქართველოს შუა. ოსმალოები და აზერბეიჯანელები სომხების მუდმივი მტრები იყვნენ. საქართველოსთან ურთიერთობა ბოლო დროს გაუმჯობესდა. საერთოთ სომხები თავს მუდამ საფრთხეში გრძნობდნენ, ეძებდნენ მძლავრ დამფარავს და ქომაგს, ასეთათ მას მუდამ რუსეთი მიაჩნდა, სულერთია რანაირიც უნდა ყოფილიყო ის. აზერბეიჯანელები, როგორც მუსულმანები, თავის მხრივ ოსმალეთთან საერთო ენის გამონახვას ლამობდნენ. ამიტომ იყო, რომ ბაქოს დაკავების შემდეგ აზერბეიჯანის მთავრობა განჯაში გადავიდა, სადაც იმ დროს იმყოფებოდა ენვერ ფაშას ძმა. თურქეთს უნდოდა ესარგებლა

რუსეთის სისუტით და მიუხედავათ იმისა, რომ კავკასიის კომისარიატი სცნო. იმედოვნებდა თავის ზრახვების განხორციელებასა და ამიერკავკასიაში შემოჭრის შესძლებობას.

ამიტომ იყო, რომ ჩვენი წარმოდგენლების მოლაპარაკება ტრაპიზონში, რომელსაც ხელმძღვანელობდა აკაკი ჩხენკელი, უშედეგოთ მიმდინარეობდა. საჭირო იყო ამ დროს ძალა, რომელიც სიძნელეებს წინ აღუდგებოდა. და იყო კიდეც ამ ძალის მოწყობის ხელსაყრელი პირობები, მაგრამ იმ დროინდელმა ხელისუფლებამ ეს პირობები არ გამოიყენა, რაც შეცდომათ უნდა ჩაითვალოს.

ომის წინ, საუბედუროთ, ჩვენი ხალხი დამოუკიდებლობის მოპოვებისკენ არ მიილტვოდა. მიუხწეველ უტოპიათ მიაჩნდათ ასეთი შესაძლებლობა განმარტოებულ, პატარა, უმოკავშირეო ერისთვის. მხოლოთ მცირე ნაწილი საზოგადო მოღვაწეებისა ოცნებობდა ამაზე. ფართო მაშტაბით დამოუკიდებლობის პროპაგანდას ადგილი არა ჰქონდა.

სოციალ-ფედერალისტთა პარტია მიზნათ ისახავდა ფედერაციის მოპოვებას რუსეთის ფარგლებში, ყველაზედ ძლიერი ქართველ სოც.-მენშევიკთა პარტია გადაბმული იყო მთელი რუსეთის სოციალისტებთან და რუსეთის იმპერიის ახალ საწყისებზედ მოწყობაზე ოცნებობდა. უნდა აღინიშნოს, რომ მენშევიკებს ჰყავდათ მრავალი გავლენიანი პიროვნება რუსეთის სოციალისტურ მმართველთა წრეებში. ნიკოლოზ ჩხეიძე ომის წინათვე იყო მთელ რუსეთში ცნობილი. 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის შემდეგ არჩეულ იქნა მუშათა და ჯარისკაცთა უმაღლესი საბჭოს თავჯდომარეთ, პეტროგრადში. ამ საბჭომ სცნო პოლონეთის დამოუკიდებლობა, ოღონდ საქართველოს დამოუკიდებლობაზე ხმაც არ ამოუღია, მიუხედავათ იმისა, რომ ეს შესძლო ქართველმა სამღვდელოებამ და ეკლესიის დამოუკიდებლობა აღადგინა. გამოეყო რუსეთის ეკლესიას და უშუალოთ კონსტანტინოპოლის პატრიარქს დაუკავშირდა.

არ უფიქრით ქართული და კავკასიური ჯარის შედგენაზეც, ერიდებოდათ ალბათ ნაციონალურ ლტოვილების გამომჟღავნებას. აქ გამოიჩინეს შორს ჭვრეტის სისუსტე, რამაც შემდეგში მეტად გააძნელეს კავკასიის ერთა ვითარება. ხომ შეიძლებოდა დასაწყისშიც მოეწვიათ რუსეთის სხვა და სხვა ფრონტებიდან დაბრუნებული ჯარისკაცები ამ ერთეულთა მოსაწყობათ? ამიერკავკასიის ერთა ვითარებას ართულებდა მილიონზე მეტი ჯარისკაცთა ყოფნა ამიერკავკასიაში, მისი კვება და რუსეთისკენ გამგზავრება. ბოლშევიკთა აგენტები ამასობაში ამოქმედდნენ, სურდათ თბილისში დაგროვილი სამხედრო მარაგი ეგდოთ ხელთ და მდგომარეობას დაპატრონებოდნენ. სურდათ საამისოთ თბილისში მყოფი ნაწილები გაებოლშევიკებინათ.

თბილისის ჯარის კაცთა და მუშათა საბჭომ ამის ასაცილებლათ 1917 წლის დეკემბერში დაიკავა არსენალი, სადაც სამხედრო მასალის და ვაზნების დიდი მარაგა ინახებოდა. შექმნეს მუშათა შემადგენლობის სახალხო გვარდია. ჯერ თბილისში და შემდეგ ყველა სხვა ქალაქებში. დადებითი როლი ითამაშეს ადმინისტრაციის მოწყობასა და წესრიგის დაცვაში. ჯარის მხრივ გადაწყდა ქართული აზერბეიჯანული და სომხური კორპუსების შედგენა. მათ მოწყობას შეუდგნენ 1917 წელს, ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ და მიმდინარეობდა ხანტათ იარაღისა და ხელსაწყოს ნაკლებლობის გამო. ფრონტს მოხსნილი ჯარები მძიმე იარაღს ოსმალოებს უტოვებდნენ და სურსათის შოვნის იმედით ანგრევდნენ, სცარცვავდნენ და ანიავებდნენ ქალაქებსა და სოფლებს სომხეთსა, საქართველოსა და აზერბეიჯანში.

ოსმალოებს რჩებოდათ ჯარის მიერ მიტოვებული სამხედრო მარაგის საწყობები და ფეხდაფეხ მოსდევდნენ ფრონტიდან მოხსნილ ჯარს. იკავებდნენ იმასაც, რაც ბრესტის ხელშეკრულებით მიიღეს და მეტსაც, მთელ კავკასიას. მდგომარეობა მძიმე და თითქმის გამოუსვლელი იყო. არც დასავლეთის ფრონტზე იყო უკეთესი მდგომარეობა. ჯარები უბრძოლველათ იხევდნენ. მათ კუდში მისდევდათ პატარ-პატარა ნაწილები. ბოლშევიკები ამასობაში გართულნი იყვნენ კონტრრევოლიუციონერებთან, სხვა და სხვა რუსულ გენერლების მიერ შექმნილ ნაწილებთან ბრძოლაში. ამ პირობებში გერმანელთა ჯარი უკრაინაში შეიჭრა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამიერკავკასიის კომისარიატმა, რომელიც რუსეთში ბოლშევიკურ გადატრიალების შემდეგ შესდგა, გამოცდა ვერ ჩააბარა. სომეხთა და აზერბეიჯანელთა ლტოლვა არ ეთანხმებოდა საქართველოს ინტერესებს. მათ ურიერთობაში გაჩნდა ბზარი, ქართველ მოღვაწეთაგან ზოგიერთნი იმყოფებოდნენ გერმანეთში და მიილტოლვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ. გერმანელები, როგორც ცნობილი სხვის საკუთრების დაუფლების მიმდევარი ხალხი, ამ ქართველ მოღვაწეებთან შეთანხმებას აპირებდნენ. საქართველოში

სამეფოს შექმნას და ტახტზე სურდათ გერმანეთის მეფე ვილჰელმ მეორის შვილის იოაჰიმის აყვანა. იმის დროს შეუდგნენ კიდეც რუსეთის ჯარის ტყვე ქართველთაგან კორპუსისა თუ ათასეულის შედგენას. არ ვიცი რატომ, მაგრამ ვგონებ მეტად მძიმე მდგომარეობის გამო, ჩვენმა წარმომადგენლებმა გააბეს კავშირი ამ ასეულთან და დახმარება სთხოვეს გერმანელებს, თანაც ჩვენი წარმომადგენლების მოლაპარაკება ოსმალოებთან ტრაპიზონში შედეგს არ იძლეოდა. პირიქით, მათი მადა იზრდებოდა და უკვე მთელი მესხეთისა და ჯავახეთის გადაცემას მოითხოვდნენ. ბათუმიდან გასვლაზე ხომ ლაპარაკიც არ უნდოდათ. მაისის დასაწყისში გერმანეთიდან ჩამოვიდა წარმომადგენლობა გენ. ფონ ლოსეის თავჯდომარეობით. მიიღო მან მონაწილეობა საზავო მოლაპარაკებებში: ოსმალოთა მოთხოვნილებები გადაჭარბებულად სცნო და, როგორც თავის მოკავშირეს, უბრძანა მათი შეზღუდვა. შემდეგ უკრაინიდან ჩამოიყვანეს ჯარი ბათუმის ოლქის დასაკავებლად. მათი ნაწილი ქუთაისშიც დაბინავდა. ამით უნდოდათ ოსმალოთა ექსპანსიისთვის ბოლო მოეღოთ. რაკი ამიერკავკასიის ხალხთა ინტერესები ერთმანეთს არ ეთანხმებოდა და მათი პოლიტიკური ორიენტაცია ერთი მეორის საწინააღმდეგო იყო, ასეთ ძნელ პირობებში საქართველოს სახალხო საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამ დროს სამტრედიაში ვიყავი. ცნობამ ელვის სისწრაფით მოაღწია. ძნელია აღწერო სიხარული რომელიც გამოიწვია ამ ცნობამ. საქართველო 117 წლის მონობისა და ჩაგვრისგან თავისუფლდებოდა. საუბედუროთ თავისუფლების განსამტკიცებლად ჯერ კიდევ ბევრის დაძლევა და გაკეთება იყო საჭირო. ჩრდილოეთიდან დიდი საშიშროება ახლოვდებოდა.

იქ ძმათა შორის ბრძოლები მიმდინარეობდა წითლებსა და თეთრებს შორის. საქართველოს დამოუკიდებლობა ვერც ერთს ვერ წარმოედგინა. ბაქო და ჩრდილოეთ კავკასიის ნაწილი ბოლშევიკების ხელში იყო. სოჭსა, ტუაფსესა და ნოვოროსიისკში ძალაუფლება ხელიდან ხელში გადადიოდა. ვინ იყო იქ ბატონ-პატრონი ძნელი გამოსაცნობი იყო. საქართველოს მთავრობას რამიშვილი ჩაუდგა სათავეში. წინ მას უდგა მრავალი მოსაგვარებელი საკითხები. ასეთ პირობებში სახელმწიფოს შექმნა და მისი მოწყობა დიდ და პასუხსგებელ საქმიანობას მოითხოვდა.

ოსმალოები დაჟინებით მოითხოვდნენ მათ განკარგულებაში რკინიგზის გადაცემას ჯარების აზერბაიჯანში გადასაყვანათ, რადგან ბოლშევიკების მიერ ბაქოს დაკავებას შემდეგ, აზერბაიჯანელები საამისოთ ოსმალოებს დახმარებას სთხოვდნენ. მართალია გერმანელებმა ოსმალოებს მადა შეუმცირეს, მაგრამ მათი საქართველოში ყოფნა საიმედო არ იყო. ოღონდ, რაკი სხვა გამოსავალი არ იყო, უნდა გვეცადა იმის დამთავრებამდის და მოვლენათა მსვლელობას მივნდობოდით. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ადმინისტრაცია სწრაფათ და დადებითათ მოეწყო, ოღონდ რაც შეეხება ჯარისა და სახელმწიფოს მმართველი ორგანოების შექმნას პირობები გაძნელებული იყო. იგრძნობოდა ნაკლებობა მაღალი თანამდებობებისთვის შესატყვისი პიროვნებებისა. მეფის რუსეთი ქართველებს მინისტრის თანამდებობამდის არ უშვებდა. ყველა ამ სიძნელეების მიუხედავათ ჩვენმა მოღვაწეებმა შესძლეს თავის გართვა. ბათუმი თურქებს ეკავათ, გერმანელები წესიერათ იქცეოდნენ და საქართველოს შინაურ საქმეებში არ ერეოდნენ. ბათუმის საოკუპაციო ზონის განსაზღვრის გამო გავემგზავრე თბილისში, თუმცა ჩემი სურვილი იყო უნივერსიტეტში შევსულიყავ, საინჟინერო დარგზე, მაგრამ ჩემი საყვარელი დედის რჩევით, რომელსაც ვუმადლი ყველაფერს რაც დადებითია ჩემში, ჩემი ბედი სხვანაირათ წარიმართა. მეუბნებოდა ის: "სამშობლოს ერთგული და გამოცდილი ხალხი სჭირია. კაპიტნის ხარისხი გაქვს, მალე პოლკოვნიკის ჩინსაც მიიღებ. სჯობია ქართულ ჯარში დარჩე, თორემ იტყვიან მეფის რუსეთს ემსახურებოდა, ქართულ ჯარში დარჩენა კი არ მოისურვაო." დიდათ იმოქმედეს ჩემზე ამ სიტყვებმა. ჩავედი თბილისში გაწეული მუშაობის ჩასაბარებლათ, რომელიც მივიღე გენ. გაბაშვილის შტაბიდან სამტრედიაში. შემდეგ გამოვცხადდი გენ. შტაბში, ჩავაბარე დოკუმენტები და გავასწორე ანგარიში. აქ უნდა აღვნიშნო, რომ დავალების მიღებისას არავითარი სახსრები არ მიმიღია, დავიწყების გამო. მთელ მუშაობას ვაწარმოებდი საკუთარ ხარჯზე.

შტაბში საორგანიზაციო დარგის უფროსათ იყო იოსებ ჩიჩელაშვილი, შტაბის უფროსათ გენ. ანდრონიკაშვილი, მეტად ნიჭიერი და გულმოდგინე მუშაკი. მიუხედავათ იმისა, რომ მუდამ რუსეთში მსახურობდა ქართულს სრულიათ დამაკმაყოფილებლათ ფლობდა. მე შტაბში აქამდის არ მიმუშავნია და არ ვიცოდი შევძლებდი თუ არა სარგებლობის მოტანას. მაშინ საჭიროება მოითხოვდა წესდებებისა და

სხვა და სხვა ინსტრუქციების გამოცემას. ტერმინოლოგიის დამუშავებას. შეიქმნა საამისო კომისია გენ. ოდიშელიძის თავმჯდომარეობით, რომელიც ომის დროს ასრულებდა კავკასიის ფრონტის უფროსის თანაშემწის თანამდებობას. გარდა იმისა იყვნენ: გენ. არჯევანიძე დამსახურებული მეთაური და ნამდვილი ქართველი, პოლკ. გაგოშიძე, რომელიც პოლიტიკური მოღვაწეობისთვის მეფის დროს მარაგში იყო გადარიცხული. მთავარი წევრი ამ კომისიისა იყო პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს და მისი ისტორიის დიდი მცოდნე, ურომლისოდაც კომისიის მუშაობა ალბათ დიდხანს გაგრძელდებოდა. მე დამნიშნეს მდივნათ, მუშაობა ინტენსიურათ მიმდინარეობდა. წესდებები მუშავდებოდა აჩქარებული ტემპით გამოცდილებისა და საჭიროების მიხედვით, რუსულ წესდებებზე დაყრდნობით. წესდების გადასინჯვის და შესწორების შემდეგ საჭირო იყო მათი საჩქაროთ გადათარგმნა, დაბეჭდვა და ერთეულებში დაგზავნა სამეცადინოთ. ვმუშაობდით მთელი დღეობით, სახლში შებინდებისას ვბრუნდებოდი. პირველი მე გადავთარგმნე ქვეითა ჯარის მოქმედების წესდება. ეს მუშაობა დიდ კმაყოფილებას მგვრიდა, მით უმეტეს, რომ ასეთ ღირსეულ ადამიანებთან ვთანამშრომლობდი და ჩემი წვლილიც შემქონდა იმ დიდ საქმეში, რომელიც საქართველოს ესაჭიროებოდა. ფეხზე ვაყენებდით ჯარს, რომლის ისტორიული გმირული წარსული კარგათ ვიცოდით ისე ჩვენი ოჯახის წევრებიდან, როგორც, განსაკუთრებით, ჩვენთვის დაუვიწყარი და ძვირფასი მასწავლებლის კორნელი ალლაძის გაკვეთილებიდან. ქართული ენის ლექციებზედ ხშირათ მოგვითხრობდა წინაპართა გმირულ ბრძოლებზე მონღოლებთან, თურქებთან, სპარსელებთან. უკიდურესათ მძიმე პირობებში დგებოდა ფეხზე დამოუკიდებელი საქართველო. არ იყო სურსათი, გვაკლდა პირველი მოთხოვნილების საქონელი, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი. მათი შეძენა უიმედო იყო. რუსეთი შინაურ საქმეებში იყო გართული. ოსმალოები მტრულათ განწყობილნი, დასავლეთის სახელმწიფოები ჩვენი ბედით დაინტერესებულნი არ იყვნენ. მძიმე, მეტათ მძიმე პირობებში ეწყობოდა სახელმწიფო. გაკვირვებას იწვევს მოგონება, თუ როგორ შევძელით ამ სიძნელეების გადალახვა და სახელმწიფოს ასე თუ ისე მოწყობა. უსათუოთ ამ საქმის წარმატებას უნდა ვუმადლოდეთ ჩვენ ახალგაზრდა, ნიჭიერ და ენერგიულ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. საქართველოს ჩრდილოეთით მთიელებიც მიილტვოდნენ დამოუკიდებლობისკენ. სიძნელეები ამის მისაღწევათ არც მათ აკლდათ. კავკასიის ფრონტიდან მოხსნილ რუსეთისკენ მიმავალ გაბოლშევიკებულ ჯარს მათ ტერიტორიაზე უნდა გაევლო. შიმშილის დასაძლევათ და სურსათის მოსაპოვებლათ თავს ესხმოდნენ, სცარცვავდნენ და ანიავებდნენ მათ ქონებას.

თუ საქართველომ დასძლია ეს პირობები მხოლოთ იმ აღტყინებას მიეწერება, რომელიც გამოიჩინა ქართველმა ერმა დამოუკიდებლობის მოპოვების ფაქტით. დამოუკიდებლობის გამოცხადებამ გერმანელთა ჯარის გამოჩენამ საქართველოში დააშოშმინა ოსმალოები და მათი წინსვლა საქართველოს ტერიტორიაზედ შეაჩერა. უამისოთ ჯარების უქონლობის გამო, ოსმალების წინსვლას ვერ შევაჩერებდით. მათ ეკავათ არდაგანის, ართვინის და ნაწილები ბათუმის ოლქის. იძულებული ვიყავით ამას დროებით შევრიგებოდით. ასე გასტანა ომის დამთავრებამდის ე.ი. 1918 წლის ნოემბრამდის. მოკავშირეთა გამარჯვების შემდეგ ოსმალეთი იძულებული იყო ამიერკავკასიიდან გასულიყო 1914 წლის საზღვრამდის. აგრეთვე გერმანელებს უნდა დაეტოვებინათ ჩვენი ტერიტორია. სამაგიეროთ კავკასიაში შემოვიდა ინგლისი. დაიკავეს მათ ბათუმის მცირე ნაწილი, გააწესეს თბილისში და დაიკავეს ბაქო, სადაც ბოლშევიკთა განდევნის შემდეგ დაისადგურა აზერბეიჯანის მთავრობამ. უნდა აღვნიშნო, რომ ოკუპანტთა მოქცევა, ისე გერმანელების, როგორც ინგლისელების სრულიათ წესიერი იყო. არავითარ უთანხმოებას მათთან ადგილი არა ჰქონია და ჩვენ შინაურ საქმეებში არ ჩაბმულან. მხოლოთ ბათუმში იდგნენ მაგარი ფეხით. შექმნეს აქ ბაზა თეთრგვარდიელთა დასახმარებლათ. არ უწევდნენ ანგარიშს რუსეთში შექმნილ მდგომარეობას, ეგონათ, რომ ეხმარებიან თავის მოკავშირე მეფის რუსეთს. ტყუილ უბრალოთ აწვდიდენ სამხედრო მასალას თეთრგვარდიელებს, რომლებიც თავგზააბნეულები იყვნენ და ვერავითარ დადებით შედეგს ვერ აღწევდნენ. იარაღი კი მათთვის განკუთვნილი ბოლშევიკებს უვარდებოდათ ხელთ და მათ აძლიერებდა.

1918 წლის დამდეგს (თარიღი არ მახსოვს) სრულიათ მოულოდნელათ სომხეთის ჯარი შემოიჭრა ბორჩალოს მაზრაში და დაგვიწყო ომი. ჩემთვის ეს დიდი მოულოდნელობა იყო. საზღვრებიც სუსტათ დაცული. როგორც ზემოთაც მომიხსენებია, სომხეთის მდგომარეობაც კრიტიკული იყო. საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ერთმანეთის სიძულვილი

სომხების აზერბაიჯანისადმი და ოსმალოებისადმი აიძულებდა მათ დამფარავის ძებნას. ასეთად რუსეთს თვლიდნენ და თავისი ჯარის მოწყობა ყოფილ რუსეთის ოფიცრებს ტომით რუსებს დააკისრეს. მუდმივ კავშირში იყვნენ კონტრრევოლუციონერ გენერლებთან. ესენი სომხეთის ჯარს თავის გამოყოფილ კორპუსათ თვლიდნენ. რიცხვითაც ბევრნი იყვნენ, რადგან დიდი სიძნელეების გამო ომის შემდეგ რუსეთში დაბრუნებას, სომხეთში დარჩენას არჩევდნენ. სანაინის დაკავების შემდეგ სომხების ჯარი სადახლოში შეიჭრა. თავდაპირველათ მდგომარეობა რთული იყო. ადგილზე მხოლოთ მცირე ნაწილები გვეყენა. საჭირო შეიქნა ხელდახელ მობილიზებული ერთეულების გადასროლა. ფრონტის უფროსათ მთავრობამ გენ. გიორგი კვინიტაძე დანიშნა. მთავარმა შტაბმა მისთვის შტაბი შეადგინა, სადაც მე დამზვერვის გამგის მოვალეობა დამეკისრა. მალე განსაკუთრებული მატარებლით სადახლოსკენ გავწიეთ, უკან მოგვყვებოდა სამხედრო ნაწილები, ჯავშნოსანი მატარებლები და საომარი მასალა, რამდენიმე დღის შემდეგ გადავედით კონტრიერიშზედ. უკუვაგდეთ სომხეთა ნაწილები, ოღონდ სომხების მიერ დაკავებული მთელი ტერიტორია არ დაგვიბრუნებია.

სწორეთ ამდროს ფრონტზე გვეწვია მთავარი შტაბის სამარაგო დარგის გამგე, გენერალური შტაბის პოლკოვნიკი წაჩიტიშვილი(?). თან ჩამოიყვანა ინგლისელი პოლკოვნიკი. მისი მოთხოვნილების ძალით გადაწყდა ომები შეგვეჩერებინა სომხებთან მოლაპარაკება დაგვეწყო ზავის ჩამოსაგდებათ. ორივე ეს ოფიცერი ჩვენ მატარებელში დაბინავდა. მეორე დღეს საქართველოს მხრივ ჯარების მოქმედება შესწყდა და მოეწყო ინგლისელი პოლკოვნიკის თანდასწრებით სომხების და ქართველების სარდლობის შეხვედრა. ძნელი წარმოსადგენია ჩემი განცვიფრება, როდესაც სომეხთა ჯარის მთავარსარდლის პიროვნებაში დავინახე გენ. სილიკოვი, რომელიც 1914-1915 წლებში პოლკის მეთაურის უფროსის თანაშემწე იყო კავკასიის მსროლელთა მე-8 პოლკში, რომელშიც მეც ვმსახურობდი. ძალიან მაფასებდა და დიდათ მუყვარდი. მისი ადიუტანტი მურადიანი 1916-1918 წლებში უმცროს ოფიცრათ იყო ასეულში, რომლის უფროსიც მე ვიყავი. ერთმანეთს გულითადათ მივესალმეთ. ორივეს ცრემლი გვადგა თვალში ნუ თუ ჩვენ შორის საბრძოლველი რამე იყო? გვეცხოვრა კეთილმეზობლურათ, როგორც ეს წარსულში ყოფილა! წარმომადგენლების მოლაპარაკება მიმდინარეობდა გულთბილი განწყობილებით და სასურველი შედეგის ნიშნებს იძლეოდა. ერთი საათიც არ იყო გასული მოლაპარაკების დაწყებიდან, რომ ცხენდაცხენ მოვიდა, სომეხთა გმირი, ძველი პატაზანელი, მასთან ერთად ჩემი მზვერავთა ასეულით ვიბრძოდი ოსმალეთის ფრონტზე 1916-1916 წლებში. დეკემბრიდან თებერვლამდის. ბრძოლებით გავიარეთ ქალ მუში ალაშკის ხეობა. ქ...მდის. მივიწევდით წინ და გზას ვუხსნიდით უკან მომავალ კავკასიის მსროლელთა ბრიგადას. დავუახლოვდით ერთმანეთს ამ ბრძოლებში და დავმეგობრდით. მაშინ იყო სწორეთ, რომ სიროსთან ერთად ვათვალიერებდით ევფრატის მარცხენა ნაპირზე, რომელზედაც მაშინ ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის მიერ აშენებული დიდებული ხიდი იყო, გრძელ და ტევად თხრილებს, რომლებიც თურქთა და ქურთების მიერ სომეხთა მოხოცილ გვამებით იყო სავსე. ამ თხრილებს გვიჩვენებდა სასწაულით გადარჩენილი ხნიერი სომეხი. არ იყო სასიამოვნო სანახავი ეს ბარბაროსობა, რომელსაც შემდეგში ევროპის ყველაზედ კულტურული ერიც მიმართავდა. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ ინგლისელი პოლკოვნიკის თანდასწრებით სამხედრო მოქმედებები შეწყდა, დაიწყო მოლაპარაკება საბოლოო სახის საზღვრების დასადგენათ.

დავბრუნდით თბილისში. მხედართმთავრის შტაბი დაშლილ იქნა და შევუდექით ისევ ჯარის მოწყობის საკითხს. თეთრგვარდიელები ნოვოროსიისკისა ტუაპსე და სოჭის დაკავების შემდეგ დაიძრნენ გაგრის მიმართულ;ებით. გადმოლახეს საზღვრები და ფიწუნდასა და ოჩემჩირეს დაემუქრნენ. დენიკინისა და ვრანგელის ჯარები საქართველოს დამოუკიდებლობას არა სცნობდნენ, მეფის რუსეთივით საქართველოს თავის საკუთრებათ თვლიდნენ. საქართველოსა და ამიერკავკასიის რუსეთიდან ჩამოშორება შეუძლებლათ მიაჩნდათ.

საჭირო იყო ძალების საჩქარო შეკრება და შემოსეულ მტრის ჩვენი ტერიტორიიდან განდევნა. ამ ფრონტის მთავარსარდლათ დანიშნულ იქნა მეტათ ენერგიული გენერალი მაზნიაშვილი. მის განკარგულებაში გადავიდა ქუთაისის ჯარის და გვარდიის ნაწილები. ამ ჯარებმა ჯერ შეაჩერეს თეთრგვარდიელთა წინსვლა. შემდეგ კონტრ იერიშით განდევნეს ისინი ადლერამდის და დაიკავეს პოზიციები მდინარის პირას გაგრისა და ადლერის შუა.

ზევით მოვიხსენიე, რომ სომხებთან ომის დამთავრების და მთავარსარდლის შტაბის

დაშლის შემდეგ, დავუბრუნდი ჩემ მუშაობას გენერალურ შტაბში. წესდებათა შედგენა და მათი ნაწილებში დაგზავნა გრძელდებოდა. მუშაობას ხელმძღვანელობდა გენ. ოდიშელიძე. იქვე გბჭობდით ჯარის შექმნის საკითხებზე. ჩვენი მთავრობა, როგორც მოვიხსენიე, სოციალისტური იყო და დიდ სურვილს არ იჩენდა რეგულარული ჯარის მოწყობისთვის. საკმარისათ მიაჩნდა ისეთი ორგანიზაციის შექმნა, როგორც შვეიცარიაში იყო ე.ი. მილიციური სისტემა. არ ვიცი თუ ეს მიზან შეწონილ იყო ისე მძიმე პირობებში, როდესაც საქართველო გარსშემორტყმული იყო მტრულად განწყობილი სახელმწიფოებით. მახსოვს გენ. ოდიშელიძე დიდათ განათლებული და დამსახურებული ოფიცერი მხარს უჭერდა ამ წინადადებას: საჭიროთ არა სცნობდა ოფიცერთა ხარისხებს, მათ მაგიერ უკეთესათ მიაჩნდა ოფიცერთა წოდება დაკავებულ თანამდებობის თანახმათ აღნიშნულიყო, როგორც გუნდის, ათასეულის, პოლკის უფროსი და სხვა. კომისიამ საბოლოოდ გადაწყვიტა შექმნილიყო 8 ქვეითა ბრიგადა, ერთი ცხენოსანი პოლკი და ცალკეული ბრიგადები არტილერიის, საპერთა და სხვა დარგის ჯარების.

ინგლისელების მიერ ბათუმის დაკავების და ჩრდილოეთის მხრიდან მშვიდობის დამყარების შემდეგ, შესაძლებელი გახდა ოსმალთა ჯარების საქართველოს ტერიტორიიდან, სახელდობრ არდაგანიდან, განდევნა. საჩქაროთ ჩატარდა ჯართა კონცენტრაცია ქალაქ ახალციხის რაიონში. მთავარ სარდლათ დაინიშნა ისევ გენ. კვინიტაძე, რომელმაც დადებითათ დაამთავრა სომხებთან ომი.

მე გენერლის შტაბში დამნიშნეს და გავემგზავრე ახალციხეში, სადაც იდგა ფრონტის შტაბი. ჯარის კონცენტრაციის დამთავრების შემდეგ გადავედით შეტევაზე და გავწმინდეთ ოსმალებისაგან არდაგანი და ნაწილობრივ ართვინის ოლქი. დამარცხებული ოსმალეთი ამ დროს მძიმე პირობებში იმყოფებოდა, ოსმალეთის სულთანი ტახტიდან ჩამოგდებული იყო; ოსმალეთის ბელადს ქემალ ფაშას სხვა ბევრი საქმეები ჰქონდა გადასაწყვეტი და ჩვენთვის ამიტომ არ ეცალა. არდაგანის ოსმალოთაგან განთავისუფლება დიდი სიძნელეს არ წარმოადგენდა. მოქმედების დამთავრების შემდეგ შტაბი თბილისში გააუქმეს.

აქ მინდა აღვნიშნო შემადგენლობა სამხედრო სამინისტროსი და გენერალურ შტაბის. სამხედრო მინისტრათ გიორგაძე იმყოფებოდა; მასთან მივლინებულნი იყვნენ გენერლები ოდიშელიძე, გედევანიშვილი, ქუთათელაძე, ზაქარიაძე, და სხვები.. შტაბის უფროსათ იყო გენ. ანდრონიკაშვილი, ჭკვიანი, განათლებული, მშრომელი. მას დიდი დვაწლი მიუძღვის ქართული ჯარის შედგენაში.

კანცელარიის გამგეთ იყო პოლკ. პეტრიაშვილი; მის თანაშემწეებათ მაიორი გოცაძე და ერთი ჩემი ამხანაგი რუსული პოლკიდან.

პირველი საორგანიზაციო განყოფილების უფროსი იყო გენ. შტაბის პოლკოვნიკი ჩიჩელაშვილი (დაამთავრა შემოკლებული კურსი), თანაშემწეებათ პოლკოვნიკი ცაგარელი და მე. მეორე განყოფილების - დაზვერვის - უფროსი იყო გენ. შტაბის პოლკოვნიკი მუსხელიშვილი (დაამთავრა შემოკლებული კურსი), თანაშემწეებათ ჭილაშვილი და სიტაშვილი. აქ უნდა აღვნიშნო, რომ გენ. შტაბის პოლკოვნიკი მუსხელიშვილი იყო განსაკუთრებით ნიჭიერი, ზრდილობიანი და მშრომელი ოფიცერი. მას ყველა პატივს სცემდა. დახვრიტეს ბოლშევიკებმა 1924 წლის აჯანყების შემდეგ.

მე-IX განყოფილების (მომარაგების) უფროსათ იყო პოლკოვნიკი ივანოვი, ერთათ ერთი ოფიცერი ტომით სომეხი, თბილისში დაბადებული და იქ აღზრდილი (დაამთავრა შემოკლებული კურსი). ენდობოდნენ მას და ასეთი მაღალი თანამდებობა მიანდეს, ოღონდ ეს ნდობა მან ვერ გაამართლა, რაზედაც შემდეგ .

გენ. შტაბის უფროსის თანაშემწეთ იყო გენ. შტაბის პოლკოვნიკი ნიკოლოზ გედევანიშვილი . ომის წინ დაამთავრა გენ. შტაბის აკადემია.

ჯარში 8 გედევანიშვილი მსახურობდა გენერალი ალექსანდრე , რომელიც სამინისტროში მუშაობდა, გენ. იოსები, რომელიც სოც. ფედერალისტთა პარტიის წევრი იყო და I ომის წინ ჯარში არა მსახურობდა . 1918 წ. ადგენდა ფედერალისტურ ლეგიონს და მონაწილეობა მიიღო საქართველოს ყველა ომებში, და პოლკ. ნიკოლოზი, რომელიც ზევით მოვიხსენიე. ყველამ დაამთავრა ომის წინ გენ. შტაბის აკადემია და ყველანი ერთგულათ ემსახურებოდნენ დამოუკიდებელ საქართველოს. გენ. შტაბის სამხედრო დარგის უფროსათ იყო პოლკ. ნაცვლიშვილი (ომის წინ დაამთავრა გენ. შტაბის აკადემია), გენ. შტაბის პოლკ. ზაქარიაძესთან ერთათ. მეტათ საქმოსანი და ენერგიული პიროვნება, უჭირდა ქართული ლაპარაკი თუმცა მუდამ საქართველოში მსახურობდა ტრანსპორტის გამგეთ. რომან ოყექსიანი, ჩემი კარგი მეგობარი, მშრომელი და გულდასმითი ოფიცერი. საპიორთა უფროსათ,

დიპლომიანი ინჟინერი პოლკოვნიკი თაყაიშვილი (დაამთავრა სამხედრო საინჟინრო აკადემია). ტოპოგრაფიის უფროსათ (დაამთავრა ომის წინ ტოპოგრაფიული აკადემია).

როგორც ზევით მოვიხსენიე, 1918 წელს არ მინდოდა სამხედრო სამსახურში დარჩენა. ვაპირებდი პოლიტეხნიკუმში შესვლას საინჟინრო დარგზე. თურქებთან ომის დროს გამოვცხადდი ფრონტზე და დავიწყე სამსახური, ოღონდ 1918 წელს ალექსანდროპოლიდან ჩამოტანილი ჩემი მოწმობები სამინისტროს პირადი შემადგენლობის განყოფილებისათვის არ გადამიცია. მოწმობები არ მოუთხოვნიათ, არც მაშინ როდესაც გამაწესეს საორგანიზაციო დარგის უფროსის თანაშემწეთ გენერალურ შტაბში.

მხოლოდ 1918 წლის დამდეგს დამიბარეს პირადი შემადგენლობის განყოფილებაში და მომთხოვეს მოწმობები, გადავეცი ყველა, გარდა იმ მოწმობისა, სადაც აღნიშნული იყო ჩემ მიერ პოდპოლკოვნიკის ხარისხის დამსახურება. ამის შესახებ ველაპარაკე ჩემ ამხანაგ გოცირიძეს, მან გაუზიარა ეს კადრების დარგის უფროს პოდპოლკოვნიკ ხომერიკს. დამიბარეს ისევ კადრების დარგში, მომთხოვეს ის მოწმობა. გადავეცი და ვგონებ 1918 წლის იანვარსა თუ თებერვალში ამამაღლეს პოდპოლკოვნიკის ხარისხში. ახალციხიდან დაბრუნების შემდეგ გამოვცხადდი შტაბში. აქ კადრების უფროსის თანაშემწის, პოლკოვნიკ გედევანიშვილთან მივიღე ბრძანება წავსულიყავი ბათუმში, სადაც ჩვენ რწმუნებულთან გამოცხადების შემდეგ, უნდა შევხვედროდი ჩვენ ოფიცერს, ქართველ მუსულმანს, მამედ ბეგს და მასთან ერთად მონაწილეობა მიმეღო ქართველ ოფიცერთა გამოსვლის მოწყობაში ჩვენი ტერიტორიების ინგლისელთა ოკუპაციიდან განთავისუფლების შემთხვევაში. მამედ ბეგი გამოცდილი, განათლებული გავლენიანი და პოპულარული პიროვნება იყო ქართველ მუსულმანთა შორის ბათუმსა და ართვინის ოლქებში. ჩვენი ხელმძღვანელობა მას დიდათ აფასებდა და ისიც მათთან მუდმივ კავშირში იყო. მუსულმანობა ქართველებმა ამ ოლქებში ოსმალოთა ძალდატანებით მიიღეს, თავის თავს მუდამ ქართველებათ ცნობდნენ და მისკენ მიილტვოდნენ.

აჭარლები მხოლოდ ბათუმსა და ართვინის ოლქში არა ცხოვრობდნენ, არამედ ტრაპიზონამდის, რომელიც წარსულში აგრეთვე საქართველოს ეკუთვნოდა.

ყოველი ოკუპაცია თუნდაც მოკავშირე სახელმწიფოს მიერ მცხოვრებთა სიძულვილს იწვევს. ინგლისელთა მიერ ბათუმის ოკუპაციამაც დიდი უკმაყოფილობა გამოიწვია ოფიცერთა შორის. მათ სწადდათ ოკუპაციისგან განთავისუფლება, მით უმეტეს, რომ ინგლისელები ყოველ დახმარებას უწევდნენ თეთრგვარდიელებს, რომლებიც იმ დროს მრავლად და თავისუფლად დაპარპაშობდნენ ბათუმში და არა მალავდნენ მტრობას და სიძულვილს ჩვენი ხალხისადმი. ეს მეტად აღელვებდა მათ და ინგლისელების წინააღმდეგობას უღვივებდა.

მამედ ბეგის ძმა ასლან ბეგი ჩვენმა მთავრობამ გენერლის ხარისხში აიყვანა, რადგან მასაც დიდი გავლენა ჰქონდა აჭარლებზე. მიანდეს მას საიდუმლოთ სამხედრო ორგანიზაცია მოეწყო შესაფერის მომენტში ოკუპანტთა გაძევასა და ქვეყნის განთავისუფლებაში უცხო ძალებისაგან. ასლან ბეგს შევხვდი ჩვენ წარმომადგენლობაში, დავბინავდი მის ბინაში და შევუდექით ორგანიზაციასა და შეიარაღებას ბათუმის რაიონში.

ეს მუშაობა მეტად მძიმე და სახიფათო იყო, მით უმეტეს, რომ მე ოფიცრის ტანსაცმელში ვიყავი გამოწყობილი, რომელიც არაფრით არ გამოირჩეოდა მეფის დროინდელ ოფიცერთა ჩაცმულობისაგან. მხოლოდ ქუდებზე გვქონდა ეროვნული ფერების ნიშანი და სამხრეულებზე ქართული ასოებით ამოქარგული ნაწილი და უწყება, რომელსაც ვეკუთვნოდით. ასე იყო ქართული ჯარის ორგანიზაციის დამთავრებამდის რადგან ახლათ ფეხზე დამდგარ სახელმწიფოს აკლდა ფინანსიური საშუალებანი ჯარის ჩაცმულობისთვის. საქართველოს საკმაოთ ჰქონდა საკუთარი ბამბა, მატყლი და აბრეშუმი, მაგრამ საფეიქროს უქონლობის გამო მათ ვერ ამუშავებდა. ასე მართავდა მეფის რუსეთი განაპირა ერების ეკონომიკას. საქართველოში ბევრი იყო ნედლი მასალა მძლავრი საფეიქრო ინდუსტრიის შექმნისათვის, მაგრამ ეს ყველაფერი ქართველებისათვის არ იყო დანიშნული. ჩემი ბათუმში ყოფნა სახიფათო იყო. ჩემ გამოჩენას ყურადღება მიაქციეს ისე ინგლისელებმა, როგორც თეთრგვარდიელებმა. დიდი სიფრთხილე მჭირდებოდა. ასლან ბეგის ბინიდან დღისით იშვიათათ გამოვდიოდი, ისიც სამი-ოთხი აჭარელის თანხლებით. სწორეთ არ მახსოვს, რამდენი ხანი დავყავი ბათუმში. ვგონებ ერთი თვე. გამომიძახეს გენ. შტაბში თბილისში და მიმავლინეს გაგრაში, სადაც იმყოფებოდა დენიკინის თეთრგვარდიელებთან მებრძოლი ჯარის შტაბი. ფრონტის სარდლათ გენ.

ცოცოშვილი იყო, მეტათ თავმდაბალი, სიმპათიური და პატიოსანცემი კაცი. მიმიდო მეტათ გულითადათ და გამაცნო ვითარება. ჩვენ ჯარებს ეკავათ პოზიციები მდინარის ნაპირზე ადლერის სამხრეთით; სადაც იმ დროს გადიოდა საქართველოს საზღვარი. მიდამოები მთაგორიანი იყო. ძნელი იყო სამთო არტილერიის ზარბაზნებისათვის პოზიციის მოძებნა. მიუხედავათ ამისა ხაზი საკმათო იყო გამაგრებული. გაგრის რაიონიდან თეთრგვარდიელების განდევნა მოულოდნელათ და სწრაფათ ჩატარდა. ადგილობრივმა მცხოვრებმა რუსობამ და მათმა ოჯახებმა, რომლებიც ბინადრობდნენ მეფის დროის მდიდრათ მოწყობილ სასახლეებებსა და დაჩებში, გახიზვნა ვერ მოასწრო, ადგილზე დარჩა და ჩვენდამი მტრულ განწყობილებას არა მალავდა. შავი ზღვის სანაპიროებზედ მოტორიანი ნავების დიდი მოძრაობა იყო ჩრდილოეთიდან და ამ გზით ნოვოროსიისკისა, ტუაფსესა და სოჭიდან ხდებოდა საქართველოში არა ერთი შპიონი. ამ ვითარების დაძლევა ადვილი არ იყო. თანაც ვრცელდებოდა ხმები, რომ დენიკინის ჯარი ემზადება საქართველოსაკენ გამოსალაშქრებლათ და გაგრისა და სოხუმის დასაჭერათ. ეს ცნობები ხალხს მეტად აშინებდა და აღიზიანებდა.

დავიწყეთ ყველა საქართველოსაკენ მომავალი პიროვნებების მიზეზების და მიზნების გამოკვლევა. ვაკავებდით მათ და უმეტეს შემთხვევაში უკან ვაბრუნებდით. 1918 წლის სექტემბერში ჯარის ნაწილები ჩვენ ფრონტზე სახალხო გვარდიამ შეცვალა. მე შტაბს თბილისში არ გავყუძახივარ; დამტოვეს გაგარაში სახალხო გვარდიის შტაბში. უნდა გამოვტყდე, რომ ეს ფაქტი მე არ მომეწონა, რადგან პარტია შედგებოდა პარტიული ხალხისაგან, მენშევიკებისაგან. ყოველ გადაწყვეტილებას იღებდა რამდენიმე პიროვნისაგან შემდგარი შტაბი, რომელთა შემადგენლობაში რუსებიც ერივნენ, ერთიც ურია იყო რუსეთიდან. ეს პიროვნება მე თავიდანვე არ მომეწონა, საეჭვო გამომეტყველობა ჰქონდა და არც შემცდარვარ, შემდეგში გამოირკვა, რომ ის ბოლშევიკების აგენტი ბრძანდებოდა.

შტაბის ყველა სხდომას უნდა დავსწრებოდი, მომესმინა ხშირათ უაზრო წინადადებები პიროვნებებისაგან, რომელთაც სამხედრო საქმეზე არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდათ: შტაბის თავჯდომარეთ იყო ძველი მენშევიკური მოღვაწე - ჯიბლაძე. ჩემზე მან კარგი შტაბეჭდილება დასტოვა, იყო მშვიდი, ჭკვიანი, ენერგიული. აზრიანათ უდგებოდა სხვა და სხვა სახის ყველა საკითხს.

სახალხო გვარდიის უფროსათ გაგრის ფრონტზე იყო გენ. ჯიჯიხია, - გაათავა გენ. შტაბის აკადემია ომის წინ - მერყევი ხასიათისა, ადვილათ იჯერებდა და შიშს გვრიდა თეთრგვარდიელების მიერ გავრცელებული ჭორები. გვიან დაბრუნდა საქართველოში და გზაში ბევრი უსიამოვნებაც გადახდა. იქნებ ამისთვის ეშლებოდა ხშირათ ნერვები, მასთან მუშაობა სასიამოვნო არ იყო. გაგარაში გავიცანი სიმპათიური პიროვნება. გვარი არ მახსოვს. მამულები ჰქონდა გაგრაში თუ ოჩამჩირეში და სოჭში. ხშიარო ვხდებოდი, სადილობდა დროებით სასტუმროს სასადილოში, სადაც ჩვენი შტაბი იმყოფებოდა. ხშირათ თხოულობდა სოჭში წასვლის ნებართვას. უარი არსდროს არ მითქვამს, რადგან სანდო კაცათ ვთვლიდი. ერთხელ ვთხოვე ეპოვნა ვინმე დენიკინის ჯარის ნაწილების შტაბში, რომელიც სოჭში იმყოფებოდა, რომ უტყუარი ცნობები მოეწოდებინა ჯარების ვინაობაზე და მათ განზრახულ მოქმედებებზე, თორემ ყალბი და სენსაციური ცნობების გავრცელებით მეტათ აღელვებენ მეთქი საზოგადოებას. არ გასულა დიდი ხანი და სოჭიდან დაბრუნების შემდეგ მითხრა, რომ სოჭის თეთრგვარდიელთა შტაბში მსახურობს ერთი ქართველი, შტაბს კაპიტანი, რომელიც ყოველი ანაზღაურების გარეშე მოგაწვდით ზუსტ ცნობებს. ერთსა თხოულობს ოღონდ, რომ თუ ჩვენთან გადმოვა ხელი არ შეახოთ და დაჰპირდეთ ქართულ ჯარში მიღებას. ამასთან ერთათ გადმომცა თეთრგვარდიელთა ჯარის განლაგება სოჭის რაიონში. ცნობები ზუსტი იყო, რადგან ეს ოფიცერი მსახურობდა შტაბის საოპერაციო განყოფილებაში. რომ ნაცნობ და მეგობარ ქართველისათვის ხიფათი ამეცილებინა ვიპოვე ქართველი მუშა, რომელიც საზღვარზე ცხოვრობდა, ყოველ დღე გადადიოდა და ბრუნდებოდა ფრონტის ხაზზე და გადმოჰქონდა იქიდან დაწვრილებით ცნობები ჯარის განზრახულ მოძრაობაზე.

მახსოვს ერთხელ დამიბარა გენ. ჯიჯიხიამ და მაცნობა, რომ იყო მასთან გრაფი ზარზიკინი და გაანდო, რომ ხვალე ღამით თეთრგვარდიელები გადმოლახავენ საზღვარს და სოხუმს შეუტევენო. ზარზიკინი მეფე ნიკოლოზ მე-II ნათესავის ოლდენბურგის პრინცის ნათესავი იყო. ცოლათ ჰყავდა ქართველი თავადიშვილი, ჰქონდა გაგრაში მოზრდილი დაბა, სადაც საცხოვრებლათ მიიდო პეტროგრადიდან გამოქცეული მაღალი წრის ოჯახი. ესენი საქართველოსადმი მტრულათ

იყვნენ განწყობილნი და სურდათ, რომ გაგრის რაიონი თეთრგვარდიელებს ჩავრდნოდა ხელში. სწორათ წინა დღისით მივიღე ცნობა თეთრგვარდიელების შტაბში მომუშავე ქართველ ოფიცრისაგან, რომ თეთრგვარდიელებმა სოჭისა და ტუაფსეს რაიონებიდან რამდენიმე ერთეული საპერებისა და არტილერიისა გადაისროლეს სტავროპოლის წინააღმდეგ მოქმედ ჯარებში. გენერალს მოვახსენე, რომ ეს ცნობები ყალბია, გრაფი ზარზიკინი სტყუის. შეუძლებელია აქ შემოტევას აპირებდნენ და ჯარების ნაწილებს კი სტავროპოლის ასაღებათ აგზავნიდნენ მეთქი. ლაპარაკს სუსხიანი ხასიათ ჰქონდა, ცოტა წავილაპარაკეთ კიდეც. არა მჯერათ თქვენი ცნობა. დამტოვა შტაბში და თვითონ პალტოთი ხელში ფრონტისკენ. ღამეს იქ გავათევ საჭირო ბრძანებების გასაცემათ. განკარგულება გავეცით ფრონტის განგაშისა და დაზვერვის გახშირების შესახებ. მე შტაბში დავრჩი. არავისგან არავითარი ტელეფონი არ მიმიღია. ღამემ მშვიდობით ჩაიარა და დილით ჩვენი ძილგატეხილ გენერალი გამოცხადდა სასტუმროში. გაბრაზებული იყო ჩემზე. მომავალში არ გაბედოთ ჩემი განკარგულებების წინააღმდეგობათ. ვუპასუხე, რომ თუ კი მე არ შემძლებია გადმოგცეთ ცნობები მტერზედ, რომლებიც შტაბს აქვს, მაშინ ჩემი თქვენთან ყოფნა უაზროა და მოვთხოვ გენერალურ შტაბს აქედან გამიწვიონ მეთქი. ასეც მოვიქეცი,ოლონდ შტაბმა თხოვნაზე ურით მიპასუხა და მიბრძანა დავრჩენილიყავ გაგრის შტაბში. მალე გაგრის ფრონტზე გვარდიელები შეცვალა ჯარმა. ფრონტის უფროსათ დაინიშნა გენ. ციციშვილი. ჯარები ქუთაისიდან იყო. მშვენივრათ მახსოვს 1919 წლის შემოდგომაზე თეთრგვარდიელების შტაბში მყოფ ოფიცრისგან მივიღე ცნობა, რომ ახლო ხანში ტუაპსიდან უბრალო ნავით წამოვა ოფიცერი საპერი ბზიფის ხიდის ასაფეთქებლათ. საღამო ხანს გადმოჯდება ბიჭვინთის რაიონში და თან ექნება საკმაო ასაფეთქებელი მასალა ხიდის ასაფეთქებლათ. საჭირო იყო სათანადო ზომების მიღება. გენერალთან მოლაპარაკების შემდეგ კალათიანი მოტოციკლით (მე ვიჯექი კალათაში) გავემგზავრე ქალაქ ოჩემჩირესკენ. სადაც იმყოფებოდა მოსაზღვრე ჯარის უფროსი, ამ ნავის ხელში ჩაგდების მოსაწყობათ. სწორეთ ამ დროს არა სასიამოვნო მოვლენა შემემთხვა. გზის მოსახვევში მძღოლმა ვერ დაიმორჩილა მოტოციკლეტი თითონ გადახტა მე კი 10 მეტრის სიღრმიდან ხევში გადავვარდი. საბედნიეროთ იოლათ გადავრჩი, ვიღძე მარჯვენა ხელი და დიდ ტკივილებს ვგრძნობდი სხეულის დაბეჟვის და დამტვრევის გამო... მიუხედავათ ამ ტკივილებისა გავეცი სათანადო განკარგულება საიდუმლოთ ზღვის ნაპირების შეკვრისა და საამისოთ ყოველ ერთ კილომეტრზე სადარაჯოების მოწყობისათვის.

სადარაჯოებს უნდა აღმოეჩინათ ნავის ნაპირთან მიდგომის ადგილი, მიეშვათ ნავიდან გადმოსვლისა და ბარგის გადმოტვირთვამდის და შეეპყროთ ნავიდან გადმომხტარნი. მზგავსი ბრძანებები გაგრის მესაზღვრე ერთეულებსაც გავეცი და ჩემი ნატკენი ხელით, მოტოციკლეტით, რომელიც საბედნიეროთ არ დაზიანებულა, დავბრუნდი გაგრაში, შედეგის მოსაცდელათ. რაკი რამდენიმე დღემ უშედეგოთ გაიარა, შევეკითხე ცნობა ყალბი ხომ არ იყო და ექნება თუ არა ამ საპერი ოფიცრის მოსვლას ადგილი? მიპასუხეს, რომ განზრახვა აქტუალურია და მხოლოთ ხელსაყრელ ამინდს ელიანო სამისოთო. მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ ცნობა, რომ ბიჭვინთისა და გუდაუთის შუა შეიპყრეს რუსი ოფიცერი, რომელმაც ჩვეულებრივი ნავით მოიტანა ასაფეთქებელი მასალა ბზიფის ხიდის ასაფეთქებლათ. ძლიერი პატრულის თანხლებით ეს ოფიცერი გადაიგზავნა გაგრის ციხეში გამოძიების ჩასატარებლათ. თეთრი ოფიცერი გამოტყდა, რომ მოვიდა ნავით და ჩამოიტანა ასაფეთქებელი მასალა ხიდის ასაფეთქებლათ. ბრძანებას ვასრულებდი და ქართველლებები ვერ იქცევიან კარგათ, რომ თეთრებს არ ემორჩილებიანო. მე არავითარ დამოუკიდებელ საქართველოს არ ვცნობო. გამოძიების დამთავრების შემდეგ საქმე გადაეცა სამხედრო სასამართლოს. მე ამ სასამართლოს წევრი ვიყავი. ოფიცერი კაპიტანის ხარისხში იყო, ნამდვილი რუსი; მართლაც არა სცნობდნენ არავითარ ნაციას რუსების გარდა. მეფის დროინდელი რუსეთი მიჩნდა რუსეთის ხელშეუხებელ საკუთრებათ და აზრადაც არ მოსვლია არასოდეს, რომ ამ მიწებს რუსებს ვინმე გამოგლეჯდა. იყო განათლებული, ჭკუამახვილი, გამოტყდა, რომ ჩამოვიდა ხიდის ასაფეთქებლათ და თავისი საქციელი სრულიათ გამართლებულათ მიაჩნდა, რაკი მოქმედებდა ერის წინააღმდეგ, რომელიც რუსეთს ჰღალატობდა. ცხადია სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა დახვრეტით. გენ. შტაბის განკარგულებით გადაგზავნილ იქმნა ქუთაისის ციხეში.

იმ დროს თბილისში მრავლათ იყო შემოფარებული სოჭის, ტუაპსის, ნოვოროსიისკის, მაიკოპის და კრასნოდარის მოქალაქე ცნობილი მოღვაწეები. მათი წადილი

იყო თეთრგვარდიელთა ოკუპაციიდან განთავისუფლებინათ თავისი მხარე. ეწეოდნენ სათანადო ორგანიზაციულ მუშაობას აჯანყების მოსაწყობათ და შავი ზღვისპირეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკის შესაქმნელათ. მახსოვს 1919 წლის დამდეგს, მათ მიერ შექმნილი აჯანყებულთა შტაბი ჩამოვიდა თბილისიდან გაგრაში და მოეწყო დროებით სასტუმროში, სადაც ჩვენი შტაბიც იმყოფებოდა. მათი ხელმძღვანელობით 1919 წლის ბოლოს თუ 1920 წლის დასაწყისში მოეწყო აჯანყება. გაანთავისუფლეს სოჭის და ტუაპსეს რაიონები. მოიწევდნენ მაიკოპის რაიონისკენ. თეთრებმა განიცადეს სასტიკი დამარცხება და დაფეთებულები იხევდნენ ჩრდილოეთისა და ჩრდილო აღმოსავლეთისკენ. ეს მოვლენა ჩვენთვის დიდათ ხელსაყრელი იყო, რადგან სურსათის ნაკლებობის გამო ძნელი იყო ჯარების მუდმივ მობილიზაციაში ჭერა და ფრონტის ხანგრძლივი არსებობა. საკმარი იყო დავყრდნობოდით ჩვენდამი კეთილგანწყობილ შავი ზღვისპირეთის რესპუბლიკას და გვეზრუნა მხოლოთ ჩვენი ჩრდილოეთის საზღვრის დაცვაზე მოსაზღვრე ერთეულების განლაგებით.

როგორც მოვიხსენიე, თეთრები თავ-გზა აბნეულები იხევდნენ ჩრდილოეთისკენ. ადგილზე სტოვებდნენ იარაღსა და სამხედრო ხელსაწყოებს. მიჰქონდათ ან ზღვაში ჰყრიდნენ სამთო არტილერიის ზარბაზნების საკეტებს. აჯანყებულებმა გვთხოვეს ამ უსაკეტო ზარბაზნების ასამუშავებლათ გვეთხოვებინა მათთვის საკეტები, რაც შევუსრულეთ. აჯანყებულები დატოვებულ რამდენიმე ათეულ ზარბაზნებიდან ცეცხლს უშენდნენ თეთრებს. ამან გამოიწვია შემდეგში გართულება. თეთრებმა აცნობეს ინგლისელებს ნოვოროსიისკში, რომ ქართველები ეხმარებიან აჯანყებულებს; უსაკეტოთ დატოვებულ ზარბაზნებიდან ცეცხლს გვიშენენო. სოჭის დაკავების მესამე დღეს გაპირებდი გადაცმულ ტანსაცმელში ჩავსულიყავი სოჭში და გავრკვეულიყავი მდგომარეობაში. სწორეთ ამ დროს გაგრაში გამოჩნდა ინგლისელების უშველებელი დრედნოუტი ნავთსადგურიდან დაგვირეკეს, რომ ჩამოვიდა ინგლისელი გენერალი და ფრონტის სარდლის ნახვა უნდაო. წავედი მე ნავთსადგურზე. შევხვდი გენერალს მის ოფიცერსა და მთარგმნელს. არ მომსალმებიან. გამომიცხადეს რომ ფრონტის სარდლის ნახვა გვინდაო. სალამი მივეცი და ვთხოვე გამომყოლოდნენ, რადგან გენერალი აქ ახლოს იმყოფება-მეთქი. მივიყვანე შტაბში გენერალთან. ინგლისელი გენერალი არ მისალმებია ჩვენ გენერალს. მორთო უხეში ყვირილი იმაზედ, რომ ქართველები ეხმარებიან აჯანყებულებს და მათთვის ზარბაზნის საკეტები მიუციათო. ჩვენმა გენერალმა ამას ტყუილი უწოდა, რადგან ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცითო. მე ჩავერიე ლაპარაკში და ვთხოვე წავსულიყავით ნაკვეთზე სიმართლის შესამოწმებლათ. წავედი მანქანის მოსაყვანათ თანაც დავურეკე არტილერიის დივიზიონის უფროსს, რომ საჩქაროთ გზის შორს მდგომი ბატარეებიდან ზარბაზნების საკეტები გზის ახლოს მდებარე ზარბაზნებისათვის გადაეცათ, რადგან თქვენთან მოემგზავრება ინგლისელი გენერალი შესაამოწმებლათ აქვთ ზარბაზნებს საკეტები თუ არაო ? ვუბრძანე საჩქაროთ და გულისხმიერათ მისდგომოდა საქმეს და ყველაფერი წესრიგში მოეყვანა. ამასობაში მოგვადგა ავტომანქანა, პატარა ფორდი. გავწიეთ ფრონტისკენ. გზის პირას მდგომ ზარბაზნებს საკეტები წესრიგში აღმოაჩნდათ. ვთხოვე დანარჩენი ბატარეებიც დაეთვალიერებინათ. გენერალმა თანხმობა განაცხადა. მივიწევდით წინ ისეთ ოღრო-ჩოღრო და ქვებით სავსე გზით, რომ გენერალს მოსწყინდა ჯაყ-ჯაყი და უკან დაბრუნება ისურვა, თანაც შეკურთხვას უგზავნიდა თეთრგვარდიელებს ტყუილი ცნობის მოწოდებისთვის.

სწორეთ ამ დროს მივიღეთ ცნობა, რომ ჩვენი მინისტრი ნოე რამიშვილი ავტომანქანით სოხუმიდან გაგრისკენ მოემართება. სურს ადგილობრივ გაერკვეს მდგომარეობაში და აჯანყებულთა ხელმძღვანელებს შეხვდესო. გაგრაში მინისტრის ჩამოსვლის ამბავი ჩვენმა გენერალმა ინგლისელ გენრალს გაუზიარა. მან მოუსურვა მინისტრთან შეხვედრა: მინისტრის ჩამოსვლა მაცნობეთო. საამისოთ მოტორიანი ნავი დატოვა ნაპირზედ. ჩამოვიდა თუ არა მინისტრი რასაც ადგილი ჰქონდა ნაშუადღევს, ვაცნობეთ ინგლისელ გენერალს და ისიც მოვიდა სასტუმროში ჩვენი გენერლის ოთახში. დასაწყისში ლაპარაკი დაძაბული იყო, ოღონდ თანდათან მშვიდი ხასიათი მიიღო. მინისტრი რამიშვილი ცნობილი ორატორი იყო, მან დააჯერა, რომ გენერალი შეცდომაში შეიყვანეს, რომ მათი წარმომადგენელი თბილისში პატივით არის მიღებული და ისიც არის დადებითათ ჩვენდამი განწყობილი. თეთრგვარდიელები კი დაპყრობით პოლიტიკას აწარმოებენ, იმის ნაცვლათ რომ ბოლშევიკებს ეომონ, სხვის ტერიტორიას ეპოტინებიანო. დასასრულს, რაკი ლაპარაკმა სხვა სახე მიიღო, მინისტრმა დაპატიჟა ვახშამზე ჩვენ სასადილოში გენერალი

დრედნოუტის ყველა ოფიცრებიანათ. გენერალმა თანხმობა გამოაცხადა. ამასობაში თადარიგი დავიჭირეთ ვახშმის მომზადებასა, მომღერალთა და მოცეკვავეთა დასაპატიჟებლათ. ვახშამზე ყველა ინგლისელი ოფიცერი მოვიდა და შემოვუსხდით მდიდრულათ გაწყობილ სუფრას.

მინისტრმა რამიშვილმა ნახევარი საათის შემდეგ ბოდიში მოიხადა გენერლის წინაშე, რომ დაღლილია და დასასვენებლათ წავა თავის ოთახში, თქვენ კი ისიამოვნეთ და კეთილათ გაატარეთ დრო ჩვენ ოფიცრებთანო. დაიწყო სადღეგრძელოები, ცეკვა-სიმღერები, სასმელები არ გვაკლდა; ზეიმმა გათენებამდის გასტანა. ინგლისელი ოფიცრები კარგა შექეიფდნენ, ცდილობდნენ ლეკური ეცეკვათ, ძალიან მოგვწონსო... გათენებისას ნავთსადგურამდე მივაცილეთ; გემის უფროსმა ყველანი საუზმეზე დაგვპატიჟა, ოღონდ ჩვენ სასტუმროში გამოსაფხიზლებლათ დატოვეს 8 ინგლისელი ოფიცერი, რომლებიც ვერას გზით ცნობიერებაში ვერ მოიყვანეს. მიგვიღეს გულითადათ, გვაჩვენეს ბურთის თამაში ზღვაში. დრომ სასიამოვნოთ ჩაიარა, ოღონდ არავისთვის ხელი არავის მოუკიდებია. გემის დათვალიერების შემდეგ გადმოვსხედით ნავებზე, გემი ნოვოროსიისკისკენ გაემართა, სადაც იმყოფებოდა იმ დროს დენიკინის დამხმარე ინგლისელთა მისია, რომელსაც ისინი ეხმარებოდნენ.

იმ დროს მინისტრი რამიშვილი მანქანით ჩავიდა სოჭში მდგომარეობაში გასარკვევათ. ინგლისელთა წასვლის მეორე დღეს ფოსტის მოხელის ტანსაცმელში გავემგზავრე სოჭში აჯანყებულთა შტაბში. იქ მთხოვეს აუცილებლათ დამეტოვებინა ზარბაზნების საკეტები. გამაცნეს დაწვრილებით ფრონტის მდგომარეობა და მთხოვეს დავრჩენილიყავ მათ შტაბში. ეს უკვე ჩემგან არ იყო დამოკიდებული და საჭირო იყო დავბრუნებულიყავ გენ. შტაბში ახალ თანამდებობის მისაღებათ.

1919 წლის შემოდგომაზე დამტკიცებულ იქნა ქართული ჯარის ორგანიზაცია. წინადადებები რამდენიმე იყო. კამათის შემდეგ მიიღეს პოლკ. ზაქრიაძის წინადადება, რომელიც აყვანილ იქნა გენერლის ხარისხში და დაინიშნა გენერალური შტაბის უფროსათ. ოფიცრებს ენიჭებოდათ ხარისხები, დაკავშირებული თანამდებობის შესაბამისათ. ხარისხები ასეთი იყო: უმცროსი ლეიტენანტი, უფროსი ლეიტენანტი, კაპიტანი, მაიორი, პოლკოვნიკი და გენრალი. ნაცვლებისთვის : სექციის უფროსი, მწყობრის უფროსი და ზემდეგი.

ჯარი შედგებოდა ქვეითა ჯარის 4 ბრიგადისაგან. ბრიგადა 4 პოლკისაგან (უფრო სწორათ ახალი სახის ათასეულებისაგან) სამთო არტილერიის 1 დივიზიონიდან.

ქვეითა ჯარის პოლკში შედიოდა 5 მსროლელთა ასეული, 1 მძიმე ტყვიამფრქვევთა ასეული, მოკავშირეთა, მზვერავთა, ამფეთქებელთა და შტაბის მწყობრები. გარდა ამისა არსებობდა მოსაზღვრეთა პოლკი (დამოუკიდებელი ათასეულით) შემდეგი შემადგენლობით: 6 ასეული ქვეითა ჯარისა, 8-დივიზიონიანი საარტილერიო ბრიგადა, ცხენოსანი პოლკი, საპიორთა ათასეული, რადიო-ტელეგრაფიის ნაწილი, საავიაციო ესკადრონი, ჯავშნოსანი ავტომობილების ნაწილი. ავტომობილების სატრანსპორტო კოლონა და 4 ჯავშნოსანი მატარებელი.

გარდა ამისა გათვალისწინებული იყო 20 მარაგის ათასეული. ჩვენ პირობებში, როდესაც ყოველი მხრიდან მტერი გვიტევდა მარაგა მუდამ თოფ ქვეშ იყო. მარაგის ათასეულისთვის არსებობდა მუდმივი კადრი. ჯარისკაცები იყვნენ სახლებში თოფებითა და ტანსაცმელით და საჭიროების შემთხვევაში ცხადდებოდნენ თავთავიანთ ნაწილებში ისე, როგორც ეს შვეიცარიაშია. სახალხო გვარდიაში ოფიცერთა ხარისხები არ იყო. გვარდიას შეადგენდნენ უმთავრესათ პარტიის წევრები, მენშევიკები; მხოლოთ ერთი ათასეული იყო შედგენილი სოციალისტ- ფედერალისტების მიერ გენ. იოსებ გედევანიშვილის უფროსობით, რომელიც პირველი ომის წინ, პოლიტიკური საქმიანობისთვის ჯარიდან იყო განთავისუფლებული. გვარდიაში საუკეთესო ოფიცრები ილინებოდნენ. ეს კი მეტათ აძნელებდა ჯარის შექმნას. ჯარსა და გვარდიას შორის ურთიერთობა ვერ იყო იდეალური. გვარდიის ოფიცრებს ჰქონდათ ზოგიერთი პრივილეგიები, რაც მუდმივ ჯარს აღიზიანებდა. უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი საქართველოში არა ყოფილა ფინანსიური მოსაზრებით. განზრახულ იყო უმაღლესი ცოდნის მისაღებათ ოფიცრების საფრანგეთის აკადემიაში მივლინება.

სამხედრო სამინისტრო შესდგებოდა რამდენიმე დეპარტემენტისაგან. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო არსენალი, რომელიც მიმართავდა სხვა და სხვა ხერხებს იარაღის, გაზნების და ჭურვების დასამზადებლათ. ამ დეპარტამენტს განაგებდა დიდათ გამოცდილი გენ. ქუთათელაძე, რომელიც ომის დროს ასრულებდა მთავარი ინსპექტორისა და მეფ'

რუსეთის არტილერის უფროსის თანაშემწეის თანამდებობას.

რადგან მდგომარეობა მეტად გართულებული იყო, დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით შეიქმნა თავდაცვითი საბჭო პრეზიდენტისა და იმავე დროს მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის ნოე ჟორდანიას თაოსნობით. თავდაცვის საბჭოში გარდა იმისა შედიოდნენ: სამხედრო მინისტრი, გენ. შტაბის უფროსი, მთავარ სარდლად დანიშნული გენერალი, სახალხო გვარდიის უფროსი და რამდენიმე ცნობილი გენერალი და პოლიტიკური მოღვაწე. ამნაირად გამოიყურებოდა სამხედრო ორგანიზაცია ახალგაზრდა სოციალისტურ რესპუბლიკაში. გასაკვირველი ბევრი იყო, ეკონომიური ვითარება მძიმე, რაც ზედგავლენას ახდენდა ჩვენი ცხოვრების ყველა დარგზე. გაიგზავნა დელეგაციები უცხო ქვეყნებში სურსათის და საომარი მასალის შესაძენად, რომლის ნაკლებობას განვიცდიდით მით უმეტეს, რომ გარდა არსენალისა არავითარი ქარხნები არა გვქონია მათ დასამზადებლად. მინდა აქ მოვიხსენიო მაღალი ღირსების პატრიოტები და თავდადებული პიროვნებები; იყვნენ ისენი: გენ. ართმელაძე, ქუთაისის ბრიგადის უფროსი, გენ. წულუკიძე, ახალციხის ბრიგადის უფროსი, გენ. თაყაიშვილი ტეხნიკურ ნაწილების უფროსი. ამათ გარდა სამხედრო მინისტრის განკარგულებაში იყვნენ: გენ. ოდიშელიძე, ყოფილი თანაშემწე კავკასიის ჯართა უფროსისა, გენერლები მდივანი, ანდრონიკაშვილი, და სხვები, რომელთა გვარები საუბედუროთ ვერ მომიგონებია. გენერალურ შტაბში, რომლის უფროსობა გენ. ზაქარიაძეს ხვდა წილად დიდი პირადი შემადგენლობის ცვლილებები არ მოახდინა, გარდა იმისა რომ პოლკ. ძაგანიას მაგიერ, რომელიც დაინიშნა ბრიგადის შტაბის უფროსად, დაინიშნა გენ. შტაბის პოლკოვნიკი (აჩქარებული კურსი) ჩეჩელაშვილი. გაგრაში ჩასვლისთანავე შევუდექი ჩემი მოვალეობის შესრულებას დაზვერვის უფროსის თანაშემწის თანამდებობაზე.

ამ დარგში, გარდა თურქებთა ომისა 1918 წელს, არას დროს არ მიმუშავნია. გენ. შტაბის უფროსის თანაშემწემ პოლკოვნიკმა ნიკოლოზ გედევანიშვილმა გამაცნო ვითარება და ამიხსნა მოვალეობა.

უნდა გავეცნობოდი სამხედრო ატაშეებს იმ სახელმწიფოთა, , რომელთაც ჩვენი დამოუკიდებლობა იცნეს: სასომხეთის, აზერბეიჯანის, საფრანგეთის, ინგლისის, ჩრდილოეთ კავკასიის მთიელების და სხვათა. ამის გარდა უნდა დამედგინა მდგომარეობა ჩრდილოეთისა და ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც იკრიბებოდნენ ბოლშევიკების მიერ დევნილი თეთრგვარდიელების ნაწილები. ზევითაც ვთქვი, რომ თეთრგვარდიელთა ჯარი, არავითარ ძალას არ წარმოადგენდა. მორალურად დაშლილი, თავგზააბნეული, უდისციპლინო ნაწილებს ვერც ინგლისელთა დახმარება შველიდა, იარაღი, რომელსაც მათ აწოდებდნენ, ხელთ უვარდებოდა ბოლშევიკებს და აძლიერებდა მტერს. მდგომარეობაში საზღვრების ჩრდილოეთით მშვენიერად ვერკვეოდი, რადგან მთელი ერთი წელიწადი დავყავი იქ. დაზვერვის აპარატი სამაგალითოთ მოქმედებდა, განსაკუთრებით შავი ზღვის პირეთის მცხოვრებთა მიერ თეთრგვარდიელების განდევნის შემდეგ სოჭისა და ტუაპსეს რაიონებიდან. ამასობაში ბოლშევიკებმა წარმატებას მიაღწიეს და ვრანგელის და დენიკინის ჯარი იძულებული იყო თურქეთისკენ დაეხია. ნაწილი მათი იხევდა მაიკოპ-ტუაპსე-სოჭისკენ ან ჩრდილოეთ კავკასიისკენ. ამათ საშუალება არა ჰქონდათ ოსმალეთისკენ ევაკუაციისა. სახეში უნდა მიგვეღო, რომ თეთრგვარდიელები მოუახლოვდებიან ჩვენ საზღვრებს და მაშინ დაგვჭირდება ან ბრძოლა მათთან ან და ტყვეთ ჩაგდება განიარაღების შემდეგ. დაიწყო მენშევიკების და თეთრგვარდიელების მოლაპარაკება ამ საკითხზე. გადაწყდა, რომ, თუ იარაღს დაჰყრიან ჩვენი მთავრობა მიიღებს მათ, გადაგზავნის ბათუმსა და ფოთში და იქიდან თურქეთში. თეთრი ჯარის გამოჩენამდე ჩრდილოეთის საზღვარზე გადმოდიოდნენ პეტროგრადისა და მოსკოვიდან ბოლშევიკების მიერ დევნილი განთქმული ხელოვნების, კულტურისა და მეცნიერების მუშაკები. მათ შორის იყვნენ არტისტები, მოსკოველი ხელოვანები სამხატრო თეატრიდან, მოსკოვის დრამატიულ თეატრისა, პეტროგრადის სატირული თეატრისა, ცნობილი ბალეტმაისტერები, მოსკოვის სტანისლავსკის სახელობის თეატრისა, რომელბიც თბილისის დრამატიულ თეატრის შენობაში 1921 წლის თებერვლამდის მშვენიერ წარმოდგენებს მართავდნენ.

შეგვექმნა რთული პოლიტიკური და სამხედრო ვინაობა. ინგლისელებმა, რაკი დარწმუნდნენ, რომ თეთრგვარდიელების დახმარება უაზროა, დატოვეს ნოვოროსიისკი და გადმოგვცეს ჩვენ განკარგულებაში ბათუმის ოლქი. ჩვენთვის ეს დიდათ სასიხარულო მოვლენა იყო, რომ წინ მოსალოდნელი სიძნელეების დაძლევა არა გვჭირდებოდეს.

ბოლშევიკებმა დაიკავეს მაიკოპი, ტუაპსე, სოჭი და მოადგნენ ჩვენ საზღვრებს, ჩრდილო დასავლეთის მხრივ ადლერის ჩრდილოეთით.

მდგომარეობა მეტად დაძაბული იყო. არ იყო არავითარი გარანტია, რომ საქართველოში არ შემოიჭრებოდნენ; გამოცხადდა ჯარისა და გვარდიის მობილიზაცია, რასაც მოჰყვა საზღვრების გამაგრება. აზერბაიჯანისა და სომხეთის ატაშეები სასოწარკვეთილებამ მოიცვა. აზერბაიჯანის ატაშეს გვარი არ მახსოვს, სომხეთისა გვარად ქიშმიშიანი იყო. მათ დიდი იმედი ჰქონდათ, რომ საქართველო დაეხმარებოდა მათ ბოლშევიკების ბრჭყალებიდან განთავისუფლებაში; ჩვენ საამისო ძალა სად გვქონდა? გარედან მეშველი არსაიდან არ ჩანდა. ომით მოღლილი ევროპის სახელმწიფოებს საკმაო საკუთარი სადარდელი ჰქონდათ და კავკასიისთვის საბრძოლველად არა სცალოდათ. ის კი არა და სამხედრო მასალის მოწოდებაც ეძნელებოდათ, მიუხედავად ჩვენი მრავალი ცდებისა, მხოლოთ სტამბოლში ჩამორთმეული იარაღი და ვაზნები გაიმეტეს მოსასყიდათ და ისიც სისხლის ფასათ, მყარი ვალუტით.

თუ არა ვცდები ვგონებ 1920 წლის აპრილში ბოლშევიკები ომის გამოუცხადებლივ შემოიჭრენ ჩვენ საზღვრებში აზერბაიჯანისა და სასომხეთის მხრიდან.

მთავრობამ მაშინათვე დანიშნა მთავარსარდლათ გენ. კვინიტაძე და დაიწყო მწვავე ომი ბოლშევიკებთან. საბედნიეროთ ამ ომს ჩვენ კარგათ მომზადებული დავხვდით. მობილიზაცია დროზე ჩატარდა. ჯარში შეუპოვარი სულის კვეთება სუფევდა. ბოლშევიკებმა ვერსად ვერ გადმოლახეს ჩვენი საზღვრები. ამ დროს ისინი პოლონელებთან ბრძოლებში იყვნენ ჩაბმულნი და იმედი, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთში მყოფი ჯარებით საქართველოს დასძლევდნენ, არ გაუმართლდათ. სულ მოკლე ხანში ბრძოლები შეწყდა და დაიწყო საზავო მოლაპარაკება. დაისვა საკითხი საქართველოსა და რუსეთის შორის ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების და ყველა სადავო საკითხის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტის შესახებ.

1920 წლის მაისის დასაწყისში შეიკრა საზავო ხელშეკრულება. მისი ძალით რუსეთი სცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას, უარს ამბობდა ყველა უფლებებზე საქართველოსადმი, რომლებიც მეფის რუსეთს ჰქონდა. სცნო ჩვენი საზღვრები საბჭოთა რუსეთთან და პირობას სდებდა არ ჩარეულიყო საქართველოს შინაურ საქმეებში. დანიშნულ იქნენ წარმომადგენლები საქართველოსი მოსკოვში და ბოლშევიკურ რუსეთისა თბილისში. ძნელი ასწერია ხალხის ენთუზიაზმი, რომელიც გამოიწვია რუსეთის განდევნამ საქართველოს საზღვრებიდან და ასეთმა ხელსაყრელმა მის

თუ არა ვცდები ჩვენ წარმომადგენლათ მოსკოვში დაინიშნა სოსო მდივანი, სამხედრო ატაშეთ კი გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ანტონ ნაცვლიშვილი. თბილისში ჩამოვიდა 100 კაცისაგან შემდგარი მისია, ამბასადორის გვარი არ მახსოვს და შეიქმნა საქართველოს უკუდაზვერვისა და დაცვის ორგანოებისთვის თავსატეხი ხანა. ჩვენი დამოუკიდბლობა იცნეს იმდროინდელ პირობათა კარნახით. მაშინ ისინი პოლონელებთან ბრძოლებში იყვნენ ჩაბმულნი. არსებობა მენშევიკურ საქართველოში, მათი თქმით მიუღებელი იყო, იმის და მიუხედავათ, რომ იგი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოში სცნეს სანიმუშოთ.

შეიქნა თუ არა ხელსაყრელი პირობები, ხელახლათ შეუდგნენ საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობისა და ჩაყლაპვის საქმეს; საამისო მომზადებას აშკარათ და მოურიდებლათ აწარმოებდნენ ბოლშევიკურ წარმომადგენლის თბილისში ჩამოსვლის დღიდანვე.

ეძებდნენ თავიანთ მომხრეებს, და იმ გვარათ მიჰყავდათ საქმიანობა, რომ ხალხის უკმაყოფილობა გამოეწვიათ ხელისუფლებისადმი, ეკონომიურ სიძნელეების გამო. ასეთი მათი მოღვაწეობა ხალხზე ზედგავლენას არ ახდენდა, მხოლოთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აიყვოლიეს მცირე რიცხოვანი გლეხობა. ოსეთში მათ საწინააღმდეგოთ საჩქაროთ გაგზავნილ იქნა გვარდიის ათასეულები და ჯარის ნაწილები გენ. მაზნიაშვილის თაოსნობით. რამდენიმე დღის განმავლობაში აჯანყება ჩაქრობილ იქნა და ისევ მშვიდობა დამკვიდრდა. პოლონეთთან ომის დამთავრებისასვე მიზნათ დაისახეს საქართველოს მოსპობა. დაიწყეს ჯართა დაჯგუფება ჩრდილოეთ კავკასიაში. რუსეთის 100 კაცისგან შემდგარი მისია შეუდგა დივერსიულ მუშაობას: სრულიათ აშკარათ ამას ხელმძღვანელობდა და ხელს უწყობდნენ მათი კონტრდაზვერვა, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შექმნილი განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილები. აღსანიშნავია რომ ინტელიგენტთა და რუსეთში უმაღლეს სასწავლებლებ დამთავრებულთა შორის ბოლშევიკებისადმი თანამგრძნობნი მოიპოვებოდა, მათ შორის ბუდუ მდივანი, ნ. ქავთარაძე და სხვანი. მშრომელთა შორის ბოლშევიკებს თანამგრძნობნი არ აღმოაჩნდათ.

საერთოთ საქართველოში პროლეტარ-მუშათა რიცხვი დიდი არ იყო, რადგან მიუხედავათ ნედლი მასალის სიუხვისა მეფეთა რუსეთი ერიდებოდა განაპირა ქვეყნებში მრეწველობის განვითარებას. ამ ხასიათის მუშათა წრეს ეკუთვნოდნენ ჭიათურის მანგანის ამომღები, ტყვარჩელისა და ტყიბულის ქვანახშირის დამმუშავებელი და რკინიგზის შემკეთებელი სახელოსნოების მუშები: ბათუმსა, ფოთსა, სამტრედიასა, შორაპანსა, ხაშურსა და თბილისში. ამ დაწესებულებათა მუშები თითქმის მთლიანათ წარმოადგენდნენ მენშევიკთა პარტიის წევრებს და არავითარი საერთო ბოლშევიკებთან არა ჰქონდათ და მათთან რაიმე თანამშრომლობაში არ ჩარეულან. მათ რიცხვიდან ივსებოდა გვარდიის ნაწილები და მტრულათ შეჰყურებდნენ რუსეთს მიუხედავათ იმისა მეფისა იყო თუ ბოლშევიკური.

მუშებს ეკუთვნოდნენ აგრეთვე მცირე რიცხვის მოქალაქენი, რომელნიც შრომობდნენ კერძო წარმოებებში, თუთუნის ქარხანაში, ვენახებში. მიუხედავათ იმისა, რომ ბოლშევიკებმა ყოველი მხრიდან სალტე შეკრეს საქართველოს ირგვლივ, ცხოვრება ნორმალური წესით მიმდინარეობდა. ყველა თავთავის უბანში ცდილობდა ნაყოფიერი შრომით საქართველოს დამოუკიდებლობა განემტკიცებინა. თბილისში გაიხსნა უნივერსიტეტი და პოლიტეხნიკუმი, დაენიშნათ ახალგაზრდებს სტიპენდიები და მივლინებულ იქნენ საზღვარგარეთ უმაღლეს სასწავლებლებში: საფრანგეთში, იტალიაში, ინგლისში, გერმანიაში. გაიხსნა მრავალი სამკითხველოები და ბიბლიოთეკები, ვცდილობდით გაგვევითარებინა მრეწველობა და ჩავებმულიყავით საერთაშორისო საქონლის ბრუნვაში. დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე გამოცხადდა აგრარული რეფორმა. ხელს ვუწყობდით კერძო ინიციატივას. დაიწყო კულტურისა და ხელოვნების გაღვიძების ხანა. დაიწერა ახალი ოპერები. საქართველო, როგორც ზევითაც აღვნიშნე, ყველა ზომებს მიმართავდა გაება ურთიერთობა მეზობელ და ევროპის ყველა სახელმწიფოებთან. საქართველოს დამოუკიდებლობა სცნეს მრავალმა სახელმწიფოებმა, მათ შორის, რაც აღსანიშნავია, თურქეთმა და 1920 წელს ბოლშევიკურმა რუსეთმა, რაც, როგორც ბოლოში გამოირკვა, მხოლოთ დროებით ქაღალდზე დაწერილი მოტყუებითი ხერხი იყო იმ დროს გაჭირვებაში მყოფი სულის მოსაბრუნებლათ. ქართველები კი ამ დროს ბედნიერათ სთვლიდნენ თავს, კმაყოფილნი იყვნენ ბედით, ხალისით და ენერგიით შეუდგნენ შრომას. პარტიათა შეხლა შემოხლებს ადგილი არა ჰქონია, ხალხში სრული ერთსულოვნება სუფევდა.

1920 წლის შემოდგომაზე ხელში ვიგდეთ და ფოტოგრაფზე აღვბეჭდეთ ბოლშევიკური მე XI ლაშქრის სარდალის ლევანდოვსკის გეგმა დამტკიცებული ჩრდილო კავკასიის, აზერბეიჯანის და სომხეთის ძალთა უფროსის გეკერის მიერ და ამ ტერიტორიათა კომისრის ორჯონიკიძის მიერ. გეგმა ითვალისწინებდა დამოუკიდებელ საქართველოს ლიკვიდაციას. მიმართულებებს და ძალთა შემადგენლობას, რომლითაც უნდა დასცემოდნენ საქართველოს. საჩქაროთ შეიკრიფა თავდაცვის საბჭო. გადაწყდა საჭირო ზომების მიღება აქტიური წინააღმდეგობის გასაწევათ, მობილიზაციის მოხდენა ჯარისა და გვარდიის ნაწილებში, დაინიშნენ სარდლები ცალ-ცალკე მიმართულებებისათვის. მდგომარეობა უღრმესათ გამწვავებული იყო. არ ვიცოდით, როდის დაიწყებდნენ მოქმედებას ბოლშევიკთა ჯარები. გეგმაში მოქმედებათა დაწყების დღე დანიშნული არ იყო. მე მუდმივ კავშირში ვიყავი ჩვენ ქვეყანასთან მომვლინებულ ატაშეებთან. გერმანელთა და საფრანგეთის ატაშეები გულმხურვალეთ თანაგვიგრძნობდნენ. მახსოვს თურქეთის ატაშე გენ. შტაბის პოლკოვნიკი, ქემალ ფაშის ენთუზიასტი, რომელიც ჩემთან მეგობრულ ურთიერთობაში იყო, ამტკიცებდა, რომ დამოუკიდებელ საქართველოს და საერთოთ კავკასიის ერთა არსებობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოსმალეთისათვის, რადგან წარმოადგენენ ბუფერს რუსეთსა და თურქეთს შორის, რომელის მხრივ თურქეთს არა ერთი სიმწარე უწნევია და მათთან უშუალო კავშირი სჯობია რა გვქონდესო.

გენ. შტაბის უფროსის განკარგულებით და თავდაცვითი საბჭოს დასტურით ხელში ჩაგდებული აგრესიის გეგმიდან გადაწერილი იქნა რამდენიმე ცალი და საიდუმლო დოკუმენტის სახით დაერიგათ კეთილათ განწყობილ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს. ალბათ ეს დოკუმენტი დღევანდელამდის ინახება ამ სახელმწიფოთა არქივებში. აი საბუთი რას ნიშნავს ბოლშევიკების მიერ ხელმოწერილი საზავო დოკუმენტი, რომლითაც სცნობენ დამოუკიდებლობას, საზღვრებს, პირობას სდებენ არ ჩაერიონ ამ სახელმწიფოს შინაურ საკითხებში და ჰპირდებიან კეთილმეზობლურ ურთიერთობას. მერე კი შთანთქავენ მას ყოველგვარი ეთიკის გარეშე, თითქოს დადებული ხელშეკრულება სრულიადაც არ არსებულიყოს.

ბოლშევიკთა თავდასხმის მოლოდინში განუწყვეტელი მზადება წარმოებდა. დაიწყო საფორტიფიკაციო მშენებლობები ცალ-ცალკე მიმართულებზე და ჯარების განაწილება. მობილიზებულ ჯართა კვება, მათი დაბინავება მომავალი მოქმედების რაიონებში, დიდ ზრუნვას მოითხოვდა და, ცხადია, მეტად აფერხებდა ახალგაზრდა სახელმწიფოს ნორმალურ ცხოვრებას, რომელსაც უამისოთაც მრავალი სიძნელეების გადალახვა სჭირდებოდა.

მიღებულ იქმნა ზომები ბოლშევიკთა მისიის თვალ-ყურის სადევნებლათ და მათი წამოწყებების დასაწყისშივე შესაკვეთათ, თანაც სიფრთხილე იყო საჭირო, რომ ბოლშევიკები არ გაგვეღიზიანებია და ვერ მიმხდარიყვნენ, რომ ჩვენ ხელთ იყო მათი დაწვრილებითი გეგმა მომავალი სამხედრო მოქმედებისა.

დაძაბული მუშაობა მიმდინარეობდა შტაბში. დაღამებამდის ვისხედით და თვალყურს ვადევნებდით მათ მოქმედებას. საჭირო იყო დროს დადგენა, როდის გადმოვიდოდნენ შეტევაზე. როგორც მახსოვს საოპერაციო გეგმა ხელთ ვიგდეთ სექტემბრის ბოლოს. დრო გადიოდა და ბოლშევიკების შემოტევაზე არაფერი ისმოდა. დადგა ზამთარი, რომელიც აფერხებს სამხედრო მოქმედებებს; ისიც კი ვიფიქრეთ გეგმა ფიქციური ხომ არ არისო. ჩვენი ჯარები კი ადგილზე იდგნენ და მზად იყვნენ დარტყმის მისაღებათ.

ბოლშევიკთა გეგმა მოქმედების შემდეგ მიმართულებებს ითვალისწინებდა:

- ჩრდილო დასავლეთიდან გაგრა-სუხუმისკენ. ამ ფრონტისთვის უფროსათ დაინიშნა გენ. ართმელაძე.

- ჩრდილოეთიდან მამისონის უღელტეცხილით, რაკი აქ ვიწრო და ძნელი გამოსავლელი გზა იყო და დიდი ერთეულების მოქმედება მოსალოდნელი არ იყო, ამ მიმართულების დაცვა მივენდო სასაზღვრო ნაწილების უფროსს.

- ჩრდილოეთიდან ვლადიკავკაზ დარიალის ხეობის მიმართულებით; უფროსათ დაინიშნა გენ. წერეთელი.

- აღმოსავლეთიდან კახეთის მიმართულებით; უფროსათ დაინიშნა გენ. ახმეტელი.

- სამხრეთ დასავლეთიდან ბორჩალოს მიმართულებით სასომხეთიდან; უფროსათ დაინიშნა გენ. იოსებ გედევანიშვილი. როგორც ზევით მოვიხსენიე თადარიგაში მყოფი და დიდ სამხედრო გამოცდილებას მოკლებული.

- სამხრეთიდან ახალციხე არდაგანის რაიონი; უფროსათ დაინიშნა გენ. გულუხიძე.

- ბათუმის რაიონში უფროსათ დაინიშნა გენ. მდივანი.

თუმცა ბოლშევიკების გეგმაში ოსმალეთის შემოტევაზე არაფერი იყო ნათქვამი, გვქონდა ცნობები, რომ საქართველოს მხრივ მძლავრი წინააღმდეგობის მოლოდინში იძულებულ იქნებიან შეუთანხმდნენ ოსმალეთს თანამოქმედების შესახებ და სამაგიეროთ სთავაზობდნენ არდაგანისა და ბათუმის რაიონებს, რომლებზეც ბოლშევიკებმა უკვე ბრესტის ხელშეკრულებით სცნეს მათი უფლებები, ამ ტერიტორიებზე.

ამნაირი იყო ჩვენი მდგომარეობა ბოლშევიკების შემოტევის მოლოდინში.

სამუშაო ბევრი გვქონდა. მოდიოდა ცნობები რომ ჩვენსა და აზერბეიჯან-სასომხეთის საზღვრებთან იკრიბებოდა სამხედრო ერთეულები ცენტრალურ რუსეთიდან. ბევრი ცნობები მოგვდიოდა აზერბეიჯანიდან, რომელიც განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო ბოლშევიკების ოკუპაციით, რომ ბოლშევიკთა სამზადისი საქართველოზე თავდასასხმელათ ინტენსიურათ მიმდინარეობდა. ამ ცნობებს ვაწვდიდი კეთილათ განწყობილ უცხო ქვეყანათა წარმომადგენლებს თბილისში. ვთხოვდით იარაღისა და სამხედრო მასალის მოწოდებას, ჯარის რიცხვის გადიდებისა და საერთო მობილიზაციის ჩასატარებლათ.

მახსოვს ერთ დროს გენ. შტ. უფროსმა ზაქარიაძემ დამიბარა თავისთან და ამერიკული მანქანით, რომელიც კავკასიის ფრონტის დროიდან გადარჩა, გავემგზავრეთ ფრონტის დასათვალიერებლათ ბორჩალოს მიმართულებისკენ - წითელ ხიდისკენ, სადაც გადიოდა მდინარე ხრამის მიდამოებში აზერბეიჯანთან ჩვენი საზღვარი. თავდაცვის პოზიციები მოწყობილი დაგვხვდა ალაგ-ალაგ შიგ ჩაყენებული ჯარებით. ვუმზერდით იქიდან ბოლშევიკების მოღარაჯეთა და ჯართა ნაწილების პოზიციებს. შევიარეთ ჩვენი ოფიცრის არჩილ ედიგარის მამის მამულში, რომელიც საზღვრის პირას იყო. გავიგეთ იქ რომ ჯართა კონცენტრაცია ჩატარებულა განჯასა და სასომხეთში ჩვენი და აზერბეიჯან-სასომხეთის საზღვრის შესართავთან. ეს ცნობები მაიორ არჩილ ედიგარის მტკიცებით სრულიათ სწორი და მართალი იყო, რომ ეს ცნობები მოაწოდეს მათ ოჯახის გასაფრთხილებლათ მრავალმა კეთილგანწყობილმა ნაცნობ-ნათესავმა, რომლებიც საზღვრის იქით ცხოვრობდნენ. ედიგართა ოჯახი- ქართველ მუსულმანებს მკუთვნოდა და აზერბეიჯანთა წრეში მრავალი

გულშემატკივარი ჭყავდათ. გაიცა ბრძანება სავანგაშო მზათ ყოფნისა. მობილიზაციის დაჩქარებისა და ასე მიდიოდა დრო. დადგა 1920 წლის ზამთარი. ზოგიერთები ფიქრობდნენ, რომ ბოლშევიკთა შემოტევას ადგილი არ ექნება. ცნობები კი ვლადიკავკავიდან გვარწმუნებდნენ, რომ ბოლშევიკთა შემოტევა უსათუოთ იქნება და ისიც მოკლე ხანში. დრო მიდიოდა. მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა. ჯაფა ბევრი გვქონდა... ხელში გვივარდებოდა მრავალი ცნობა ბოლშევიკთა საქართველოს დასაპყრობათ. მახსოვს 11 თებერვალს უწყობდნენ ბენეფისს მოსკოვის დრამატიული თეატრის ცნობილ არტისტს, გვარი არ მახსოვს, რუსთაველის პროსპექტზე ქართულ დრამატულ თეატრში. მისი არჩევით იდგმებოდა სუმბათაშვილის დრამა "სამშობლო", რომელიც ქართულ სცენაზე ხშირად იდგმებოდა. დიდათ პატრიოტული ნაწარმოებია, მოგვითხრობს სპარსელების მიერ ტყვეთ წაყვანილ დედოფალზე და ქართველ გმირზე, რომელიც მტრის ბანაკში გადავიდა. თეატრი სავსე იყო მაყურებლებით, მეც, ნაცნობებთან ერთათ, დავესწარი ამ წარმოდგენას. წარმოდგენამ საუცხოვოთ ჩაიარა. მშვენივრათ შეასრულა თავის როლი მობენეფისე ქალმა. გაუმართეს დიდი ოვაცია და მიუძღვნეს მრავალი საჩუქრები და ყვავილები. წარმოდგენის შემდეგ ჩემ ნაცნობებთან ერთათ წავედით რესტორანში, რომელიც იქვე თეატრის სარდაფში იმყოფებოდა და დავბრუნდი სახლში. გახდაც ვერ მოვასწარი, რომ დამირეკეს ტელეფონი. ბრეკავდა შტაბის მორიგე ოფიცერი. დაიწყოთ - ჩემ შეკითხვაზე თუ რაშია საქმე. გიგზავნით მანქანას და ახლავე მობრძანდით შტაბშით. სახლში აღარ დავბრუნებულვარ თბილისის დატოვებამდის. შტაბში გავიგე, რომ 11/12 თებერვლის ღამეს ბოლშევიკები გადმოვიდნენ შეტევაზე ბორჩალოს რაიონსა და სამხრეთით სანაინის მიმართულებიდან. თავდასხმა სანაინიდან მომხდარა უცაბედად და ჩვენი ჯარები სადახლოსკენ იხევენო. ბორჩალოსთან მოულოდნელობას ადგილი არა ჰქონია და ცხარე ბრძოლები მიმდინარეობსო; სხვა მიმართულებებიდან თავდასხმაზე ცნობები არ მიგვიღია, მდგომარეობა სამხრეთით სადაც ჯართა სარდლათ გენ. გედევანიშვილი იყო, გამოურკვეველი იყო. ნაწილი ჩვენი ჯარისა ტყვეთ ჩავარდნილიყო. საუბედუროთ ვერც გენ. გედევანიშვილი და ვერც მისი შტაბის უფროსი ჩემი ამხანაგი გენ.შტაბის პოლკოვნიკი ძავანია ვერ გამოდგნენ მოვლენების ღირსებაზე მდგარნი. იცნობებოდნენ, რომ გამოარკვევენ მდგომარეობას და მიიღებენ ზომებს ბოლშევიკთა და სომეხთა თავდასხმის უკუსაგდებათ. ოლონდ ეს გამორკვევა დიდხანს გრძელდებოდა. სამხედრო საბჭოს მთავარსარდლათ იმ დროს გენ. ოდიშელიძე იმყოფებოდა, გამოცდილი გენერალი, ყოფილი კავკასიის ფრონტის უფროსის თანაშემწე. მისი წამოწყებები ომის დაწყების დღიდანვე არ იყო სწორი და ახლა დაჯინებით გამოჩნდა. გაება მდგომარეობის გამორკვევასა და ცალ-ცალკე მოქმედებებში შემოსეულ მტერთან, სათანადოთ არ შეაფასა მოქმედება სადახლოს მიმართულებით, ეს კი დიდ საფრთხეს ნიშნავდა თბილისისათვის; აკლდა მომთხოვნელობა ცალ-ცალკე უფროსებისადმი და თვით გენ. გედევანიშვილისადმი, რომელიც პასუხისმგებელი იყო სადახლოსა და ბორჩალოს რაიონში შექმნილი მდგომარეობისა. დაკმაყოფილდა ადგილობრივი ნაწილებით მტრის განდევნის მოთხოვნით. შედეგად მოქმედება წარმოებდა პატარ-პატარა ნაწილებით და ხშირათ უშედეგოთ. 16 თებერვალს სამხედრო საბჭომ მოხსნა ის თანამდებობიდან და მთავარსარდლათ გენ. კვინიტაძე დანიშნა. მინდა აქ დავახასიათო გენ. კვინიტაძის პიროვნება. პირველად მას გენ.შტაბის კაპიტნის ხარისხში შევხვდი თბილისის სამხედრო სასწავლებელში, რომელიც 1914 წელს დავამთავრე. ტაქტიკას გვასწავლიდა. ჩემზე მისმა პიროვნებამ დიდებითი შტაბეჭდილება მოახდინა. ქართულათ იყო გამოწყობილი ფაფახში ქართულ წაღებში მოკაკული ხმლით. მეტათ ენერგიული, მოხდენილი და სიმპათიური. ტაქტიკას ის ჩვენ კლასს არ ასწავლიდა ოლონდ I კურსიდან მე II ზე გადასვლისას ჩვენი კლასელების ტაქტიკის გამოცდებს ის აწარმოებდა. მე სამხედრო ხელოვნების ენთუზიასტი არ ვყოფილვარ, სკოლაში შემთხვევით მოვხდი. სამხედრო ხელობაზე წარმოდგენაც არ მქონდა არც ჩემ ნათესავთაგან ყოფილა ვინმე მხედრათ. ერთი სიტყვით სამხედრო ხელობის სრულიათ უვიცი ვიყავი. ამ მიზეზების გამო პირველ კურსზე სწავლას უგულოთ ვეკიდებოდი. ჩემით კმაყოფილნი არ იყვნენ და იმასაც მოველოდი, რომ სკოლიდან გამაგდებდნენ და სადმე პოლკში მიკრავდნენ-მეთქი თავს; ჩემი ბიძაშვილი ალიკ ჩხიკვიშვილი, რომელიც ჩემთან ერთათ სწავლობდა მუდამ მარიგებდა, ან სუსტი შედეგების გამო შორეულ ჩინეთის საზღვარზე მიგავლენენ ოფიცრათ და იქ მისასვლელათ ტაშკენტიდან 800-500 ვერსი აქლემზე ჯაყჯაყი დაგჭირდება, იქ კი ველურ გარემოში ან გალოთდები ან თავს მოიკლავო. მე კი სამხედრო ხელობა გულთან არ მიმქონდა და

პირველ კურსზე გარდა ტაქტიკისა ყველა საგნებში სუსტი ნიშნები მქონდა. მხოლოთ ტაქტიკაში, არ ვიცი რატომ 12 ნიშნიან სისტემით 11 მქონდა.

ტაქტიკას გვასწავლიდა გენ. შტაბის კაპიტანი საველიევი. ნიჭიერი და სიმპატიური ოფიცერი, სიმართლე რომ ვსთქვა არც კი ვიცოდი რაში იყო საქმე მაგრამ ტაქტიკის ამოცანებს მუდამ წესიერათ ვასრულებდი. ტაქტიკის გამოცდაზე გენ. შტაბის კაპიტანმა კვინიტაძემ ამოცანა მომცა რუკაზე. ბევრი დაფიქრება არ დამჭირებია. სწრაფათ წარვუდგინე ჩემი აზრი და განვსაზღვრე დავალებები ცალ-ცალკე ერთეულებისათვის. კაპიტანი კვინიტაძე განცვიფრებული იყო ჩემი პასუხით და უმაღლესი შეფასება მომცა. ეს იყო პირველი შეხვედრა კაპ. კვინიტაძესთან, შემდეგ ერთმანეთს შევხდით 1919 წ. სომხებთან ომში, როდესაც თავის შტაბში ვიყავი ფრონტზე მასთანვე ვიყავი შტაბში ახალციხეში ოსმალებთან ომის დროს , აგრეთვე 1920 წელს ბოლშევიკებთან პირველი ომის დროს და, ბოლოს, უკანასკნელი ომის დროს ბოლშევიკებთან 1921 წელს.

გენ. კვინიტაძის მთავარსარდლათ დანიშვნამ დიდათ გამახარა, რადგან მას დიდათ ვაფასებდი. სიამოვნებას მგვრიდა მასთან შტაბში მუშაობა.

გენ. კვინიტაძე დიდათ პოპულარული იყო საქართველოში ყველა ომებიდან, რომელბსაც საქართველო მის მთავარსარდლობით აწარმოებდა 1918-1921 წლები გამარჯვებული გამოდიოდა. მახსოვს, როდესაც სამხედრო საბჭოს მოწვევით შემოვიდა შენობაში და მე დავუხდი შემოსასვლელში, მომესალმა, გამახარა ისევ ერთათ ვიმუშავებთო. სახე უბწყინავდა, ეტყობა კმაყოფილი იყო, რომ მას კვლავ მთავარსარდლათ იწვევდნენ ასეთ გადამწყვეტ მომენტში. მდგომარეობა ფრონტებზე მძიმე იყო, ბრძოლები დღე და ღამე მიმდინარეობდა. პირობები მალე მალე იცვლებოდა. ცნობები დროზე არ მოდიოდა. მსხვერპლი დიდი გვქონდა ოღონდ არც მოწინააღმდეგეს აკლდა დანაკარგი. მრავალი ტყვე გვივარდებოდა ხელში. გენ. კვინიტაძე ენერგიულათ შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას. ნაწილების მოწესრიგებას. მისი მიზანი იყო, არ მოეშვა მტერი დედაქალაქამდე. ფრონტი სამ ნაწილათ გაანაწილა, გადააყენა ზოგიერთი სარდლები, დანიშნა ახლები, რომლებზედაც იმედს ამყარებდა დანაკარგის დასაბრუნებლათ. მარჯვენა ფრთას კოჯორის რაიონში სარდლობდა გენ. ანდრონიკაშვილი. თუ არა ვცდები მის განკარგულებაში იყო ოთხი ჯარის პოლკი, ოთხი გვარდიის ათასეული, საპიორთა ათასეული, შესაბამისი რაოდენობის არტილერია და სამხედრო სკოლა, რომელმაც შემდგომ ბრძოლებში დიდი გმირობა გამოიჩინა და უკვდავ ჰყო თავის ღვაწლი ბოლშევიკებთან 1921 წლის ომში. შუა ნაკვეთი სამხრეთით მდინარე მტკვრამდის მივნდო გენ. მაზნიაშვილს. დიდათ პოპულარულ, ენერგიულ და გამოცდილ მხედარს. მის განკარგულებაში იყო დაახლოებით სამი ქვეითა პოლკი, სასაზღვრო ათასეული, დედა ქალაქის ტყვიამფრქვევეთა ათასეული, ორ დივიზიონამდის არტილერია, ჯავშნოსან მანქანათა ნაწილები, ჯავშნოსანი მატარებელი. ფრონტის დანარჩენი მარცხენა ფრთაზე მოყოლებული მტკვრიდან მივნდო გვარდიის გენ. ჯიჯიხიას. მის განკარგულებაში იყო: სამი მძლავრი გვარდიის ათასეული სათანადო არტილერიით, და მარცხენა ფრთაზედ გვარდიის ცხენოსანი ესკადრონით. თბილისს მომდგარი მტერი ჩვენი პოზიციების წინ სამხრეთისა და აღმოსავლეთიდან დიდათ აღემატებოდა ჩვენ ძალებს. დაახლოებით შესდგებოდა ის 7 ქვეითა ჯარის დივიზიის, 8 ცხენოსანთა დივიზიის, მძლავრ და რიცხობრივი არტილერიის ნაწილებისაგან, ჯავსნოსანთა, ჯავსნოსან მანქანათა ერთეულების, ნჯავსნოსანი მატარებელი და სომეხთა დივიზიისაგან, რომელიც სამხრეთით მოქმედებდა.

მძიმე ბრძოლები თავიდანვე მიმდინარეობდა ყველა მიმართულებით, მაგრამ განსაკუთრებული სიმწვავე მიიღეს მათ 18 თებერვლიდან, როდესაც მტერმა ხელთ იგდო წითელი ხიდი და რკინის გზა მტკვარზედ. ხიდი მართალია ჩვენ მიერ აფეთქებული იყო, ოღონდ არ იყო იმდენათ დაზიანებული და მტერმა მოახერხა მისი სწრაფი შეკეთება და ჯავშნოსანი მატარებლის გამოყენება.

გამწვავებული ბრძოლები დღე და ღამე მიმდინარეობდა. ხშირათ მიდიოდა ხელჩართულამდის. მტერს ძალთა დიდი უპირატესობა ჰქონდა, დაჟინებით ცდილობდა ფრონტის გარღვევას, მაგრამ ჩვენი ჯარები მედგრათ იცავდნენ პოზიციებს და ურყევათ იდგნენ ადგილზეთ. მოგვერიებითი პოზიციების დაძლევა მტერმა ვერსად შესძლო. 18-22 თებერვალში მტრის მთავარი შემოტევა შუაში, გენ. მაზნიაშვილის ნაკვეთზე მოჰქონდათ, მუდამ უშედეგოთ. მახსოვს 22 თუ 28 თებერვალს გამომიძახა გენ. კვინიტაძემ და ღია, ბრეზენტით დახურული მანქანით გავემართეთ კახეთისაკენ ჩვენი მარცხენა ფრთის დასათვალიერებლათ. აქ

უფროსად გენ. ჯიჯიხია იყო თავისი გვარდიელებით. წინა დღეს მტრის ძლიერი შემოტევის შემდეგ დასტოვეს პოზიციები და გადმოინაცვლეს კახეთის რკინიგზის ლიანდაგის სამხრეთით და აღმოსავლეთით. ჯანღიანი დღე იყო. ციოდა, სუსხიანი ქარი ქროდა. გენ. ჯიჯიხიას რკინიგზის ჩიხში მივაგენით. იქვე იყვნენ გვარდიის შტაბის წევრები. მთავარსარდალი გაეცნო მდგომარეობას, გამოჰკითხა მიზეზი გუშინდელი უკანდახევისა და შეეკითხა შესძლებს თუ არა ახლად დაჭერილი პოზიციების შენარჩუნებას. პასუხად გენ. ჯიჯიხია დაჰპირდა, რომ არამც თუ შეინარჩუნებს პოზიციებს, შეტევაზედაც გადავა, რადგან ამ ამინდში მათი ჯავშნოსანი მანქანები საშიში არ არიანო. მთავარსარდალმა ნება დართო შეტევაზედ. სწორედ ამ დროს მოგვადგა სატვირთო მატარებელი, რომელიც თბილისში ბრუნდებოდა. კვინიტაძემ გააჩერა მატარებელი. ჩავსხედით სოღანლუღისკენ წასასვლელად. მძღოლს უბრძანა იქ გამოცხადებულიყო მანქანით. ციოდა, ვიყინებოდით, ბოლთას ვარტყამდით განუწყვეტლივ ვაგონში გასათბობად. გენ.კვინიტაძემ შემომჩივლა: "მეშინია შეტევის მაგიერ ჯიჯიხიამ უკან არ დაიხიოს და არ შეგვიქმნას უხერხული მდგომარეობა"-ო. ალბათ კარგად იცნობდა ჯიჯიხიას. მე კი მისი გამბედაობა გაგრის ფრონტზე მქონდა შემოწმებული დენიკინელებთან ომის დროს. გენ. კვინიტაძის ეჭვი გამართლდა. მტერმა მარცხენა ფრთაზე ცხენოსანთა ერთეულებით შეუტია და ამით აჭალა-მცხეთას დაემუქრა. ეს კი ნიშნავდა ჩვენ ზურგში მოქცევას და დასახვევი გზის გადაჭრას.

მდგომარეობის გამოსარკვევად მთავარსარდალმა გენ.შტაბის პოლკ. ნიკოლოზ გედევანიშვილი გაგზავნა მანქანით ლილოში, სადაც ჩვენი ცხენოსანთა ბრიგადაც იდგა. მეორე დღეს 24 თებერვალს პოლკ. გედევანიშვილი დანაღვლიანებული დაბრუნდა. როგორც ჩანდა ბევრ ვერაფერს მიაღწია და ვერც მდგომარეობა გამოარკვია რიგიანად. მტერი შემოტევას ყველგან განაგრძობდა. საფრთხე გაგვიჩნდა მარჯვენა ფრთაზედაც, კოჯრის მხრიდან. იქაც გამოჩნდა კავალერია. იქ, გენ. ანდრონიკაშვილი ფრთხილობდა, მშვენივრად განაგებდა თავის საქმეს და იოლად უმკლავდებოდა ყველა შემოტევებს საიმედო ნაწილების და განსაკუთრებით გმირული სამხედრო სკოლის და სამი ნაცვალი ასეულის შემწეობით. არა ერთხელ გადასულან ისინი უკუიერიშზედ, უწარმოებიათ ხელჩართული ბრძოლები და უკუუგდიათ მტრის გამალებული შემოტევა. აღტაცებით და გულის ფანცქალით შეჰყურებდა მათ გმირობას მთელი ქართული საზოგადოება. 23-25 თებერვალს მწვავე ბრძოლები მიმდინარეობდა. მტერმა უკანასკნელი მარაგი შეიყვანა ბრძოლებში. ბაქოს პოლიტრუკთა და კურსანტთა ჩათვლით. მტერი ჩქარობს თბილისის დაპყრობას, აშინებს მას უკმაყოფილება, რომელიც ჩნდება ოკუპირებულ სასომხეთსა და აზერბაიჯანში. მთავარი ცდები ფრონტის გარღვევისა ახლა ჩვენ მარჯვენა ფრთაზე, გენ. ანდრონიკაშვილის ნაკვეთზე გადააქვს. მთელი 24 თებერვლის ღამე და 24-ის დღეს გამწარებული ბრძოლები სწარმოებს. ვერსად, ოღონდ, შედეგს ვერ აღწევს, ერთი ფეხითაც არ იწევენ უკან თავდადებული მებრძოლები. შუა ნაკვეთსაც გენ. მაზნიაშვილისას ცოტა წარუმატებლობა აქვს თავის მარცხენა ფრთაზე, მაგრამ საერთოთ თავის პოზიციებზე ურყევად დგას. მხოლოდ გენ. ჯიჯიხიას ნაკვეთზე შეტევის მაგიერ უკან დახევას აქვს ადგილი.

25 საღამოს ჩვენი მდგომარეობა არ იყო სანუგეშო. მტერი თბილისიდან თითქმის ყველა მიმართულებით 10-12 კმ მანძილზე იმყოფებოდა. მართალია დაწვრილებითი ცნობების მიღება ნაკვეთის უფროსთაგან ადვილი არ იყო, მაგრამ ცხადათ იმჩნეოდა ყველგან მოწინააღმდეგის რიცხობრივი უპირატესობა და რაც მთავარია, მათი 6 დივიზიამდის ცხენოსანთა ლაშქარი, რომელიც ორივე მხრიდან მოქმედებდა, გზის ჩაკეტვით გვემუქრებოდა. პოლკ. გედევანიშვილის დაბრუნებამ თებ. 25-ში, დიდათ დაგვაფიქრა. ის წინა დღით დანიშნულ იქნა მარცხენა ფრთაზე მოქმედ ჯართა უფროსად. მისი არასრული შეფასებით მტერი მარცხენა ფრთაზე ქვეითა ჯარისა და არტილერიის გარღვევით გვემუქრებოდა. ამას დაერთო გენ. ანდრონიკაშვილის ცნობა, რომ მტრის ცხენოსანთა ჯარი შემჩნეულია კოჯრის მხრიდან და რომ ის ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ მოემართება და ამ მხრიდან თბილისის მოჭრას შეეცდებათ. მთავარსარდალმა მაშინათვე მიიღო ზომები ამ მიმართულებით სინამდვილის გამორკვევისა. გაგზავნილმა დამზვერავმა ნაწილებმა ამ მიმართულებით საფრთხე არ დაამტკიცეს. ამ მეტად მძიმე მდგომარეობაში მთავარსარდალს არავითარი მარაგი არ გააჩნდა (არდაგან ახალციხიდან მოხსნილმა ორმა ქვეითა პოლკმა დროზე ვერ მოაღწია) გადაწყვიტა დაეტოვებინა თბილისი, დაეხია მცხეთამდე და იქ ჩაეკეტა მისადგომი აზერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიის მიმართულებებიდან (საქართველოს

სამხედრო გზაზე). სასწრაფოთ მოიწვიეს თავდაცვის საბჭო. თავჯდომარის ნოე ჟორდანიას შეკითხვაზე არის თუ არა სხვა გამოსავალი, მიიღო მთავარსარდლისაგან პასუხათ, რომ არავითარი მარაგი აღარა ჰყავს, ორივე მხრით გზას გვიჭრიან მტრის ცხენოსანი ერთეულები, იძულებული ვიქნებით ბრძოლა თბილისშიით ვაწარმოოთ ხალხსა და ქვეყანას მოწყვეტილებმა. ამ ვითარებაში სხვა გამოსავალს ვერა ვხედავ და იძულებული ვარ უკან დახევის ბრძანება გავცეო. თავდაცვის საბჭომ წინადადებაზე თანხმობა განაცხადა. აუწერელია მწუხარება, რომელიც ყველა იქ მყოფმა განიცადა. თითქმის ორი კვირა გრძელდებოდა განუწყვეტელი ბრძოლები დღესა და ღამეში. მიუხედავათ ძალთა უპირატესობისა მტერი წინ ვერ მოიწევდა, გვყავდა მრავალი ტყვე. მტერს ვაყენებდით საგრძნობ ზიანს. საზოგადოების სულისკვეთება სანიმუშო იყო და ასეთ ვითარებაში ვტოვებდით სატახტო ქალაქს. სატახტო ქალაქის დატოვებისას ომის დროს, მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა აქვს; შეუძლია სრულიად ჩაუკლას საზოგადოებას ბრძოლის ჟინი.

მთავარსარდალს სწადდა ძალები შეეჯგუფებინა მტრის მოქმედების მთავარ მიმართულებაზე. გადაენაცვლა მცხეთისა და ხაშურის რაიონებში და გადასულიყო იქიდან შეტევაზე მტრის ცოცხალი ძალების მოსასპობათ. ნაშუადღევს შტაბი ადგილის გადანაცვლებისათვის ემზადებოდა და ღამის 24 საათზე სპეციალური, მთავარსარდლის მატარებლით მცხეთისკენ ან ხაშურისკენ უნდა გავმგზავრებულიყავით. სათანადო განკარგულებები მომავალი გადაჯგუფებისათვის გადაეცათ თბილისის ფრონტზე მოქმედ ჯარსაც.

მახსოვს ეს 24/25 თებერვლის ღამე. ვისარგებლე შემთხვევით და მანქანით სახლში შევიარე, რომ საჭირო ნივთები წამეღო და გამოვმშვიდობებულიყავ დედას, ბიძას და ჩემ უმცროს ძმას. ნახევარი საათი თუ დავრჩი სახლში; მეტი დრო არა მქონდა. მთავარსარდალი და შტაბის უფროსი 10 საათზე გამგზავრებულიყვნენ სადგურზე. მანქანა მუდმივ მოძრაობაში იყო, სადგურზე ყველა შტაბის ოფიცერი უნდა მიეყვანა. მახსოვს ჩემი მეგობარი მიტო გოცირიძე, შტაბის კანცელარიის უფროსი და მე უკანასკნელნი მივდიოდით, ჩავედით დაბლა მანქანის მოლოდინში. ჩვენთან 8 ერისკაცი მოვიდა. ერთი მათგანი სერგო ქავთარაძე იყო, ბოლშევიკი. მას მე ვიცნობდი. სცოდნოდა რომ შტაბსა ვტოვებთ. ვუთხარი, რომ შტაბში აღარავინ არის და შეუძლიათ შენობის დაცვაზე იზრუნონ. მადლობა მითხრეს და ჩვენ გავწიეთ სადგურისაკენ. მატარებელში დაღლილს მაშინვე ჩამეძინა. გათენებისას ზარბაზნიდან გასროლილი ყუმბარის ხმამ გამაღვიძა მცხეთის სადგურზე, სადაც ჩვენი მატარებელი გაჩერებულიყო. შემდეგში გამოირკვა, რომ ეს შემთხვევით გასროლა იყო ჯავშნოსან მატარებლის ზარბაზნიდან, რომელიც მცხეთა-თბილისის ლიანდაგს ზვერავდა.

ჯართა გადაჯგუფება გრძელდებოდა. მტერი არ აგვედევნებია. ჯარები მშვიდათ მოემართებოდნენ. ცნობები, ვითომც მარცხენა და მარჯვენა მხრიდან მტრის კავალერია მოიწევდა, ყალბი გამოდგა. დახევისას ჩვენ ნაწილებს ბრძოლები არ უწარმოებია. შეიძლება თითო-ოროლა ცხენოსანი თუ შეამჩნიეს, თორემ დიდი ერთეული უბრძოლოთ როგორ დასტოვებდა უკანდამხევ ჯარს.

მცხეთასთან მთავარსარდალმა არ მოისურვა პოზიციების დაკავება. გადაწყვიტა დაეხია ხაშურამდის და იქ უკეთეს მოგერიებით პირობებში გამაგრებულიყო სურამის უღელტეხილზე, საიდანაც ხელსაყრელი პირობები იყო მარჯვენა ფრთის მტკვარზე დაყრდნობით. მცხეთიდან ხაშურში მიმავალი მთავარსარდლის მატარებელი გორში გაჩერდა. აქ შევამოწმეთ დამხევი ჯარის ვინაობა. აღმოჩნდა, რომ ჯარი იხევდა წესიერათ. ნაშუადღევს ჭოგრიტით შევამჩნიეთ, რომ მთებიდან ეშვებოდა მტრის ერთ ცხენოსან ესკადრონამდის. გორში ცხოვრობდა ბიძაჩემი მექი, თავისი ცოლით, ცნობილ მწერალ მართით, რომელიც გამოდიოდა "გარიყულის" ფსევდონიმით. გამოვემშვიდობე მათ იმედით, რომ მოკლე ხანში ისევ შევხვდებოდით. საუბედუროთ ესე არ აღმოჩნდა.

მთავარსარდლის მატარებელი ხაშურის სადგურზე გაჩერდა. ჩვენმა ჯარმა დაიკავა პოზიციები ხაშურსა და სურამის რაიონში. ამასობაში მოვიდა ორი ქვეითა პოლკი თავისი არტილერიით, რომლებიც, გარდა არდაგანისა, მოვხსენით ოსმალეთის საზღვარს იმ იმედით, რომ ოსმალოები არ შემოგვიტევდნენ. მეორე დღეს ჯარები უკუიერიშზე გადადიოდნენ მარჯვენა ფრთის მტკვრის მარცხენა ნაპირზე და მარცხენასი კავკასიის მთებზე დაყრდნობით. პირობები შეტევისათვის მეტათ ხელსაყრელი იყო.

ვმორიგეობდი შტაბში. ვიჯექი მთავარსარდლის სალონში ტელეფონთან. ნაშუაღამევს დარეკა ტელეფონმა. ცნობა მივიღე.

ლაპარაკობდა გენ. კონიაშვილი, რომელიც გენ. ჯიჯიხიასთან ერთად გვარდიაში მსახურობდა. მთხოვდა მომეხსენებია მთავარსარდლისათვის, რომ გვარდიელებმა დაადგინეს არ შეუტიონ, შტაბი და ჯარი იმლება და მათზე ზეგავლენის საშუალება არა მაქვსო. მოახსენეთ ეს მთავარსარდალს და მეც ამ წუთშივე მოვდივარ მასთან პირადათ მოსახსენებლადო. მაშინათვე გავაღვიძე შტაბის უფროსი და მთავარსარდალი და მოვახსენე ტელეფონით მიღებული ცნობა. ძნელი ასაწერია მთავარსარდლის აღელვება. ამ მოულოდნელმა ცნობამ მოთმინებიდან გამოიყვანა. იმდენი შრომა ჩატარდა უკუიერიოშის მოსამზადებლათ; აქ შესანიშნავ გარემოცვის პირობებში გამარჯვება ნათელი იყო, რის შემდეგ თბილისის უკან დაბრუნებას ველარაფერი ვერ შეაჩერებდა. გვარდიელების სამარცხვინო გაქცევამ ჩაშალა ბრძოლის ჩატარების შესაძლებლობა. სწორეთ მათ უნდა მოეხდინათ მთავარი დარტყმა დაჯგუფების მარცხენა მხრიდან.

ცოტა ხნის შემდეგ გენ.ზაქარიაძე თავის ვაგონში გავიდა. გენ. კონიაშვილი ჯერ არ მოსულიყო. მთავარსარდალი მეტათ ღელავდა. “აბა, თევზაძევ, თავის მოკვლა და დამრჩენია, არა?“-მომმართა სევდიანი ხმით. შევწუხდი ძალიან. ვგრძნობდი რა აზრები უტრიალებდა ამ დროს თავში სარდალს. ის ხომ სამი წლის განმავლობაში უძლეველათ მართავდა საქართველოს თავდაცვის საქმეს. ზედიზედ მოიგო 3 ომი სამ მეზობელთან - სომხებთან, თურქებთან და ბოლშევიკებთან - ახლა კი დამარცხება ელის. ვცადე დამშვიდება. გვაქვს კიდევ ხელსაყრელი მოგერიებითი პოზიციები, ჯერ ყველაფერი არ არის დაკარგული, გამარჯვების იმედი არ უნდა დავკარგოთ მეთქი, მაგრამ ამის მიღწევა ადვილი აღარ იყო. მავი ზღვის პირდაპირ ასეთი ხელსაყრელი პოზიციები აღარ არსებობდა.

შემოვიდა გენ. კონიაშვილი და დაიწყო სახალხო გვარდიის გინება, რომლის შექმნაზედ ეს ინტრიგანი 1917 წლიდან მოღვაწეობდა. აქ უნდა აღვნიშნო, რომ სახალხო გვარდიას სასახელო წუთებიც ჰქონდა, როგორც მაგ: თბილისის არსენალის დაკავება 1917 წელს და რამდენიმე მცირე მნიშვნელობის მოქმედება ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში. საერთოთ კი მისი არსებობა აფერხებდა საქართველოს ჯარის მოწყობას. მის რიგებში ჩაინთქა საუკეთესო და გამოცდილი ნაცვლები. მათ ჯარში ჩაწერას უშლიდა ის გარემოება, რომ გვარდიაში ნაცვალთა ჯამაგირები აღემატებოდა ჯარის ნაცვლებისას. უარყოფითი მოვლენა გვარდიაში ისიც იყო, რომ იმათი შტაბები გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ უფროსის მიერ ყოველ გადაწყვეტილების მიღებისას; ეს კი ეწინააღმდეგებოდა უფროსის მიერ ერთეულთა მართვას ბრძოლის დროს. აქ მოქმედებათა გადამწყვეტი და პასუხისმგებელი მხოლოთ უფროსი უნდა იყოს...

არ იყო სხვა გამოსავალი. საჭირო შეიქნა ჯარების სამტრედიისაკენ დახევა, სადაც ჯგარედინდებოდნენ მამისონის უღელტეხილისა და გაგრა-სოხუმ-ოჩამჩირეს გზები. მტერი აქტივობას არ იჩენდა, ისე რომ ჯარები დაუფერხებლივ იხევდნენ დასავლეთისაკენ.

რაკი დაინახეს ბოლშევიკთა უპირატესობა ქართულ ჯარებზე, თურქები შეტევაზე გადმოვიდნენ ახალციხესა და ბათუმის მიმართულებით. ოსმალებისთვის უფრო ხელსაყრელი იყო მათსა და რუსეთს შუა ბუფერული სახელმწიფოს არსებობა, ოღონდ, თუ რუსები საქართველოს ტერიტორიას დაეუფლებოდნენ, საჭიროთ სცნობდნენ რუსეთთან საზღვარი თავის ტერიტორიიდან წინ წაეწიათ. მით უმეტეს, რომ ბრესტის ტრაქტატით რუსეთმა ამაზე თანხმობა განაცხადა. მთავარსარდლის მატარებელმა მდ. ძირულასკენ გადაინაცვლა, სადაც უნდა დაეპხვედრებოდნენ ბოლშევიკთა ჯარებს. ოღონდ სურამის ქედის დასავლეთით ნიადაგი არა მარტო მთიანი იყო, ხშირი ტყეებითაც იყო დაფარული, ეს კი აძნელებდა ნაწილთა შორის კავშირის გაბმას და მოითხოვდა დიდ ძალებს, რაც ჩვენს განკარგულებაში არ იყო. მით უმეტეს, რომ პრეზიდენტის განკარგულებით გვარდია დაშლილ იქნა ხაშურის რაიონში უკუიერიოშის ბრძანების შეუსრულებლობის გამო. სურამის მთებიდან გვარდიის დაშლილი ნაწილები უწესრიგოთ მიემართებოდნენ დასავლეთისაკენ. მტერმა მდევარი ნაწილები აამოქმედა აღმოსავლეთიდან სურამის უღელტეხილიდან და ცხენოსანი ნაწილებით ბორჯომ-ახალციხე, ხულო-ბათუმის მიმართულებით. ეს ნიშნავდა ჩვენი მარჯვენა ფრთის შემოვლას და ზურგში მოქცევას. მთავარსარდალმა გადაწყვიტა დაეკავებინა პოზიციები სამტრედიასთან, რიონზე დაყრდნობით. ეს შესაძლებლობას ჰქმნიდა ჯარების გამოყვანისა მამისონისა და სუხუმ-გაგრის მხრიდან.

მთავარსარდლის მატარებელი გადავიდა სამტრედიაში. შტაბი ხელმძღვანელობას უწევდა ჯარების გადაჯგუფებასა და პოზიციების დაკავებას. მახსოვს, ვისარგებლე შემთხვევით და

ვინახულე ჩემი ოჯახი, რომლებიც იქა ცხოვრობდნენ. საწყალი დედაჩემი ძალიან აღშფოთებული იყო. მგრძნობდა, რომ ჩვენს სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვა ემუქრებოდა. მე ვუთხარი, რომ იძულებული შევიქნები საზღვარგარეთ წავიდე, რადგან ჩემი თანამდებობის გამო გენერალურ შტაბში არ დამინდობენ-მეთქი. გამოვემშვიდობე საყვარელ დედას და ოჯახის წევრებს და დავბრუნდი მატარებელში. მეორე დღესაც სამტრედიაში დავრჩით, ოღონდ მე საშუალება არა მქონდა ოჯახში წასვლისა, ისე რომ ჩემი გამომშვიდობება ოჯახის უკანასკნელი ნახვა იყო. ჩემ დას ნინას გავეგო, რომ ჯერ ისევ სადგურზე ვართ. მინახულა. მომიტანა სადილი. ესეც მასთან უკანასკნელი შეხვედრის წუთები იყო. საშუალო ძმა მიხეილი მე-5 ქვეითა პოლკში მსახურობდა. ცნობები მის შესახებ არა მქონია.

ჯარების სოხუმსა და გაგრიდან გამოყვანის შემდეგ ვიხევდით ბათუმისაკენ. აქ უკვე ხელსაყრელი პირობები პოზიციის დასაკავებლად აღარ იყო. ბათუმში იმ დროს იმყოფებოდა ჩვენი მთავრობა და უმრავლესობა დამფუძნებელი კრების წევრებისა. ამასობაში ოსმალოებმა შემოუტიეს ჩვენ მცირე ნაწილებს, დაიკავეს არდაგანის, ახალქალაქის რაიონები და მოიწევდნენ ახალციხისაკენ. ოსმალოებმა დაიკავეს აგრეთვე ართვინის რაიონი და მოიწევდნენ ბათუმისაკენ. როდესაც მთავარსარდალის მატარებელი უახლოვდებოდა ბათუმს უკვე ისმოდა არა მარტო ზარბაზნების, არამედ თოფების სროლაც. ბათუმში მოხდა პრეზიდენტ ნოე ჟორდანიასა და მთავარსარდლის გენ. კვინიტაძის შეხვედრა. აქ დადგენილ იქნა შეწყვეტილიყო ბოლშევიკებთან ბრძოლა, რაკი მათ ვეღარ გაუმკლავდებოდით, შევსულიყავით მათთან შეთანხმებაში და საერთო ძალებით გაგვედევნა ოსმალოები, რომლებიც უკვე ბათუმს უახლოვდებოდნენ. გაგზავნილ იქნენ ბოლშევიკთა-ჯარების სარდლობასთან რწმუნებულნი, რომელთაც დაიმუშავეს საერთო მოქმედების გეგმა ოსმალოების ასალაგმავათ, რომელნიც უკვე ბათუმს უახლოვდებოდნენ.

მშვენივრად მახსოვს ბოლშევიკების ჯართა წარმომადგენლების ჩამოსვლა ბათუმში. შეიყვანეს მთავარსარდლის ვაგონში საერთო გეგმის შესამუშავებლათ ოსმალეთის წინააღმდეგ. მეტის მეტად მწვავე ზედგავლენა მოახდინა ჩემზე ამ წუთმა. მთავრობისა და მთავარსარდლის ეს აქტი გამოწვეული იყო იმ ვითარებით, რომ გვსურდა ბოლშევიკებს დაეკავებინათ საქართველოს მთელი ის ტერიტორია, რომელიც მას ეკუთვნოდა ბოლშევიკების შემოსევამდის, ე.ი. 1921 წლის 11 თებერვლამდის. და რომელიც ცნობილი იყო ისე რუსეთის, როგორც ოსმალეთის მიერ. საუბედუროთ თურქების მიერ მარტში დაკავებული ქართული მიწები ართვინისა და არდაგანის რაიონებში თურქებმა არ დააბრუნეს და დღესაც მათ უკავიათ.

ამნაირათ, ბოლშევიკებმა დაიკავეს მთელი საქართველო. ჩვენმა მთავრობამ წინასწარ შეათანხმა საფრანგეთისა და ინგლისის წარმომადგენლებთან გახიზვნის საკითხი მთავრობის, დამფუძნებელი კრების წევრების და ჯარის ნაწილებისა, რომლებიც სახლში ვერ დარჩებოდნენ სამსახურებრივი პირობებისა და ბოლშევიკთა საწინააღმდეგოთ გაწეული მუშაობის გამო.

მთავარსარდალმა და შტაბის უფროსმა გენ.ზაქარიაძემ ერთად შეადგინეს ოფიცერთა და ნაწილთა სია, რომლებიც საზღვარგარეთ უნდა გახიზნულიყვნენ.

მე ჩემ ამხანაგებთან მაიორ უთნელიშვილთან და პოლკ. ერისთავთან ერთად წინათვე დანიშნული ვიყავით საფრანგეთში წასასვლელად იქაური უმაღლესი სამხედრო სკოლის დასამთავრებლათ. მე და მაიორ უთნელიშვილს გვეძლეოდა პოლკოვნიკის ხარისხები. საუბედუროთ ბოლშევიკების მიერ 21.III 21 წლისა საქართველოს დაკავების გამო ყველა ეს გეგმები ჩაიშალა. სამაგიეროთ მთავარსარდლისა და შტ. უფროსის დადგენილებით გათვალისწინებული ვიყავ საზღვარგარეთ წასასვლელათ, სადაც მთავრობა აღმოიჩენდა ყოველთვიურ დახმარებას. მიუხედავათ ამ დაპირებებისა, ვერ წარმომედგინა ჩემი სამშობლოს, ჩემი ოჯახის დატოვება. დიდი ყოყმანის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტე სამშობლო დამეტოვებინა. ვფიქრობდი, რომ ბოლშევიკთა ძალაუფლება დიდ ხანს არ გასტანს, ჩემი სამშობლო განთავისუფლდება და დავბრუნდები მეთქი. ამასობაში ჩვენ ვაგონში ჩემი ძმა მიხეილი შემოვიდა. გამახარა მისმა მოსვლამ. რაკი გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოში დარჩენილიყო, ვთხოვე ეზრუნა ჩემ დედასა და ნინოზე. გამოვემშვიდობეთ ასე ტრაგიკულათ ერთმანეთს და გავწიეთ საფრანგეთის ხომალდზე, რომელსაც ნაპირს მოშორებით ღუზები ჰქონდა ჩაყრილი. ამ გემს უნდა ჩავეყვანეთ კონსტანტინოპოლამდეს.

შემდეგში, ემიგრაციაში, არაერთხელ დავფიქრებულვარ მოვიქეცი თუ არა წესიერათ,

რომ სამშობლოს, მახლობლებს და მეგობრებს ჩამოვშორდი. მუდამ თავს განუგეშებდი იმედით, რომ ევროპის სახელმწიფოები, რომლებმაც საქართველოს არსებობა ფაქტიურად აღიარეს და ერთა ლიგა, რომელიც მზად იყო თავის შემადგენლობაში საქართველოც მიეღო, მიიღებდნენ რამე ზომებს, აიძულებდნენ ბოლშევიკებს საქართველოდან წასვლას და მეც უკან დავბრუნდებოდი. ბოლშევიკები ყოველ ხელსაყრელ მომენტებში მუდამ აღიარებდნენ, რომ ერთა თავისუფლება და დაჩაგრულ და ცარიზმის მიერ დაპყრობილ ერთა თავისუფლება ეს მათი უმთავრესი მიზანია. არ ვიცოდი, რომ მათი თავისუფლება გულისხმობდა ბოლშევიკური ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებას ყველა იმ რუსეთში შემავალი ქვეყნისა, რომელიც თავის წესწყობილებას თავისებურად და დამოუკიდებლად მოიწყობდა.

გვემზე მოთავსდნენ გენ.შტაბის ოფიცრები, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწენი და იუნკერთა სქოლა, რომელიც ასე გმირულად იბრძოდა სატახტო ქალაქის დაცვისას. ჩვენი ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ მათ რომელიმე მეგობრულად განწყობილი სახელმწიფო მიიღებდა სამხედრო სკოლაში და დაბრუნებისას მზად გვეყოლებოდა ევროპულად აღზრდილი ოფიცრები.

ასე დაიწყო ჩემი ცხოვრების მეორე ნაწილი და გულში ჩამწვდომი დარდი მახლობლების, ნათესავ-ნაცნობების და სამშობლოს მოშორების გამო. ჩემი იმედი, რომ ბოლშევიკთა მმართველობა რუსეთში დიდ ხანს არ გასტანს - უსაფუძვლო აღმოჩნდა. რუსეთის ხალხი მიჩვეული მონობას ჯერ მონღოლებისა და მერე 100 წლოვან დესპოტურ მეფის რეჟიმის, უყოყმანოთ დაემორჩილა ბოლშევიკურ ხელისუფლებას.

ვერ ვიქნები დამარხული ჩემ სამშობლოში. სანუგეშოთ ისღა დამრჩენია, რომ მიმიღებს მე სამუდამო განსასვენებლად კეთილშობილი, მედგარი და საქართველოს მეგობრობაში გამოცდილი პოლონეთის მიწა.

პოლკ. ვალერიან თევზაძე

( რედაქციისაგან: უმნიშვნელო რედაქტორების მხედველობაში მიუღებლად, ორივე წარმოდგენილ მოგონებაში შენარჩუნებულია ავტორთა სტილი და სინტაქსი. ჩვენ ამ მოგონებებს უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ არა მხოლოდ როგორც ჩვენი ისტორიის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენების აღმწერსა და მრავალი სათუო მომენტის გამშუქებელს, არამედ, როგორც ქართული ენის განვითარებაში გარკვეული ეტაპის მიმანიშნებელსაც. აღსანიშნია ისიც, რომ არსებითად ორივე ეს მოგონება ერთ ენობრივ წყობაშია გამოვლენილი და, სახელდობრ, ბ. ნ. მათიკაშვილისა, რომელმაც პოლკ ვალ. თევზაძის მოგონებები პოლონურიდან გადმოიღო.

ვფიქრობთ, ამ ხელნაწერთა წიგნად გამოცემისას მოხერხდება არსებულ უზუსტობათა გასწორება. )

# ტოტალიტარიზმის რეინკარნაცია

(რუსეთის კონცეპტუალური ისტორია)

## წერილი მეორე

მათეს სახარების მეოთხე თავში მოთხრობილი ამბავი (ახალმონათლული იესო ქრისტეს გამოცდისა ეშმაკისაგან) გვიხსნის ადამიანის არსების უღრმეს საფუძვლებს, იმ პირველარსებს, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის სწრაფვებს და რომელთა დასაძლევადაც ადამიანს მიეცა ნებისყოფა და რწმენა. მთელი ეს ამბავი მრავალ საკითხს აღძრავს, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო მიმართებით საკმარისი იქნება მოკლედ აღვნიშნოთ, რომ, თუ განკაცებული და ახალმონათლული ღმერთი-სიტყვა უნდა გამოცდილიყო რაიმეში ეშმაკისაგან, ეს ისეთი რამ უნდა ყოფილიყო, რაიც ადამიანის ყოფიერების პირველსაწყისებს წარმოადგენდა და, სახელდობრ, იმას, რაც შემდგომში იესოს სწავლებისა და ქადაგების ქვაკუთხედი ხდებოდა: - "ნაყროვანებას" (ან სიხარბეს), მაცდურობას და ორგულობას (რწმენის და ღირსების ნაკლულობას); ძალაუფლების სიყვარულს (იხ. მათე 4, 1-11). ამის შემდეგ თავისთავად ნათელი ხდება უბრალო მოკვდავის

სრული შემაკლობა მაცდურისათვის და მისი დაუცველობა ცდუნებისაგან გარეშე ღვთაებრივი შეწევნისა, რომელიც მას ღირსებისა და რწმენის ნებისყოფას ანიჭებს ("შენ დამიფარე, ძლევა მეც, დათრგუნვად მე სატანასისა")

ძალაუფლებით ცდუნებას მესამე, ან უმაღლესი, ადგილი უკავია. ცხრამეტი საუკუნის შემდგომ ფრიდრიხ ნიცშე "ძალაუფლებისაკენ სწრაფვას" ადამიანის ბუნების ყველაზე ღრმა განწყობად აღიარებს. ხოლო, თუ ამგვარად განიხილავს და ხედავს ამ ვითარებას ადამიანის ბუნებისა, ღმერთიცა და "ღმერთდაკარგული" უდიდესი მოაზროვნეც, "ჰუმა-ნისტური უღმერთობის" ("ათეისტური ჰუმანიზმი") იდეოლოგია ერთავად ძალაუფლებისაკენ "ბუნებრივ" სწრაფვაზე ჩანს აშენებული. ეს "უღმერთობის" იდეოლოგია, სხვადასხვა გარსაცმელში და ნიღაბში გამოწყობილი, არის არსთა-არსი ყოველგვარი თვითმპყრობელობისა თუ ტოტალიტარიზმისა, "ცეზა-რიზმისა" მის ყველაზე უკიდურეს - სეკულარისტულ - ფორმაში მასათა დეკლასირებული მენტალიტეტის დიქტატურისა. ტოტალიტარიზმის შინაბუნებისა და მისი "სამუშაო" მექანიზმის გაგება შესაძლებელია მხოლოდ იმის შეგნებით, რომ ადამიანი "შეპყრობილია" თავისი მაცდური თავნებობით და რაც უფრო "ათავისუფლებს" თავს ღვთიურსახეობისაგან, მით უფრო იბოჭება ცდუნების ჯაჭვებით, იქცევა რა, ბოლოს, მათ განსახიერებად, (ცდუნებისაც და ჯაჭვებისაც). ე.ი. იქცევა სატანად, მაცდურად და მბოჭველად ("კუალად წარიყვანა იგი ეშმაკმან მთასა ფრიად მაღალსა და უჩუენნა მას ყოველნი სუფევანი სოფლისანი და დიდებაი მათი და ჰრქუა მას: ესე ყოველი მიგცე შენ, უკუეთუ დაჰვარდე და თაყუანის-მცე მე. მაშინ ჰრქუა მას იესო: წარვედ ჩემგან, სატანა, რამეთუ წერილ არს: უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანის-სცე და მას მხოლოსა ჰმსახურებდე. მაშინ დაუტევა იგი ეშმაკმან...")

რუსეთის ისტორიის "ღერძის" (ივანე მრისხანე- პეტრე დიდი-იოსებ სტალინი) ყოველი შემობრუნება ახალ "სატანურ ნიღაბს" ავლენდა: "ანტიქრისტედ" იყო ცნობილი ივანე მრისხანეცა და პეტრე დიდიც, ხოლო სტალინის მიმართ, "ათეისტური ჰუმანიზმის" ეპოქაში, როგორც ჩანს, "ეუხერხულებათ" მსგავსი რამის თქმა ("მეტაისტორიოსოფებისა" და "მართლმადიდებელ" რუსოფილთა გარდა - იხ. მაგ. "როზა მირა" ვლად. ანდრეევისა) და, ამიტომაც, სხვადასხვა ეთნო და ფსიქოსოციალურ მოდელებს ქმნიან მისი რაობის გასარკვევად. ურთიერთშედარება ისტორიის სრულიად სხვადასხვა ეპოქაში გამოვლენილი ამ სამი "ნიღბისა", ნათლად გვიჩვენებს მათ "ერთბუნებოვანებასაც" და იმ ველის ჰომოგენურობასაც, რომელშიდაც "ძალაუფლებისაკენ სწრაფვის" მათი შეუკავებელი ენერგია სრულ-ყოფილად "ისახიერებდა" თავს, იქცეოდა-რა ადამიანის ტოტალურ მაცდუნებელ ძალად. "ველისა" და "ნაწილაკის" ან "ფიგურისა" და "ფონის" ეს გეშტალტური მთლიანობა ქმნის რუსეთის ისტორიის აღნიშნულ "ღერძს" და აძლევს მას სრულიად მატერიალური "ენერგეტიკული ინდუქტორის" სახეს. ჯანრი კაშიას წერილში "სტალინიზმის არსება" ("ივ" 29) სტალინი სწორედ იმგვარი "ინდუქტორის" სახით არის წარმოდგენილი, რომელიც "იკვებება" ველის ენერგიით და შემდეგ, ინდივიდუალურად ტრანსფორ-მირებულ ამ ენერგიას უბრუნებს ველსვე. ჰანნა არენდტის თვალსაზრისით "ტოტალიტარული რეჟიმები, ვიდრე ისინი ინარჩუნებენ ძალაუფლებას, და ტოტალიტარული ბელადები, ვიდრე მათი გული კიდევ ფეთქავს, ეყრდნობიან მასათა მხარდაჭერას. უმრავ-ლესობის მმართველობის პრინციპის მიხედვით ჰიტლერი კანონიერად მოვიდა ძალაუფლების სათავე-ში და არც მას, არც სტალინს არ შეეძლებოდათ ემართათ ადამიანთა უზარმაზარი მასით, დაეძლიათ შინაგანი და გარეგანი კრიზისები, გადაელახათ წყალქვეშა ქვები შიდაპარტიული ბრძოლისა, მათ რომ სრულიად არ ჰქონოდათ ხალხის მხარდაჭერა"

აქ ჩვენ გვაქვს ერთი გასაღები ისტორიის "წყეული" პრობლემისა: "პიროვნება" თუ "ხალხი"(მასა)? ჩვენი პასუხია: "ისტორიული პიროვნება" არის "ისტორიული ხალხის - (მასის)" განსახიერება "აქ და ახლა" და, ამდენად, იდენტური.

[ ასე: ვთქვათ, დავით აღმაშენებლის საქართველოს ისტორიის ასპარეზზე გამოსვლა და "ისტორიულ პიროვნებად" გახდომა იმიტომ შეიქმნა შესაძლებელი, რომ ქართველი ხალხი (ერი) მზად იყო მისთვის და, ამდენად, დავითი იყო ქართველი ერის შინა ყოფისა და ინტეგრალური სწრაფვის, როგორც ერთი აღმოხდომის, განსახიერება. დავითის "ხელმწიფობა" ერის შინაგან გაცნობიერებული სიმწიფის გამოხატულება იყო, რაც საშუალებას აძლევდა დავითს თავისი დროისათვის (მსოფლიო ისტორიულად) არაჩვეულებრივი ტოლერანტობით ემართა ახალგამოხსნილი და "თავისთავის ახლად მეუდნებელი" ქვეყანაცა და მისი ყმადნაფიცებიც.

ამ თვალსაზრისით გასაოცარ სურათს გვაძლევს ურთიერთშედარება დავით აღმაშენებლისა ფრიდრიხ ჰოჰენშტაუფენთან, ისევე, როგორც ქართულ კავკასიური "ქრისტიანობის ფორპოსტისა აღმოსავლეთში" და ევროგერმანული "წმ. რომის" იმპერიათა შედარება. ასევე შეიძლება ითქვას ნებისმიერი სხვა ერის "ისტორიული ხალხისა" და "ისტორიული პიროვნების" ურთიერთმიმართებაზე. ისეც ხდება, რომ პიროვნება "ისტორიული ხალხის" ისეთი ღრმა (და, ამდენად, არაცნობიერი) სწრაფვის განმასახიერებელ-განმაპიროვნებელია, რომ მისი გარემომცველი "ისტორიული ხალხისათვის" გაუგებარი ხდება - ხალხი თავისთავს ვერ ცნობს მასში; მაგრამ, როდესაც ერის "ისტორიული ხალხი" შინაგნად გააცნობიერებს თავის ფარულ სწრაფვას, იგი სწორედ აღნიშნულ პიროვნებას პოულობს "სახედ თვისად". ამ თვალსაზრისით "ისტორიული პიროვნება" ის "დაფარულის განმაცხადებელია", რომელიც საშესაქმო ენერგიის მარად წყაროდ იქცევა, ვითარცა "მარადი მყოფადი". ილია ჭავჭავაძე ამის ბრწყინვალე დასტურია. ილიაში ის, ჯერ არ გაცნობიერებული და ამიტომ "ისტორიულად" არ არსებული ( "...კაცი არ არი, რომ ფიქრი განდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო!") ქართველი ერის სწრაფვა განპიროვნდა, რომელმაც, ვითარცა სამომავლო შესაქმის ნებისყოფის წყარომ ერის ზრდა-განვითარების უშრეტი მარაგი შემოგვინახა და დაგვიცვა. ამიტომ, გამბობთ ჩვენ, ილია ჭავჭავაძე იმ "ისტორიულმა ბნელმა ხალხმა" იმსხვერპლა, რომელიც ძალაუფლებით ან "საკეისრო" ღირებულებებით აცდუნებდა "მასებს" და "ისტორიული მასის" განსახიერებას წარმოადგენდა. სულ ერთია ვინ აღმოჩნდება ილიას მკვლელი: "მესამე დასი", სოციალისტები, ბოლშევიკები, ოხრანკა, გაბოროტებული გლეხი თუ შემთხვევითი მძარცველი. ფაქტი ისაა, რომ "ისტორიული ხალხი" - ქართველი ერი, - არ იყო მზად ილიას გაჰყოლოდა. ეს ბრწყინვალედ გამოხატეს ვაჟამ, აკაკიმ, მიხაკო წერეთელმა. ქართველი "ისტორიული ხალხი" მწიფობის გზაზე უფრო და უფრო "ისტორიულად" ცოცხალ ჰყოფს და ცნობს თავის დიდ მამას.

აქ მთავარი მაინც ის საყოველთაო გავლენის მასშტაბებია, რომელიც ამა თუ იმ მოღვაწეს "ისტორიულ პიროვნებად" აქცევს უშუალოდ "ისტორიულ ეპოქაში" თუ მომავალში ან "მარად აწმყოში".(მითოსში) ეს ყოველივე ნებისმიერი ერისა და მისი "ისტორიული პიროვნებების" მიმართაც არის ნათქვამი)..

აქ ცნებას "ისტორიული" განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როგორც "ისტორიული ფაქტის" და "ისტორიული შედეგის" ერთჯერადობისა და განმსაზღვრელობის გამომხატველს. კ.გ.იუნგის ღრმა წვდომით მასების ორგანიზება შეუძლია მხოლოდ პიროვნებას, ვისაც თავისთავში შესატყვისი ორგანიზაცია აქვს. ეს "ძალაუფლებისაკენ სწრაფვის" ტერმინებში ნიშნავს ინდივიდში ფოკუსირებულ მასის ინტეგრალურ სწრაფვას ძალაუფლებისაკენ, რაც ხდება საფუძველი მასებით ოპერირებისა ანუ - მასების ცდუნებისა ძალაუფლებით. ეს ცდუნება ხორციელდება "იდეოლოგიით" - ვეონაციონალპოლიტიკური და გეოსოციალეთნიკური მიმართულებით. ეს გვაძლევს კიდევ ერთ გასაღებს "წყეული პარადოქსისა": - "მასების მპყრობელი" (ივანე, პეტრე, ნაპოლეონი, ლენინი, სტალინი, ჰიტლერი... ნებისმიერი "კეისარი") ინდივიდისათვის წარმოუდგენლად ძნელია "ერთი-ერთზე" (მასების დაუხმარებლად!) გამკლავება და, მითუმეტეს, დამარცხება პიროვნებისა. ცხადია, ვინმეს მოკვლა მის "დამარცხებას" სრულიადაც არ ნიშნავს, ხოლო - პირიქით...

(ბრწყინვალედ გამოთქვა ეს ვიქტორ ჰიუგომ თავის სიტყვაში საფრანგეთის აკადემიაში არჩევისას: "ყველანი, კონტინენტზე, სცემდნენ თაყვანს ნაპოლეონს, ყველანი, ბატონებო, გარდა ერთი პოეტისა,- ნება მიბოძეთ სიამაყით განვაცხადო ეს სწორედ აქ, აკადემიის დარბაზში, - ერთი მოაზროვნის გარდა, წელში გამართულნი რომ იდგნენ მუხლმოდრეკილ მსოფლიოში. აი ეს დიდებული სახელები, და მე ვისწრაფი მათ წარმოსათქმელად თქვენს წინაშე: დიუსი, დე ლილ, ქალბატონი დე სტალ, ბენჟამენ კონსტან, შატობრიან, ლემერსიე. რას ნიშნავდა ეს წინააღმდეგობა? ძალის, ძლიერების, ძალაუფლების, ბატონობის, დიდების, გამარჯვების მქონე საფრანგეთის შუაგულში; შუაგულში აღფრთოვანებული და დამარცხებული ევროპისა, რომელმაც, თითქმის საფრანგეთად ქცეულმა, თვით ისესხა ბრწყინვალება საფრანგეთისაგან - რას წარმოადგენდა ეს ერთი გონება, ვენიის მიმართ ამხედრებული, ეს ერთი რეპუტაცია, აღმფოთებული მისი დიდებით, ეს გმირზე განრისხებული ერთი პოეტი? ბატონებო, ისინი წარმოადგენდნენ ევროპაში იმ ერთადერთს, რაც აკლდა მაშინ ევროპას, - დამოუკიდებლობას; ისინი წარმოადგენდნენ საფრან-გეთში იმ ერთადერთს, რაც არ იყო მაშინ საფრანგეთში, - თავისუფლებას". ვიქტორ ჰიუგოს ამ შესანიშნავ აზრს საპუძველს უმაგრებს ვაჟა-ფშაველაც:

"რატომ მეც, როგორც სხვებმა არ ვგორდი ლეკვივით დიდთა ამა სოფლისათა, არ ულოკე ფეხები, არ ველაქუცე. მაგრამ თავს იმით ვმართლულობ, რომ არ შემეძლო მე ასე თავის დამდაბლება და არც ახლა შემიძლიან, თუნდაც რომ პირში ბალახი ამომივიდეს". აქ სრულყოფილადაა გახსნილი პიროვნებისა და მასის (სხვები, ყველა) ღირსება და უღირსობა; რწმენა და ურწმუნობა; ნებისყოფა და ძალა).

ისტორიული ფაქტის მნიშვნელობა რომ მარტოოდენ ღვთითნაბოძები კრიტერიუმებით განიზომებოდეს, მაშინ კაცობრიობის ისტორია სრულიად სხვა სახეს შეიძენდა და სრულიად სხვა "ისტორიულ პიროვნებათა" სახიერება გვექნებოდა. მაგრამ "ისტორია" ის საშესაქმო ველია ადამიანთა არსებობისა, რომელშიც "კეისარსა" და "ღმერთს" სხვადასხვა თვალი "უდგიათ" და სადაც ეძლევა "კეისარს კეისრისა და ღმერთს ღმრთისა", რაც დროულ და მარადიულ ღირებულებათა ან ჭეშმარიტისა და მოჩვენებითის მიმართების სახეს იძენს. დროულ, "თვალხილულ" ისტორიაში, არსებითად, "საკეისრო" რეალობა გვაქვს, რომელიც ღირებულებათა სრულიად სხვა სკალას იყენებს.

ღირებულებათა "საკეისრო" სკალაზე "ძალაუფ- ლებისაკენ სწრაფვას", მასას, ყოვლადობას, საყოველ- თაობას, ყოფით მისწრაფებას, მატერიალურ "ადუგსე- ბელ საწყაულს", იდეოლოგიას, "სეკულარულ ჰუმა- ნიზმს", ძალას, ძალმომრეობას,... და ა.შ. მით უფრო დიდი მნიშვნელობა და "ფასი" ეძლევა, რაც უფრო მეგალოპოპულატიური და "მასიური" ხდება "საკეისრო" სივრცე; რაც უფრო "სავსე" ხდება იგი. გეონაციონალპოლიტიკური და გეონაციონალ-ეთნიკური მიმართულებების "პარადოქსები" ამის აშკარა დასტურია. ზოგადად რომ ითქვას, რაც უფრო მცირე ერთობასთან გვაქვს საქმე, მით უფრო მცირდება "საკეისრო" სკალა, მით უფრო ნათელი ხდება მისი მოჩვენებითობა და, პირიქით, იზრდება "საღვთო" ანუ ჭეშმარიტი ღირებულება პიროვნული და ეროვნული შესაქმისა. მეგალოპოპულაციის სტოქასტიკური ეფექტები და "ზმაური" (ატომიზირება) აუცი- ლებლობით იწვევს ძალაუფლების ტოტალიტარიზე- ბას, "საკეისრო" ღირებულებათა სკალის უზომო გაზრ- დას. მონტესკიეს ცნობილი აზრი სავსებით გამოხატავს "ისტორიული სინამდვილის" ამ მექანიზმს.

"კანონთა სულში" მონტესკიე სწერს, რომ "დიდ ქვეყანაში გარდუვალად უნდა იყოს დესპოტიური რეჟიმი". ყოველი მისწრაფება "უზომობისაკენ" წარმოშობს "ბუნებრივ" მოთხოვნილებას დესპოტიისა. რუსეთის ისტორიაში ამ მისწრაფებას აქვს არსებითი ფაქტორის სახე, რომელმაც განსაზღვრა რუსული ძალაუფლებრივი წყობის მეტად თავისებური და ევროპულისაგან განსხვავებული ტიპი.

"რუსეთის ისტორია არის ისტორია ქვეყნისა, რომელიც კოლონიზაციას ახდენს. კოლონიზაციის სფერო მასში იზრდებოდა მის სახელმწიფოებრივ ტერიტორიასთან ერთად. ხან დასუსტებული, ხან გაძლიერებული, ეს საუკუნოვანი მოძრაობა გრძელდება ჩვენს დრომდე. ის გაძლიერდა "კრეპოსტნოე პრავო"-ს ("ბატონყმობა" არა- ადექვატური ტერმინია! - პ.ი.) გაუქმების შემდეგ, როდესაც დაიწყო მოსახლეობის მიქცევა ცენტრალური შავნიადაგიანი გუბერნიებიდან, სადაც მას დიდხანს ხელოვნურად უჭირდნენ თავს და აკავებდნენ. აქედან მოსახლეობა წავიდა მრავალმხრივი ნაკადებით ნოვოროსიაში, კავკასიაში, ვოლგის იქით და შორს, კასპიის ზღვის გადაღმა, განსაკუთრებით ურალს იქითა ციმბირში, წყნარი ოკეანის ნაპირებამდე... ამგვარად, გადასახლებანი, ქვეყნის კოლონიზაცია იყო ჩვენი ისტორიის ძირითადი ფაქტი, რომელთანაც ახლო თუ შორეულ კავშირში იყო ყველა სხვა მისი ფაქტები"- წერს კლიუჩევსკი.

ამ ფაქტებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ უზარმაზარი ქვეყნის პოლიტიკურსა და სოციალურ წყობას, როგორც საფუძველს "რუსული ტიპის" სისტემის არსებობისა. პროფ. რ. პაიპსი (Pipes) თავის გამოკვლევაში "რუსეთი ძველი რეჟიმის ქვეშ" (1974) სამართლიანად სწერს, რომ:

"რუსეთში მთელი იდეა იმაში იყო, რომ გამოეწოვათ მიწისაგან რაც შეიძლება მეტი, მასში რაც შეიძლება ნაკლები დროის, შრომისა და სახსრების ჩადებით. ყოველი რუსი ისწრაფოდა თავი გამოეხსნა მიწისაგან: გლეხს ყველაზე მეტად უნდოდა მიეტოვებია სახნავი და გამხდარიყო მეწვრილმანე, ხელოსანი ან ჩარჩი; სოფლის ვაჭარს - აზნაურობის მიღწევა; აზნაურს - ქალაქში გადაბარგება ან სახელმწიფო სამსახურში კარიერის გაკეთება. საყოველთაოდ ცნობილი "ბოგანობა"(ბეზროდნოსტ) რუსებისა, ფესვების უქონლობა, მათი "ბროდიაგული" მიდრეკილებანი, ასე ხშირად აღნიშნული დასავლელ მოგზაურთა მიერ, მიჩვეული თავისი ფესვების მაძიებელ (მიწაში იქნება, თუ საზოგადოებრივ მდგომარეობაში) ხალხს.

ძირითადად გამომდინარეობენ რუსული მიწათმოქმედების სავალალო მდგომარე-ობიდან, ე.ი. ნაციონალური სიმდიდრის მთავარი წყაროს - მიწის - შეუძლებლობიდან უზრუნველყოს ნორმალური არსებობა".

ამაზე შეიძლება ერთი შენიშვნა გავკეთდეს, რომ ისტორიამ იცის გაცილებით უფრო მძიმე გეოეკოლოგიურ პირობებში მცხოვრები ხალხები, მაგალითად სკანდინაველები, რომლებმაც ამ პირობების დასძლევად შესაბამისი ცივილიზაცია განავითარეს. ასევე რუსეთშიც, მოსალოდნელი იყო, რომ ფრიად საეჭვო დაშვების გეოეკოლოგიური "სიმწირე" ნაციონალური სიმდიდრის წყაროსი გამოიწვევდა ხალხის (ძირითადი მწარმოებელი მასის) შემოქმედებით აქტივობას და გამოიმუშავებდა კულტურის ისეთ ფორმებს, რომელიც კომპენსაციას გაუკეთებდა მიწის სიმწირეს. მაგრამ საერთო აღიარებით, რუსეთში ეს არ მოხდა. ამის მიზეზს ჩვენ ვხედავთ იმ არსებით წყობაში, რომელმაც ჩამოაყალიბა რუსი ხალხის აღნიშნული თვისებებიც და მათი სოციალური აპათიურობაც. ეს არის რუსული ცხოვრების (წყობის) "დასაბამობით ნატკეიფრობა " სოციალური და პოლიტიკური "გაუცხოებით" ძალაუფლებისა და ხალხისა, ერთის მხრით, და ხალხისა და საკუთრებისა - მეორეს. ეს "ტოტალური გაუცხოება" არის რუსეთის ისტორიის ტიპოლოგიურად განმასხვავებელი ნიშანი. ძალაუფლება, რომელიც ექსტენსიურად აფართოებდა თავის სამფლო- ბელოს და რომელიც მთელს ქვეყანას თავის "პირად საკუთრებად" მიიჩნევდა, კოლონიზაციის მოთხოვნილებით ურიდა მკვიდრ მოსახლეობას და განთესავდა მას (ამასვე იყენებდა იგი ახალდაპყრობილ და შემოერთებულ ქვეყნებშიც). ეს, ბუნებრივია, სრულიად განსაკუთრებულ ვითარებაში აყენებდა ხალხს "ნაციონალური სიმდიდრის" - მიწის მიმართ. ამან ათქმევინა კლიუჩევსკის, რომ ძველრუს მიწათმოქმედს აქვს განსაკუთრებული თვისება "გამოფიტოს ნიადაგი". ხოლო ეს კი:

"უსასრულოდ ერეკებოდა რუსებს წინისაკენ.... ეკონომიკური ვითარება და საგარეო მდგომარეობა მოითხოვდა შექმნილიყო რუსეთში მაღალეფექტური სამხედრო და, შესატყვისად, პოლიტიკური ორგანიზაცია, და მაინც, ქვეყნის ეკონომიკა წინააღმდეგობაში იყო ამგვარ ორგანიზაციასთან. არსებობდა საფუძვლისეული შეუსატყვისობა ქვეყნის შესაძლებლობებსა და მის მოთხოვნილებებს შორის.

ხერხი, რომლითაც მოხსნილ იქნა ეს სიძნელე, წარმოადგენს გასაღებს რუსეთის პოლიტიკური განვითარების გასაგებად. სახელმწიფო არ ამოზრდილა საზოგადოებიდან, არ იყო იგი მისთვის თავსმოხვეული ზემოდანაც. ის, უმალ, საზოგადოების გვერდით იზრდებოდა და ყლაპავდა მას ნაწილ-ნაწილ. თავდაპირველად ძალაუფლების წყარო იყო კნიაზის ან მეფის პირადი კარმიდამო, მისი "თიკოს", ან კარი (დვორ). ამ კარმიდამოს საზღვრებში კნიაზი აბსოლუტური მბრძანებელი იყო, განმახორციე-ლებელი ძალაუფლებისა ორი სახეობით - სუვერენისა და მესაკუთრის. აქ ის მბრძანებლობდა ყველაზე და ყველაფერზე, იყო რა შესატყვისი ბერძნული **დესპოტეს**-ი და რომაული **დომინუს**-ისა, რუსი გოსუდარი, ესე იგი უფალი, მფლობელი, სრული მესაკუთრე ყველა ადამიანისა და ნივთისა....ქვეყნის სათავეში დამდგარმა მოსკოვ-ვლადიმირის კნიაზთა დინასტიამ გადაიტანა დაწესებულებანი და წესები, თავდაპირველად გამომუშავებული თავისი თიკოს-ის ჩაკეტილ სამყაროში, მთელს სახელმწიფოზე, გარდაქმნა რა რუსეთი (ყოველ შემთხვევაში თეორიაში) უზარმაზარ კნიაზურ კარმიდამოდ"...(პაიპსი).

მაქს ვებერი, რომელსაც ეყრდნობა პროფ. პაიპსი, ამ წყობას უწოდებს **საადგილმამულო სახელმწიფოებრივ სტრუქტურას**, ამგვარ შემთხვევაში "პოლიტიკური სტრუქტურა ხდება, არსებითად, იგივეობრივი გიგანტური კნიაზური კარმიდამოსი". ხოლო-საადგილმამულო რეჟიმის დროს მომხვეჭელური ელემენტი შთანთქავს პოლიტიკურს, რაც ხდება კიდეც მიზეზი "პრივილეგიათა" ძიებისა (ევროპულ "პოლიტიკურ უფლებათა" საწინააღმ-დეგოდ), "ხოლოპიზმისა" და სოციალური აპათიისა, რადგან ვებერის სწორი დასკვნით "საადგილმამულო სახელმწიფოებრივი რეჟიმის დროს არ არსებობს არც პოლიტიკური ძალაუფლების ოფიციალური (სამართლებრივი) შეზღუდვა, არც კანონიერება და არც პირადი თავისუფლება. თუმცა მასში შეიძლება არსებობდეს მაღალეფექტური სამხედრო და პოლიტიკური ორგანიზაცია, დაფუძნებული ერთი სუბიექტის მიერ ქვეყნის ყველა ადამიანური და მატერიალური რესურსების ფლობაზე". ეს სუბიექტი სხვადასხვა დროს შეიძლება იყოს ავტოკრატი ან მთელი პარტია და მისი ბელადი მათი ბიუროკრატი ხოლოპების ჯარით, რაც მთელ სისტემას ძალაუფლებისას "გაუცხოებულ" სახეს აძლევს. ამგვარ პირობებში კლასები, ამ სიტყვის ევროპული მნიშვნელობით ვერ

წარმოიშობოდნენ, ხოლო მათ ნაცვლად არსებობდნენ ფენები (ვერტიკალური და ჰორიზონტალური განფენით) იერარქიულად ორგანიზებულნი მეფის სამსახურისათვის. ამ ფენებს ჰქონდათ ტენდენცია პრივილეგირებულ კასტებად ქცევისა. კლასების არარსებობის პირობებში არც დიდებულთა (ზნატ) ფენას ჰქონდა რაიმე უფლება და ღალდებულება, გარდა "რანგებითა" ან "ჩინებით" განსაზღვრულისა, რომელთა მიღება ერთთავად თვითმპყრობელის ნებასურვილზე იყო დამოკიდებული. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ბიუროკრატიას არ ჰქონდა მთამომავლობითი სახე, რის გამოც ძალაუფლება ტოტალურად იყრიდა თავს ერთი სუბიექტის ხელში. ასეთია, ზოგადად, ის კონცეფტუალური მონახაზი, რომელიც რუსეთის "ისტორიის დერძის" სახით ვლინდება და მას ევროპულისაგან (და ქართულისაგან!) ტიპოლოგიურად განსხვავებულ სახეს აძლევს.

რუსეთის "ისტორიის დერძის" დასაწყისია ივანე მრისხანეს ძალაუფლებრივი სისტემა. გარკვეული თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ისტორიაში მოხდა საკუთარი "დერძის პერიოდის"(იასპერსი) პერმანენტიზირებ, რამაც რუსეთის ისტორიას ისეთი განსხვავებული და ერთგვაროვანი, არსებითად, სახე მისცა, რომ მადამ დე სტალის ხუმრობა(1822 წ. 2 აგვისტო) "En Russie le gouvernement est un despotisme mitigé par la strangulation" სავსებით და საყოველთაო ისტორიულ საფუძველს ჰპოვებს. ივანე მრისხანე ამ ისტორიული სინამდვილის პირველსახეს ქმნის.

( რუსეთის ისტორიაში ჩვენ გამოვყოფთ ოთხ პერიოდს, რომლებიც ერთმანეთისაგან ისტორიის დერძის "გადახრით" ან "დასავლურობის" ტენდენციებით განსხვავდებიან: კიევის რუსეთი, მოსკოვი I, პეტერბურგი, მოსკოვი II, დაწვრილებით ამ პერიოდებს განიხილავს წიგნი "ადამიანი ძაღლი არ არის - ყველაფერს ეჩვევა", აქ კი მოკლედ ვიტყვით,რომ რუსეთის ისტორიაში ევროტენდენციები არსებითად ვლინდებოდნენ კიევისა და პეტერბურგის პერიოდებში, მაგრამ ამ ტენდენციებს რეალური, სიციალეთნიკური და გეონაციონალპოლიტიკური შედეგები არ მოჰყოლია და ისინი "ჩიხოვან" ტენდენციებად (კორძებად) შერჩნენ ძირითად დერძს, რომელსაც განასახიერებს მოსკოვის ორივე მიმართულება. ივანე მრისხანემ კიევისაგან მხოლოდ "საადგილმამულო ძალაუფლებრივი სისტემის" სახელმწიფოებრივობის კონცეპცია შეითვისა - როგორც "გარიაგმა" და კიევის კნიაზთა მთამომავალმა. პეტრე დიდმა, თუმც "დერძი" დასავლეთისაკენ გადახარა - დედაქალაქის ბალტიის ზღვაზე გადატანითაც, "ფანჯრის გახსნითაც" და დასავ- ლური სოციალური ინსტიტუტების ფორმალური გადმოტანითაც, მაგრამ რეალურ-ძალაუფლებრივი სისტემა მისი მიდიოდა ივანე მრისხანეს რეჟიმის ხაზით და, ამდენად, "დასავლურობა " ამ შემთხვევაშიც "ჩიხოვანი გზა" აღმოჩნდა. სტალინის შემთხვევაში "დასავლურობა" (ევროპულობა) შეცვლილია "ამერიკულობით". თეორიულად მაინც, იგი მოუწოდებდა "რუსული რევოლუციური გაქანებისა და ამერიკული ფხიანობის (საქმოსნობის-დელოვიტოსტ;) " შეჯვარებისაკენ, როგორც უმაღლესი იდეალისაკენ კომუნიზმის მშენებლობის გზაზე, ხოლო რეალურად კი აღრმავებდა "დერძის" ძალაუფლებრივ სისტემურობას მის ტოტალურ უკიდურესობამდე, რომელსაც სისხლიანობისა გამო "ნეკროკრატია" ეწოდა.)

მივმართოთ თვით "დერძის" შემქმნელებს, მაგრამ არ დავივიწყოთ შესავალ ნაწილში აღნიშნული საყოველთაო მაცდურობა ძალაუფლებისაკენ სწრაფვისა, რაც ქმნის იმ ველს ("ხალხის" თუ "მასის" ან "მსახურთა" სახით, რომელთათვისაც პრივილეგიები ღირსებაზე და სამართალზე მაღლა დგანან და რომელნიც სიზმარშიდაც მიისწრაფიან ძალაუფლების "ოლონდაც" მოპოვებისაკენ), რომელზედაც ძალაუფლების ტოტალური გავრცობა ხდება.

სამი რამ აერთიანებს "დერძის" სამ "დედაბოძს" - სამივე შვილის მკვლელია. ეს სრულიად განსაკუთ- რებული, "მეტასოციალური", ხასიათის მოვლენებს წარმოვიჩენს და, ამდენად აუცილებელია მოკლედ შევეხოთ ამას. ივანე მრისხანეს თავისი "მემკვიდრე" შვილი შემთხვევით შემოაკვდა. ამან, ისტორიულადაც და მეტაისტორიულადაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მომდევნო ეპოქის, "სმუტნოე ვრემიას" შექმნაში და, ფაქტობრივად, რუსეთის ახალი ისტორიის დაწყებაში. "1581 წლის ნოემბერში მეფე ივანემ ვასილის ძემ აღგზნების მომენტში მოკლა რკინის კვერთხით თავისი უფროსი შვილი, რომელსაც, მამამისის ხელმძღვანელობით, უკვე შეძენილი ჰქონდა სისხლისმოყვარე თვისებები და

იძლეოდა იმედს, რომ ივანე გასილის ძის სიკვდილის შემდეგ მის სახელმწიფოში იგივე მოხდებოდა, რაც ხდებოდა მის დროს..." -წერს კოსტომაროვი.

პეტრე დიდმა თავისი შვილი ვერ გაზარდა თავის "მემკვიდრედ" და, თუმც ბევრი ეცადა, ვერაფრით შემო- აბრუნა იგი თავისკენ. ამ თვალსაზრისით, და, ასევე, "მამ- რული" სამეფო მემკვიდრეობის თვალსაზრისით, პეტრე დიდი "ბერწი" აღმოჩნდა. მამისაგან გამდგარი შვილი სიკვდილით იქნა დასჯილი. ამას მოჰყვა "ქალთა საუკუნე", საუკუნე "პრივილეგირებულ ფავორიტებისა", და "ზნედაცემული ბიუროკრატიისა", რომელიც დასრულდა პავლე I "ბნელი რომანტიზმით"

ლენინს შვილი საერთოდ არ ჰყოლია, ხოლო სტალინის სისტემაში "შვილობას" არავითარი "სახელმწიფოებრივი" მნიშვნელობა არა აქვს. სტალინმა პოლიტიკურ-იდეოლოგიური შეგნებით გაწირა თავისი ტყვედ ჩავარდნილი შვილი "სტალინი გენერლებს ჯარისკაცებზე არა ცვლის!" (სიამაყის გრძნობით იმეორებდა მასა თავისი კერპის ნათქვამად) - "ბოგანობამ" თავისი ტოტალური გამოხატულება ჰპოვა. "სისტემა" სოციობიოლო-გიურადაც "გაუცხოვდა".

ემოციონალური აღგზნების შემთხვევითობიდან - პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ცივსისხლიანობამდე გზა- არის გზა "ღერძის" საკვირო ღირებულებათა სკალის ტოტალიზებისა. როგორც დავინახავთ, ყოველივე ცდა ამ ღირებულებათა გაუფასურებისა ბიოსოციალური "ფესვების" გაშვებით ნიადაგში, მიმართული იქნება თვით "ღერძის" წინააღმდეგ, როგორც, ვთქვათ, ხრუშჩოვის "შურისძიება" და ნათესაურფავორიტული "ბრეჟნევიზმი" და მით გამოწვეული სტაგნაცია; ხოლო, ყოველი ცდა მიმართული "რეფორმისტულ-იდეოლოგიური" დინა- მიზმისაკენ, თავისი არსებით არის ცდა "ღერძის" გაცო- ცხლებისა და აღდგენისა, ცხადია თუ დავრჩებით ერთიდაიმავე სისტემის საზღვრებში; ამ შემთხვევაში მეგალოსოციალური ტოტალიტარული "სოციალის-ტური" იმპერიისა, სახელმწიფოს (პარტიის) მიერ კერძომესაკუთრულად გაგებული და მითვისებული ძალაუფლებით..

### 1. ივანე მრისხანე

კოსტომაროვს მოჰყავს ივანე მეოთხის სიტყვები სასულიერო პირთა ყრილობისადმი, რომელიც ცდილობდა მოელბო განრისხებული მეფის გული:

"ძველი დროიდან, როგორც თქვენთვის ცნობილია რუსული ჟამთააღწერიდან, დღევანდლამდეც კი, რუსი ხალხი (რუსსკიე ლიუდი) უჯანყდებოდა ჩვენს წინაპრებს, დაწყებული კეთილმოსაგონარი ვლადიმერ მონომახიდან, დაღვარა ჩვენი ბევრი სისხლი, უნდოდათ მოესრათ სახელოვანი გვარი ჩვენი. ნეტარსახსენებელი მშობლის ჩვენის გარდაცვალების შემდგომ, მიმ- ზადებდნენ ამგვარსავე ხვედრს მეც. თქვენს კანონიერ მემკვიდრეს, სურდათ რა სხვა მეუფე, და დღემდე ჩემის თვალით ვხედავ ღალატს; არა მხოლოდ პოლონელ მეფესთან, არამედ თურქებთანაც და ყირიმელ ხანთანაც შედიან შეთქმულებაში, რათა დაგვღუპონ და მოგვსრან; სული ამოხადეს ჩუმსა და ღვთისმოსავ მეუღლეს ჩვენსას ანასტასია რომანოვნას; და რომ ღმერთი არ გვიფარავდეს მათი ჩანაფიქრის გაცხადებით, ჩვენც ჩვენი ბავშვებითურთ მოგვიღებდნენ ბოლოს. ამიტომაც, ბოროტებისაგან თავის არიდების მიზნით, ჩვენ იძულებით უნდა გავცლოდით მოსკოვს, აგვერჩია სხვა საცხოვრისი და განსაკუთრებული მრჩეველები (ოპრიჩნიე სოვეტნიკი) და ხალხი"...

ივანემ გამოაცხადა (2 თებერვალს მოსკოვში დაბრუნებულმა), რომ იგი, მოსკოველი ხალხის ვედრებით (ჩელობიტიუ) და, განსაკუთრებით, სასულიერო წოდებისა, ისევ უბრუნდება ძალაუფლებას, იმ პირობით, რომ მას ჰქონდეს სრული თავისუფლება თავისი მოწინააღმდეგეების სიკვდილით დასჯისა და მათი ქონების დასაკუთრებისა და, რომ სასულიერო პირებმა აღარ უნდა შეაწუხონ იგი თხოვნებითა და მუდარით (ჩელობიტიე) დამნაშავეთა შეწყალების შესახებ. სწორედ ამ დროს წარ- მოადგინა ივანე მეოთხემ "ოპრიჩნინა"-ს წესდება. ეს იყო შემობრუნების წერტილი ივანე მეოთხის სახელმწიფოებრივი სისტემის დადგენაში და რუსეთის ისტორიაშიც. გარკვეული თვალსაზრისით, რუსეთის ისტორია შეიძლება გაიყოს - "ოპრიჩნინამდე" და "ოპრიჩნინის" შემდეგ პერიოდებად. ივანე მრისხანეს მეფობის "ოპრიჩნინამდელ" პერიოდს ასე ახასიათებს კოსტომაროვი: ახალგაზრდობაში, მოსკოვის ხანძრითა და ხალხის ბუნტით გაოგნებული, იგი მოუხედავად მიენდო სილვესტრს, რომელმაც შეძლო მისი შიშის ქვეშ ყოლა და მრჩევლებით გარშემორტყმა. ამ დროიდან ივანე დიდი ხნის განმავლობაში სრულიად გაუპიროვნებულია. რუსული სახელმწიფო იმართება არა მეფით, არამედ მის გარშემო მყოფ ადამიანთა საბჭოთი. მაგრამ, ნელ-ნელა, იგი იწყებს ჯერ ამ

მრჩევლების შეცვლას სხვებით, ხოლო შემდეგ საერთოდ საკუთარ ფეხზე დადგომას და მან:

"გადაწყვიტა სამეფო ძალაუფლების დაყენება ყველაფერზე მაღლა, ყველა ზნეობრივ კანონზე მაღლა. მას სირცხვილი წვავდა, რომ იგი, დაბადებით თვითმპყრობელი, დიდი ხნის განმავლობაში იყო ეშმაკი მღვდლისა და ბოიართა სათამაშო და, რომ სრული ძალისფლობის უფლებასთან, არ ჰქონდა არავითარი ძალაუფლება და ყოველივე ხდებოდა მისი ნების გარეშე და საწინააღმდეგოდ... ივანემ დაიწყო შურისძიება მათზე, ვისაც იგი, როგორც ის ამბობდა, "ტყვეობაში ჰყავდა", შემდეგ კი, სხვებში შეჰქონდა ეჭვი ასეთივე მისწრაფებებში და, განწყობისა-და მიხედვით, ხან აწამებდა და ჰკლავდა ზოგს, ხან, უცნაურად, ბრალდების შემდეგ, სტოვებდა ხელუხლებელს. ტანჯვა-წამება სიამოვნებას გვრიდა მას: ივანესთან ამას ხშირად თეატრალური სანახაობის სახე ჰქონდა: სისხლმა გემო გაუხსნა თვითმპყრობელს: იგი დიდხანს ღვრიდა მას, წინააღმდეგობის გარეშე, და ღვრიდა მანამ, ვიდრე არ მოყირჭდა ამგვარი გართობა...

1568 წლის 15 თებერვალს ივანე გაემგზავრა პოლოცკში... ივანემ არც აქ გაუშვა შემთხვევა სისხლისღვრით გართობისა და ბრძანა ღვინაში ჩახრჩობა ყველა ებრაელისა ოჯახებით. მაშინვე, ივანეს ბრძანებით, თათრებმა გაწყვიტეს პოლოცკში ბერნარდიელი ბერები. ყველა ლათინური (კათოლიკური-პ.ი..) ეკლესია გაძარცვულ იქნა...

1564-65 წლებში მეფე განაგრძობდა თავისი ბოიარებისაგან პირობის ხელწერილების ჩამორთმევას, რომ ისინი არ გაიქცევიან ლიტვაში, და მაინც, გარბოდნენ: გარბოდნენ უკვე არა მხოლოდ დიდებულები. გაიქცნენ ლიტვაში პირველი მოსკოველი ტიპოგრაფები: ივანე ფეოდოროვი და პეტრე მსტისლავეცი; გარბოდნენ ბოიარები და მათი შვილები...

სიმხდალემ მიიყვანა ივანე აზრამდე მოეწყო, ასე ვთქვათ, კომედია, რომელშიც ხალხს წილად ხვდებოდა ეთხოვა მეფესათვის ეწამებია და სიკვდილით დაესაჯა ვისაც მეფე ირჩევდა"...

ამ "კომედიის" ბოლო სცენა ზემოთ აღვწერეთ, ხოლო, არსებითი იყო ის, რომ ივანე მრისხანემ ხალხს, და ვაჭრებს, "ნდობა გამოუცხადა" და ერთდროულად აუწყა, რომ "მოსკოველი ხალხი არ უნდა ეჭვობდეს: მათზე მეფისაგან არ არის არც მრისხანება და არც განკვეთა" და ეს იმ დროს, როდესაც დიდებულთადმი გაგზავნილი წერილი ამცნობდა, რომ:

"მან დასდო მრისხანება თავისი ღვთისმლოცველთა თვისთა ზედა, არქიეპისკოპოსთა, ეპისკოპოსთა და მთელ სამღვდელოებასა ზედა, ბოიარებსა, ოკოლნიჩებსა, მოურავსა, ხაზინადარსა, მდივანთა; ბოიართა შვილთა, პრიკაზის ხალხთა ზედა; მოაგონებდა, ვითარი ბოროტმზრახველობა, დატაცება ხაზინისა და ზიანი მიაყენეს მათ სახელმწიფოს მისი მცირეწლოვანობის დროს, ჩიოდა, რომ ბოიარებმა და ვოევოდებმა დაინაწილეს თავისთვის და თავისი ნათესავებისათვის და მეგობრებისათვის სამეფო მიწები, შეაგროვეს უდიდესი სიმდიდრე, სამფლობელო, სამამულო მიწები (ვოტჩინა-პ.ი.), არ ზრუნავენ მეფესა და სახელმწიფოზე, აწიოკებენ ქრისტიანებს, გაურბიან სამსახურს; ხოლო როდესაც მეფე - ნათქვამი იყო სიგელში - მოისურვებს თავის ბოიარების, კარისკაცების, მსახურთა და პრიკაზის ხალხის მიმოსჯას, არქიეპისკოპოსები და ეპისკოპოსები ესარჩლებიან დამნაშავეთ;... ამიტომ, მეუფეს დიდი დანდობისა გამო აღარ უნდა მათი გამცემლური საქმეები და იგი წავიდა დასასახლებლად იქ, სადაც უფალი ღმერთი მიუთითებს..." (კოსტომაროვი.).

ამგვარი განხეთქილების ჩამოგდებამ მიზანს მიაღწია და ხელი გაუხსნა ივანეს. "ზოგიერთი უბრალო ხალხიდან ამბობდა: "დაე მეფემ მიგვითითოს მისი მოღალატენი და ბოროტმზრახველნი; ჩვენ თვითონ მოვსპობთ მათ"... სწორედ ამას მოჰყვა "ოპრიჩნინა" და "ძალაუფლებრივ - ისტორიული დერძის" სტრუქტურული ჩამოყალიბება.

"ოპრიჩნინა" თავისი არსებით გამოხატავდა იმ დიდ ცვლილებებს, რომლებიც რუსეთის გეონაციონალპოლიტიკასა და ეთნოპოლიტიკაში მოხდა. მეტიც, იგი განასახიერებს ერთგვარ "ძალაუფლების ფილოსოფიას", რომელიც ამიერიდან რუსეთის სახელმწიფოს ფუძეთა ფუძედ იქცა და, რომელიც შემდგომში რუსი ლიბერალებისა და მემარცხენეების, ისევე როგორც დაპყრობილ ქვეყანათა ინტელიგენციის ბრძოლის ობიექტი გახდება. ეს კონცეფცია ერთნაირად დაახასიათებს ძალაუფლებასაც და ხალხსაც. ქვეყნის "განხეთქვის" იდეა თავისუფლად შეიძლება შეედაროს "კლასთა ბრძოლის" იდეას, რომელზედაც "დემოკრატიული ცენტრალიზმის" პრინციპებზე აგებული ტოტალიტარული ძალაუფლება დაფუძნდა. "ოპრიჩნინა" იყო პირველი სრულყოფილად ცენტრალისტურ-ძალაუფლებრივი ინსტიტუტი, რომელმაც "ფიზიკურად" გამოხატა

ძალაუფლებისა და ხალხის ურთიერთგაუცხოება.

(ვლადიმირ დალი განმარტავს: Опричнотъ- особенность, отдельность. Опричнина, или опришнина,оприч/ш/ня – опричность, особенность, отдельность, что либо наокроме. Особое войско,телохранители и каратели, при Грозном. Часть государства при Грозном, подчиненная дворцовому правлению, с особыми правами. Противопол.–з е м с т в о. Опришнинец, опричинец – житель области, вошедшей в царскую опричину, опричник – ратник служилой опричнины" – უკვე ეს განმარტება გვაძლევს სავსებით იდენტურ სურათს საყოველთაოდ ცნობილი ჩვენს, რომელიც ლენინური სისტემის საფუძველთა საფუძველს წარმოადგენდა. ხოლო რუსული ძალაუფლებრივი სისტემის ფუნდამენტური სტრუქტურის საწყის ფორმასა და სრულყოფილ "სტალინურ" მანქანას შორის წარმოადგენდა ევროპიზირებული საიდუმლო პოლიცია რუსეთის საიმპერატორო კარისა - "ოხრანკა".)

ისტორიკოს-ცენტრალისტებისა და, განსაკუთრებით, საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ ივანეცა და "ოპრიჩნინაც" დადებითადაა შეფასებული. მაგალითისათვის საკმარისია მოვიტანოთ "საბჭოთა ენციკლოპედიის" მეორე (სტალინურ) და მესამე (ბრეჟნევურ) გამოცემებში გატარებული თვალსაზრისები:

"ივანე მეოთხის მოღვაწეობა განუყოფლადაა დაკავშირებული რუსული ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნასთან მას ჰქონდა დიდი პროგრესული მნიშვნელობა, რადგან "მხოლოდ ქვეყანას, გაერთიანებულს ერთ ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ, შეუძლია ჰქონდეს სერიოზული კულტურულ-სამეურნეო ზრდის, თავისი დამოუკიდებლობის განმტკიცების შესაძლებლობის იმედი" (ი.სტალინი)... 50-წწ რეფორმები ნიშნავდნენ დიდ ნაბიჯს წინ რუსული ცენტრალიზებული სახელმწიფოს განვითარებაში და აძლიერებდნენ მემამულე-კარისკაცთა (დვორიან-პომეშჩიკთა) პოზიციებს. ამავე მიზანს - ცენტრალიზებული რუსული სახელმწიფოს გაძლიერებას - იყო დაქვემდებარებული ივანე მეოთხის საგარეო პოლიტიკაც, რომლის ცენტრალური საკითხები იყო აღმოსავლური (ყაზანი) და ბალტიური(ლივონიური)"... "..მთავარი მიზანი იყო რუსეთისათვის ბალტიის ზღვაზე გასასვლელის მიცემა და ევროპასთან მიმოსვლის გზის გახსნა. აი მიზეზი პეტრე პირველის მიერ აღფრთოვანებისა"(მარქსი)... რეაქციული ბოიარობის ბრძოლის გაძლიერებას...ივანე მეოთხემ უპასუხა განსაკუთრებული ზომით -1565 წელს ოპრიჩნინას დაარსებით. რუსული სახელმწიფოს გაყოფამ ოპრიჩნინასა და ზემშჩინად... ბოიართა ეკონომიკური ძლიერების საფუძველს, მათ საგვარეულო მამულებს, მიაყენა დარტყმა ჩატარებულ იქნა მასიური კონფისკაცია ბოიართა სამფლობელოებისა კარისკაც-ოპრიჩნიკების სასარგებლოდ. ცენტრალიზებული სახელმწიფოს გაძლიერების ერთ-ერთი საშუალება იყო პოლიტიკური ტერორი ბოიარობის წინააღმდეგ, გამოხატული კნიაზებისა და ბოიარების მასიური წამებით. ამგვარი პოლიტიკის გარდუვალობა, მისი ობიექტური აუცილებლობა ნაკარნახევი იყო იმით, რომ ცენტრალიზებული სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში კნიაზები და ბოიარები არ ჩერდებოდნენ არავითარი საშუა- ლებების წინაშე... ოპრიჩნიკთა პროგრესულმა ჯარმა დიდი როლი ითამაშა ბოიართა ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერების ლიკვიდირებაში, ფეოდალური დაქსაქსულობის აღმოფხვრაში და რუსული ცენტრალიზებული სახელმწიფოს გაძლიერებაში... მოქმედებდა რა ბოიართა ოპოზიციის მხრიდან შეთქმულებებისა და ღალატის გარემოცვაში, მან გამოავლინა განსაკუთრებული სიმტკიცე თავის მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში და მეტად არაჩვეულებრივად ძნელ და რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ბოლომდე მიიყვანა ძალაუფლების ცენტრალიზების საქმე".

ასეთია "სტალინური" კონცეფცია ივანე მრისხანეს რეფორმისტული საქმიანობისა. ახლა უკვე ყველასათვის არის ცხადი, რომ აქ, საკმარისია ივანე შეიცვალოს სტალინით, რათა ნათელი შეიქმნეს "დირექტიულობა" ამ კონცეფციისა. ეს თავის დადასტურებას პპოვებს ეიზენშტეინის ცნობილ ფილმშიც "ივანე მრისხანე". მესამე - "ბრეჟნევული" - გამოშვება საბჭოთა ენციკლოპედიისა ამ სურათს ერთგვარ ობიექტურ დეტალებს უმატებს აღნიშვნით, რომ "ივანე მეოთხემ ითამაშა დიდი როლი "თვით-მპყრობელობის" ოფიციალური იდეოლოგიის შემუშავებაში..." და რომ "იგი ატარებდა სისხლიან მასიურ რეპრესიებს, რისგანაც იღუპებოდნენ მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგენიც და ათობით ათასობით გლეხები, ხოლოპები და პოსადის ხალხი (პოსადსკიე ლიუდი)...". ამ კონცეფციებში, ასახული დამოკიდებულება სტალინისადმი სხვა და სხვა დროს, კიდევ ერთ დადასტურებას უკვე უახლეს პოლიტიკურ ვითარებასა და "რევოლუციურ გარდაქმნათა" ეპოქის მენტალიტეტის მკვეთრად ამსახველ ცნობილ ფილმშიც - "მონანიება" თენგიზ აბულაძისა - პპოვებს. თავის "რუსეთის ისტორია ბიოგრაფიებში" კოსტომაროვი დეტალურ სურათს იძლევა რეალური სისტემისა (კონცეფციისა და ინტერპრეტაციისა-და მიუხედავად), რომლის შედეგად გადაიდგა სრული ნა- ბიჯი "რუსული ისტორიის ღერძის" შესაქმნელად.

"ივანემ წამოაყენა "ოპრიჩნინა"-ს წესდება, მოგონილი მის ან, შესაძლოა, მის რჩეულთა მიერ. ის მდგომარეობდა შემდეგში: მეფე დაიყენებს განსაკუთრებულ კარს (დვორ) და დააწესებს განსაკუთრებულ ჩვევებს, ამოირჩევს თავისთვის ბოიარებს, ოკოლნიჩებს და მოურავს, ხაზინადარს, მდივნებს, პრიკაზის ხალხს, შეარჩევს თავისთვის განსაკუთრებულ კარისკაცებს (დვორიან) ბოიართა შვილებს, სტოლნიკებს, სტრიაჩებს, მაცხოვრებლებს; დააყენებს სამეფო სახლებში (სასახლეებში - სიტნიში, კორმოვიში და ხლებნიში) ყოველგვარ ოსტატებსა და მოსამსახურეებს, რომლებსაც შეეძლება ენდოს, აგრეთვე, განსაკუთრებულ მსროლელებს (სტრელცებს). შემდეგ მოსკოვის სამეფოს მთელი სამფლობელო ორად იყოფოდა: მეფემ აირჩია თავისთვის და თავისი შვილებისათვის ქალაქები ვოლოსტებით, რომლებსაც უნდა დაეფარა დანახარჯები მეფის საცხოვრისისა და ოპრიჩნინაში არჩეულ მსახურთა ჯამაგირი. ამ ქალაქების ვოლოსტებში მამულები ეძლეოდათ მხოლოდ და მხოლოდ ოპრიჩნინაში ჩაწერილ კარისკაცებსა (დვორიანებ) და ბოიართა შვილებს, რიცხვით 1000-ს მათგან ისინი, ვისაც მეფე აირჩევს სხვა ქალაქებში, გადაიყვანებიან ოპრიჩნინას

ქალაქებში, ხოლო ყველა მემამულეები და პომეშჩიკები, რომლებსაც ოპრიჩნინას ვოლოსტებში ჰქონდათ სამფლობელო, მაგრამ არ იყვნენ არჩეულნი ოპრიჩნინაში, გადაიყვანებიან ქალაქებსა და ვოლოსტებში ოპრიჩნინას გარედ. მეფემ უფლება დაიტოვა, რომ თუ ოპრიჩნინას ქალაქების შემოსავალი არ იქნება საკმარისი, იგი კიდევ სხვა ქალაქებსა და ვოლოსტებსაც აიყვანს ოპრიჩნინაში. თვით მოსკოვში ოპრიჩნინაში იქნენ აყვანილნი რიგი ქუჩებისა და დასახლებებისა, რომლებიდანაც ხალხი არ აყვანილი ოპრიჩნინაში, გაიყვანებოდა გარეთ... გამორჩეულნი ირჩევდნენ ოპრიჩნინაში კარისკაცებსა (დვორიან) და ბოიართა შვილებს და, ათასის ნაცვლად მალე 6 000-მდე მოაგროვეს ისინი, ვისაც ურიგდებოდათ სამოსახლოები და მამულები წართმეული ადრინდელი მფლობელებისათვის... ოპრიჩნიკები მეფეს განსაკუთრებულ ფიცს აძლევდნენ, რომლითაც ივალდებულებდნენ არა მარტო მიეტანათ მისთვის ყოველივე, რასაც კი გაიგებდნენ ცუდს მეფეზე, არამედ არ ჰქონოდათ არავითარი მეგობრული ერთიერთობა, არ ეჭამათ და ესვათ ზემსტვოელ ხალხთან. ისინი, როგორც გადმოგვცემენ ჟამთააღმწერნი, ვალდებულიც კი იყვნენ მოეხდინათ ზემსტვოს ხალხის მიმართ ძალდატანება, მოეკლათ, გაეძარცვათ მათი სახლები. თანამედროვე უცხოელები სწერენ, რომ ოპრიჩნიკთა სიმბოლო იყო ძაღლის თავისა და ცოცხის გამოხატულება ნიშნად იმისა, რომ ისინი იკბინებიან როგორც ძაღლები, მეფის სიჯანსაღის დაცვისას და ხვეტენ ყველა ბოროტისმქნელს... ოპრიჩნელის მიერ ზემსტვოელის ნებისმიერ დაბეზღებას სარწმუნოდ იღებდნენ... ზემსტვოელი იყო მეფის წყალობას მოკლებული მდაბიო არსება, რომლისთვისაც შეურაცხყოფის მიყენება არაფრად არ ღირდა... საქმის ამგვარ ახალ ვითარებაში რუსეთში, კანონიერების გრძნობა სავსებით უნდა გამქრალიყო... ოპრიჩნინას შექმნა, ცხადად იყო რუსი ხალხის დემორალიზების ისეთი მძლავრი იარაღი, რომელთანაც სხვა იარაღის შედარება შეუძლებელია; და ამის შემხედვარე უცხოელები სამართლიანად აღნიშნავდნენ: "სატანას რომ ადამიანის გამხრწნელი რაიმე საშუალების გამოგონება დასჭირვებოდა, ისიც კი ვერ გამოიგონებდა ამაზე კარგსო"...

ივანეს პირად "ოპრიჩნიკობაზე" თავისი სამეფოს მოსახლეობის მიმართ აქ არაფერს ვიტყვით, რადგან ჩვენს ყურადღებას ძირითადად სტრუქტურულ მოვლენებზე გამახვილებთ. ამგვარ მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ ძალაუფლების ხასიათის ჩამოყალიბება, ოპრიჩნინა, ტოტალური შიშის გამეფება, - რომელიც თვით მასვე უბრუნდებოდა და მიჰყავდა იმ ზომამდე, რომ წერილს აწერინებდა ინგლისის დედოფლისადმი (ის წერდა ელისაბედს რომ მოღალატეები მის წინააღმდეგ შეთქმულებებს აწყობენ, უთანხმდებიან მისადმი მტრულად განწყობილ მეზობლებს, უნდათ გაწყვიტონ მთელი მისი გვარი მასთან ერთად. და თხოვდა ინგლისის დედოფალს თავშესაფარს ინგლისში. ელისაბედი პასუხობდა, რომ რუსეთის მეფეს შეუძლია იცხოვროს ინგლისში, თავის სრულ კმაყოფაზე და განაგრძოს ძველ-ბერძნული რწმენის აღსარება...) - და სახელმწიფოსა და მისი სამეზობლოს მტრულ ბანაკად გამოცხადება.

ის, რაც ივანეს ოპრიჩნულმა სისტემამ მოიმოქმედა ნოვგოროდის, ფსკოვისა და ტვერის მიმართ, ამ ტოტალური ოპრიჩნიკულ-გაუცხოებული "სამტრო" სისტემის ბრძოლა იყო არა მარტო არსებული (თუნდაც მოგონილი) მტრის წინააღმდეგ, არამედ, ეს იყო ბრძოლა ისტორიის წინააღმდეგ, ბრძოლა წარსულ თავისუფლებასთან და ეს "რუსეთის ისტორიის ღერძის" არსებითი მახასიათებელი გახდება. ჩემის აზრით სწორედ აქ მოხდა რუსეთის ისტორიის ის მძლავრი მსხვრევა, რომელმაც რუსეთის მოსახლეობის ტოტალური დემორალიზება გამოიწვია და იგი, სოციალურად და პოლიტიკურად, "იატაკქვეშეთში" ჩაჰკეტა. საზღვრების გაფართოებას- თან ერთად მოხდა მოსახლეობის სრული "დეკლასირება" და "დესოციალიზება", რამაც ოპრიჩნულ "იატაკქვეშეთში" დესტრუქტიულ სტიქიად გარდაქმნა ადამიანთა ბუნებითი სწრაფვა საზოგადოებრივი ცხოვრებისაკენ. ამან ათქმევინა შემდგომში ღერძის მეორე შემქმნელს პეტრე დიდს: "სხვა ევროპულ ხალხთან შესაძლებელია მიზნის მიღწევა ადამიანისმოყვარე საშუალებებით, რუსებთან კი ასე არ არის: მე რომ სიმკაცრისათვის არ მიმემართა, უკვე დიდ ხანია აღარ ვიქნებოდი რუსეთის სახელმწიფოს მფლობელი და ვერასოდეს ვერ გავხდიდი მას ისეთს, როგორიც ახლაა. მე საქმე მაქვს არა ადამიანებთან, არამედ ცხოველებთან, რომლებიც მინდა ადამიანებად გარდავქმნა" (კოსტომაროვი). ალბათ ძნელი მოსაძებნია სხვა მეფე, რომელიც თავისი ხალხისადმი ამგვარ დამოკიდებულებას იჩენდეს. მაგრამ აქ უმთავრესი მაინც ის არსებაა, რომელიც ივანე მრისხანეს "გარდაქმნებმა" გამოიწვიეს. ივანეს დროსვე

გაჩნდნენ პირველი "დისიდენტები" -კურბსკი, პატრიარქი ფილიპე, ჭეშმარიტად სულმაღალი პიროვნება, რომელიც მანამდე უშიშრად ამხილებდა მეფესა და მის ოპრიჩნინას, ვიდრე არ განკვეთეს და მოაშთეს. ივანეს დროს ჩაეყარა საფუძველი ისეთ მოვლენას, როგორიცაა თავისთავის დადანაშაულება სახელმწიფოს ღალატში:

(1571 წ. ყირიმელი დევლეთ-გირეის შემოსევის დროს, მოსკოვის ხანძრის შემდეგ, "მიტოვებული" ხალხის სტიქიის წინაშე შიშით ივანემ ზემსტვოელ კნიაზ მსტისლავსკის ჩამოართვა ხელწერილი, რომ იგი (მსტისლავსკი-პ.ი.), ვოევოდები და მათი ამხანაგები მოღალატურად უკავშირდებოდნენ ხანს და მოიყვანეს იგი რუსეთის მიწის გასაჩანაგებლად... ივანეს არ დასჭირდა მათთვის ხელის ხლება).

ივანეს დროს პირველად ვხვდავთ "სახელმწიფოს" არა როგორც საზოგადოებრივ ინსტიტუტს, "ხელწყობას", არამედ, როგორც "განსაკუთრებულ ორგანიზაციას", რომელმაც მთელი საზოგადოება გარდაქმნა სახელმწიფოებრივ-სამსახურებრივ სისტემად და რომლის ძირითადი მიზანი იყო:
"შესაძლებლად მაქსიმალური დაძაბვა მოსახლეობის საბრძოლო და საგადასახადო ძალებისა. მოსახლეობის "ჩინებად" ე.ი. სხვადასხვა საზოგადოებრივ ("სახელმწიპოებრივ"-პ.ი.) მდგომარე-ობად განაწილების, ასევე ყოველი "ჩინის" შინაგანი მოწყობის საფუძვლად დადებულ იქნა ძალდატანებითი ძალაუფლებრივი რეგლამენტაციის საწყისი... ივანე მეოთხის დროს ძალაუფლებრივი ტერორი იღებს საგვარეულო ბოიარობის სისტემატური მოსპობის ხასიათს... მოსკოველ მეფეთა ბრძოლა ბოიარებთან, ამგვარად, მივიდა მნიშვნელოვან სოციალურ მეტამორფოზასთან: საგვარეულო დიდებულობის შეცვლასთან ახალი ბოიარებით, წმინდად სამსახურებრივი წარმოშობისა" (ბროკგაუზის ენციკლ.).

ასე გამოინასკვა "რუსეთის ისტორიის დერძის" პირველი კვანძი. ამ კვანძის ტიპიურობის და არაევროპულობის დასახასიათებლად საკმარისია მოვიტანოთ პოლონეთის მეფის სტეფანე ბატორის წერილი ივანესადმი, "ლივონიის ომის" დროისა:
"როგორ გაბედე შენ, ჩვენთვის დაყვედრება ბუსურმანობისა (თურქეთის სულთანის ყასალობისა-პ.ი.), შენ, რომელიც საკუთარი სისხლით დაუნათესავდი ბუსურმანებს; შენი წინაპრები, როგორც მეჯინიბენი, უზანგებად ეძღვნენ თათარ მეფეებს, როდესაც ისინი ცხენზე მხედრდებოდნენ, ლოკავდნენ ფაშატის რძეს, თათარ ჯაგლაგთა ფაფარიდან ჩამონაწვეთს. შენ შენი თავი ამოგყავს არა მარტო პრუსიდან, კვი- სარ ავგუსტეს ძმიდან, არამედ, ბერძნული მოდგმიდანაც წარმოშობ; თუ მართლა ბერძნებიდან ხარ, ალბათ - ტიესტოსისაგან, ტირანისაგან, რომელიც მის სტუმარს თავისი შვილის ტანით კვებავდა! შენ - არა თუ ერთ რომელიმე ბავშვს, არამედ მთელი ქალაქის ხალხს, უფროსებიდან უმცირესამდე, დუპავდი, აჩანაგებდი, სპობდი, მსგავსად შენი წინაპრისა, რომელმაც ამავე ქალაქის ხალხი მოღალა- ტურად აწამა, დაღუპა ან წაიყვანა მონობაში... სად არის შენი ძმა ვლადიმირი? სად არიან უმრავლესობა ბოიართა და ხალხისა? მოსპე! შენ არა ხარ ხელმწიფე შენი ხალხისა, არამედ ჯალათი; შენ მიეჩვიე მბრძანებლობას ქვეშევრდომებზე, როგორც ცხოველებზე, და არა როგორც ადამიანებზე! უდიდესი სიბრძნეა: იცან თავი შენი; და რომ შენ უკეთ შეიცნო საკუთარი თავი, გიგზავნი წიგნებს, რომლებიც მთელს მსოფლიოშია შენზე დაწერილი; თუ გინდა კიდევ სხვებსაც გამოგიგზავნი: რათა შენ მათში, როგორც სარკეში, დაინახო შენი თავი, და გვარი შენი... შენ საკმაოდ იგრძენი ჩვენი ძალა; ღვთის ძალით, კიდევ იგრძნობ! შენ ფიქრობ, ყველგან ისე მმართველობენ, როგორც მოსკოვში? ყოველმა ქრისტიანმა მეფემ, ხელმწიფედ კურთხევისას, უნდა დადოს ფიცი იმაში, რომ განაგებს არა უაზროდ, როგორც შენ. სამართლიანი და ღვთისმოშიში ხელმწიფენი მიჩვეულნი არიან დაუკავშირდნენ მთელს თავის ქვეშევრდომებს და მათი თანხმობით ომობენ, სდებენ ხელშეკრულებებს; ასე ჩვენც, ვბრძანეთ დაძახება მთელი ჩვენი ქვეყნიდან ელჩებისა, რათა დაგეცვათ სინდისი ჩვენი და დაგვედო შენთან მკვიდრი დადგენილება. მაგრამ შენ ეს საქმეები არ გაგვეგე- ბა... ქათამიც კი იცავს არწივისა და ქორისაგან თავის წიწილებს, შენ კი, არწივო ორთავიანო, იმალები ჩვენგან" - ივანემ დაიწყო შუამავლების ძებნა..." (კოსტომაროვი).

(მიუხედავად ივანესა და სტალინის მსგავსებისა, დღემდე არ აღმოჩენილა სტეფანე ბატორის წერილის მსგავსი მიმართვა სტალინისადმი, რაც მეტად მნიშვნელოვან ცვლილებას მოასწავებს საკაცობრიო

თვალსაზრისით. მაგრამ ეს განსაკუთრებული თემაა.)

მიუხედავად იმისა, რომ ოპრიჩნინა ფორმალურად 1572 წელს გაუქმდა და ქვეყნის ორივე ნაწილი ისევ გაერთიანდა, ამას არსებითი ცვლილებები ძალაუფლების "ოპრიჩნიკულ" ხასიათში არ გამოუწვევია. სოციოფსიქოლოგიური შედეგი ძალაუფლების ტოტალური "გაუცხოების" გაცილებით ღრმა და არსებითი იყო, ვიდრე ამას ფორმალური სურათი გვიხატავს. ეს დაადასტურა ძალაუფლებრივი სისტემის შემდგომმა განვითარებამ და მოსახლეობის საერთო მასის დამოკიდებულებამაც ამ ძალაუფლებისადმი.

ისტორიაში მიზანისა და შედეგის ურთიერთმიმართების გარკვევას არსებითი მნიშვნელობა აქვს. რა მიზანს ისახავდა ივანე მრისხანე? ყოველივე ზემოთქმულიდან ჩვენი პასუხი ნათელია - ივანე მრისხანეს მიზანი იყო შექმნა (დასრულების!) ტოტალურად ცენტრალიზებული სრული სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია (აპარატი ), რომელიც თვითმპყრობელ მეფესა და მის შთამომავლობას სახელმწიფოსა და ძალაუფლების სრულ მესაკუთრეებად გახდიდა სამარადისოდ. მეორე მიზანი გამომდინარეობდა პირველიდან - "სამეზობლოს" მოსპობა და მისაწვდომი სივრცის ასევე ტოტალური დაუფლება. ეს "ბუნებრივად" გამომდინარეობდა ძალაუფლების თვითმპყრობელურ-მესაკუთრული ან "საადგილმამულო" (ვოტჩინური) კონცეფციიდან.

ისევე, როგორც გეოეთნოსოციალურად არის შეუძლებელი ძალაუფლების ტოტალური განხორციელება ყველა სოციალური ჯგუფისა და ფენის, ან, თუნდაც, "კლასის", სახელმწიფოსადმი დაქვემდებარებისა და სახელმწიფოს საკუთრებად გადაქცევის გარეშე; ამ გასახელმწიფოებრივებული ("ნაციონალიზებული"!) ჯგუფების, ფენების და, თუნდაც "კლასისათვის" პრივილეგიებად გარდაქმნილი უფლებების მინიჭების გარეშე; "სპონტანური სოციალური მაგმის" - ხალხის სოციალურ და ცხოვრებისეულ "იატაკქვეშეთში" შერეკვის და მისი მხოლოდ საბრძოლო, ან მწარმოებელ, ძალად გამოყე- ნების გარეშე (ივანე თავის ხალხს ხშირად ადარებდა წვერებს ან ცხვრის ფარას, რადგან ორთავეს ზრდისათვის პარსვა სჭირდება); ასევე არის შეუძლებელი ძალაუფლების ტოტალურობის განხორციელება "სამეზობლო" სივრცის "გაწმენდის" გარეშე, რადგან ეს სივრცე იქცევა "მაცდურობისა" და დესტაბილიზირების წყაროდ" და იზიდავს თავისკენ, როგორც თავშესაფარი, უკმაყოფილოებს. ძალაუფლების იდეალი არის ტოტალური თვით- მპყრობელობა - "სატანიზმი", თუ გავიხსენებთ წერილის დასაწყისს - და ამ "თვითმპყრობელობას თავისთავში" გეოგრაფიული საზღვარი არა აქვს, მას სივრცისა და დროის კატეგორიები არ ახასიათებს, "სატანური მონადაა", "შავი ხვრელი", რომლის შეჩერება, როგორც სახარება გვიჩვენებს, შესაძლებელია მხოლოდ საღვთო ნებისყოფითა და ძალით.

ძალაუფლების გეონაციონალპოლიტიკური მიზანი ემყარება პრინციპს, "უცხო ქვეყანაში ადამიანს მეზობელი არა ჰყავს" - და, - "ძალაუფლებას სამშობლო არ გააჩნია", მითუმეტეს, ნათესავი. ივანეს (და პეტრესიც) სიტყვები (იხ. ზევით) ნათლად ადასტურებენ, რომ ივანე (და პეტრეც) თავს უცხო ქვეყანაში თვლიდა და კიდეც ექცეოდა მას ვითარცა დაპყრობილსა და მის პირად საკუთრებაში გადასულს. ისეთსავე საკუთრებაში, როგორიც იყო მისი კარმიდამო, მამული, ნივთები, საგნები - პირადი მოთხოვნილებებისა და მისწრაფებების დასაკმაყოფილებელი. ძალაუფლება ხალხის მიმართ კოლონიზატორულ დამოკიდებულებას იძენდა, დაახლოებით ისეთსავეს, როგორიც "კოლონიალურ იმპერიებად" დეგრადირებულ გვიანდელ ევროპულ სახელმწიფოებს (ესპანეთს, ინგლისს, საფრანგეთს...) ჰქონდათ თავისი კოლონიების მიმართ. გეონაციონალპოლიტიკის მიზანი რომ ძალაუფლების ტოტალური გავრცობა იყო და სხვა არაფერი, იმითაც მტკიცდება, რომ (განსხვავებით ევროპული კოლონიალური იმპერიებიდან) საკუთრივ რუსეთის მოსახლეობა არაფერს იძენდა არც ტერიტორიალური ექსპანსიით და არც სხვა ქვეყანათა კოლონიზაციით. პირიქით, გადასახლებულ რუს მოსახლეობას მალე ის ტერიტორიებიც "რუსულ" ვითარებაში მოჰყავდათ, რითაც დაპყრობილი ან, როგორც თვით რუსები უწოდებენ, "შემოერთებული" ქვეყნების ხალხის არა მარტო პოლიტიკურ, არამედ სოციოკულტურულ წინააღმდეგობასა და აღშფოთებას იწვევდა. რუსული "ნაციონალური" იდეა მომდინარეობდა ძალაუფლების ტოტალობის ცნებიდან და მოიცავდა ამ ძალაუფლების გავრცობის გეოგრაფიას. იქ, სადაც ეს ძალაუფლება არ ვრცელდებოდა, არც რუსეთი იყო, ხოლო იქ, სადაც იგი ვრცელდებოდა - იყო რუსეთი, რა ეთნოსის, რელიგიის ანუ კულტურის (ენის) ხალხითაც არ უნდა ყოფილიყო დასახლებული. ამიტომაც ჭირს "საკუთრივ რუსეთის" ნაციონალური (ეთნო-ეროვნული)

საზღვრების მოხაზვა. ესეც რუსეთის ტიპოლოგიურად განმასხვავებელი ნიშანია. აქ მონოკულტურას ცვლიდა გეონაციონალპოლიტიკური სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, რომლის გამოხატულებას "ძალაუფლებრივი ორგანიზაციის" (სახელმწიფოს) სისტემა წარმოადგენდა. ეს გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ "დერჟის" პირველმა ნასკვმა განსაზღვრა რუსეთის ტიპოლოგიურად განსხვავებული არსება, როგორც (ეთნოკულტურული თვალსაზრისით) ანაციო- ნალური (არაეროვნული) სამფლობელო (გოსუ- დარსტვო) გაერთიანებული ტოტალურად გავრცობილი ძალაუფლების საფუძველზე. ამ ძალაუფლების ენა ხდებოდა არა მარტო "გამაერთიანებელ" Lingua franka-დ, არამედ საერთოდ მეტყველების უნარის გამოხატულებად. რუსული "ნემეც", "ნემოი" აღნიშნავდა უცხოსაც და მუნჯსაც: უცხო იყო ყველა ის ვინც რუსულად არ ლაპარაკობდა და, ამავე დროს, იგი იყო მუნჯიც, ე.ი.-"პირუტყვი".

"დერჟის" უკვე ამ, პირველსავე ნასკვში ვხვდავთ ერთ არსებით და ტიპოლოგიურ ნიშანს: გეონაციონალ- პოლიტიკური და გეოეთნოსოციალური ვითარების უკუპროპორციულობას.

გეონაციონალპოლიტიკური განვრცობა ("აღმავლობა") იწვევდა გეოეთნო-სოციალური სივრცის დახშობას ("დაღმავლობას") ანუ, ჩვეული (ევროპული) სოციოლოგიური ტერმინოლოგიით, "სოციალური ცხოვრების" დეგრადირებას "იატაკქვეშეთურ" ყოფად. ეს პრინციპი იმდენად ცხადია, რომ "საათობრივ" შემოწმებას მქვემდებარება: გეონაციონალპოლიტიკური სტაგნაცია იწვევს გეოსოციალეთნიკურ დინამიზმს, "იატაკქვეშეთის ფანჯრების" გახსნას, და "სოციალური სტიქიის მაგმის"(ხალხის) ამოძრავებას. მაშინ, როდესაც გეონაციონალპოლიტიკური აქტიურობა გვაქვს და "რუსეთი" იძენს ახალ ტერიტორიებსა თუ გავლენის სფეროებს, ხდება გეოეთნოსოციალური სტაგნაცია და "იატაკქვეშეთი" სოციალურ (ევროპული გაგებით) სამა- რედ იქცევა: რევოლუცია მარცხიანი ომის პირმშოც იყო! ეს ვითარება ძალაუფლებას "შიშის" კომპლექსს უნვითარებს და აიძულებს მის საკუთრებაში მყოფი "იატაკქვეშეთის" სოციალური სტიქია გამუდმებით "მტრულ" გეონაციონალპოლიტიკურ ვითარებაში ამყოფოს და ამ "მტრებისაგან" მიმართოს; მეორეს მხრივ კი შექმნას თავისთავსა და "სტიქიას" შორის ძალაუფლებრივი სამსახურებრივი ბიუროკრატიის "გეოგრაფიული" სივრცე. ივანე მრისხანეს ოპრიჩნინა და ახალი სამსახურებრივი "ბოიარობა" (დვორიანსტვო) სწორედ ამგვარი "ჩინობრივი" ბიუროკრატიის ტიპიურ მოდელს წარმოადგენდა.

(აბსოლუტიზმი და იმპერიალიზმი მათ ევროპულ სახეში თუმც ცალკეულ შემთხვევაში მსგავს ნიშნებს ატარებდა, კარდინალურად განსხვავებულ საფუძველსა და სახელმწიფოებრივ- სოციალურ ფილოსოფიასა და კონცეფციას, ისევე, როგორც სრულიად განსხვავებულ ისტორიულ-ეთნოკულტურულსა და ნაციონალურ (ეროვნულ-სახელმწიფოებრივ) გამოცდილებას - კლასობრივსა და ფეოდალურს - ემყარებოდა; ეს ზღუდავდა ხელისუფლებას და არ აძლევდა მას საშუალებას ძალაუფლებად სრული გარდაქმნისა).

## 2. "სმუტნოე ვრემია"

ივანე მრისხანე 1584 წელს გარდაიცვალა. პეტრე პირველი დაიბადა 1672 წელს და ტახტზე ავიდა 1682-ში, ხოლო თვითმპყრობელი გახდა 1696, თავისი ნახევარძმისა და თანამეტახტის ივანე ალექსის ძის გარდაცვალების შემდეგ. გასული ასი წლის განმავლობაში, რუსეთის გამაქრისტიანებელი რიურიკების დინასტია - რომელიც მეცხრე საუკუნიდან ედგა სათავეში რუსეთის სამთავროებს და მეთექვსმეტე საუკუნეში რუსეთის სამეფოს შექმნით დაასრულა თავისი დინასტიური მმართველობა სახელმწიფოში, 1618 წელს შეცვალა რომანოვების დი- ნასტიამ, რომლის უდიდესი განმასახიერებელი პეტრე რომანოვი იყო.

ჩვენს მიერ აღნიშნულმა უკუპროპორციულობის პრინციპმა ივანეს გარდაცვალებისთანავე იჩინა თავი და ის ფაქტი, რომ ამ პერიოდს უწოდებენ "სმუტნოე ვრემია", მრავლის მთქმელია. აქ ორი მნიშვნელობა გვაქვს სიტყვისა "სმუტნოე": - 1. არეული; და, 2. ბუნდოვანი, გაურკვეველი; ორივე ეს მნიშვნელობა კარგად ასახავს რეალურ ვითარებას, როგორც არეულობისა და გაურკვევლობისა ძალაუფლების რეალური მპყრობელის ვინაობაში. ამდენად, მიხაილ რომანოვის მეფედ კურთხევა (1913 წ.) ყოვლისმხრივად ნიშნავდა "დამშვიდებასა" და "გარკვეულობას" და მნიშვნელოვანწილად ჰქონდა "რესტავრაციის" ღირებულება. რომანოვების მეორე თაობაში გა- მართულმა ბრძოლამ ძალაუფლებისათვის თავის ნორმალურ კალაპოტში ჩააყენა "იატაკქვეშეთიც" ("სმუტნოე ვრემიას" დროს თავაშვებული) და

მთელი ბიუროკრატიულ - სამსახურებრივი პირამიდაც; საშუალება მისცა-რა რუსეთის ახალ თვითმპყრობელს თავისი "გარდაქმნები" და "რეფორმები" განეხორციელებია. ეს თვითმპყრობელი გახლდათ პეტრე რომანოვი, "პირველად" ანუ "დიდად" ცნობილი.

პეტრე პირველს სრული საშუალება ჰქონდა "ტრადიციული" თვითმპყრობელი გამხდარიყო, და, პარადოქსულად, იგი კიდეც იყო ტრადიციული, "რიურიკული" ტიპის თვითმპყრობელი. რუსულმა სოციალურმა და პოლიტიკურმა "სტიქიამ" მასში "თავი გამოიხსნა" და მთელი თავისი "ბრუტალური ძალით" შემოაცვეთა ძველ რუსეთსა და რუს ხალხს თავისი საუკუნოვანი ქერქი. ერთადერთი რამაც ეს შესაძლებელი გახადა და რასაც პეტრესეული გარდაქმნების სტიქია არ შეხებია, იყო ძა- ლაუფლების "გაუცხოებადი" არსება და ტოტალურობა თვითმპყრობელობისა. უკუპროპორციულობის პრინციპი მთელი თავისი სისრულით გამოვლინდა სწორედ პეტრე დიდის "გაიმპერატორების" დროს.

პეტრე პირველის "რეფორმტორული სტიქიის" გასაგებად და გამოსაკვლევად დიდი მნიშვნელობა აქვს "სმუტნოე ვრემია"-ს. აქ ჩვენ ამ დიდი და საინტერესო საკითხის მხოლოდ ერთი მიმართება გვაინტერესებს, სახელდობრ, "სოციალურ სტიქიათა" ამოვარდნა და მათი შეხლა.

ივანეს სიკვდილის შემდეგ დაწყებულმა მღელვარებებმა მალე მოიცვა მთელი სახელმწიფო ( 6-ჯერ უფრო დიდი ვიდრე ივანეს მეფობის დასაწყისში - რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება რუსეთის ისტორიაში!) და მის არსებობას საფრთხე შეუქმნა. ძლიერი ძალაუფლების (თვითმპყრობელში განსახიერებულის) შესუსტებამ და მთელი დინასტიის ტრადიციული მპყრობელობის მოსპობამ "იატაკქვეშეთში" მომწყვდეული სტიქიის აშვება გამოიწვია. ამას ხელს უწყობდა გაურკვევლობა "ზევით". 1584-1618 წლები რუსეთის სტიქიათა ისეთი ინ- ტენსიური აზვირთების ოცდაათწლედი იყო, რომ თითქმის ძირამდე შესძრა ივანეს "მრისხანე" ხელით ნაგები სისტემა.

"ეს არ იყო პოლიტიკური რევოლუცია, რადგან არ დაწყებულა ახალი პოლიტიკური იდეალისათვის და არ მიუყვანია მასთან, თუმცა არ შეიძლება არც პოლიტიკური მოტივების არსებობის უარყოფა "სმუტაში". ეს არ იყო არც სოციალური გადატრიალება, რადგან, ისევ და ისევ, "სმუტა" არ წარმოშობილა სოციალური მოძრაობიდან, თუმცა მას გადაეხლართა საზოგადოების ზოგიერთი ფენის მისწრაფება სოციალური ცვლილებებისაკენ. ჩვენი "სმუტა" ეს არის დუღილი ავადმყოფი სახელმწიფოებრივი ორგანიზმისა, რომელიც ცდილობს გამოვიდეს იმ მდგომარეობიდან, რომელთანაც მიიყვანა იგი ისტორიის წინამავალმა პერიოდმა და, რომელიც შეუძლებელი იყო მშვიდობიანი ჩვეულებრივი გზით გადაწყვეტილიყო" ( ბროკჰ. ენც.)

როგორც არ უნდა იყოს, "ივანეს გზამ" შექმნა ის წინააღმდეგობრივი ვითარება, რომელმაც თავი იჩინა "სმუტაში". მეფის ძალაუფლების განხორციელება უხდებოდა "ძირძველი" ბოიარობის მოსპობისა და ახალი კარისკაცული (დვორიანსტვო) ბიუროკ-რატიული "არისტოკრატიის" გაძლიერებით, რაც ხალხის მასაში სრული სოციალური და ფსიქო-ლოგიური "გაუცხოების" და არასტაბილურობის განცდას იწვევდა. ფაქტობრივად ამგვარი "უფესვ-უძირო" და ტოტალურად გაუცხოებული ძალა- უფლების ქვეშ არავინ იყო ფესვმაგრად და მდგრადად. ეს მოდელი სისტემისა თავის "ბუნებრივ" განსახიერებას ჰპოვებდა მთელს ვერტიკალსა თუ ჰორიზონტალზე სახელმწიფოსი. ნებისმიერი კარისკაცი თავის ვიწრო სივრცეში განასახიერებდა თვითმპყრობელს (სიცხადისათვის ამ მოდელის საილუსტრაციოდ გამოდგება ცნობილი რუსული "მატრიოშკა" - ყოველთვის თვითონ, მხოლოდ შემ- ცირებული). იმ მომენტში, როდესაც თვითმპყრობელი მოკვდა, მთელი ეს ვეება თავი ჩამოიქცა და ჩაანგრია "იატაკქვეშეთის" ჭერიც. ამბოხებულმა სტიქიამ მანამდე ითარეშა, ვიდრე კვლავ არ მოექცა ძლიერი ძალაუფლების კალაპოტში.

ისტორიკოსთა უმრავლესობა "სმუტნოე ვრემიას" აფასებს, როგორც რესტავრაციის ცდას, ე.ი. ცდას, მიმართულს ცენტრალიზებული სახელმწიფოს წინააღმდეგ, ივანე მრისხანეს სისტემის წინააღმდეგ. "ევოლუციონისტ-ცენტრალისტებისათვის" - ანუ იმათთვის, ვინც ისტორიული განვითარების მიზანს ცენტრალიზებული ძალაუფლების და სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და გამუდმივებაში ხედავს, რესტავრაციული ტენდენციები უარყოფითი ნიშნით ხასიათდება ამგვარ დამოკიდებულებას ხელი შეუწყო სხვადასხვა "ლიბერალურმა" და სოციალისტურმა "კლასობრივმა" თეორიებმა და თვალთახედვამ, რამაც რესტავრაციულ ტენდენციებსა და ღირებულებათა ტრადიციული სკალის აღდგენის ცდებს (მათ შორის სოციალური სკალისაც)

"ანტიპროგრესულის" იარლიყი მიაწება. უფრო ფრთხილია თანამედროვე ისტორიის ფილოსოფია და ისტორიოგრაფია, რომელიც "შუა საუკუნეებსაც" (პატრონყმულ- ფეოდალურსა და ქრისტიანულ წყობას ევროპასა და საქართველოში) და რუსეთის ისტორიის პირველ, "რიურიკულ" პერიოდსაც (ივანემდე) ახალი თვალით უყურებს და ძველად "შავბნელად" დასახულ ეპოქაში საკმაოდ უხვ სინათლეს ხედავს. ( იხ. მაგ. მ.მ. დავის, გ. დუბის, გურევიჩის და სხვ. შრომები. განსაკუთრებით აღსანიშნია რიგ ქართველ საბჭოთა ისტორიკოსთა და რუსთველოლოგთა ნაშრომები სადაც, საპირისპიროდ "კლასობრივი" და "იდეოლოგიური" კანონისა, საკმაოდ ობიექტური სურათია მოცემული. ამ "პარადოქსს" პირწმინდად "ნაციონალისტური" ახსნა აქვს და დაკავშირებულია ქართული სახელმწიფოს "ოქროს ხანასა" და ქართველთა სამახა- რობლო "ვეფხის ტყაოსანთან" რამაც უმეტესწილ ქართველ მედიევალისტებს დაამძლევინა იდეოლოგიური "კანონიცა" და "განმანათლებლური ჰუმანიზმის" ტრადიციაც - ივანე ჯავახიშვილი, ვიქტორ ნოზაძე და სხვანი ).

ცენტრალისტური ტენდენცია თავისთავში ტოტალიტარიზების უსასრულო შესაძლებლობას ატარებს და თუ ქვეყანაში არ არის ფესვგადგმული ტრადიცია სოციალურ-პოლიტიკური "ხელ-მწიფობისა", ან პატრონ-ყმობისა ( რაც ფსიქოსოციალურად ადამიანთა ბუნებრივი მისწრაფება არის), მაშინ ეს ტოტალიტარული ტენდენცია ძალაუფლებას თავისთავში ჩაკეტილ "მონადად" აქცევს, ხოლო მთელ სისტემას ამგვარ "მონადათა" პირამიდად. "მონადის" გარდაქმნა არ შეიძლება, მისი მხოლოდ მოსპობა შეიძლება და იმ მომენტში, როდესაც ძალაუფლება ("მონადათა" პირამიდა) სუსტდება, ძალაუფლებრივი წნეხის ქვეშ მყოფი სტიქიური ძალები კიდეც იწყებენ ნგრევას და ძალაუფლებრივი "მონადების" მოსპობას. ეს თვალნათლივ დაადასტურა "სმუტნოე ვრემიამ" და რუსეთის ისტორიის მსვლელობამ.

ამის საწინააღმდეგოდ, ევროპის ისტორიამ აშკარად ნათელჰყო, რომ ტრადიციულ ინსტიტუციონალურ ფორმათა და ღირებულებათა არსებობა არის გარანტია ნამდვილი განვითარებისა და, რომ, მხოლოდ ის ქვეყნები მივიდნენ რესპუბლიკურ წყობამდე (თუნდაც მის კონსტიტუციურ-მონარქიულ ან მონარქორესპუბლიკურ ფორმაში - ინგლ.,შვეც., დანია., ესპ....), რომლებსაც ეს ტრადიციული ფორმები ფსიქოსოციალურ არქეტიპად ("დასაბამობით ნატყვიფრად") ჰქონდათ. სწორედ "კლასობრივი" ანუ პატრონყმულ-ფეოდალური წყობის ღრმა ძირების გამო ევროპულ ერთა შეგნებაში, ევროპელმა ერებმა სწრაფად "მოხარშეს" და არ მისცეს გასაქანი ცენტრალიზმსა და ტოტალიტარიზმს და აღადგინეს ღირებულებათა"ბუნებრივი", მრავალცენტრული სკალა.

(ნაპოლეონის გზით "რესტავრაციამ", ვთქვათ, საფრანგეთში, შექმნა წანამძღვარი საფრანგეთის "მშვიდი" განვითარებისა, არსებითად. კარგი მაგალითია ესპანეთი, რომელმაც მონარქიულ-რესპუბლიკური წყობის რესტავრაციით ფრანკოს მიერ და შემდგომ, შექმნა წანამძღვარი ესპანეთის სწრაფი გამოსვლისა ფრანკისტული "ძალაუპლებრივი ტოტალიტარიზ-მიდან". როგორც აღმოჩნდა ფრანკო არა თავისთავად "რესპუბლიკას" ებრძოდა, არამედ "ინ- ტერნაციონალისტთა და კომუნისტთა ანტიესპანურ აგრესიას და, საკუთარი, ესპანური, ეროვნული ფასეულობების სკალის გადარჩენა სურდა. ამას ის საერთო ესპანური "ძმობის" მონუმენტიც ადას- ტურებს, რომელიც ესპანეთის შვილებს დაუდგა ფრანკომ და ის უეჭველი ფაქტიც, რომ ჰიტლერს არ მისცა საშუალება ესპანეთის გზით ჰიბრალტარის სრუტეზე გასვლისა და ხმელთაშუა ზღვის ჩა- კეტვისა . "იდეოლოგიური სენტიმენტალიზმი", რომლითაც დღემდე უყურებენ ფრანკოს მარცხიანი სათვალეთ ისტორიული სინამდვილისა და პიროვნების დასანახად!).

ფეოდალური ანუ "კლასობრივი" წყობა იყო ერთად-ერთი კლასობრივი საზოგადოებრივი წყობა (ე.ი. უფლებისა და მოვალეობის წონასწორობა) ისტორიაში, თუ საზოგადოების ცნებას მთელს მის სიღრმეში შევიცნობთ და მოვიშორებთ იდეოლოგიურად "კომფორტაბელურ" ცნებათა სისტემას. კაცობრიობის საზოგადოებრივი (და სოციოფსიქოლოგიური) განვითარების ჩაარტახება იდეოლოგიურ ცნებათა სისტემაში არის თანამედროვე (და საკუთარი) კომპლექსების გენერალიზებული გადატანა წარსულზე, რაც ამახინჯებს ისტორიულ სინამდვილესაც და ისტორიულ პერსპექტივასაც.

ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ "სმუტის" პერიოდში გამოვლენილი რიგი ტენდენციებისა (განსაკუთრებით ბოიარული ძირძველობისა და ტრადიციების რესტავრაციისა), მიმართული ახალი სამსახურებრივ-კარისკაცული

ბიუროკრატიის (დვორიანსტვო) წინააღმდეგ, აუცილებლობით უარყოფით და "პროგრესისტული" თვალსაზრისით "რეაქციონურ" მოვლენებს არ წარმოადგენდნენ; რომ ამ რესტავრაციის განუხორციელებლობამ კიდევ უფრო გააძლიერა რუსეთში ევროპისაგან ტიპოლოგიურად გან- სხვავებული ძალაუფლებრივ-ბიუროკრატიული ცენტრალისტური სისტემის ტენდენციები. ამ ტენდენციათა გაძლიერებას ხელი შეუწყო რუსეთის ტერიტორიულ-ძალაუფლებრივმა ექსპანსიამაც, რომელიც გეონაციონალპოლიტიკის საზღვრებში ხორციელდებოდა და თანდათან ზღუდავდა გეოსოციალეთნიკური განვითარების შე- საძლებლობებს. სრული განსახიერება ამ ტენდენციებმა ჰპოვეს "რუსეთის ისტორიის ღერძის" მეორე ბურჯის - პეტრე პირველის დროს.

"სმატნოე ვრემია", გარკვეული თვალსაზრისით, იყო მოდელი რუსეთის ისტორიისა. აქ იყო ყოველივე: უცხოელთა მოწვევაც, ძალაუფლების უზურპაციაც, სტიქიის ამოფრქვევაც, ბრუტალური შურისძიებაც, ხანმოკლე ამოსუნთქვაც..., ყოველი ის ელემენტი, რომელიც რუსეთის სოციალური და პოლიტიკური ისტორიის დროსა და სივრცეში გაშლილი სახითაა მოცემული. ეროვნულ-რესტავრაციულ ტენდენციას იჩენდა ვასილი შუისკის მეფობაც. ცრუდიმიტრი პირველის შემდეგ მეფედ არჩეული ვასილი "ხალხს" თავის უფლებას მეფობაზე რიურიკებთან თავისი ნათესაობით უსაბუთებდა, ანუ "ძირძველობის" უპირატესობას და ძალაუფლების პყრობაზე უფლებას იმტკიცებდა. ამასთანავე, ვასილის ფორმალურად უნდა დაემტკიცებინა ბოიართა უფლებები და შეძლებისდაგვარად უზრუნველეყო ისინი. მან ეს გააკეთა "ჯვრისკოცნის" ( კრესტოცელოვალნი) ჩანაწერში, რომელსაც უეჭველად აქვს მეფის ძალაუფ- ლების შემზღუდავი ხასიათი.( შდრ. ქართველ "კარვო-სანთა" კონსტიტუციონალურ მისწრაფებებს XII ს.) მეფე ცნობდა, რომ მას არ შეეძლია თავისუფლად აწამოს თავისი ხოლოპები, ე.ი. უარს ამბობდა იმ პრინციპზე, რომელიც ასე მკვეთრად წამოსწია წინ ივანე მრისხანემ და დაიტოვა ბორის გოდუნოვმა. მაგრამ "სმუტა" გრძელდებოდა მთელს სახელმწიფოში. აქ რუსეთის სივრცემ გადამწყვეტი როლი ითამაშა, რადგან ვერ შეაძლებინა მეფეს კონსოლიდაცია ძალებისა ქვეყნის ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად. ამავე დროს "გაბნეულ" სივრცეში ძნელი გახდა ერთი ბირთვის (ბოიარული) ტრადიციების აღდგენაც. ინტერესებისა და მისწრა- ფებების განსხვავებამ (ვერტიკალურ ჭრილში სოცი- ალური გეოგრაფიისა და ჰორიზონტალურ ჭრილში პოლიტიკური მიზნისა) არ მისცა "ნორმალურ პირო- ბებში" განვითარების საშუალება აღდგენილ (თუნდაც ნაწილობრივ) "ძველ" წყობას (ივანემდელს!). უზარმაზარი სივრცისადმი მისწრაფებამ თავისი "სოციალურ-პოლიტიკური მოგვერდი" უყო რუსეთის ისტორიას და იგი კვლავ ძალაუფლებრივი ტოტალურობის გზით მიმართა. ჩემის აზრით "სმუტნოე ვრემიას" რესტავრაციული ტენდენციები იყო უკანასკნელი გამოვლინება რუსეთის "ბუნებრივი" გზით განვითარების შესაძლებლობისა; თუმც ნაგვიანები, მაგრამ მაინც, ფეოდალურ-კლასობრივი სა- ზოგადოების გზაზე შედგომისა; მეფის ცენტრალისტუ- რი ძალაუფლებისა და სამსახურებრივი ბიუროკრატი- ის ძალაუფლების შეზღუდვით "სოციალური სტიქიის" სოციალურ შემოქმედებით ენერგიად გარდაქმნისა. მაგრამ სტიქიამ თავი აიშვა და ამ რესტავრაციულ ტენდენციებს მალე მოუღო ბოლო. მეფემ მიმართა ნაცად, ძალმომრეობით, ხერხს სტიქიის "იატაკქვეშეთში" ჩამწყვდევისა - რეპრესიებს. რესტავრაციის ნაცვლად მოხდა ივანე მრისხანეს გზაზე შედგომა, რამაც საშუალება მისცა "ახალ ბოიარობას" -კარის სამსახურებრივ ბიუროკრატიას- საბოლოო გამარჯვება მოეპო-ვებია და მტერთან ბრძოლის "ეროვნული" იდეით მოეხდინა გაერთიანება. 1618 წლის 7 თებერვალს მეფედ არჩეულ იქნა მიხაილ რომანოვი.

რიურიკებმა ახალ რუსეთს უანდერძეს მკაცრი, "გაუცხოებული" ძალაუფლებრივი სისტემა კარის ბიუროკრატიის პირამიდითა და "იატაკქვეშეთში" ჩამწყვდეული სოციალური სტიქიის - "ხალხის" (ნაროდ) - სახით.

გარდა ამისა, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარი დაუტოვა ივანე მრისხანემ თავის შთამომავალ თვითმპყრობლებს - უსაზღვროდ გავრცობილი სახელმწიფო, რომლის დაცვა და გაფართოება ყოველი საშუალებით, ერთადერთ "ნაციონალურ მოთხოვნილებად" დაუსახა. ამიერიდან რუსული "ნაციონალური ინტერესები" თანხვდომადი იქნება "საზღვრების" უსაფრთხოების პრობლემისა ანუ, გეონაციონალური პოლიტიკური სტრატეგიისა, მიმართულის "უსაფრთხო სივრცის" მაქსიმალური გაზრდისაკენ ("შემოერთებისაკენ").

"ნაციონალური ინტერესების" ამგვარი პოლიტიკური ფილოსოფია შეუზღუდველი

ტერიტორიული ექსპანსიის გზას უხსნის მოცემულ სახელმწიფოს და, ფაქტობრივად, მთელი მსოფლიოს დაპყრობის "ლოგიკურ" (ბუნებრივ) უფლებას აძლევს; ქრისტიანობა (მართლმადიდებლობა) ამ ფილოსოფიას იდეოლოგიურ "მორალურ" საყრდენს უქმნიდა და, ამდენად, შეუკამათებლად ამართლებდა ექსპანსიონიზმს. . ეს პრინციპი გახდა საფუძველი იმ გასამხედროებისა, რომელიც პეტრე პირველის რეფორმატორული სტიქიის ქვაკუთხედი იყო და, რომელიც, "დერჟის" მეორე, არსებით, კვანძად იქცა რუსეთის ისტორიაში. ამიერიდან ძალაუფლების ერთადერთი საზრუნავი გახდება სამხედრო ძლიერება. სახელმწიფოებრივი წყობა ტოტალურად დაექვემდებარება საომარ (მილიტარისტულ) ინტერე- სებს. პეტრეს რეფორმების შინაგანი ძარღვი ამ ენერ- გიით ფეთქავდა. შემთხვევითი არ იყო ის, რომ პეტრე პირველმა, რომელმაც რეფორმები ევროპული სოცია- ლური ინსტიტუტების კოპირებით სცადა, თავისი სამ- ხედრო რეფორმით ასი წლით გადაუსწრო თანამედროვე ისტორიას, სახელდობრ, სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემოღებით.

გ. პეტრე პირველი.

ჩვენ აქ მხოლოდ დასმული კითხვების ასპექტში გვაინტერესებს პეტრე პირველის რეფორმისტული საქმიანობა. სახელდობრ: აახლოვებდა ეს რეფორმები რუსეთს ევროპასთან ტიპოლოგიურად, თუ სტოვებდა მას რუსულ ტიპოლოგიაში, რომლის ძირითადი ნიშნები წერილის დასაწყისში მოვხაზეთ. საყოველთაო აღიარებით პეტრე იყო პირველი რუსი თვითმპყრობელი, რომელმაც გადადგა ნაბიჯი რუსეთის ევროპიზაციისკენ. ეჭვს იწვევდა, და იწვევს დღესაც, შესაძლებელი იყო თუ არა ქვეყნის ტრადიციული სისტემის ტოტალური შეცვლა იმ საშუალებებით, რომლებსაც პეტრე იყენებდა და ეყრდნობოდა. ხოლო ამ ეჭვს სხვაც მოჰყვება: ევროპული ფასადის უკან ხომ არ იმალებოდა და იმალება ის, ტიპიურად რუსული სახე **ძალაუფლებისა**, რომლის შექმნას გადააყოლეს რუსული საზოგადოებრივი ("ხალხური") საწყისები მოსკოველმა რიურიკებმა და რომელიც დაასრულა ივანე მრისხანემ. სხვა სიტყვებით, ხომ არ არის პეტრეს სისტემა ლოგიკური გასრულება ძალაუფლების ივანესეული და ე.ი. **რუსული კონცეფციისა**. ამ კითხვაზე საპასუხოდ აუცილებლად მიგვაჩნია ორი ზოგადი ხასიათის პრობლემა გავაშუქოთ სქემატურად მაინც და, სახელდობრ: მიზნისა და საშუალებების ურთიერთმიმართებისა, "კლასების", "საზოგადოების", "სახელმწიფოს", "ძალაუფლებისა" და "ძალაუფლებრივი ორგანიზაციისა".

ცნობილი იდეოლოგიური დებულება "მიზანი ამართლებს (განსაზღვრავს) საშუალებებს" ჩვეულებრივ განიხილება მიზნის თვალთახედვიდან და არა საშუალებებისა. ამან არსებითად თავდაყირა დააყენა ეს დებულება და აქცია იგი ყოველგვარი ძალმომრეობის გამამართლებელ კომფორტაბელურ "იდეოლოგიურ" ფარად. ამ "ფილოსოფიური" აბრუნდით, თუ "მიზანი" "საყოველთაო ბედნიერებაა", ძალაუფლებას შეუძლია მოსპოს მოსახლეობის ანუ საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ამ მიზანს ეწინააღმდეგება და ხელს უშლის. ეს საკმაოდ ტრივიალური ფაქტია ჩვენი ისტორიისა და საყოველთაოდ ცნობილი - მეოცე საუკუნის ყველა ტოტალიტარული რეჟიმი შემთხვევით არ იყო სოციალისტური (ე.ი. იდეოლოგიური) თავისი ძალაუფლებრივი კონცეფციით. ამჟამად "მემარცხე-ნეობის" გადასარჩენად იდეოლოგები ცდილობენ ეს კონცეფცია "მემარჯვენეობად" მონათლონ და საშუალებებიც მას დაანათლონ. ხოლო **იდეოლოგიას, როგორც ცნობილია, "ფანჯრები" არ გააჩნია.** პირველი, ვინც ეს ისტორიულად დაადასტურა იყო პეტრე დიდი.

მიზანი, ცხადია, შეიცავს თავისთავში საშუალე- ბებს, ზუსტად ისევე, როგორც გარკვეული საშუალებები შეესატყვისებიან სრულიად გარკვეულ მიზანს და მხოლოდ მას. ათეისტურ-ჰუმანისტურად განწყობილი "ინტელექტუალების" გარემოცვაში "უხერხული" ჩანს სახარებაზე მითითება, მაგრამ, ღმერთის მიერ დადგენილ მაგალითს ისტორიის საკითხების რკვევისას გვერდს მაინც ვერ აუვლით. ღმერთი, რომლის მიზანი იყო კაცობრიობის ცოდვებისაგან ხსნა და სინათლის დამკვიდრება, სწორედ რომ შესატყვისი და ერთადერთი შესაძლო საშუალებით, ახორციელებდა ამას. ეს თავის უკიდურეს გამოხატულებას ჰპოვებს "ჰეფსიმანიის ლოცვასა" და თვითშეწირვაში. ადამიანური გონებისათვის საკმაოდ ძნელად მისაწვდომი ეს საი- დუმლო ბევრ კითხვას აღძრავდა თვით მოციქულთათვისაც - "რატომ არ ავლენს ღმერთი-მესია, ქრისტე, თავის ღვთაებრივ ძალას და არ გარდაქმნის დაცემულ კაცობრიობას, ნაცვლად საკუთარი თავის შეწირვისა"? პასუხი გვაქვს ერთმნიშვნელოვანი -

გვაქვს ერთმნიშვნელოვანი - რადგან მიზანი არ მიიღწევა სხვა საშუალებით; რომ არსებობს აბსოლუტური შესატყვისობა საშუალებებისა - მიზანთან. და ქრისტიანობა კაცობრიობის უდიდეს ზეიმად განსახილავს ადამის მოდგმის ისტორიაში. ის იყო კეისარზე და "კეისრულზე" სრული გამარჯვება, ისეთივე, როგორც "სატანურ მაცდურობაზე". ეს უნივერსალური პასუხია ჩვენს მიერ დასმულ კითხვაზე: შეესატყვისებოდა თუ არა პეტრესეული საშუალებები იმ მიზანს, რომელსაც პეტრე ისახავდა - ევროპიზაციას? და პირიქით: რა მიზანთან მიჰყავდა რუსეთი იმ საშუალებებს, რომლებითაც პეტრე პირველი თავის რეფორმებს თუ "ტოტალურ გარდაქმნას" ახორციელებდა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემამდე შევეცადოთ პასუხი გავცეთ სხვა კითხვას: ისტორიის კიდევ ერთ "იდეოლოგიურ აბრუნდს".

"კლასის" ცნების ნეგატიურ გაგებაში დიდი წვლილი შეიტანა სოციალისტურმა "დეკლასიურმა მენტალიტეტმა" განსახილველმა სოციალისტების როგორც "მემარცხენე", ასევე "მემარჯვენე" იდეოლოგების მიერ. "კლასის" ცნების მიყვანება საზოგადოების სხვადასხვა კატეგორიებისადმი ამ კატეგორიათა სერიოზული, ინტეგრალური ანალიზის გარეშე და, იმავდროულად, მთელი ისტორიის "ანტაგონისტურ-კლასობრივი ბრძოლის" ასპარეზად გამოცხადება, ერთავად იდეოლოგიურ ექს- ტრემისტულ (არსებითად პუბლიცისტურ) კონცეფციას ემყარება და მიმართულია არა სინამდვილისაკენ თავის- თავად, არამედ ამ სინამდვილის იდეოლოგიურად აქსიომატიზირებული "ანტაგონიზმის" რევოლუციური გარდაქმნისაკენ. ამ იდეოლოგიის ერთ საფუძველს (ფსიქოლოგიურს) წარმოადგენს მის მატარებელთა "დეკლასირებული მენტალიტეტი" და საკუთარი "ინფერიორული" (არასრულფასოვნების) კომპლექსები. სხვა საფუძველი გამომდინარეობს "ათეისტური ჰუმანიზმის" ტოტალურად "საკეისრო" ღირებულებათა სკალიდან და არელიგიურობიდან (ექსტრემულ ფორმაში გამოთქმულის აბსოლუტურად "მემარცხენე" და აბსოლუტურად "დეკლასირებული" მენტალიტეტის მიერ: "რელიგია ოპიუმია ხალხისათვის"). ამ მეტად პრიმიტიული და იდეოლო- გიურად (და, ცხადია, სოციოფსიქოლოგიურად) კომფორტაბელური "სოციალური" კონცეფციის გავლენამ თანამედროვე ისტორიოგრაფიაზე, სრულიად შეცვალა ისტორიული პერსპექტივა და მოახდინა ისტორიული სინამდვილის "იდეოლოგიზირება". უპირველესად ეს შესაძლებელი გახდა მეცხრამეტე და, განსაკუთრებით მეოცე საუკუნეების "მასათა მოძალების" და "მედიური" დეკლასირებული მენტალიტეტის გაბატონების პირობებში ევროპასა და მსოფლიოში. საბჭოთა ისტორიოგრაფია ერთავად ამ იდეოლოგიაზეა აშენებული. თავისთავად ეს იდეო- ლოგიზირება ტიპიურად ევროპულ ფენომენს წარმოადგენს და მისი გაანალიზება და შეცნობა ევროპული ცივილიზაციის განვითარების გარკვეული ტენდენციის გამოხატულებას დაგვანახებს. თუმცა იგი არ იქცა ევროპული წყობის საფუძვლად და ევროპული საზოგადოების წიაღში არსებულ ტენდენციად დარჩა, მან უდიდესი გავლენა მოახდინა სახელმწიფოს ცენტრალისტურ კონცეფციაზეც და სახელმწიფოს, როგორც "კლასთა ბრძოლის" იარაღის ლენინურ კონცეფციაზეც. ამგვარი იდეოლოგიური თვალსაზრისით სახელმწიფო არის კლასთა ბრძოლა- ში გაბატონებული კლასის ინტერესების დამცველი და აპარატი დაჩაგრულ კლასზე (ე.ი. პროლეტარიატზე!) ძალმომრეობისა. აქედან გამომდინარეობდა სახელმწი- ფოს წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობაც, ჯერ მისი გარდაქმნით "პროლეტარიატის დიქტატურად" და, შემდეგ, თანდათანი ნიველირებით ერთიან უკლასო მსოფლიო კომუნისტურ სისტემაში. დღეს, ალბათ, ამ ინფანტილური იდეოლოგიისა აღარავის სჯერა, მაგრამ საინტერესოა, რატომ მაინცა და მაინც რუსეთის ისტორიაში მოხდა მისი რეალიზება და ტოტალიზება. მხედველობაში გვაქვს "სტალინიზმად" განხორციელება "ლენინიზმად" გასრულებული "მარქსიზმისა".

ადრე აღვნიშნეთ, რომ "კლასობრივი საზოგადოება" მხოლოდ ევროპაში და მხოლოდ შუა საუკუნეებში არსებობდა. ეს საზოგადოება თავის სრულყოფილებაში აღწერა რუსთაველმა, ის აღწერილია შუა საუკუნეების მითოლოგიასა და ლიტერატურაში, მასზე გვიყვებიან ჟამთააღწერანი და იქმნება ახალი ისტორიოგრაფიული შრომები. უპირველესად ამის საფუძველზე შეიძლება ერთი პრინციპის გამოყვანა: **კლასობრივი საზოგადოება არის "არაეკონომიკური" საზოგადოება, დაფუძნებული ეთნოსოციალურ ტრადიციებზე, "ევართეგნულ ინდივიდუალიზმსა" და ქრისტიანულ რელიგიაზე.** ღირებულებათა სკალა ამგვარ საზოგა- დოებაში ემყარება "კლასის", როგორც ერთობის, იუ- რიდიულ, ტრადიციულ და ზნეობრივ (რელიგიურ) უფლებებსა და

ვალდებულებებს; თვით "კლასის" შიგნით და "კლასებს" შორის ( ჩვენ ვტოვებთ "კლასის" ცნებას, თუმცა მას ფეოდალიზმი არ იცნობს.) ურთიერ- თობისა და ქცევის განმსაზღვრელს და ნორმათა დამ- დგენს. კლასობრივი საზოგადოება არსებითად ცხოვ- რებას წარმოადგენდა, ამ ცნების ექზისტენციური და რელიგიური მნიშვნელობით. ამ ცხოვრების საფუძველს ღირსება წარმოადგენდა მთელს თავის სოციოეთიკურ მოცულობაში. თვით რომაული ცივილური სამართლის საფუძველზე გადასვლა მოხდა გვიან შუა საუკუნეებში და საკუთრივ ფეოდალური "კლასობრივი" საზოგადოების წიაღში, განსაკუთრებით კი "აღორძინების" ხანაში. ახალი დროის ევროპული ისტორია არის ისტორია საზოგადოებისა, რომელიც "კლასობრივი" პრინციპის თანდა- თანი "დეკლასიურობით" ხასიათდება, რაც თავის მწვერვალს მეოცე საუკუნეში აღწევს "მასების ამბოხის", "სავსეობის", "საქმოსნობის" და ა.შ. სახით. ეს, პარალელურად, ხასიათდებოდა ტექნიკის მძლავრი განვითარებით და "მეცნიერების" წინსვლით, რაც, პარადოქსულად, იწვევდა შემეცნების საერთო დონის დაცემას და გასაშუალებას ცნობიერებისა, ანუ "მედიზაციას". ინფორმაციისა და "ცოდნის" წყარო ხდებოდა არა "ცნობა" (გონითი აქტივობა) არამედ "საგაზეთო (მედიური) ინფორმაციის" ათვისება. ჰერმან ჰესეს ბნელი წინასწარმეტყველება სავსებით ახდა. "საფასური", რომელიც ევროპულმა ცივილიზაციამ გადაიხადა ამ "წინსვლაში" იყო კლასობრივი სდაზოგადოების თანდათანი შეცვლა "მოქალაქეობრივი სისტემით" და ფასეულობათა სკალის გახსნა. ეროვნული და ღირსებითი საზოგადოება შეცვალა "ნაციონალურ-სახელმწიფოებრივმა მოქალაქეობრივმა სისტემამ. ეს იყო კულტურის გარდაქმნა ცივილიზაციად და "ევროპის მზის ჩასვენება" - შპენგლერის ცნებებს თუ ვიხმართ.

სრულიად სხვა გზით წარიმართა რუსეთის განვითარება. ევროპულ საზოგადოებაში მეფე ჯერ თავის "კლასს" ეკუთვნოდა და შემდეგ "ტახტს", ანუ "ძალაუფლებას" ხელისუფლების სახით ანხორციელებდა. მეფე იყო თანატოლთა შორის უმჯობესი - "ხელმწიფე". თვით აბსოლუტიზმის პირობებშიც კი არ შეწყვეტილა მეფისადმი, როგორც "კლასის" წევრისადმი დამოკიდებულება და მეფე არ იყო თავისუფალი გადაებიჯვებია იმ "კლასობრივი" ნორმებისათვის, რომლებიც გარკვეულ მოთხოვნი- ლებას უყენებდნენ მის ქცევასა და მოქმედებას.(შდრ. პუშკინის აღშფოთებულ სიტყვებს "მე შემიძლია ვიყო ქვეშევრდომი, მონაც კი, მაგრამ ხოლოპად და მასხარად არ დავუდგები ზეციურ მეუფესაც კი. ხოლო, რა ღრმა უზნეობაა ჩვენი მთავრობის ჩვევებში! პოლიცია ხსნის ქმრის წერილებს ცოლისადმი და მიაქვს მეფესთან (ქველად აღზრდილ და პატიოსან კაცთან) და მეფეს არ რცხვენია გაამხილოს ეს - და მისცეს გზა ინტრიგას, ვიდოკისა და ბულგარინის შესაფერს! რაც არ უნდა სთქვა, დიდი საქმეა იყო თვითმპყრობელი").

მეფის ხელისუფლების მისწრაფება ძალა-უფლებად გადაქცევისა და "კლასზე" ამაღლებისაკენ - აწყდებოდა სასტიკ წინააღმდეგობას და, არსებითად, სწორედ "კლასობრივმა ინტერესებმა" შეინარჩუნა ევროპაში სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი წყობა, რომელიც დაუპირისპირდა სამეფო ძალაუფლებას და, საბოლოოდ, რესპუბლიკური ტიპის საზოგადოებრივი სისტემა შექმნა.

მეფის პოლიტიკური და მორალური პასუხისმგებლობა, ისევე, როგორც იურიდიული, თავისი "კლასის" და, [illegible], ყველა "კლასების" მიმართ, იყო გარანტირებული საზოგადოებრივი განვითარების უწყვეტი ტრადიციით და საზოგადოებრივი ინსტიტუტების შინაგანი ევოლუციით; საზოგადოებრივი ცნობიერებით (რომელ- საც ეკონომიკური ასპექტი მხოლოდ იდეოლოგიამ მოახვია თავზე მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებში).

რუსეთში მეფე არ ეკუთვნოდა არავითარ "კლასს". იგი იყო თვითმპყრობელი, ანუ თავის-თავის და მთელი სახელმწიფოსაც მესაკუთრე, განმხოლოებული მპყრობელი ძალაუფლებისა. რუსეთში ამ ძალაუფლების შემზღუდველი არც "კლასი" და არც "ინსტიტუტები" არ არსებობდა და არც ჩამოყალიბებულა იმ მიზეზებისა გამო, რომლებიც ზევით აღვწერეთ: "კლასის" ჩამოყალიბებას ხელი შეუშალა ძალაუფლების მესაკუთრულმა ხასიათმა და გეონაციონალპოლიტიკის ბატონობამ გეოეთნოსოცი-ალურ შესაქმეზე. ძირძველი ბოიარობის სწრაფვა ძალაუფლების შეზღუდვისაკენ მარცხით დამთავრდა და ეს იყო, შესაძლოა, ყველაზე დიდი შემობრუნების წერტილი და, იქნებ, ტრაგედიაც, რუსეთის ისტორიისა. არ იქნა "კლასობრივად" განსაზ-ღვრული ტრადიციული, მორალური და იურიდიული ნორმები ურთიერთობისა "კლასებს" შიგნით და შორის - ე.ი., საბოლოო ჯამში, არ იქნა შექმნილი საზოგადოება; ძალაუფლების გამარჯვებამ

მოსპო ის "საზოგადოებრივ-კლა- სობრივი" ტენდენციები, რომლის ნიშნებს ვხვდავდით პირველ რიურიკებთან და რომლებთანაც ბრძოლაში, და რომელთა მოსპობითაც, გამოინასკვა რუსეთის ისტორიის "ღერძის" პირველი კვანძი.

პეტრე პირველის რეფორმები, არსებითად წარმოადგენენ ამ არაკლასობრივი ძალაუფლებრივი ორგანიზაციის შექმნის პირველ წარმატებულ ცდას. რუსეთის შემდგომი ვითარება ადასტურებს, რომ "მსახურებრივმა ბიუროკრატიამ" (დვორიანსტვო) თანდათან იტვირთა საზოგადოებრივი განვითარების ის ტენდენციები, რომლებიც ასეთის დაუნდობლობით იყო აღკვეთილი ივანესა და პეტრეს მიერ. ამ თვალსაზრისით პეტრესშემდგომი ისტორია არის არაკლასობრივი სისტემის გასაზოგადოებრივების ცდა, რომელიც აწუდებოდა გეონაციონალპოლიტიკურ, იმპერიალისტურ, განუწყვეტელ მისწრაფებებს და თავისთავს სპობდა. შედეგად, ამ ტენდენციებმა ძალაუფლების შესუსტებაც გამოიწვიეს და ვერც საზოგადოების განვითარების დასრულება შესძლეს. დეკლასიურობა "ეშვებით" მოუბრუნდა რუსულ

(ძველ რუსეთში "ცხოვრება" "სამსახურზე" მაღლა იდგა. ამის დასტურია რუსი ხალხის სოციალურად "იატაკქვეშეთურ" მდგომარეობაშიც კი შემორჩენილი ღირებულება სულიერ მამათა "ცხოვრებებისა". სერგი როდონეჟსკი, ნილ სორსკი, სერაფიმე სოროვსკი, ფილიპე, ავაკუმი და სხვანი ის შეუცნობელი "წყაროა ცხოვრებისა", რომელიც თვით უბნელეს ვითარებაშიც კი რჩება ადამიანის (და ერის, სადაც იგი ეროვნულად გაცნობიერებულია და არა იდეოლოგიურად დადგენილი) არსებობის ჭეშმარიტ გამოხატულებად. ესაა რელიგიური, ჭეშმარიტი ძალა და სინათლე ადამიანისა "საკვირო" ღამეში ყოფისა. "საზოგადოებას" ერი ქმნის და არა ძალაუფლება. ერი - ესაა წარმომავლობისა და იგივეობის ღრმესი განცდა, მამის განსხვაულება შვილში, კავშირი ხისა და ნაყოფისა იმ ბაღში, რომელსაც თაობები უვლიდნენ და ანოყიერებდნენ ოფლით და იცავდნენ სისხლით. ესაა ეროვნული "ცხოვრება"; "ერთობითა და თანადგომითა მტერსა ზედა ძლევაი" - ხოლო "მტერი" ყოველთვის იყო "სხვა", "გარეული" მოსული "სამტროდ" და "შვების დასარღვევად" - ოღონდ უკვე მოსული, უკვე აქ მყოფი, შენს სახლში და არა ჰიპოთეტური. ქართული სიბრძნე -"შინაური მტერი გარეულზე უარესია"- მეტად საინტერესოდ გვიხსნის "ცხოვრების" სიღრმეს: "გარეული" - ანუ ის რაც "გარედ" არის; ამ "ბაღის" ამ "ცხოვრების" იქით ანუ "ველური"- დგენილი გამოთქმაში "გარეული ცხოველი" და, საპირისპირო, "შინაური ცხოველი". მტერს მისი "გარეულობა" ამ მოცემული ცხოვრების დაუნდობელი ნგრევის "გასავებ", თუმც არ მისაღებ - ("არა იციან რას იქმიან!") - და საბრძოლველ-მოსასპობ "უფლებას" აძლევს; "ქართლის ცხოვრების" გასაოცარი ფილოსოფიური სიმშვიდე "გარეულ მტერთა" და "გარეულთა მტრობის" აღწერისას შეუდარებელ მაგალითს გვაძლევს ეროვნული ცხოვრებისა. "გარეული მტერი" არ გღალატობს. "ღალატი" მხოლოდ "შინაურს" შეუძლია. ესაა ის "კლასობრივი" ზნეობა, რომელიც პირწმიდად ქრისტიანულია: "შინაურმა" იუდამ უღალატა ქრისტეს "გარეულ" მტერთან. ხოლო იუდას არ ეპატია, "გარეულზე" კი ითქვა "შეუნდე, რამეთუ არ იციან რას სჩადიან!"-ო.

ღალატი დაუცველს გტოვებს, გაშიშვლებს "გარეული მტრის" წინაშე. მაგრამ ღალატი თვით მოღალატეს უბრუნდება იმ მომენტში, როდესაც მსხვერპლი არ ეპუება მტერს და მასზე სულიერად ამაღლებული ზეიმობს გამარჯვებას მარადისობაში ღვთაებრივი ყოფიერებისა და არა "აუწყეველი საწყაულით" შენივთულ წარმავლობაში "კვისრული" ყოფისა. ნათელცხებულმა კათალიკოსმა ამბროსიმ ასე გამოკვეთა ეს ჭეშმარიტება: "სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, გული ჩემი სამშობლოს, ხოლო მძორს ჩემსას რაც გინდოდეთ ის უყავით!". აქ უკიდურესის სიმძაფრით არის გამოთქმული "ცხოვრების" ის "კლასობრივი" პრინციპი, (აგრერიგად რომ განსხვავდება "მსახურებისა" და "საქმის" დეკლა-სირებული პრინციპისაგან), რომელიც "კლასებს" ერად ამთლიანებს და "კლასობრივ ინტერესებს" ეროვნულ ინტერესებად ჰკრავს. ასეთივე შეუპოვრობითა და რწმენით ამაღლდა ივანე მრისხანეზე პატრიარქი ფილიპე.

"ერი" "ცხოვრების" კატეგორიაა და არა "საქმის". რამეთუ საქმე ცხოვრების ნაწილია და "უსაქმობაც" ცხოვრებაა. "ცხოვრება" კი არის "კლასობრივი" არსების მქონე და, ამიტომაც, "საქმიანობის" ტერმინებში გამოუხატავი. სტალინის განმარტება, რომელიც ერის გაგების მარქსისტულ (და საერთოდ, ფილოსოფიურ) კვინტესენციად იყო მიჩნეული, ტიპიური იდეოლოგიური კლიშეა და ერის არსების სრული გაუგებრობა. ის, რასაც სტალინი "ერს" უწოდებს არის "საბაზრო დეკლასირებული საქონელი"

მართული "საქმის" პრინციპებით. ამას კიდევ უფრო აშკარავებს "ერის" სხვადასხვა ტიპის გამოყოფა - "მონათმფლობელური ერი", "ფეოდალური ერი", "ბურჟუაზიული ერი", "კაპიტალისტური ერი", "სოციალისტური ერი"... და, სტალინის ლოგიკით, "კომუნისტური, ანუ დიდი "რუსი" ერი"...- ესაა "ბაზრისა" და "საქმის" უკლასო ტოტალური ძალაუფლების "ეკონომიკური" (მატერიალისტურ-ათეისტური!) იდეოლოგია.

"კლასობრივი ბრძოლის" იდეოლოგია, არსებითად, შემუშავდა ევროპული "ბურჟუაზიული" წყობის ანალიზისა და არსებული სოციალური წინააღმდეგობების საფუძველზე. ხოლო არაფერი იყო ისეთი ა-კლასობრივი, როგორც "ბურჟუაზია" თავის არსებაში, რომელიც ემყარება არა "ცხოვრების" არამედ "საქმის" (ბიზნესის) პრინციპს.

"საქმის" პრინციპები სრულიად არღვევენ იმ საზოგადოებას, რომელსაც მე "კლასობრივს" ვუწოდებ. ბურჟუაზიის ბრძოლა "მოქალაქეობისათვის" მიმართული იყო "ცხოვრების" კლასობრივი არსების წინააღმდეგ, რადგან ბურჟუაზია "უცხო" იყო მისთვის. "მოქალაქეობით" ეროვნების შეცვლისაკენ მისწრაფება იყო, ამავე დროს, ბრძოლა "ცხოვრების" საფუძვლების "საქმის" პრინციპებად გარდაქმნისათვის, ე.ი. "კლასობრივი საზოგადოების" და ეროვნული სახელმწიფოს მოსპობისაკენ. რუსეთის ისტორიასთან შეპირისპირებაში, აქ შებრუნებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე: რუსეთში "კლასობრივი" საზოგადოების შექმნა არ მოხერხდა სწორედ "ცხოვრების" "საქმედ და მსახურებად" ძალმომრეობით გარდაქმნის გამო და გეონაციონალპოლიტიკის მძლავრობისა გამო სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში. ამიტომ რუსეთის ისტორიაში ბრძოლა არსებითად მიმდინარეობდა საზოგადოების (კლასების) შექმნისათვის, ანუ, **სახელმწიფო ძალაუფლების წნეხის ქვეშ მოყოლილი ეროვნული ცხოვრების დერჟის დაფუძნებისათვის**. მაშინ როდესაც, ევროპაში ბრძოლა მიმდინარეობდა სწორედ ამ, რეალურად და სოციალურად არსებული, დერჟის დასათრგუნავად და მოსაშლელად, ანუ, საზოგადოებრივი ცხოვრების გარდასაქმნელად ა-კლასობრივ, ძალაუფლებრივად ორგანიზებულ "საქმედ". ("საქმის" და "ცხოვრების" კონტრადიქტულობას ადასტურებს მარქსის ცნობილი აფორიზმი "პროლეტარიატს სამშობლო არ გააჩნია" და მისი იმპლიციტური "ბურჟუაზიას სამშობლო არ გააჩნია": - მისი "სამშობლო" იქ არის სადაც მეტ ფულს იშოვის საქმით და ძალაუფლებასა და პრივილეგიებს მოიპოვებს. ამიტომ, თუმც მიღებულია "ეროვნულ ბურჟუაზიაზე" საუბარი, ცხადია, რომ ბუნება მისი ა-ეროვნულია). ამრიგად, ბურჟუაზიის ბრძოლა "მოქალაქეობისათვის" და "მოქალაქეობრივი უფლებებისათვის" საზოგადოებაში მიმდინარეობდა კლასობრივი საზოგადოების დაშლისა და ამ საზოგადოების "დეკლასიურ საქმოსნურ სისტემად" გადაქცევის გზით. ევროპაში არსებულ "კლასობრივი ცხოვრების" ტრადიციებსა და ღრმა სამართლებრივ შეგნებას, აგრეთვე საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ ევროპამ საზოგადოების სახე და არსება შეინარჩუნა და არ იქცა ძალაუფლებრივ-სახელმწიფოებრივ ა-ნაციონალურ ორგანიზაციად. ამ საზოგადოების შემდგომმა გადაქცევამ ა-კლასობრივ, "საქმოსნურ-მოქალაქეობრივ" სისტემად, გამოიწვია ის ტრაგიკული მსოფლგანცდა, რომლითაც აღსავსეა ევროპული ფილოსოფია და ლიტერატურა მეცხრამეტე და მეოცე საუკუნისა. აქ გადაიკვეთა რუსული და ევროპული მსოფლშეგრძნება: **ევროპა "დაეწია" რუსეთს.**

ბურჟუაზიის "საქმოსნურმა" პრინციპებმა და ტენდენციამ, მეორეს მხრით, წარმოშვა რეალურად არსებული წინააღმდეგობანი სხვა და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებსა და მათ ინტერესებს შორის. ამან მწვავე კრიტიკა გამოიწვია და გზა გაუხსნა "სოციალისტური უტოპიების" ჯერ პუბლიცისტიკურ კრიტიკად, შემდეგ "მეცნიერულ თეორიად", საბოლოოდ-კი, "იდეოლოგიად" გარდაქმნას და ამ იდეოლოგიის პოლიტიკურ ძალად, "ორგანიზაციად", "პარტიად" გაფორმებას.

დეკლასირებისაკენ მიმართული საზოგადოების წიაღში აღმოცენებულმა ამ **იდეოლოგიურმა და პოლიტიკურმა ორგანიზაციამ** ძალაუფლების ხელში ჩაგდება და შენარჩუნება შესძლო მხოლოდ ევროპის "გარეთ" - რუსეთის იმპერიაში, სადაც, როგორც აღვნიშნეთ, ევროპისაგან განსხვავებული ძალაუფლებრივ სახელმწიფოებრივი არაკლასობრივი სისტემა არსებობდა და სადაც კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი თავისი განვითარების ბუნებრივ გზას სახელმწიფოებრივი ძალაუფლების ძალმომრეობის შედეგად ასცდა. რუსეთის დეკლასიური ძალაუფლებრივ- ბიუროკრატი-ული ორგანიზაცი- დასუსტებული შინაგან წარმოებუ-

ლი ბრძოლით კლასობრივი საზოგადოების შექმნისათვის და გეონაციონალპოლიტიკური კრიზისით, ვერ-შეძლე აღმოჩნდა გამკლავებოდა ტოტალიტარულ პრინციპზე აგებული და ძალაუფლებისაკენ მისწრაფებული "ორგანიზაციის" შემოტევას. რუსეთი კვლავ თავისი ისტორიული "საკვირო" გაუცხოებადი ღერძის ტყვეობაში აღმოჩნდა. ამ "უცხოობას" ამჯერად მართლაც ტოტალური ხასიათი ჰქონდა და თავისი არსებით რუსეთის ისტორიის რეალური "ღერძის" ლოგიკურ გასრულებას წარმოადგენდა.

რუსეთის ისტორიის დრამა არის სრული განთვისება და გაუცხოება "საკვირო საქმის ღერძისა" შინაგანი, "ეროვნული ცხოვრების ღერძისაგან". ამ დრამით არის ნაკვეთრი რუსული აზრი და ლიტერატურა. (ეს გაუცხოება ენობრივადაც გამოიხატა, როგორც "ბილინგვურობა ცნობიერებისა"). "ცხოვრების", ვითარცა ეროვნული საფუძვლის, მნიშვნელობას ადასტურებს, როგორც ითქვა, სულიერ მამათა ცხოვრების ამოწევა ფასეულობათა რუსულ სკალაზე. სლავოფილების, პოჩვენნიკების და დღევანდელი "ნაციონალისტების" სწრაფვა რუსეთის ისტორიის "შინაგანი ღერძის" დადგენისა და გამკვიდრებისაკენ ამ მამათა ცხოვრების (ყიტია), ანუ რელიგიურ საფუძველზე, არა მარტო იდეოლოგიური და პოლიტიკური არსებისაა, არამედ ღრმად დრამატული (და ტრაგიკულიც) ძიება საკუთარი (ეროვნულ-არქეტიპული მეხსიერების წიაღში ჩამარ-ხული) ფესვებისა და იმ ჭეშმარიტი საფუძვლისა, რომელიც ხალხს "ერად" ქმნის, ხოლო არსებობას - "ცხოვრებად". საგსებით ცხადია, და ესაა ტრაგედიის საფუძველი, რომ რუსეთის იმპერია და ძალაუფლებ-რივი, "გაუცხოებული" სისტემა შექმნეს არა "ცხოვრებათა" მამებმა და მათმა სულიერმა შვილებმა, არამედ "მსახურებმა" და "საქმოსნებმა", რომლებიც თავისი "საქმით" ამღვიძებდნენ და აღრმავებდნენ "გაუცხოების ტოტალურ კედელს" იატაკქვეშეთში ჩამწყვდეულ ხალხსა და ძალაუფლებრივ ორგანიზაციას შორის. რუსეთის იმპერიაც და დოსტოევსკისათვის სათაყვანებელი "უზომობაც" (გრომადა), რომლისთვისაც იგი მზად იყო დაეღვარა მთელი თავისი სისხლი, უკანასკნელ წვეთამდე(!) და, მითუმეტეს, სხვისი (იხ.წერილი I იგ.31) შექმნილია ივანე მრისხანეს - პეტრე პირველის და სტალინის მიერ იმ საშუალებებითა და მეთოდებით, რომლებიც "ცხოვრების" ჩასაკლავად იყვნენ მიმართულნი. როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, რუსეთის ისტორიაში სულიერი სიმდიდრე მომდინარეობს სწორედ იმ "ცხოვრებებიდან" რომლებიც ძალაუფლებას განწირული ჰყავდა ვითარცა "მტერი" (განსხვავებით ევროპისაგან, სადაც "ცხოვრება" ბუნებრივი და საყოველთაო უფლებით ხარობდა). "იატაკქვეშეთში" ჩაკეტილი "ხალხი"(ნაროდ), განკვეთილი "ცხოვრებიდან", არსებითად ჰკარგავს თავის ეროვნულ სახეს, უცხოვდება, განეთვისება საკუთარ ფესვებს, საკუთარ ტრადიციას, და მხოლოდ ცალკეულ პიროვნებებში ინახავს "ცხოვრებას" ვითარცა სამომავლო ენერგიის უშრეტ წყაროს. ამგვარ წყაროდ უნდა მივიჩნიოთ რუს წმ. მამათა "ცხოვრებანიც". მაგრამ რეალობაში, "საკვიროდ" მოთხოვნილ ყოფაში, ხალხი (ნაროდ), თავისთავს გაუცხოებული, იქცევა "მასად", ძალაუფლების საკვირო მიზნების განმახორციელებელ იარაღად. წინააღმდეგობა, რომელსაც "რუსული საზრისის" მამათა "ცხოვრებაში" და ე.ი. რუსეთის რელიგიურობაში მაძიებელნი აწყდებიან, ჩემის აზრით, არის წინააღმდეგობა ძალაუფლების გეონაციონალ-პოლიტიკური "საქმისა", რომელიც რეალურ ისტორიაში იმპერიალიზმად, მეზობელთა მიმართ "მტრობად" და ძალმომრეობად სახიერდება.

ივანე მრისხანეს დამსახურება "რუსეთის ისტორიის ღერძის" წინაშე მდგომარეობს იმაში, რომ მან ექსპანსიურად გაზარდა რუსეთის ტერიტორია, მოახდინა "ცხოვრების" ფესვების ამოძირკვა, საფუძველი ჩაუყარა ძალაუფლებრივი ორგანიზაციის მიმართვას "კლასობრივი საზოგადოების" განვითარების წინააღმდეგ და დასაბამი მისცა "ბივალენტურ სისტემას" ურთიერთგაუცხოებული "ხალხითა" (ნაროდ) და "თვითმპყრობელობით", რომელთა შორის გაკუუმი ივსებოდა "მსახურებრივი ბიუროკრატიით" (დვორიანსტვო). ივანე მრისხანე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სამხედრო ძალას, მაგრამ თავისი "გარდაქმნების" ქვაკუთხედად ეს მხოლოდ პეტრე პირველმა გახადა.

პიროვნული თუ ნაციონალპოლიტიკური მიზეზებისა გამო პეტრე პირველის რეფორმატორული სტიქია მიმართული იყო, არსებითად, ერთი მხრივ - მილიტარიზაციის. ყოველგვარი ღონითა და საშუალებით, საჭირო იყო უზარმაზარი სახელმწიფოს გარდაქმნა მძლავრ მილიტარისტულ ორგანიზაციად, რომელსაც წარმატებით შეეძლება მის წინაშე დასახული გეონაციონალპოლიტიკური მიზნების მიღწევა. ეს იყო ერთადერთი, რითაც პეტრეს შეეძლო ევროპის განვითარებულ

სახელმწიფოებს დაპირისპირებოდა და კიდეც დაეჩრდილა ისინი. ორიგინალური პეტრეს რეფორმებში მხოლოდ სამხედრო რეფორმები იყო. ყველა სხვა რეფორმა მის განხორციელებას ემსახურებოდა და მის სამსახურში იდგა. მაგრამ ამ რეფორმებმა გამოავლინეს რუსეთის ისტორიის ერთი თავისებურება, რომელიც ტიპოლოგიურ მახასიათებელთა რიგში დგება: რუსეთის განვითარება, რამდენადაც ევროპის გარეთ ხდებოდა შინაგანი წყობის თვალსაზრისით, იმდენადვე დიდი იყო ძალაუფლების მისწრაფება - პეტრედან მოყოლებული - დამსგავსებოდა ევროპას. აქედან წარმოიშვა სტი-ქიური მისწრაფება გადმოენერგათ ყოველივე, რაც "მოეწონებოდათ" იმ სახელმწიფოში, რომელსაც ესტუმრებოდნენ

(საზგასასმელია, რომ "ევროპის" ქვეშ მოაზრებული ცივილიზაცია, ცხადია საერთო ნიშნებით ხასიათდება, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არის **მრავალთ ერთობა** და ყოველ ევროპელ ერს თავისი განუმეორებელი ინდივიდუალობა და წყობა აქვს, რაც იყო საფუძველი სპეციფიკური სოციალური ფორმებისა და ინსტიტუტების განვითარებისა).

პეტრე იყო პირველი იმაშიც, რომ მან მოიარა ევროპა "მესწავლის" მიზნით და რუსეთში ჩამონერგა ის, რაც მეთვისა და როგორადაც მეთვისა მისმა ძალაუფლებრივმა სტიქიამ. "მსგავსების პრინციპი" პეტრეს რეფორმების საომავლო არსება იყო. ამით დღესაც კი ხერხდება თუ სრული დამალვა არა, შერბილება მაინც ევროპული და რუსული (ამჟამად სსრკ) სისტემების ტიპოლოგიური განსხვავებისა "დამკვირვებელთა" თვალში.

სამხედრო საჭიროებით იყო გამოწვეული სრული გარდაქმნა გადასახადების ტრადიციული სისტემისა; ფულადი, სასაქონლო და შრომითი გადასახადის უნიფიცირება და, 1724 წელს, ერთიანი სულადი გადასახადის შემოღება მთელი იმპერიის მამრი მოსახლეობისათვის. ხოლო გადამხდელთა რიგების გაფართოებამ და ხოლოპების, ღარიბი დვორიანების და სასულიერო წოდების ნაწილის გათანაბრებამ გლეხობასთან - კრეპოსტნოის დონემდე - საბოლოოდ გაზარდა სახელმწიფოს შემოსავალი.

გარკვეული თვალსაზრისით, პეტრეს ეს რეფორმები მკაცრ აუცილებლობასა და ლოგიკას ემორჩილებოდა - საჭირო იყო **ძალაუფლების განმტკიცება და უზომოდ გაზრდილი საზღვრების დაცვა** და, კიდევ მეტად, **განვრცობა სუსტი მეზობლების ხარჯზე**, რასაც ორი საუკუნის შემდეგ "ისტორიულ გარდუვალობად" მიიჩნევენ და რაც ერთადერთ ნაციონალურ სიამაყედ დგინდებოდა საკუნეთა განმავლობაში.

ფასი, რომელსაც რუსეთი იხდიდა ამ "სიდიადეში" იყო სახელმწიფოებრივ-ბიუროკრატიული "საქმის" სრული "გაუცხოება" ხალხისაგან, ეროვნული და საზოგადოებრივი "ცხოვრების" ჩინოვნიკურ "სამსახურად" გადაქცევა და ხალხის (ნაროდ) "სოციალურად საშიში" სტიქიის ჩამწყვდევა "იატაკქვეშეთში". რუსი გლეხი (და, შემდეგ, იმპერიის გლეხობაც) "რეკრუტობას" (ქართული "სალდათობა") პეტრეს დროიდანვე უყურებდა როგორც სასიკვდილო განაჩენს. იგი სტოვებდა სახლს სამუდამოდ და უფესვო "დეკლასიურ" არსებად ხდებოდა. თავისსავე სამშობლოში იგი "უცხო" ძალას განასახიერებდა, ბრუტალურს, როგორც იმპერიის შინა მოსახლეობის, ასევე, იდეოლოგიურად და ეთნაციონალპოლიტი-კურად დადგენილი "მტრის" მიმართ. **ძალაუფლებამ რუსეთის ისტორიის არცერთ პერიოდში არ მისცა საშუალება თავის ძირითად "ეროვნულ ძალას" დასახლებულიყო** სტაბილურად, გაეშვა საკუთარ მიწაში ფესვები და შექმნილიყო "ბაღად ცხოვრებისა". "კრეპოსტნიჩესტვო", რომელმაც პეტრეს დროს სასტიკი ხასიათი მიიღო, მესაკუთრეთა უფლებებს განსაზღვრავდა და არაფერს უზღუდავდა თვით ძალაუფლებას, რომელიც გლეხსაც და მის მესაკუთრესაც ერთნაირად თავის საკუთრებად მიითვლიდა და როგორც უნდოდა ისე ასახლებდა. პეტერბურგის მშენებლობა და დასახლება ამის ნათელი დასტურია, ისევე, როგორც პეტრეს მიერ "მონათმფლობელური" სისასტიკით გატარებული რეფორმები. ამ რეფორმათა შორის სტრუქტურულად უმნიშვნელოვანესი იყო გასამხედროებული საერო რეფორმა, რომელმაც მთელი სისტემის ტოტალური ბიუროკრატიზაცია გამოიწვია და შეავსო "ვაკუუმი" თვითმპყრობელსა და იატაკქვეშეთს (ნაროდ) შორის. ეს იყო თავისებური ჩანასახი "დემოკრატიული ცენტრალიზმისა", რომელიც ასევე "ტიპოლოგიურად არაევროპულ" სახეს აძლევდა პეტრესეულ "ევროპიზაციას". ეს იყო 1722 წელს შემოღებული "ტაბელ ო რანგახ". ამით პეტრემ "საომავლო" ბორკილი დაადგა რუსეთის საზოგადოებრივი განვითარების შესაძლებლობებს და ააცდინა იგი "ევროპულ" (სამართლებრივ) გზას. რუსი მწერლები, უცხოელი მოგზაურები და ისტორიკოსები, ამ "ბორკილების" და ყოფის დეტალურ და

დოკუმენტურ სურათს გვიხატავენ. **პეტრეს მიერ ევროპაში გაჭრილი ფანჯარა ციხის საკნიდან იყო გაჭრილი.**

"ტაბელში" თუმც პირველად იქნა განსხვავებული სამხედრო და სამოქალაქო სამსახური და ყოველ მათგანს თავისი საგანგებო ნომენკლატურა მიეცა, შინაგანი არსება ორივესი იგივეობრივი იყო. "ტაბელში" აღნიშნული იყო სრული შესატყვისობა "ჩინისა" და "თანამდებობისა". პეტრეს ჩანაფიქრით ყოველ დვორიანინს თავისი სოციალური მდგომარეობისა და წარმოშობის მიუხედავად სამსახური უნდა დაეწყო უმდაბლესი საფეხურიდან და, შემდეგ, ნელნელა გაეკვლია გზა ზევითკენ, რამდენადაც მისცემდნენ საშუალებას მისი პირადი ღირსებანი.

სამოქალაქო სამსახურს დვორიანები იწყებდნენ უმდაბლეს ჩინიან საფეხურზე. ის, ვინც ჩინების კიბის გარედ იდგა არც დვორიანინად ითვლებოდა.

ამგვარად **რუსეთში ძალაუფლება და ფული მხოლოდ სახელმწიფო სამსახურში შეიძლებოდა შეძენილიყო.** ჩინის მოპოვება მის მქონებელს უაღრესად პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებდა. მას და მის შთამომავლობას გარანტირებული ჰქონდათ თანამდებობა და ეძლეოდა ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრივილეგიაც - "კრეპოსტნოის" შრომის გამოყენებისა. "ნაციას" სწორედ სახელმწიფო სამსახურში ჩამდგარნი ქმნიდნენ იურიდიულადაც და პოლიტიკურადაც. შესაძლოა, აქედან მომდინარეობს მეტად სპეციფიკური ხმარება ცნებისა "ნაროდ", რომელსაც სოციალური უმდაბლესი ფენის, ან სამსახურებრივი პირამიდის გარეთ მყოფი მასის მიმართ იყენებდნენ "იდეოლოგები"("ნაროდნიე მასი"). სახელმწიფო სამსახური ხდებოდა "კორმუშკა"(საძოვარი), ხოლო სახელმწიფო - "საწველი ძროხა", რომელსაც უმეტესნი უყურებდნენ, როგორც თავის საყოველდღეიურო მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელ საშუალებას, იმ ბუნებრივი და მყარი "საკვისრო"- ისტორიული კანონისა გამო, რომლითაც თავკერძობა და განმაკერძოებელი მაცდურობა ძლევს დროთა განმავლობაში სახელმწიფოსადმი (სამსახურისადმი) და მოვალეობისადმი ერთგულებას და აქარწყლებს ღირსების გრძნობას, გაუპიროვნებულ-ჩინოვნიკურ იერარქიაში (გოგოლის შედევრები კმარა საილუსტრაციოდ). ამ პირობებში ძლიერი სახელმ-წიფოებრივი და ძალაუფლებრივი ორგანიზაცია (მასშტაბილიზებული) შინაგან მოთხოვნილებად ყალიბდებოდა და მთელი სისტემის "გაუცხოებულ" ხასიათს კიდევ უფრო ამძაფრებდა. ყოველივე დამოკიდებული იყო "ზევიდან" ქვევით მომდინარე დადგენილებაზე, "ცირკულარზე". ("პოლოჟენიე"- აქედან "ნე პოლოჟენო"-ს ტოტალურად ბიუროკრატიულ-ფსიქოლოგიური კონსტიტუციურობა). უზარმაზარ ქვეყანას შესატყვისად უზომო ბიუროკრატიული აპარატი ესაჭიროებოდა, ხოლო ეს აპარატი, რაც უფრო შორს იდგა "ცენტრიდან", მით უფრო "გაუცხოებული" იყო და თავისთავში ჩაკეტილ, დახურულ ბიუროკრატიულ "იმპერიას" ქმნიდა. ცენტრალური ძალაუფლება ინსტინქტით გრძნობდა ამგვარი ტენდენციის საშიშროებას და **არ აძლევდა საშუალებას ბიუროკრატიულ აპარატს ერთ ადგილზე დიდხანს დარჩენისა და ფესვების გაშვებისა** ("გაძირძველებისა" და "ფეოდალიზაციის" საფრთხე!). ასევე არ აძლევდა უფლებას თანამდებობის დაკავებისა იქ, სადაც მას მამულები გააჩნდა. ეს ბუნებრივად იწვევდა არასტაბილურობის განცდას და აძლიერებდა სახელმწიფო ძალაუფლებაზე დამოკიდებულებას. "დვორიანსტვო", რომელიც ერთად-ერთი იყო შემძლე შეეზღუდა თვითმპყრობელობის ეს "გამაუცხოებელი" ხასიათი, რომელიც წარმოადგენდა ყველაზე ძლიერ და მდიდარ ფენას, ყველაზე განათლებულსა და პოლიტიკურად გაცნობიერებულს, ეს "დვორიანსტვო" ძალაუფლებასთან დაპირისპირებაში იქცა არა "კლასად" და საზოგადოებრივი "ცხოვრების" წარმმართველად, არამედ **სახელმწიფოებრივ ბიუროკრატიად, ერთთავად ძალაუფლების ნებასარვილზე დამოკიდებულად.** პროფ. პაიპსის ზუსტი დაკვირვებით:

"დვორიანებმა თუ შეიტანეს საბოლოოდ რაიმე წვლილი პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეს გააკეთეს არა როგორც სოციალურ-ეკონომიკურმა ჯგუფმა, თავისი კონკრეტული ინტერესების დამცველმა, არამედ, როგორც ერთგვარმა კლასს გარეშე წარმონაქმნმა, მებრძოლმა საყოველთაო სიკეთისათვის, როგორადაც მას წარმოედგინა იგი, - ე.ი. არა როგორც დვორიანსტვომ, არამედ, როგორც ინტელიგენციამ"

პეტრე პირველის "ტაბელი" შესაძლებლობას აძლევდა უბრალო ხალხსაც (ჯარისკაცებს, მეზღვაურებს, მწერლებს), სამსახურეობრივი მოვალეობის ბრწყინვალედ შესრულების შემთხვევაში, დაეკავებია

თანამდებობა და, მოეპოვებია "ჩინი", რაც მათ ავტომატურად აძლევდა "დვორიანობას" და უკვე მათ შვილებს ანიჭებდა უფლებას სამსახურის დაწყებისა უმდაბლეს ჩინში, აქედან გამომდინარე პრივილეგიებითურთ. ამგვარი "გააზნაურებული მდაბიო" სავსებით წყვეტდა კავშირს თავის ყოფილ ფენასთან, ხშირად ოჯახთანაც კი და თბუნდებოდა "ტაბელით" განსაზღვრულ ჩარჩოებში. ამ ბიუროკრატიას ემატებოდა დაპყრობილი ქვეყნების აზნაურობაც, რომელიც, თავის ეროვნულ - სახელმწიფოებრივ წყობას მოწყვეტილი და რუსულ სისტემაში მოქცეული, თავისთავად "უცხოვდებოდა" და იწყებდა ისეთსავე უძირფესვო ქცევას და მისწრაფებას, რომელიც რუსული სისტემის ბუნებრივ მახასიათებლად ევლინებოდა.ამ გზით შეიქმნა ე.წ. "ადგილობრივი ბიუროკრატია" ბალტიისპირეთის, კავკასიის უკრაინის, მუსულმანური... "მხარეებისა", რუსული გეონაციონალ-პოლიტიკური ექსპანსიის ძალით რუსეთის იმპერიაში ჩართულებისა. თუკი რაიმე თვალსაზრისით შეიძლება "კლასზე" საუბარი, ერთადერთი "კლასი" რუსეთის იმპერიაში იყო "დეკლასიური ბიუროკრატია" და, მიუხედავად იმისა, რომ ამ "კლასის" რიცხვი პეტრეს და, იმპერატორების დროს დღევანდელ ბიოროკრატიასთან შედარებით მცირე იყო, თვისობრიობა მისი არ განსხვავდებოდა - "დეკლასიური მენტალიტეტი" აიძულებდა ბიუროკრატიას დაეცვა თავისი "კლასობრივი" (სკამობრივი!) ინტერესები, როგორც ძალაუფლების, აგრეთვე ხალხის და სხვადასხვა ჯგუფების, განსაკუთრებით კი, (მისი წარმოშობის შემდეგ,) - ინტელიგენციისაგან, რომელნიც ასე თუ ისე საზოგადოებრივი განვითარებისაკენ უბიძგებდნენ მთელს სისტემას. ბიუროკრატიამ - თვითგაუცხოებადი და თვითმზარდი სისტემა შექმნა. ამან ერთგვარად შეუწყო ხელი დღემდე გავრცელებულ წარმოდგენას ხალხისადმი კეთილგანწყობილი ძალაუფლებისა (ცარ-ბატიუშკა, ლენინი, სტალინი...) და მისთვის ხელისშემშლელი ბოროტი ძალის შესახებ - უახლოესი ბიუროკრატის სახით.

კიდევ ერთი ტიპოლოგიური ნიშანი რუსეთის წყობისა და პეტრესეული რეფორმებისა იყო ის, რომ ბიუროკრატიულ-ძალაუფლებრივი სისტემის გაუცხოებამ სოციალური სტიქიის წინაშე შიშმა, "იატაკ-ქვეშეთში" ჩაამწყვდია ხალხი (ნაროდ) და ამით "გარყვნა" იგი, არ მისცა-რა საშუალება გამხდარიყო "ეროვნული ცხოვრების" საფუძველი. გლეხთა აჯანყებანი, გამორჩეულნი თავისი "ბრუტალური სტიქიურობით", კიდევ უფრო აძლიერებდნენ ამ "გაუცხოებასა" და შიშს, და მასაც "სტიქიური ბრუტალობით" მიმართავდნენ ამ ერთადერთი რეალური ეროვნული საფუძვლის შებორკვისაკენ. პეტრე პირველის გულახდილობა ზედმიწევნით გამოხატავდა ამ ურთიერთობათა არსებას (იხ ზევით). საზოგა-დოებრივ-კლასობრივი წყობის არარსებობის პირობებში, ძალაუფლების წნეხის ქვეშ გლეხობამ (ერმა, ნაროდ) ვერ შეასრულა ისტორიის მიერ მასზე დაკისრებული მისია - ყოფილიყო ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების წყარო და სტაბილობის გარანტია, როგორადაც იგი გვევლინება ევროპაში (საქართველოდან - ესპანეთამდე: "ევროპა" თრი "იბერიით" მოსაზღვრული ქრისტიანული ცივილიზაციით, გეოგრაფიულადაც და სოციალურ-პოლიტიკურადაც).

ამგვარად იქნა გამონასკვული რუსეთის ისტორიის "ღერძის" მეორე ნასკვი. პეტრე პირველის რკინის ნებისყოფამ და ჯოხმა, რუსეთის "პოტიომკინის სოფლისებური" ევროპიზაცია მოახდინა და ძალაუფ-ლებრივ-ბიუროკრატიული, "თვითგაუცხოებადი", გა-სამხედროებული სისტემის შექმნით თავის "სულიერ შვილებს" იმპერიის პყრობისა და გავრცობის მოდელი შეუქმნა.

"რუსეთზე ლაპარაკისას, განუწყვეტლივ წარმოიდგენენ, თითქოს საუბრობენ ისეთსავე სახელმწიფოზე, როგორც სხვებია; სინამდვილეში ეს სრულიადაც არ არის ასე. რუსეთი - მთელი განსაკუთრებული სამყაროა, მორჩილი ნებისა, თავნებობისა, ერთი კაცის ფანტაზიისა - ეწოდება მას პეტრე თუ ივანე, ამაში არაა საქმე: ყველა შემთხვევაში ერთნაირია ეს განსახიერება თავნებობისა. ადამიანური ურთიერთცხოვრების ყველა კანონთა საწინააღმდეგოდ რუსეთი არსებობს მხოლოდ თავისი საკუთარი დამონებისა და ყველა მეზობელი ხალხების დამონებისათვის. და ამიტომაც იქნებოდა სასარგებლო არა მარტო სხვა ხალხთათვის, არამედ მის საკუთარ ინტერესებშიც - იძულებულ ჰყონ ის გადავიდეს ახალ გზაზე". - ჩაადაევი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# 26 მაისი პარიზში

სამოცდამეათე მაისობა განსაკუთრებულ ვითარებაში ჩატარდა პარიზში. განსაკუთრებულობა ამ ვითარებისა მომდინარეობდა საქართველოდან, სადაც პირველად სამი ოცწლეულის თაობათა (1926-1987) დუმილის შემდეგ ამოიღეს ხმა და ეროვნულ დღესასწაულს სათანადო ადგილი მიუჩინეს. "საჯაროობამ" და "გარდაქმნამ", დემოკრატიზაციის პროცესმა "ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური დილეგიც" გახსნა და პირველი სხივი, რომელიც იქიდან ამოსხივდა იყო დაბრუნება ქართველი ერისათვის თავისი ეროვნული დღესასწაულისა, თუმც ჯერ მორიდებულად და ფრთხილსიტყვიერად, მაგრამ უკვე უკუუქცევლად. თაობათა პერსპექტივაში ეს უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა და როგორიც არ უნდა იყოს მიზეზი ამგვარი გარდაქმნისა, იგი უეჭველად დადებით და იმედისმომცემ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. 26 მაისს "კომუნისტმა" მთელი გვერდი დაუთმო უ. სიდამონიძის წერილს "ოქტომბრის პირმშო - გარდაქმნით დაბრუნებული", რომლის ქვესათაური აფორმულებს 26 მაისის ეროვნულ-დღესასწაულებრივ არსებას; "26 მაისი ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეა"!

26 მაისი არის საქართველოს უახლესი ისტორიის, ქართული კულტურის ახალი "ღერძის პერიოდის" საწყისი თარიღი, და ამ თარიღიდან იღებს სათავეს ყოველი მოვლენა, რომელიც ქართველ ერს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ერთობას გადახდა მეოცე საუკუნეში და გადახდება ყველა მომდევნო საუკუნეებში... უკუნითი უკუნისამდე, თუნდაც რომ, ჩვენ არ ვურიგდებოდეთ მოსკოვის ცენტრალიზებული ძალაუფლების მარწუხებში ყოფნისა და ფორმალური დამოუკიდებლობის დღეს არსებულ და ჯერ გარდაუქმნელ მდგომარეობას. საქართველო არსებობს როგორც სახელმწიფოებრივი პიროვნება, რომელიც იშვა ქართველი ერის ასწლოვანი განუწყვეტელი და თავდადებული ბრძოლის შედეგად რუსეთის იმპერიის ძალმომრე წყობის წინააღმდეგ 1918 წლის 26 მაისს, ნაშუადღევის 5 საათსა და 10 წუთზე; და ეს შობა იყო ქართველი ერის განუყოფელ პიროვნებად , სრულიად კონკრეტულ არსებად მეორედ დაბადება.

1918 წლის 26 მაისი ისტორიის მიერ ფაქტად იქცა.

"დღეს თქვენ აქ მოწმე იყავით ერთი ისტორიულის და ამავე დროს ტრაგიკული აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი, ამავე დარბაზში, ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს. ამ ორ სახელმწიფოთა შორის, რომელთაგან ერთი კვდება და მეორე იბადება, შეუძლებელია ყოფილიყო ინტერესთა წინააღმდეგობა. და თუ ოდესმე პირველი აღსდგება მკვდრეთით, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, მათ შორის მუდამ იქნება ინტერესთა თანხმობა".

ამ სიტყვებით ეროვნული საბჭოს მაშინდელმა თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ წაიკითხა საქართველოს ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილება საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ. ამავე სხდომაზე არჩეულ იქნა საქართველოს პირველი (და,სავალალოდ, უკანასკნელი) კოალიციური მთავრობა შედგენილი ყველა ძირითადი ქართული პარტიების წარმომადგენელთაგან - ნოე რამიშვილის (სოც.-დემ) თავმჯდომარეობით.

საქართველომ ნაბიჯი გადადგა

ერთდროულად არა მარტო თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ, არამედ, თანამედროვე სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი წყობის ყველაზე სრულყოფილი ფორმისაკენ - რესპუბლიკურ-კონსტიტუციური, პლურალისტული წყობისაკენ. საქართველოს 26 მაისის შემდგომი ისტორია ამავე დროს, არის ისტორია ამ გეზიდან გადახვევისა და ერთპარტიული ძალაუფლებრივ-პრივილეგირებული წყობის დამკვიდრებისაკენ. მაგრამ ყოველი გზა, იყო საქართველოს და ქართველი ერის გზა, აღნიშნული ჩვენი "დასაბამობით ნატვიფრი" პიროვნულობით.

იმ "ძრწოლისა და დუმილის", "მეხსიერების დაცლის" სტალინურ და, კიდევ დიდხანს, სტალინს-შემდგომი ოცდაათწლეულის ეპოქაში, ლტოლვილი ქართველობა შეუდრეკი ნებით ზეიმობდა საქართველოს მეორედ შობას. ზეიმობდა საქართველოს თავზე რისხვით წამოგრაგნული სისხლიანი ცის შემყურე; ზეიმობდა მეორე მსოფლიო ომის ბარბაროსული ნგრევის შემყურე და მონაწილე; ზეიმობდა ტირანის სიკვდილით საზეიმოდ აღტაცებული; ზეიმობდა... ზეიმობდა... ზეიმობდა და თავისი რწმენით ქმნიდა საწინდარს მომავალი აღორძინებისა...

ამ რწმენით აღინიშნა 26 მაისი ამჯერადაც. პარიზში, შარლ დე-გოლის მოედნის

ტრიუმფალური თაღის ქვეს მოგიზგიზე მარადიულ ცეცხლთან ტრადიციული გვირგვინის მიტანით.

მეტად ამაღელვებელია ეს გზა: ელისეს მინდვრების ბოლოდან - ტრიუმფალურ თაღამდე. გაშლილი სამფეროვანი ფრანგული და ქართული დროშებით ჩვენი მცირერიცხოვანი, მაგრამ უდრეკი ნების გამომხატავი პროცესია შემოჯარული მანქანებისა და მაყურებლების მზერის ქვეშ მშვიდად მიემართება ტრიუმფალური თაღისაკენ. აქ, საყვირისა და დოლის ხმაზე' იხრება დროშები პატივსაცემად იმ "უცნობ ჯარისკაცთა" ვინც თავი შესწირა თავისი და სხვისიც ქვეყნის თავისუფლებას - საფრანგეთისა და საქართველოს. ეს ცეცხლი, რომელიც ქართული სათვისტომოს საპატიო თავმჯდომარემ თამაზ ნასყიდაშვილმა ააბრიალა, სიმბოლური გამოხატულებაა თავის უფალი სულის შერხევისა და აღგზნებისა იმათში, ვინაც "მონობაში გადიდკაცებას თავისუფლების ძებნაში სიკვდილი ამჯობინა და "ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი ანაცვალა".

შემდგომად ამისა პარიზის წმ.ნინოს, მამა ილიჲ მელიას გარდაცვალებით დაობლებულ, ქართულ ეკლესიაში ბერძენმა მღვდელმა გადაიხადა პარაკლისი 26 მაისის აღსანიშნავად.

ჯ. ქ.

# მამა ილიჭ მელიას გარდაცვალება

ჰგოდებდეთ!

რამეთუ ამა წლის თხუთმეტ მარტს, ლტოლვილმა ქართველობამ დაჰკარგა ერთადერთი უცხოეთში მოღვაწე ქართველი მოძღვარი, ფასმიუწვდომელი ღირსების ღმრთისკაცი, სამწყსოს ყოველი წევრისადმი შეწყნარებით და სიყვარულით აღსავსე სულიერი მამა დეკანოზი ილიჭ მელია.

ჩვენს ქართველობას ერთი უძვირფასესი ნიშანი მოაკლდა: აღარა გვყავს ქართველი მოძღვარი!

ძნელია სამუდამოდ განშორება იმ ადამიანთან, რომელიც წლების მანძილზე საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველობის და დამოუკიდებელი ქართული ეკლესიის წინამძღვარი იყო; მომნათლელი და მაზიარებელი ყოველი უცხოეთში შობილი ან გარდაცვლილი ქართველისა; დამცველი სამართლიანობისა და სულიერი სიმშვიდისა თავკერძობითა და მშფოთვარებით აღსავსე ჩვენს ვიწრო წუთისოფელში.

მამა ილიჭ მელია იყო წმ. ნინოს ქართული მართლმადიდებლური სამრევლოს რექტორიც, ინტერეპისკოპალური კომიტეტის წარმომადგენელიც ეკუმენურ მოძრაობაში, პარიზის მართლმადიდებელი ინსტიტუტის წმ. მამათა ეკლესიის ისტორიისა და პასტორალური თეოლოგიის პროფესორიც და, ყოველივე ამასთან, მრავალრიცხოვანი ოჯახის მამაც. ხოლო, უპირველესად ყოვლისა მამა ილიჭ მელია იყო სულიერი მოძღვარი და მღვდელი.

თექვსმეტ იანვარს წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილ პანაშვიდზე მსოფლიო პატრიარქის ექზარქოსის მელეტიოსის წარმოგზავნილმა მღვდელმა საგანგებოდ აღნიშნა მამა ილიჭს ის თვისებები, რომლებიც ამ დიდ ღვთისმეტყველსა და ისტორიკოსს განსაკუთრებული ნათელით მოსავდა: " იგი არა მარტო თქვენი სულიერი მამა იყო, არამედ ჩვენიც, უფრო ახალგაზრდა თაობის სასულიერო მოღვაწეთა. და რაც ყველაზე მეტად მიმზიდველი და შთამბეჭდავი იყო მასში, ეს იყო ის, რომ მამა ილიჭ, დიდი თეოლოგი და ისტორიკოსი, უპირველესად ყოვლისა იყო უბრალო მღვდელი, სულიერი მოძღვარი..."

რომელმა ქართველმა ან ქართველის მეგობარმა არ იცოდა მამა ილიჭს მართლაც ქრისტიანულად და, ვიტყოდი, ქართულად ლმობიერი და ადამიანურ გამგები გადმოხრა თავისა; თბილი და ყოვლადდამამშვიდებელი შეხება ხელისა...

წმ. ნინოს ქართული ეკლესია, ქართული სათვისტომოს სულიერი ცენტრი, მამა ილიჭ მელიას პიროვნების, მისი ზნეობრივი და სულიერი ხატის - საქართველოს - ის ნავთსაყუდელი იყო, რომელიც სამართლისა და სიმართლის ქართულ გემს უზნეობის, ცდუნების საფრთხის, დამდაბლების და, საბოლოოდ, ჩაკვლის ქარებს აშორებდა; და ამ სათნო მოძღვრის ნათელი ხსოვნით კვლავაც აშორებს.

მამა ილიჭს ნანატრად ქართული კეთილშობილება და, ასევე ნანატრად ქართული, ადამიანური სილბო და სითბო, სიმტკიცის შარავანდედით მოსილი, მას ქართული ჯიშის წარმომადგენლად ხდიდა. იმ ჯიშისა, რომელმაც ერს მისცა კათალიკოსი ამბროსი, წმ.ილია მართალი, წმ. ქეთევან წამებული და მათ რიგში სულიერნი მუშაკნი საქართველოსი: მწიგნობარნი, მოძღვარნი და მძლე ჭირისუფალნი, რომელთა ფიზიკური უძლურება მათი სულიერი

ქალისა და ზნეობრივი სიმტკიცის აბსოლუტური მესაწონი იყო.

ამიტომაც არის მამა ილიას გარდაცვალება დიდი დანაკლისი ყოველთა ქართველთათვის, საქართველოს გარეთაც და საუკუნო იყოს ხსენება მისი...

მ.ქ.

ჯ.პ.

# მრგვალ მაგიდასთან

"ივერია" - ეს სახელი ქართული ეროვნული მოძრაობისა და ერის დიდი მამის წმ. ილიას სახელთან ისე მჭიდროდაა დაკავშირებული, რომ მათი გაყოფა შეუძლებელია. ამიტომაც არაა შემთხვევითი ის, რომ უცხოეთში გადმოტანილმა ეროვნულმა მოძრაობამ, რომლის ჩაკვლა და ძირფესვიანად აღმოფხვრა განიზრახეს სტალინმა, ორჯონიკიძემ და ბერიამ, კრემლის "ანტილენინელების" მხარდაჭერით, ისევ "ივერია" აირჩია თავის ორგანოდ. მაშინ, როდესაც პარტიები ჯერ კიდევ აქტიურნი იყვნენ და ნაციონალისტებს ჰქონდათ შესაძლებლობა ერთგვარი ორგანიზაციულ-პარტიული ბრძოლისა, თუნდაც თავის ოპონენტ სოციალ-დემოკრატებთან და კომუნისტებთან, "ივერია" პარტიულ ორგანოსაც წარმოადგენდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც დროთა ვარამმა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის - ანუ ილიას პარტიის - უმეტესობა ჩამოაშორა ცხოვრებას, "ივერია" ისევ ეროვნული და დემოკრატიული მიმართულების ჟურნალად იქცა. ეს ხაზგასმა კი ილიას ტრადიციის ურყევ მიყოლას ნიშნავს.

ამიტომაც, სრულიად ბუნებრივი იყო ის შეხ-ვედრა, რომელიც 12 აპრილს გაიმართა "ივერიაში".

მიზეზი ამ შეხვედრისა იყო ის მოძრაობა, რომელიც "საჯაროობისა" და "გარდაქმნის" სახითაა მოცემული; მოძრაობა, რომელსაც "დემოკრატიზა-ციას" უწოდებენ და ამ მოძრაობაში ქართული ეროვნული ინტერესების გამოვლენისა და დაცვის პერსპექტივები.

"ივერიაში" შეიკრიბნენ: "ივერიას" რედაქტორი ბატონი მიხეილ ქავთარაძე, რედკოლეგიის წევრი ბ. გიგი ხალდასტანიშვილი, რომელიც ამერიკიდან ჩამო-ვიდა, ბ. პეტრე იბერი და სხვ.

საუბარი მეტად საინტერესოდ წარიმართა და დიდძალი საკითხებიც წამოიჭრა. ცხადია, საუბრის ცენტრში ქართული ეროვნული პრობლემები იდგა ამ "გარდაქმნისა" და "დემოკრატიზაციის" პირობებში.

"ყოველგვარი პროგრესისა და წინსვლის შესა-ფასებლად საჭიროა ზუსტი და გარკვეული კრიტერიუმი. ეს კრიტერიუმი არ შეიძლება იყოს გარეშე იმ სინამდვილისა, რომელიც უნდა "გარდა-იქმნას". ამიტომაც "გარდაქმნის" კრიტერიუმიც თვით საბჭოთა და, კერძოდ, ქართულ წარსულ სინამდვილეში უნდა ვეძიოთ და ესა თუ ის მოვლენა ამ წარსულის მიმართ უნდა შევაფასოთ. ამას მოითხოვს პოლიტი-კური, და ეროვნულიც, რეალიზმი, რომელიც ჩვენთვის, ილიას მიმდევრებისათვის, ილიასეულ სტრატეგიად არის განსაზღვრებული..".- თქვა ბ. მიხეილ ქავთარაძემ.

მისი აზრით, ყოველივე რაც ხდება დღევანდელ საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, საქართველოში, შეუძლებელია შეაფასო ერთმნიშვნელოვანი უარყოფით ან მოწონებით; "ჰოსა" და "არას" რადიკალიზმი არა მარტო ანტიეროვნულია, არამედ სახიფათოც, რადგანაც საქმე ეხება ისეთ პირობებს, რომელშიც საქართველო იმყოფება: გეოპოლიტიკურს, ეკონომიკურს და სოციალურს.

"ახლა უკვე აღიარებულია, რომ სტალინური რეჟიმი - შიშის, თავნებობის, ძალმომრეობის რეჟიმი - იყო რადიკალური გადახვევა საზოგადოებრივი განვითარების გზიდან.(- მე ვიტყოდი, არა მარტო და არა იმდენად "ლენინური" გზიდან, როგორც "გარდა-ქმნის" სიტყვარი აღნიშნავს, არამედ საერთოდ საკაცობრიო განვითარების გზიდანაც - ჯ.პ. ). ყველაზე მძიმე ამ რეჟიმში იყო არა ის ტრაგედია, რომელიც სიკვდილმა, მოტანილმა "ხალხთა ბელადების" ერთგული მსახურების მარჯვენით, დაატრიალა, არამედ სულის დამლა, ადამიანის შინაგანი განთიშვა, პროფოცირება ადამიანის, - კულტურითა და ცივილიზა-ციით, განვითარებით, - განდევნილი და ფესვებთა ფესვებ-ზე დალექილი ღირებულებებისა; ის, რაც ერთეულთათვის ითვლებოდა უდიდეს ნაკლად და საყოველთაოდ იყო დაგმობილი, მოულოდნელად მთელი საზოგადოების დადებით თვისებად იქნა გამოცხადებული და, რაც მართლაც ტრაგიკულია, მიღებული ხალხის მიერ - შიშით, ძალმომრეობის წინაშე ღირსების დაკარგვით..." - თქვა პეტრე იბერმა.

"ერი, ისევე როგორც ადამიანი, არაა მუდმივი და დაკონსერვებული არსება. იგი

იცვლება; იცვლება მისი შინაგანი ორგანიზაციაც. ეს საკითხი ახლა ევროპაშიც ისმება." - ამბობს გიგი ზალდასტანიშვილი. მისი აზრით რეალპოლიტიკა ევოლუციას გულისხმობს უოველთვის და არა - რევოლუციას.

"რეალპოლიტიკა ნიშნავს იმის შეგნებას, რომ დღეს არ არსებობს სავსებით დამოუკიდებელი ქვეყანა - ყველა ერთმანეთზეა გადაბმული გეოპოლიტიკურად, გეოეკონომიკურად და სოციალურადაც კი... ახლა მე-17 საუკუნე კი არ არის, არამედ მეოცეა, რომელშიც ყველა ქვეყანა გადაება ერთმანეთს. ამიტომ საკითხი დაისმის რა არის ჩვენთვის მისაღები და რა არა. რაც არ უნდა იყოს, ყოველი ნაბიჯი უნდა იყოს აწონილი ამ, რეალურად და დღეისათვის მნიშვნელოვანი მოთხოვნით თანამედროვე განვითარებისა. პოლიტიკური ევოლუცია და ეკონომიკური განვითარება არათანაბარია. ეკონომი-კურად, ვთქვათ, ლამანშის გვირაბი 20 წლის წინ უნდა გაეყვანათ, მაგრამ პოლიტიკურად არც ფრანგები და არც ინგლისელები არ იყვნენ მზად - " მეობის" დაკარგვის, ათქვეფის შიში იყო. - ამ მომზადებას დიდი დრო და, რაც მთავარია, პოლიტიკური აღზრდა სჭირ-დება. პოლიტიკური არ ნიშნავს იდეოლოგიურს."

"მიღებასაც და უარყოფასაც ღრმა პოლიტიკური და ეროვნული შეგნება უნდა განსაზღვრავდეს და არა მორჩილების ან წინააღმდეგობის სურვილი - ამბობს პეტრე იბერი. მისი აზრით დღევანდელ ევროპაშიც დიდი აღმზრდელობითი მუშაობაა გაჩაღებული, რომ ერთიანი, უსაზღვრებო ევროპა დაარსდეს.

"ორიათასი წლისათვის საფრანგეთი, ვთქვათ, ის აღარ იქნება, რაც დღეს არის და ისევე, ბავშვი რომ იზრდება და არ იცი რა კაცი გამოვა, ხვალინდელი ევროპაც, მიუხედავად დიდი და ახლა დაგეგმილი სურვილისა და მისწრაფებისა - შეიძლება სრულიად სხვა რამ გამოვიდეს. არცერთ ევროპულ ქვეყანას აღარ ეშინია უკვე თავისი "მეობის" დაკარგვისა, თავის თავის არ "ყოფნებისა", სხვაში გათქვეფისა, რადგან ისე ღრმად და მძლავრად , ისე შეგნებულად აქვს გადგმული ფესვი თავის ისტორიაში, თავის სულიერ წყობაში, თავის არსებაში, ისე სრულად არის ჩამოყალიბებული, რომ თუ რამ წარღვნისებური არ მოხდა, ვეღარ გაუცხოვ-დება საკუთარი თავიდან - ვერც ენობრივად და ვერც ხასიათით"- ამატებს გიგი ზალდასტანიშვილი.

"მაშ, მთავარი სხვისი შემოჭრა კი არაა, არამედ საკუთარი "მეობის" დადგენა და შინაგანი სიმტკიცე. ამას ილია ჭავჭავაძის ეროვნული და პოლიტიკური ფილოსოფიაც უსვამდა ხაზს ყოველთვის" - ამბობს მიხეილ ქავთარაძე.

გიგი ზალდასტანიშვილის აზრით, როდესაც ევოლუციაზეა ლაპარაკი, მთავარი საკითხი - დროის საკითხია.

"ევოლუცია შეუძლებელია უეცრად, "ნახტომი-სებურად" მოხდეს. მე პირადად ევოლუციის მომხრე ვარ და არა რევოლუციის, რადგან ევოლუცია არის ნელნელა შენება, ნაბიჯ-ნაბიჯ სვლა და მკვიდრად შენება; მაშინ როდესაც რევოლუცია დანგრევაა აშენებულისა და მერე საკარაუდო შენობის შენება; - ხოლო ღმერთმა იცის რას ააშენებ; აგერ, რევოლუციის შემდგომ 70 წლის განმავლობაში ამ ვარაუდით შენდებოდა საბჭოთა კავშირი და გამოვიდა რომ ჩიხში შევიდა". - თქვა მან.

"თვით მისი სიდიდეც ბუმერანგივით მოუბრუნდა, რადგან დიდი სხეულის გადაბრუნებას ათასჯერ მეტი ძალა და ენერგია ესაჭიროება" - შენიშნა პეტრე იბერმა.

" ევოლუციაში დაებითი ისაა - განაგრძო გიგი ზალდასტანიშვილმა - რომ ნელნელა მოძრაობ და ყოველ ნაბიჯზე იცი თუ რას აღწევ და იმდენად მოქ-ნილი ხარ, რომ შეგიძლია სწრაფად მობრუნდე, თუ ხედავ რომ შეცდი; დიდი დანაკარგის გარეშე. რევოლუ-ციის დროს კი არ იცი საით დგამ ნაბიჯს, რადგან წინარე დანგრეულია ხოლო მომავალი კი არ არსე-ბული. ტრიალ მინდორზე შემდგარმა აღარ იცი რას აშენებ და საით მიდიხარ"

პეტრე იბერის აზრით დღევანდელი მსოფლიო სისტემები - ვთქვათ ამერიკისა თუ ევროპის განვითარებული საზოგადოებები - მულტისოციალური (მრავალსაზოგადოებრივი) სისტემებია. "ეს სრულიად ახალი ფენომენია კაცობრიობის ისტორიაში. ამის არდანახვა და არ შეცნობა უკვე მართლაც ჭურში ჯდომას უდრის. შეერთებულ შტატებშიც და ევროპაშიც, ნებისმიერ ქვეყანაში ერთდროულად შეგიძლია იპოვო სოციალისტური სექტორიც, კაპიტალისტურიც, შერეული ფორმაც და, თქვენ წარმოიდ-გინეთ, ფეოდალური წყობაც კი - და ეს არავის არ უშლის ხელს; და რაც მთავარია არ უშლის ხელს განვითარებას, საზოგადოებრივ და პიროვნულ თავისუფლებას. ამიტომაც, დღეს იმგვარი აზროვნება, როგორიც ამ საუკუნის დასაწყისში ან ოციან ან, თუგინდ, ორმოცდაათიან წლებში იყო გაბატონებული სრულიად ანაქრონულია და შედეგითაც განწირული". - თქვა მან.

გიგი ზალდასტანიშვილის თქმით ესაა ევოლუციის არა მარტო მიმზიდველობა, არამედ

მისი რეალური შედეგი. განვითარებას ყოველთვის გარკვე-ული და ცხადი კრიტერიუმები აქვს და ეს არა მარტო მისი გუშინდელი დღეა, არამედ ამავე საზოგადოების შიგნით არსებული სხვა შესაძლებლობებიც, სხვა ტიპის ევოლუციაც. ამგვარად, ევოლუციური შინაგანი განვითარების მექანიზმი არაჩვეულებრივად მოქნილი და დინამიურია.

“ჩემის აზრით - განაგრძობს გივი ზალდასტანი-შვილი - თვით გორბაჩოვიც არაა წინააღმდეგი სტიმული მისცეს ადამიანის მიერ თავისი სურვილის გამოთქმას. იგი იმდენად ჭკვიანია, რომ ესმის - თუ გინდა ცვლილება მოახდინო, უნდა მოისმინო რას ამბობენ სულ ქვემოთაც, და თუ არ მიიღებ, ათქმევინე მაინც - დაუსჯელად! ის იმდენად ძლიერია, რომ არ ეშინია მოისმინოს ან ყური დაუგდოს და გამოათქმევინოს აზრი. ეს ნიშნავს, რომ პირველად ამ ორმოცდაათი-სამოცი წლის განმავლობაში იღვიძებს ან იქნებ იბადება კიდეც, საზოგადოებრივი შეგნება.

ხშირად გორბაჩოვს ხრუშჩოვს ადარებენ. ჩემის აზრით მათ არაფერი არა აქვთ საერთო. ხრუშჩოვი ფიქრობდა, რომ მისი გეგმა იმთავითვე ჭეშმარიტების შემცველია და ბრძანებდა მის შესრულებას: ე.ი. სტალინურ ნიადაგზე იდგა. გორბაჩოვი კი არაა ასეთი კატეგორიული. ის ცდის. მართალია ძალაუფლების ხარჯზე ცდის, მაგრამ აშკარად იჩენს ყურადღებას საზოგადოების მიმართ. მეტიც, მოუწოდებს საზოგა-დოებას იქონიოს თავისი როლის შეგნება. ამგვარი რამ არ ჰქონია ხრუშჩოვს”...

“იქ ლოზუნგი იყო და იდეოლოგია; აქ რეალიზ-მია და პოლიტიკური აზრი”- ჩაურთო პეტრე იბერმა.

“დემოკრატია ისაა, რომ ადამიანმა ისიამოვნოს ცხოვრებით და თავისი წვლილით საზოგადოებრივ ცხოვრებაში- განაგრძო გივი ზალდასტანიშვილმა - ხოლო მთავრობა არსებობს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ადამიანის ამ მისწრაფებას... და დაიცვას იგი გარეშე აგრესიისაგან...”

...'და არ აქციოს თავისი თავი ადამიანის, საზოგადოების და მათი პოლიტიკური უფლებების (და საერთოდ ყველა უფლების) მესაკუთრედ - როგორც გააკეთა ეს ჯერ ლენინმა და, მერე, სტალინმა და მისმა რეჟიმმა. დემოკრატია მრავალფეროვნებაა და ესაა კიდეც გარანტია მშვიდი და უწყვეტი განვითა-რებისა. ეს განვითარება შინაგან, კულტურულ განვითა-რებასაც გულისხმობს; ე.ი. რეალისტურ თვალსა და გონებას, რომელიც ნათლად ხედავს ავსაც და კარგსაც და ორივეს მშვიდი საქმით პასუხობს - გააგრძელა ბატონ გივის აზრი პეტრე იბერმა - ეს ედო საფუ-ძვლად ილია ჭავჭავაძის რეალპოლიტიკურ ფილოსოფიას და ეროვნული აღმშენებლობის სტრატე-გიას - რაც ყოველგვარ ზერელემხედ და ცუნდრუკ რევოლუციონერთა აღშფოთებას და სიძულვილსაც კი იწვევდა. რევოლუციონერობა “პროვოკატორობის” (მაცდურობის) სიმბოლურ გამოხატვად შეიძლება მივიჩნიოთ. სტალინის მაგალითი კმარა ამისათვის. იგი ყოველგვარ სიმდაბლესა და ბოროტებაზე აცდუნებს ადამიანს სიტყვების (იდეოლოგიის) მაგიის გამოყე-ნებით. ერი ისე ვერ განვითარდება, თუ ჯერ არ დაინახა ის ვითარება, რომელშიც იგი იმყოფება არა მარტო თავის შიგნიდან, არამედ გარედანაც, მთელს მსოფლი-ოში მოქცეული. თუ მსოფლიო განვითარების ტენდენ-ცია არ შეიგრძნო და შეიგნო, იგი განწირულია ჩამო-სარჩენად. ეს დაგვემართა ჩვენ თავის დროზედ. ვერ შევაფასეთ გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მდგომარეობა და ვერ მოვნახეთ ადგილი მსოფლიოში; ის ადგილი, რომელიც ერთხელ გვეკავა და რომელიც ღმერთმა და ბუნებამ გვიბოძა დასაკავებლად. აჩქარდით და “აცუნდრუკდით”.

“აჩქარებითა სოფელი არავის უშენებია” - თქვა მიხეილ ქავთარაძემ - “მითუმეტეს რევოლუციური ცუნდრუკობით! ახლა, ბუნებრივია, გამრავლდება მი-ტინგები და მანიფესტაციები. ეს აუცილებელი გზაა საზოგადოებრივი შეგნებისა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის განსავითარებ-ლად და ასაღორძი-ნებლად. ეს საჭირო და აუცილებელია. მაგრამ ამას უნდა უძღოდეს რეალპოლიტიკური, ანუ ილიასეული, მზერა და ილიასეული სასწორი უნდა ზომავდეს ყოველ ნაბიჯს. მაშინ ექნება ეროვნული შედეგი “გარდაქმნას” თუ “დემოკრატიზაციას”; მოთხოვნების რეალიზმიც ამ სასწორმა უნდა განსაზღვროს. ყოველთვის შესაძლებლობის საზღვრებში გვერჩივნოს ყოფნა და არა იდეოლოგიურ თავბრუსხვევაში. მარტო ილიას მკვლელობა გამოდგება იმის დასტურად თუ სად შეუძლია მიყვანა ყალბ მსახურებას თავსმოხვეული და ჩაგონებული იდეებისა და ვითომ-გადარჩენისადმი. ახლა მოთხოვნების დრო დადგა. ამდენი ხნის საზო-გადოებრივი და ეროვნული წყურვილი ბუნებრივად ითხოვს დაკმაყოფილებას. ასეთ დროს თავს ვერ იკავებ კაცი და რეალობას შეიძლება სრულიად მოცილდე კიდეც. ისეთი რამ არასოდეს არ უნდა ითხოვო, რასაც, შენ რომ იყო მიმცემი ვერ ( ან არ!) მიცემდი და ვერ გააკეთებდი. სიმშვიდე და

ღირსება მიმცემსაც და მომთხოვნსაც ერთნაირად მოეთხოვება. პოლიტიკური რეალიზმით ადგირამოდებულ მისწრაფებებს გაცილე-ბით მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია ერისა და სამშობლოსათვის, ვიდრე გულში მჯიღის ცემასა და თავაღებულ შემოხევას ტანსაცმელისა "სამშობლოს სიყვარულის" დასამტკიცებლად. ყველას თავისი ლოკალური სპეციფიკა აქვს და სახლში უნდა მოეწყოს ჯერ მკვიდრად ყოველივე და ის უნდა მოშორდეს ცხოვრებას რაც მართლაც საფრთხეს უქმნის ამ სახლში ჩემად ყოფნას. ესაა ილიასეული "ჩემი თავის ჩემად ყუდნების" ღრმა აზრი. სამშობლოს სიყვარულმა კი არ უნდა გაგვყოს, არამედ, უნდა გვათანამშრომლოს ურთიერთთან - არ მეგულება მე ქართველი, რომელსაც უცნაური ძალით და მადლით არ უყვარდეს თავისი ერი, მისი ისტორია, მისი კულტურა; ენა - ეს ტაძარი ქართული მსოფლიოსი... მარტო სურვილებით აშენებული ქვეყანა არავის მოსწრებია ჯერ... თუ გინდათ ჩვენი დამოუკიდებლობის ხანა ავიღოთ - არა მარტო დაპყრობით დაგვამარცხეს მაშინ, არამედ ისტორიული კანონითაც დავმარცხდით, რადგან არ ვიყავით მზად პასუხი გაგვეცა იმ რეალურ გეოპოლ-იტიკურ და გეოეკონომიკურ კითხვებზე, რომლებიც ზვავივით დაგვაშვაკა ცხოვრებამ. ცხოვრება არ უცდის შენ როდის წამოიჩიტები და ისწავლი დამოუკიდებელ არსებობას - ჯერ ფეხზე დგომისა და სიარულისათვის უნდა მოემზადო და მერე გადადგა ნაბიჯი... კი არ უნდა აცქმუტდე და აჭენდე, დინჯად და მყარად იარო...

ილიას მერე ამგვარი სიდინჯით ვეღარ დავიკვეხნით და უილიობის ტრაგედიაც ესაა ჩვენს ცხოვრებაში..." - დაასრულა შეხვედრა მიხეილ ქავთარაძემ.

ჯ. კ.

# ბიბლიოგრაფია

## "...ჭირსა არ დამრიდად"

სიტყვა შეეხება ჩვენს მეგობრებს, ციურიხელ ქართველოლოგებს. რედაქციამ მიიღო იოლანდა მარშევის წიგნი "ქართული ენის მორფემები ( ცდა სტრუქტურული ანალიზისა)" გამომცემლობა "ამირანი". 124 გვ. გამოცემის თარიღი არ აზის, საავტორო უფლება კი აღებულია 1986 წელს. წიგნი გამიზნულია ქართული ენის შემსწავლელთათვის.

წიგნი განიხილავს მორფემათა, როგორც სიტყვის საშენი ელემენტების ან ფორმანტთა სისტემას ქართულში, რომელიც "არსებითად პოლისინთეტურ ენას წარმოადგენს აგლუტინირებული და ფლექტირებული ელემენტებით. იგი ხასიათდება მორფემების მდიდარი გამოყენებით..." - ქართულის შესასწავლად განკუთვნილი ამ ღირებული ნაშრომის საგნობრივ მხარეზე არ შევჩერდებით - მისი დაფასება სპეციალისტების საქმეა, მაგრამ გვსურს ბეჭდვისა და გამოცემის საქმეში ჩაუხედავ უმეტესობას მკითხველთა მოვახსენოთ, რომ ამგვარი წიგნის შესადგენათ და დასაბეჭდათ (რაც მათ მიერვეა შესრულებული) საკმაოდ თავსატეხი, დაძაბული, დამღლელი და ხანგრძლივი ჯაფაა გაწეული. ამგვარ საშენ ელემენტებად დაშლილი (თავსართი-ფუძე-ბოლოსართი) ორენოვანი (ზოგჯერ სამიც) ტექსტის გამართვა მართლაც უანგარო შრომას მოითხოვს.. და რამდენი კეთილი სურვილია შიგ ჩაქსოვილი!

ბატონმა გიორგი ნოზაძემ მოგვაწოდა მის მიერ მიღებული 1988 წლის აპრილის (N3) ჟურნალი ციურიხის უნივერსიტეტის რექტორატის მიერ გამოცემული ჟურნალისა. ეს ნომერი მთლიანად ეთმობა "Schprachen an der Peripheríe Europas" (ევროპის პერიფერიის ენები). ჟურნალში მოთავსებულია იოლანდა მარშევის წერილი, რომელიც სპეციალურად ქართულ ენას არ ეხება (ასეთი წერილი ავტორს უკვე მოუთავსებია ჟურნალის 1984 წლის მეექვსე ნომერში, რომელსაც ჩვენ, სამწუხაროდ, მაშინ სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ გამოვეხმაურეთ. იმ წერილის სათაური იყო: "ქართული, ძველი კულტუ-რული ენა". წერილში მოტანილია ზოგადი ცნობები ქართული ენის შესახებ, მაგრამ უფრო დიდი ნაწილი მკითხველს აცნობს თვით საქართველოს ისტორიას, კულტურას და პოლიტიკურ მდგომარეობას, რაც, ცხადია, შეგნებულად არის გაკეთებული.) არამედ, ეხება ქართულ ლიტერატურას. წერილის სათაურია "Wegweiser durch die Georgische Literatur" (სიტყვასიტყვით: ქართულ ლიტერატურაზე გამავალი გზის მაჩვენებელი). წერილს დიდი ფორმატის სამი გვერდი უკავია. იგი წარმოადგენს ოსტატურად კონდენსირებულ ნარკვევს, რომელიც იწყება ქართული ზეპირსიტყვიერების სიმდიდრის აღნიშვნით, შემდეგ ნახსენებია იაკობ ცურტაველი,

სასულიერო მწერ-ლობა, ლაპარაკია დავით აღმაშენებელზე, რუსთაველზე და "ვეფხისტყაოსანზე", აღნიშნულია მეთორმეტე საუკუნის "რენესანსი", შემდეგ დაცემის ხანა და კვლავ "აღორძინება", რომლის მთავარ ფიგურად საბა-სულხანია გამოცხადებული. აქ ავტორი პარალელს ავლებს რუსთაველსა და საბას შორის და დაახლოებით შემდეგს ამბობს: ვით რუსთაველი თავისი სრულქმნილი პოეტური ენით ეტაპის შემქმნელია ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ასევე, მეჩვიდმეტე საუკუნეში საბა-სულხანი გამორჩეულად პირველია მხატვრულ პროზაში. შემდეგ ავტორი, იოლანდა მარშევი, გადადის ბარათაშვილზე, გვაცნობს "ბედი ქართლისას", "მერანს", მშვენივრად განჭვრეტილ შეხედულებას გამოთქვამს ქართული რომანტიზმის თავისებურ ხასიათზე და, ბოლოს, თავის ადგილს უთმობს ილიას, აკაკის და ვაჟას. წერილს თან ახლავს ფოტოები: აკაკი, ვაჟა და XIX საუკ. ტფილისის ხედი.

ჩვენს ჟურნალში ერთხელ დაიწერა: რამდენი მადლობაც არ უნდა ვუთხრათ საქართველოსა და ქართული კულტურის ერთგულ მუშაკებს (დიდებულ ციურიხელ "ტრიოს" ბ. კიტა ჩხენკელის აღზრდილ ქართველოლოგებისა), და პირადად ქალბატონ იოლანდა მარშევს, საკმაოს მაინც ვერ ვეტყვით. ახლაც იგივე უნდა გავიმეოროთ.

მ.ქ.

## ალ. მანველიშვილის ახალი წიგნი

ბატონმა ალ. მანველიშვილმა თავისი ხანდაზმულობის მიუხედავად 1984 წელს გამოცემულ სქელტანიან წგნის "რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა" - შემდეგ კიდევ შესძლო გამოცემა 400 გვერდიანი ნაშრომისა: "ძველი ქართული მწერლობა.

ავტორი განათლებით სწორედ ფილოლოგია, ასე რომ ამ ნაშრომის გამოცემა ავტორისათვის "თავის ხელობაში" დაბრუნებაც არის. წიგნში განხილულია მთელი ქართული მწერლობა დასაწყისიდან - მეცხრამეტე საუკუნის დამდეგამდე. სასიხარულოა, რომ ეს წიგნი ისეთ დროს გამოდის, როდესაც საზღვარგარეთ კვლავ იწყება დაინტერესება ქართული კულტურითა და საქართველოთი; და თუმც ძველ ლტოლვილთა რიგები თხელდება, ახალ თაობას თურქეთის მრავალრიცხოვანი ქართველობაც უნდა მივათვალოთ. ავტორს საყურადღებო და ორიგინალური აზრები აქვს გამოთქმული მრავალ საკითხზე. გარდა ამისა, საინტერესო ისიც არის, რომ ამ ლიტერა-ტურულ გარჩევას ისტორიულ-პოლიტიკური წიაღსვლებიც ახლავს თან. ჩვენ გვგონია, რომ მიუხედავად წიგნის მკითხველთა სიმცირისა ( ე.ი. საზღვარგარეთ მნყოფ ქართველთა), მის გამოცემას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს - სახელდობრ, ემიგრაციაში გაწეული მოღვაწეობის ისტორიისათვის. ხოლო წიგნის მკითხველმა, როდესაც პალესტინაში სინას მთაზე და ათონში ქართველთა მოღვაწეობას გაეცნობა, შეუძლებელია მათსა და მხცოვან ავტორს შორისაც არ დაინახოს ანალოგია.

მ.ქ.

## "ამბავი ერთი სიყვარულისა"

ჩვენმა დაუღალავმა მინდია ლაშაურმა გამოსცა ახალი წიგნი სათაურით "ამბავი ერთი სიყვარულისა". წიგნი მეტად ორიგინალური ხერხით არის დაწერილი და სასიამოვნოდ იკითხება.

მ.ქ.

## "Revue des Études Georgiennes et Caucasiennes" N 2 - 1986

გამოვიდა "ქართული და კავკასიური კვლევის მიმომხილველის" მეორე ნომერი, რომელიც ამავე დროს არის "ბედი ქართლისას" N XLV. კრებულში ბევრი საინტერესო ნაშრომია წარმოდგენილი, როგორც უცხოელ ისე ქართველ (საქართველოდან - ხელოვნების ისტორიკოსი ლეილა ხუსკივაძე) მეცნიერთა. ყველა უკლებლივ წერილი საყურადღებო ინფორმაციას და კვლევის შედეგს გვაცნობს ქართული და კავკასიური კულტურის სხვადასხვა ასპექტზე (ლინგვისტიკა, და ფილოლოგია, ლიტერატურა,, ისტორია და ცივილიზაცია,, ხელოვნების ისტორია; საუცხოო კრიტიკული ბიბლიოგრაფიით). ყველა ნაშრომი შესატყვისად მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული.

ყურადღებას იპყრობს პროფ. გ.შარაშიძის ორი ნაშრომი: "მეტისმეტად პრომეთეული ჩერქეზი პრომე-თე" და სადისკუსიო წერილი "გამყრელიძე/ივანოვი, ინდოევროპელები და კავკასია".

მთლიანად ჟურნალიც და საკუთრივ პროფ. გ. შარაშიძის წერილებიც უფრო სერიოზულ განხილვას იმსახურებენ, ვიდრე ალნუსხვას ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვაში, რაც ცალკე უნდა გაკეთდეს, აქ კი მხოლოდ ერთი მინიშნებით შემოვიფარგლებით.

წერილში " ჩერქეზი პრომეთე..." გვხვდება ამგვარი ადგილი: "A la différence de leurs confrères du Sud -- Géorgiens, Svanes, Abkhazes--......." ( "განსხვავებით თავის სამხრეთელი თანამოძმეებისაგან -ქართველების, სვანების, აბხაზების--...."). ამგვარი გაწყოფა **სვანებისა ქართველებისაგან** უმალ მოგვაგონებს პობედონოსცევ-ვოსტორგოვების "ქართველოლოგიას", და თუ ეს **სამწუხაროდ გაპარული** შეცდომა არ არის, მაშინ ითხოვს დასაბუთებულ განმარტებას თუ როგორ და რატომ არ არიან სვანები ქართველები. მთელი საქართველო და თვით სვანებიც (თავისთავს) **ქართველებად** (და არა **ქართლელებად**) მიიჩნევენ სვანებს, მეგრელებს, აჭარლებს, გურულებს, ქართლელებს, მესხებს, ჭანებს, ლაზებს და ა. შ... უხერხულიც კია დღეს ამაზე საუბარი. Géorgien - ზოგადად **"ქართველს"** ნიშნავს და არა რომელიმეს ჩამოთვლილ კუთხეთაგან (ვთქვათ, ქართლელს ან კახელს...); თვით **ძველი აბხაზნიც** (ძველი, - არა-ადიღე), რომელნიც ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის და ე.ი. **ქართველი ერის, ქართველობის იგივეობრივ** ნაწილს შეადგენდნენ "დასაბამითვე", "ქართველებად " **(GÉORGIEN)** ითვლებიან ( თუ იმპერიულ "ქართველოლოგებსა" და მეოცე საუკუნის პოლიტიკოს-იდეოლოგებს არ მივიჩნევთ ჭეშმარიტების კანონმდებლებად!). შესაძლოა ამაზე არ გაგვემახვილებია ყურადღება, მაგრამ დიდად სამწუხაროდ, ამგვარ ავტორიტეტულ ჟურნალში, ასეთი ავტორიტეტული მეცნიერის (რომლის ავტო-რიტეტს ამ შემთხვევაში კიდევ უფრო ამკვიდრებს მისი ქართული წარმოშობა!) მხრივ ასე უყურადღებოდ დაშვებულმა კარდინალურმა შეცდომამ მოგვაგონა მთელი ის სტრატეგია, რომელსაც დღესაც იყენებენ რუსები (და მათი სიდიდით მოხიბლული დასავლელი მეცნიერები) საქართველოს მიმართ (იხ "პასუხი ბ-ნ. მაქსიმოვს, "ივერია" N 30 1986 წ.).

ცხადია, ერთ ასპექტში დაშვებული სამწუხარო შეცდომა საკუთრივ წერილის ღირსებებს სრულიადაც არ ცვლის, მითუმეტეს, რომ პროფ. გ. შარაშიძე კავკასიური "პრომეთეადის" მეტად საინტერესო და ღრმა მკვლევარია.

ჯ.კ.

## სამძიმარი

ჭირისუფალთა და მეგობართა მიმართ სამძიმრის თქმით ვაქვეყნებთ 1987 წლის ბოლოსა და მიმდინარე წლის განმავლობაში გარდაცვლილ ქართველთა სიას:
ამილ მიურატი; რაფიელ ჯაში; დავით ვაშაძე; პოლიკო მეტივე-კლდიაშვილისა; ვახტანგ ბერიაშვილი; ვანო თურქია; ანტონ ალანია; დავით დუიშვილი; არჩილ მჭედლიშვილი; კვირისე ჩხაიძე; დავით ბერძენიშვილი; ვერა ფაღავა; სტანისლავ მამულაშვილი; ნიკოლოზ აფხაზი.

## ჟურნალის ფონდი

(ფრ. ფრანკებით)

გივი ბეგიაშვილი 2000/ გივი ზალდასტანიშვილი 1000/ ილია კუჭუხიძე 850/ აკაკი შავგულიძე 700/ არჩ. კეკელია 300/ სოშოს სათვისტომო 300/ აკაკი ბარკალაია 300/ ნიკო თოფურია 300/ შოთა ბერექიანი 200/ გივი გაბლიანი 160/ ირ. ოთხმეზური 160/ მ.ე-ლი 100/ თათარხან ანთაძე 100/ ვლ. ემხვარი 100/

უღრმესი მადლობა რედაქციისაგან

გამოცემის რედაქტორი მიხეილ ქავთარაძე

სარედაქციო კოლეგია: გივი გაბლიანი; გივი ზალდასტანიშვილი;
ალექსანდრე მანველიშვილი;
გულნარა ურატაძე- პატარიძისა;
ჯანრი კაშია.

DIRECTEUR O. PATARIDZE

ADRESSE D'EDITEUR: MICHEL KAVTARADZE
61, CHEMIN DE TABOR 91310
TEL: (1) 69 01 47 81

EDITION HORS COMMERCE